114
1942 /В

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მგალობელი

33 114/1942/В

5

5

თბილისი
1942

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო,
სახელოვნო და საზოგადოებრივ-საპოლიტიკო
ჟურნალი

წელიწადი მეცხრამეტე

34555

5

მარქსისახ. საქ. სახელმწ. ბ-კა
საჯარო
ბიბლიოთეკა
ბიბლიო

19 მაისი 42
სახელგამი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Гос. публичная библиотека Киргизской ССР
им. Н. Г. Чернышевского

პ/შგ. რედაქტორი ალიო მაშაშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/VI-1942. УЭ 8340. ანაწყობის ზომა 7 × 12. ნიშანთა რაოდენობა სასტამბო ფორმაში 50.688. სააღტორო ფორმათა რაოდენობა = 13,8. შეკვეთის № 971. ტირაჟი 2300.

სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, ჟორესის ქ. № 5. რედაქციის მისამართი: ჟორესის ქ. № 5. სახელგამი. ტელ. 3-53-80.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიმონ ჩიქოვანი

გურამიშვილის სიმღერა

უკრაინელ პოეტებისადმი

ოსტატის გრდემლზე იწრთობა
რკინა, —
გრძნობა მწიფდება, გალობით
თქმული.
ძმობისთვის წიგნში ვიპოვნოთ ბინა,
მეგობრულ სუფრით გავჰტეხოთ პური.
გულის ბუდიდან გადმოვა ლაღად,
კალმით ნახული, ცოცხალი იფქლი.
ფურცელზე ფეთქვით იქცევა ბაღად
და ნაყოფივით მწიფდება ფიქრი.
აგრე მტკიცდება ნამდვილი ძმობა
და საგულეში ჩადგება ბოლი.
გადმოფრინდება ჩვენამდი გრძნობა,
ჩვენი წინაპრის ტკივილის ტოლი.
მაშ მოვიგონოთ განვლილი ჟამი,
ავდრით მღერალი მწირი ქართველი.
მარტოდ მლოცველი უსიერ ღამით,
ღამით დამწვარი, როგორც სანთელი.
გურამიშვილი ტიროდა თქვენში,
იგი ტიროდა თუ მე ვტიროდი!
ამირწყავს მისი ცრემლები პეშვით,
გალობა მითქვამს ძველი კილოთი.
სანთელთან მისი დამწვარი სახე,
მერმე წვიმაში ფრთებით კანკალი
ჩვენი წარსულის ტაძარში ვნახე,
ხმალი ეპყრა თუ მკელი ნამგალი,—
მას მოხიბლავდა, ხოლო მე მხიბლავს
ძმობის შემქნელი ბრძენის სახელი.
თქვენი პერანგის ჩუქურთმის ხილვა
და მოშრიალე დნეპრის ძახველი.
მხიბლავს ვერხვების შრიალი
მწყობრად,
სტახანოველის მარჯვენის ძალაც.
დონბასში თქმული სიახლის გრძნობა,
შუქად მიმდგარი ოსტატის კალამს.

მე ხმალსა ვცემდი უშიშრად.
დავით გურამიშვილი.

როცა რუსთველი თქვენ გაიგონეთ,—
ქართლმა დაიწყო კობზარის მირქმა.
და შეაუღლა ხალხთა ძალღონე
ლენინისა და სტალინის ფიქრმა.
ეხლა „თესეო“ გვიხმობს გუგული,
ბგოსნის სტრიქონზე ფრთები
დაჰკიდა.
და პოლტავიდან მოჰქრის ბულბული,
რომ აამღეროს ჩემი მაგიდა.

გურამიშვილის სურათზე

წეროს დარად წიგნში მდგარი
ლოცულობ და მოსთქვამ კიდეც.
სოველი და ნაწვიმარი
გლოვას ვეღარ განერიდე.
წინად ფრთები გაისწორე
ტყვედ ნამყოფი, ნაისარი.
უკრაინას გაიყოლე
საქართველოს ბედის ქარი.
უკრაინის ულრან ღამით
შენ ანთებდი მწველ სტრიქონებს,
დაგკვნესოდა კალმის ნამი —
ქართველის ჭირი ჩამაგონე.
იმ მხარეში ქართლზე ფიქრი
სანთელივით აგინთია.
გაგითბია ცრემლით წიგნი,
სული მისთვის დაგითმია.
მიგრითმვია თვალი მწირი
და სტრიქონში ჩაგიტბია.
კალამს ეკრა ქართლის ჭირი
და ტირიფიც გაგონებდა:
ტირიფონზე გაშლილ ტირიფს,
ქართველის დედის დაღონებას,
და ლეკეთში წასხმულ მწირის
ვაებას და დამონებას.
ფიქრი, ფიქრი შენსკენ ილტვის,

რომ პერანგი გაგიპია.
ტანჯვა როგორ გამოითქმის,
ჩემი სიტყვა ღარიბია.
შენი ცრემლის მწუთხე წვეთი
შთაგონებით ნაყიდია.
დაგიტბია ცრემლით წიგნი
და ოცნებით გაგითბია.

შენს ფურცლებზე დავივაკე,
სად ანთებდი მწველ სტრიქონებს,
ფრთებ დამწვარი იდექ ცალკე
და მწველი ხმა გამაგონე.
შენს მოტირილს მეც ვისმენდი,
ცად აპყრობილს კვამლის ზოლად.
შენი ცრემლის მელნით ვწერდი,
მშობელ მიწის გასაგონად.
ბევრი ბელტი გადავთელე,
ვნახე სადაც ქვითინებდი.
შენს სტრიქონთან გავათენე
და საფლავთან ვიტირებდი,
რომ არ იყოს შენი ბუდით
გარდასული ქართლის ჭირი,
რომ არ იყოს ჩვენი ფუძით
წამომდგარი ქვეყნის გმირი.

ორმოში

ქართლში გამკობდა სამკალი ყანა,
როცა ქურდულად დაგესხა მტერი.
გადაგატარეს ასი მთა ძალად,
გადაგაყლაპეს დაღესტნის მტვერი.
გაქცევა სცადე—ორმოში ჩაგსვეს,
შენ დაგამდაბლეს ბალახზე მეტად.
ორმოში მჯდარმა იხილე ცაზე,
შენი ვარსკვლავის რონინი კენტად.
ბუდით მოწყვეტა ყოფილა ძნელი,
ვით შეეგუო კედარის ორმოს,
და შენ ამბობდი: საწუთრო მთელი
ჩემი თვალების გარეშე ცხოვრობს.
მხოლოდ უცქერდი ხავსიან ცისკარს,
ვერსად ხედავდი მოცვარულ მწვანეს.
მიწაში იყავ, ვერ ჭვრეტდი მიწას,
თვალს ვერ ავლებდი მხურვალე
ყანებს.
ო, შენს თვინიერ ვიდოდნენ დღენი,
არ ჩამოგხედა ჯურღმულში ერთმაც.
ცას შეაჩვიე თვალები შენი,
რომ ცრემლიანი ნუგეში ერქვა.
როგორც კოკონი [illegible] ორმოდ,
ზევით ილტვოდი [illegible] გეშით.
რადგან გუმანი ზეცაში სცხოვრობს,
ცრემლით აივსო ღარიბი პეშვი.
მაგრამ მოგესმა მამულის გლოვა:
„ორმოში სუნთქვას სამარე გიჯობს,
პურის მკის ჟამი ხელახლა მოვა,
მზეზე ამოდი ნათელო ბიჭო!“
და ამოცოცდი წმინდანის სწორო,
ამოიხვნეშე ხმადაბალ შიშით,
პირღია დარჩა წყეული ორმო
და დაახველა დარაჯმა ძილში.
მარჯვენის სამი თითი შეჰკარი,
თითქო აიღე ნამცეცი პური,
შენ გადიწერე აგრე პირჯვარი
და შეაფარე სიბნელეს სული.

დავით გურამიშვილი წვიმაში

შენ წიგნს ვშლიდი და გიხილე ბნელ
ღამეში,
დაწუნწული მარტოდ, დაწენწილო
სულო.
მე მინდოდა ცივ ავდარში არ
გამეშვი,
მაგრამ ბედისწერა როგორ
შევაბრუნო.
გაიპარე, გზაში ქარი მოგეწია,
მოგასხურა წვიმა და აგაპყრო ცისკენ.
ღმერთო ჩემო! წვეთია თუ წყლის
ბეწვია,
ნუ დამამსხვრევ მეხით, ხე კეთილი
მიხსენ!
არ გისმინა, გზაში წვიმამ გაგიმეტა,
გაიშალა იგი, როგორც დედის გლოვა.
მოშხუილე ღამე ბინად დაგებედა
და ავდარი ბედმა მოძმედ დაგიტოვა.
ერთი მუხაც არსად შეგხვდა
გაქოლგილი,
აღარც თივის ზვინი, შესადარი
ბუხრის,
მოწანწკარე წვიმის ძუით
დაბორკილი,

ვიხილე და მწარო გამშვენებდა
მწუხრი.
წვეთი იყო თუ კუმპალი ბუდეშურის,
რომ გსუსხავდა აგრე, ავდარობის
მჩენი.
შენ გეძებდი და წვიმაში მოგაშურე,
ნაწვიმარში ვპოვო ნაკვალევი შენი.
შენ გკივა თუ მე ვკანკალებ
სულერთია,
ოლონდ ვიყოთ მარად ტრფიალებით
მთვრალი.
შენ სტრიქონთან მსურდა ღამე
გამეთია,
ან მეპოვნა შენი წვიმით სავსე კვალი.
მე არ მხიბლავს ლოცვა, მიპყრობს
შენი გული,
ხელზე მითრთის ცრემლით
შეფრქვეული იფქლი.
ნაწვიმარი ვარდი, სტრიქონებში
რგული,
მოშრიალე ქარში, ფრთაგაშლილი
ფიქრი.
გამაგონე წვეთთა ჟანგნადები ჟღერა
და ფეხის ხმა ქარიშხალით
ჩაქრობილი.
ტრიალ მინდვრად შეგეგება
ბედისწერა,
და ამღერდი ავდარობის ოქროპირი.
ხეტიალში სიჭაბუკე გაგეპარა,
შეუმჩნევლად, ჩუმად, როგორც
თვალის ჩინი,
და მლოცველმა კალმით გააცოცხლე
ჩქარა
ჩვილი ფიქრი, ჭაღარა თმით
შემოსილი.
წვიმა ჰქონდა, თუ მწუხარე ყვავილები
დაკიდული, გზაში წამოფრენილ
სტრიქონს!
ვკითხულობ და სანთელივით
დავილევი,
და ჩემი წვა, მწარო, სამშობლოში
გიხმობს.

დავით გურამიშვილის აუგი უფლისადმი

ღვთისაგან გულსა ... ვაყვედრე, ასე ... თუ მომეც, რაღათ წამართვი
აწ ასე რად გავიწირე.
დავით გურამიშვილი.

მუხრანით და უგზო ჯაგით
დუხჭირებდი კაცის ჩრდილი,
დამშეულმა, მაცდურ ბაგით,
ლოცვები სთქვი შეწყობილი.
კიტრი წყალში გაგიცურდა,
ამოგერთვა ლუკმა პირში,
კიტრის ჭამა როგორ გსურდა,
და შიმშილმა გარგო შიში.
დაისიცხე უფლის ხათრით,
ვერ მიაგენ სადმე ჭერიც.
დაეძებდი ლუკმას სანთლით,
ალარ გედო კაცის ფერი.
ღმერთს აუგი უთხარ, თრთოდი:
—„რაც მიბოძე, რად წამართვი,
მე ალმართით მივდიოდი,
დამაცურე თავდალმართით.
ეს იგავი მე არ მესმის,
შენს გულისხმას დააყურე.
თუ შენა ხარ ჩვენი მწყემსი,
რად წამართვი, რაც მარგუნე?
რად წაიღო ტალღამ კიტრი,
ჩამიყარე წყალში ოქრო,
მე ვიყავი შენი მჭვრიტი,
ეხლა როგორ დაგემოყვრო.
მშიერი გავს ბავშვს, უმანკოს,
შენ საცდური მითხარ ნანა.
და უფალი რომ უარვყო,
დამნაშავე მე ვარ განა?
ჩემი ლუკმა ტალღას მიაქვს,
ვით თორღვაის რკინის თორი.
დამშეული შევრჩი წიაღს
და პირისპირ ვდგავართ ორი.
შენთვის ბევრჯელ ვიმარხულე,
მწყემსო, გითხარ ბევრი ლოცვა.
ერთხელ მაინც მინახულე,
მოგვვალო და წვერი მოგწვა.
დავეყრდნობი ბედის ჭიგოს,
დავაჩრდილებ მომწვარ მდელოს.
სად სმენილა ღმერთი იყოს
და კაცს ალარ მიეშველოს?

მეოცე აუგი

ველი ღვარძლით ნათესია,
საით წაველ მერგო ვაიც,
ჩირგვთან კოღო დამესია,
რა უნდოდა კოღოს მაინც?
უძლური ვარ, არ მაქვს ღონე,
ჩრდილი ,ვერსად ვპოვე გრილი.
სიმართლის ხმა შთამაგონე
იგავის ხედ დანერგილი.
უძლურს კოღო რას მერჩოდა,
მე ციების მქონდა რიდი.
კიტრი მაინც შემრჩენოდა,
ღმერთო, რისთვის ჩამაცივდი!
უკვდავება გაბარია,
სულმა აგრე აგითვისა.
ეს იგავი სხვაგვარია,
იგი არ გავს დავითისას.
შემომახმა ტანზე ჩრდილი,
შესამოსიც გახდა მზრალი.
თითქო ვიყო შესაწირი,
სული ჩემი კვამლში არი.
სასახელოდ ეს გაგყვება —
საზრდო ჩემი წყალში ჰქრება.
ვხედავ, შენ არ გენაღვლება,
თუ პერანგი შემალპება.
ისევ მზეა ჩემი მხსნელი,
წარმართული ღამის მჭრელი,
უმარილო მარგე ცრემლი,
უვარამო გულის თხემი.
თუმც გვალვაში კოკა იწვის,
მაინც ვეტრფი მზიან კალოს.
და მცენარემ მშობელ მიწის
ეგებ წყლული დამიამოს.

კალოს ხილვა

ლანდადქცეული, მწყურვალი,
შამბნარში გაჰყევ ნაკვალევს.
ლუკმა ვერ ჰპოვე მკურნალი,
მხოლოდ ბალახი გაკმარეს.
ჩირგვთან დაგესხნენ კოღონი,
დასუსხეს ტანი ნესტარით.
წვალება გერგო როგორი,
პური ვერ ჰპოვე ნეტარი!
დაიფლითე და იკვნესე,
ლუკმა სძებნე და ღაფარო,
ვერსად წამოწექ რიყეზე.
გაუდაბურდა სამყარო,
მღეროდი გლოვის ბალადი,
ბეჭდად ნატერფალს სტოვებდი.
გზაზე უცრემლოდ სტიროდი,
გვალვით დამშრალი პოეტი.
გშიოდა, ველარ იჩრდილე,
მწე არვინ შეგხვდა მართალი.
უცბად წალკოტად იხილე
კალოთ დაყრილი თავთავი.
კალოს ჩრდილებით დაქარგულს
შეხედე, შვებით გადმოდექ,
თვალი შეავლე დაკარგულს
და კვლავად ნახულ სამოთხეს.
შინ დაგრჩა ყანა სამკალი,
აქ დაგხვდა კალო მართალი.
სად არის ქართლის ნამგალი,
თავთავთ რხევა და კანკალი.
ეხლა წინ ძნები ეყარა,
თრთოდა ცხოვრება ცოცხალი.
კალო იყო თუ ქვეყანა,
ოქროს ქვიშა თუ ხორბალი!
კალოს შემქნელის ცხონება!
ხორბლის მტვერია ჰაერში,
ქართლში ნახული ცხოვრება
ჰპოვე და კალოდ დაეშვი —
იხილე, პურზე ილოცე,
გულში ზარის ხმა გაისმა.
კევრზე დამჯდარი სიცოცხლე
აკიბორჩხალა დაისმა.
აგრე მაშვრალის იმედით
ორკეცად შრომა დალოცე.
პერანგს ამარა მიხვედი,
პირველ კაცივით, კალოზე.

კალოზე მისვლა

> რუსულად „ხლება" პურს ერქვა,
> უწინვე გამეგონაო,
> სანამდი ის არ ახსენეს
> მე რუსი არ მეგონაო.
>
> **დავით გურამიშვილი.**

მიხვედი, გაჩნდი კალოზე
მწირი, პერანგის ამარა,
დაემხვე, კალო დალოცე
და მზეც ადიდე თაკარა.

შემოგეხვიენ მაშვრალნი,
შემოგახვიეს თავშალი.
წყლით დაგილამეს გამშრალი
ყელი და თმები ნაშალი.
„დაი ხლებაო, ლაზარი“,
მშრომელმა რუსმა დასძახა.
თრთოლვა დაიწყე საზარი,
მაგრამ არავინ დაგძრახა.
შენ თვითონ იყავ ლაზარე,
მკვდრეთით აღმდგარი ყარიბი.
პურს ჭამდი, დოქი დასცალე,
რუსს შეეკედლე ღარიბი.
მას შებრალდი და შეგიტკბო.
პური გაქმია გამთბარი.
გრძნობით ცხოვრება შეგითბო,
სულს განეშორა ზამთარი.
პური გიბოძა, დათესა
შენს გულში ძმობის მარცვალი.
კერასთან გრძნობა გაკვესა,
გაგაცნო კერის ნაცარი.
მეგობრულ გრძნობით დაგდაღა,
თვალში ჩაგინთო მაისი.
ძველი პერანგი გაგხადა,
ჯუბა ჩაგაცვა თავისი.
გაშალა სუფრა მცირედი,
წყალი დაგისხა ანკარა.
როცა სუფრასთან მიხვედი
სურნელმა აგაკანკალა.
შენ რუსის ლუკმა მოგეთბო,
ძმური სიამით ღელავდი.
სუფრით აყვავდა გულისთქმა,
რომ მოაღწია ჩვენამდი.
ღვიოდა კერა ულევი,
მიმწუხრი იყო დიადი.
სანთლებად ენთნენ გულები,
სიმართლეს გავდა ხმიადი.
ისხედით, იგავს გითხრობდა,
ადიდეთ კაცი მშრომელი.
და იანვარაც კვირობდა —
რუსეთს ჩასული ფხოველი.

პირველი ძმობილი

როგორც რომ ერთმა ყაზახმან
მე მაშინ მომიარა...
როცა რომ მყავდა...
მეტს მამაჩემი არაო.
შევბრალდი, გულზე მიმირქვა...

დავით გურამიშვილი.

კერა გამაცნო თუ იმედი,
საგულეს ვარდი აანთო,
სუფრა გაშალა მცირედი
და ხორბლის სუნით გაგათბო.
შენ იყავ ჭირის მხილველი,
ცრემლით დაცვარე ნაცარი.
შენ გერგო ძმობა პირველი,
მისი თესლი და მარცვალი.
შეიცნე—მოძმე ნამდვილი,
თურმე რუსეთშიც გყოლია.
კაცი ვაკეზე აღზრდილი —
თურმე მთის კაცის ტოლია.
პური და სითბო გაღირსა,
გული დაცვარა ვარდივით.
შენ იყავ ქარი ქართლისა
რუსეთში გადავარდნილი.
ორივეს გერგოთ ეკალი,
და ყელზე გედგათ უღელი.
მაგრამ კალოზე შეჰკარით
ძმობა, მარადის ურყევი.
ძმის პური, ოფლით ნაეშხი,
შეგრჩა და გულში იწოდა,
ის გამღერებდა ღამეში,
წყვდიადში შუქად გიძღოდა.
შენს გულში ჩარჩა ძმის კერა,
როგორც საგზალის კალათი.
მან ხალხის გულში იმღერა,
არ მიიწურა მარადი.
ბალს დაემგვანა უნაზესს,
შემდეგ გრძნობაში დახვავდა.
და ეხლა გორის კერაზე
ატმის ხესავით აყვავდა.

ის გამღერებდა

შენ რუსი შეგხვდა ნამდვილი,
ვახტანგს რომ შეხვდა — ის არა.
შენებრ ვარამში გაწვრთნილი,
შენებრ რომ სწვავდა იარა.

შენ რუსი შეგხვდა მაშვრალი,
გიცნო ქართულო მაისო.
გულის ფინჯანი დამშრალი
უკვდავ წყაროთი აგივსო.
მოგცეს საზრდო და სათბური,
დოქიდან წყალი გასმიეს.
ლალიე, როგორც კახური,
და კასპიისკენ გასწიე.
დაგაპურეს და დაეშვი,
მტვერი ფარავდა ქალამანს.
ძმობამ გაგათბო ღამეში,
სული ნამივით დალამა.
შენ რუსი შეგხვდა მშრომელი,
ტანჯვაში შენი მხილველი.
კვერივით გრძნობის მცხობელი
და მეგობარი პირველი.
იგი გათბობდა ავდარში,
ის გაგრილებდა სიცხეში,
ის გამღერებდა ზამთარში,
უდაბნოში და ციხეში.

პერანგის ნაწილი

პერანგი მეცვა ახალი.
დავით გურამიშვილი.

წახველ, დასტოვე ის კერა,
დაგრჩა პერანგის ნაწილი.
მაგრამ გამოგყვა სიმღერა,
გულით ნაკვები არწივი.
დასტოვე კვართი ნაპობი,
რუსმა ჩაგაცვა თავისი,
აგრე გასცვალეთ ნაყოფი
ტანის ტანჯვა და ხალისი.
იქ დარჩა შენი პერანგი,
მას გიცხრილავდა ეკალი.
ბედი წეწავდა ვერაგი,
სწვავდა სხივების სპეკალი.
გვალვამ სიმშრალე აღირსა,
თრთოდა ზარების რეკვითა.
თითქო ნარხევი ქარისგან —
ძეწნის ტოტივით ეკიდა.
ქრისტეს-კი არა შენ გქონდა
წმინდა პერანგის ნაფლეთი.
ტანზე ნისლივით გეკროდა,
იწოდა, როგორც აბედი.
ლაზარეს პურის ნაცვალი
რუსს დაუტოვე ნაფლეთი,
შენი სიცოცხლის მარცვალი
დაუტოვე და წახვედი.
ის შეეჩვია იმ კერას
ჩაჰკლა ლოცვა და ფსალმუნი.
შენ კი გამოგყვა სიმღერა,
ცხელი პერანგის ალმური.
პერანგი ტანჯვით ნაგეში,
მომეცი, მქონდეს თბილია.
ჩემი ოცნებაც, ღამეში,
შენი გალობის ჩრდილია.
მეგობრულ გრძნობის საწინდრად
გვქონდეს პერანგის ნაწილი.
მან ჩვენი კერა გასწმინდა
და გამოჰკვება არწივი.
გზა ნატერფალით დასერე,
ძმას დაუტოვე ნაფლეთი.
პერანგზე ლოცვა დასწერე,
იგალობე და წახვედი.

დავით გურამიშვილის გლოვა ვახტანგის გარდაცვალების გამო.

ო, გარდაიცვალა ასტრახანში
ვახტანგ მეექვსე,
ვაი, რა ბოძი, რა მაშვრალი და რა
მელექსე!
როგორ გვაურვებს ღულარჭნილი
ბედი მაცდური,
ცხენი ჭიხვინებს და ქვითინით მივეც
დასტური.
ქართლის ჭირისთვის სამკურნალოდ
ქვეყნად მავალი,
მეფე კი არა, მხოლოდ წყლული,
წყლული მრავალი.
მე მფარველ მექმნა და მიმხილა ნიჭი
სამკალი.
ეხლა იგი წევს, კელაპტარმა იწყო
ანკალი.
ფუტკარი არ გვყავს და სანთელი
როგორ ჩამოვქნათ?
მკლავი მოგვტეხეს, გლოვის ზარი
როგორ ჩამოვკრათ!
გადმოხვეწილი ჩვენი გლოვა გარეთ
გაისმის,

ყინვას ედარა იმედი და
მდელო მაისის.
ჭერი დაგვენგრა და წვიმაში
შევრჩით კაეშანს,
სამშობლოს დროშა არ შრიალებს,
დაბლა დაეშვა.
სასთუმლად ეწყო დაბეჭდილი წიგნი
მრავალი,
უკვდავ სტრიქონით აღეჭურვა
შთამომავალი.
„ვეფხის ტყაოსანს“, „დასტურლამალს“,
„ქართლის ცხოვრებას“,
ყოველ მათ სტრიქონს მოამაგე
ემახსოვრება.
თავს დასდგომიან ხმლიანები ქართლის
მოკეთეს,
ვისაც იმედი ჩრდილოეთის ყინვით
მოჰკვეთეს.
ო, გადიხვეწე, გადასერე მიწა
სირბილით,
თურმე უცხოეთს მოგეწევა მაინც
სიკვდილი!
რომელიც შენთან აღზრდილია
მშობელ მხარეში,
რომ შეგათრიოს სინათლიდან მრუმე
ღამეში.
ვახტანგი მოკვდა, კასპიაში ვერვინ
შესტოპა.
ტრიალ მინდორზე გზადაბნეულს
უთხრათ შენდობა.
რატომ ხმაურობს ჩემი გული
როგორც წისქვილი.—
წისქვილში წავალ, ავიცდინო ეგებ
სიკვდილი.
როგორც მონასტერს შევეკედლო,
პური ვითხოვო,
მაშვრალი ვნახო, ქართლის ჭირი
მასთან ვიგლოვო.
იტყვით დავითი, გადასცქერის ღია
სამარეს
და თავის მფარველს ასტრახანის
მიწას აბარებს.

დაბინავება უკრაინაში

ქართლში ვიყავ, წყარულს პირად
ბალნობდი,
სურნელოვან კალოს ხვავთან
ვხარობდი.
ეხლა მინდა გადაჭრილ ბაღს
მადაროთ.
უბედობა მომეტმასნა ფათალოთ.
ქართლში ობლად არ დავრბოდი მე.
თიბათვის თვე, თუ რთველის თვე,
მაღალი
მცხეთის ვაზი, თუ ზედაზნის მაყვალი,
მიგემნია, მილოცნია მიწისთვის,
ჩრდილს მიფენდა პატარძალი
ყინწვისის,
რომ სამშობლოს არ დავთმობდი მე.
ქალს ვეტრფოდი, მას ამკობდა
ნამგალი,
ღელვას ქმნიდნენ თავთავები
კანკალით.
მშვიდი სიო, მწუხრის ჟამი ყანაში,
ლალის ფრენა და მეძებრის განგაში,
სიჭაბუკემ ქართლში მარგო მე.
ქართლს მომწყვიტეს და დავიწყე
წანწალი,
უკრაინას სახლი დავდგი საწყალი.
დავბინავდი, ხნულში ჩავდე
მარცვალი,
კიგალობე, ვაღუღუნე ნაცარი,
და არ მყავდა მე ლექსის გამგონე.
ვის მივენდო, ცას მივენდო სადაოს!
თუ ვერწმუნო ლრუბლის თმიან
საბაოფს?
ეარდის მიერ იადონის ცდუნება,
იგავია თუ ნამდვილი ბუნება!
უკრაინამ ამამღერა მე.
ბალი მიყვარს, ვარდი მიყვარს
ტრამალის,
ჩემი სული სანთელია ვარამის.
რად ვიმღერო, ვის ვუმღერო,
მითხარით?
ლაღად ვარ და არაფერი მიხარის,
და ამ გრძნობამ დამაბერა მე.

გუგულები

მარტის თვიდან თეთრ გუგულებს
ის უყურებს, გადიდაროს.
გულს გალობა აგუგუნებს,
ვარდი რულავს სანეტარო.
გამიგონეთ გუგულებო,
დილით აღვდექ უგუნებოდ.
ღამემ გული დამიურვა,
და ღრუბელმა, უვნებელმა,
სულში თვლემა მოისურვა,
ჩამიტოვა თვალში ელვა.
მაგრამ გაჩნდით გუგულები.
ნახოთ მიწა გადახნული.
მოსპოთ ზამთრის უკუნეთი,
კვლავ გაცოცხლდეს გაზაფხული.
წყლულმა კრულმა, დადაგულმა,
შემიპყრო და ვეღარ ვნახე:
ქართლის მიწა, დაჩაგრულმა,
მისი მთა და სავენახე,
ზამთრისფერად დამეწერა,
სიბერე და სივაგლახე.
გადმოფრინდით გუგულებო,
ბაღს ამბარი დაუკმიეთ.
ნუ დამტოვებთ უგუნებოთ.
ზამთარს ბუდე დაუნგრიეთ.
გეკითხებით თეთრ გუგულებს:
თუ იხილეთ ქართლის ბარი,
გუთნის-დედა თუ ღუღუნებს,
გორის ციხის გვერდით მდგარი?
თუ გადვიდა ქართლის ჭირი,
მარცვლეულით მოთბა მიწა?
ბედისწერა კვლავ დაგვტირის,
თუ ცვარიან ველზე მიწვა?
„გუგუს“ გალობთ გუგულებო,
ხომ არ ჰპოვეთ ლანდი დედის?
ქართლში მყოფი უგუნებოთ,
ნგლოვიარე ვაჟის ბედით!
„კაფე-თესე“ გამაგონეთ,
სიცოცხლის ხმა ჩემი მხარის.
გამახარეთ, დამაღონეთ,
ვიმარტვილე სიმწუხარით.
თორემ, რა ვქნა, ცრემლი მწუთხი,
რად ვიგემო უგუნებოთ!
ჩემი გული ვარამს [illegible]
და თქვენ გელით [illegible].

დაძრული ბაღი

დავით იშენა წალკოტი.
დავით გურამიშვილი.

უბეს ითბობდი ცრემლიან პურით,
მიმწუხრში უხმოდ ნატრობდი
მცხეთას,
ასანთლებული იჭერდი ყურით —
როგორ დახტოდნენ ჭინკები ცხენთან.
შენ ლოცულობდი ხელაპყრობილი,
ხატად გესვენა სამშობლოს ჩრდილი.
სული მფეთქავი და ჩათხრობილი
და დაფენილი სიბნელე გრილი.
საკმეველივით გეწოდა თვალი,
საკმევლის კვამლი ადარე ხორალს.
და შენი ლოცვის ყოველი ცალი
საგზლად მიჰქონდა ღამეს და ყორანს.
ფრთაანთებულმა, წვიმაში კვნესით,
აქე, ადიდე მშობელი ხალხი,
უკრაინაში გადარგი ლექსი
და მოაშენე ქართული ბაღი.
შიგ პირველი ხე დარგი იგავის
შთაგონებაში დამწიფდა ხილი.
დიდო მებაღევ, წრფელი იყავი,
გვალვაში გვარგე ნაყოფი გრილი.
მიწით კი არა — გულით კვებავდი
გრძნობას, წაყვანილს შფოთიან
ქართლით,
შენ ყოველ ყვავილს სისხლით
ღებავდი
და წალკოტს შერჩა მამულის მადლი.
არ დაიფუშა ვარდის ფურცელი,
ხე მგალობელი ისხამდა ნაყოფს.
იდექ ჭიშკართან მწირი უცვლელი
და ხელაწვდილი ამკობდი წალკოტს.
გერგო ურვა და ვარამი თალხი,
გავდი ღამეში დალეწილ ურთხმელს.
როგორც ხომალდი დაიძრა ბაღი
და მოაშურა მშობლიურ კუთხეს.
მან მოიტანა შრიალი მწველი,

ულით მოსული ჩრდილი და სიცხე.
ეენთო ბაღში ცხოვრება შენი,
და დაგილოცეთ მარჯვენა მტკიცე.

სამფერიანი ხმა

„დავითიანში“ შეხვდებით ამგვარ წარწერებს: „კაზაკ დუმა პრავდივაიას“, „ულეტელა ზობოლენკოს“ ან „ვესელა ვესნას“ ხმაზე. ეს ხმები რუსული და უკრაინული ხალხური სიმღერების კილოს აღმნიშვნელია. ამ ხმების ქართულთან შეთანხმებას ცდილა პოეტი. სამი ხალხის ხალხურ სიმღერათა შორის ნათესაობა ურკვევია და ამგვარად შერწყმული გალობა სამშობლოსთვის მიუძღვნია.

მაჟაურები ბზუოდენ, წყნარი.
მწუხრი დააწვა მღვიძარე მიწას.
ხევით გაქანდა დაჭრილი ქარი
და კაზაკივით კურგანზე მიწვა.
ესმა ბოსელით ბღავილი ძროხის,
გავდა მოსმენილს წვიმა და წირვა.
მიწკარუნებდა ზამთარი ჯოხით
და ღრუბელივით ითრთოლა მწირმა.
იგი იჭერდა გუგულის ძახილს,
უკრაინის და რუსეთის კილოს.
წვიმამ წკრიალით აავსო სახლი,
წარმართულ სულით დავითმა სწიროს.
ხმა აწყობილი კენტი და ლუწი,
დაძრულ ყინულის მტვრევა და ჩქამი,
აიტაცებდა ცეცხლიან ფურცლით
შთაგონებაში იწოდა ჟამი.
ტკბებოდა ხიდან ბულბულის სტვენით,
აგონდებოდა მშობელი კუთხე,
დაღონდებოდა შევარდნის ფრენით —
თვალს მოწყდებოდა მარცვალი
მწუთხე.
ეძებდა რუსულ გალობის მირონს
და ათანხმებდა მშობლიურ ხმებთან.
უკრაინაში გაგონილ კილოს
ის აწყვილებდა ქართველის ბედთან.
რომ ეთქვა მხოლოდ სიმღერა ერთი,
შიგ სამი ფერით ეფეთქა გრძნობას.
შიგ ყოფილიყო ჭაღარა ღმერთი
და ხეტიალში ჩამქრალი ყრმობა.
მართლაც გაეგო ბუნების სუნთქვა,
წიგნში გაშალა გრძნეული ფრთებიც,
და მოშრიალე ქარქვეტას სულთან
მან შეაჯვარა გუგუნი მთების.
ხმები აანთო მშობლიურ ლურწმით,
შესძლო ტკივილის სხვაგვარი თხრობა,
და სამი ხალხის სიმღერის შერწყმით
სთქვა მეგობრობის [illegible] გრძნობა.

დავით გურამიშვილის მიერ კილოს და ხმის ძიება

მე წალკოტით გეძახოდი ღამეც,
წამოდექი, ხმა წიგნიდან გამეც.
ჰანგს ვეძებდი ბუნებაში გზნებით,
ბევრი კილო გააგონე კალამს.
შენი წიგნი წალკოტია ხმების,
შერითმული საქართველოს ვარამს.
რა ხმებია ჩანერგილი წალკოტს,
სკა ზუზუნებს თუ შრიალებს მუხა?
ყოველი ხმა მზეუმზირათ ხარობს
და ფურცლებზე გუგულები სწუხან.
ვარდის ახლო იადონი დაჰყეფს,
დღე და ღამე საუბრობენ ლექსით.
შემომქმედი წალკოტის კარს აღებს
და სალამურს აწკრიალებს მწყემსი.
ბულბულების მომხიბლავი სტვენა
ცისკარს გასჭრის, არ შერჩება ხიწვიცყვავს რა უნდა? მას არა აქვს სმენა,
ფურცელს როგორ დაამშვენებს
ხრინწით!
ამგვარ ბაღში მგალობელი გლოვობს,
თითო ყვავილს თითო ცრემლით
წყალობს.
უნდა ხმებში საერთო ზმა ჰპოვოს
და ქართულად უცხო ხმაზე გალობს.
მარტოდ გალობს, დარჩენილი
უწყლოდ,
ვერ იპოვა გამგონე და მრევლი.
ჩრდილოეთში ვით შეიმცნოს უცხომ
სიმღერიდან მოწყვეტილი ცრემლი.
ბუნებაში ხმა დაჰქრის თუ ფიფქი, —
კალოდ მოძმის გამოხმობას ცდილობს,
შეუთანხმოს საქართველოს ფიქრი
რუსეთის და უკრაინის კილოს.
ზუბოვკიდან მომავალი ქალი
გადმოსძახებს და დასტოვებს
ყვავილს.
კასპიიდან მას მოუხმობს ქარი,
კურგანზეა ქარიშხალი ღამის.

მაინც როგორ შეუგუოს ყური,
ქართლის ჭირი ამოვარდნას ლამობს.
გზად გაივლის სკოვოროდას სული
და ბუნების საგალობელს ამბობს.
სანთლებივით ანთებულან ხმები,
სანთლებს ჰგვანან თუ ყვავილებს
ნუშის.
და ღვთისმშობლის აბრეშუმის თმები
ირხევიან, წკრიალებენ გულში.
უცხო მხარეს მირითმულხარ მართლა,
დამშრიალებ მუხნარიდან ფრთებით,
რომ გვაჩვენო საიდუმლო განცდა
და სკებივით შეკრებილი ხმები.

მაგდებურგის ციხეში

ბრუსის კოროლს შეურყიეთ ტახტის სვეტი.
დავით გურამიშვილი.

არ დარჩენილხარ ომის გარეშე,
კვისტრინთან ბრძოლა გაჩაღდა ცხარი.
მტერთან მიიჭერ, ხმალი დაგეშე,
უნდა გაგეპოთ პრუსიის ჯარი.
უეცრივ ლიას ჩაგეფლა ჭუნე,
მაინც მარჯვენა არ მოადუნე.
გადმოხტი, სული ხმალზე აპკურე,
და სისხლისფერი სუნთქვა არგუნე.
მხედარი იყავ მხნე და მამაცი,
თუმცა ჩაგეფლა ქურანა ჭუნე,
ხმალი პირბასრი როგორც ალმასი,
ფართო ქარქაშში არ ჩააბრუნე.
„აბა წამოდექ, ჩემო ქურანავ,
ოდერის ნაპირს დავარტყათ ტორი.
მამულმა ჩვენმა დაგვაპურადა,
მანვე ჩაგვაცვა ლითონის თორი“.
აგრე ჭექდი და პრუსიელს ჰკვეთდი,
ბრძოლის გრიგალში იწოდი სანამ,
მკერდზე არ მოგხვდა მახვილის წვეტი
და არ მოგტეხეს ტოტივით ძალა.
დაგჭრეს, მოგკვეთეს ვეფხური
ბწკალი,
დაუძლურდი და პირაღმა დაეც.
არვინ შეგასვა წყლის პირას წყალი
და ყელგამშრალი ბღუჯავდი ჰაერს.
მხოლოდ ცას ჭვრეტდი და დააყურე,
გაიწკრიალა წინაპრის კვესმა.
სული ლაქვარდით შენ დააპურე,
ღვთისმშობლის კაბის შრიალი გესმა.
ცას მიაკუთვნე დაჭრილი სული,
თითქო იპოვე გრიგალი მაღნარი,
ცის სასუფეველს [illegible] ქალწული,
და ჯეჯილივით მორთე ღაღანი,
რქვი: უკვდავების წყლის იათუღო,
გთხოვ, მიმკვდარებულს მაპკურო
წყალი!
ჩემი ცხოვრება ცას მიადუღო
და ამიკვამლო საკმელი თვალი. —
მაგრამ შენ ლოცვა შეგაწყვეტინეს,
არ დაგინელა ჭრილობამ სიცხე.
აგწიეს, სარკმლით გაგაჭვრეტინეს —
და მაგდებურგში ტყვეობა იწყე.

ო, მაგდებურგის მაღნარი მწირი,
განგებამ წყაროდ ცრემლები მოგცა.
ტუსაღს გიშრება საკანში პირი
და გიცივდება ბაგეზე ლოცვა.
ციხის სარკმლიდან ლუდხანას უმზერ,
არვინ ერთობა ღარიბულ სუფრით.
მხოლოდ გვალვისგან დანისლულ
მწუხრზე,
ტურფად ელვარებს ტაძარი უფლის.
თითქო ფათერაკს გადარჩა ეტლი,
გზად მიღანღალებს, არ მიჰყავს
მგზავრი,
მწუხრში ჰყვავიან კვამლი და ცეცხლი,
და უხმლო კაცის უძლური ჯავრი.
არვის არ მოაქვს საგზლის კალათი,
მიიწურება მიმწუხრი მორცხვი.
დღისა და ღამის გაყრა მარადი,
გავს განშორებას სულის და ხორცის.
ნაცრით სავსეა ნამცეცი პურის
სარკმელი არი რკინით ნალობი,
ო, კუჭის ჩივილს დაუგდეთ ყური,
კუჭს მიაწოდეთ მიწის ნაყოფი.
მას აგონდება, მირგოროდს როგორ
ღვივის, ფუვდება ცომი ღუმელით.
თვალმინაბული ღუღუნებს გოგო
და ხელთ უპყრია თეთრი ღრუბელი.
ფუნთუშა პურით მდიდრდება თვალი,
ნერწყვის მომგვრელი იღვრება
ორთქლი.
ყანას დარაჯობს წინაპრის ხმალი,
ხორბალს ატყვია მშრომელის ოფლი.

ან ქართლის თორნის ღუღუნი წმინდა,
გლეხის ჩაკრული ლავაში ბრტყელი.
მშობლიურ მიწის ნაყოფი გინდა
ორთქლიანი და გულივით ცხელი.
ადექი ძმაო, ხელი ხმალს იკარ,
უნდათ წაგართვან განცდილი სითბოც.
თუმცა დაჭრილი ციხეში ზიხარ,
მაინც ქურანა ჭიხვინით გიხმობს.
აგრე ფიქრობს და გაქცევას
ცდილობს,
ქარიშხალივით საკანში შფოთავს.
რომ სულისათვის სილაღით სწიროს,
სწყევლის და ებრძვის გარინდულ
ოთახს.

აგრე გავიდა ორი ზამთარი,
ორი ზაფხული მჭლე და გამხდარი.
ზამთარს უყვარდა ტახტი ყინულის,
ზაფხულს ნამგალი პირმოპირული.
დავითმა სარკმლით ნახა ავდარი,
როგორ დაუხვდა ზაფხულს ზამთარი.
ვით მიუსია მიწას ქარ-წვიმა,
ზაფხულს უჩვენა თავის განწირვა.
შეშა დასწვა და სული დანაცრა,
ფრთა გაფოფრილი, კერას დააცხრა.
ხეებს აკიდა თოვლის ჭაპანი
და ფრინველების მოსპო ჭაჭანი.
მან ლოლუები თითქო გაჰყიდა,
მძივების დარად სახლებს დაჰკიდა.
სუსხით მიწიდან სითბო აბოჭა,
ყინულზე მკვდარი ვარდი გამოსჭრა.
როს მარტში იგრძნო მიწამ საშველი,
ქარით დაიცვა თავის ნაშენი.
მაგრამ მოვარდა ზაფხული ჯიქი,
სულ მიუმსხვრია ჭურჭელი ჭიქის.
კვლავ გამოიღო ოსტატის მკლავი,
კვირტს აუხილა დროებით თვალი,
დაიგრუხუნა, გაჰფანტა ნისლი —
ცად ცისარტყელა გაშალა თვისი.
გამოუქარგა ფოთოლი ტოტებს,
მწვანე ქოლგები გაშალა ოდეს,
წელში გამართა ჯეჯილი სუფთა,
სიცოცხლის ძალას გალობა უთხრა.
ააღურტულა მერცხლები ბუდით
და დაიხურა ჭილოფის ქუდი.
დავითი სარკმლით უცქერდა ჭიდილს,
ბევრი მოსულა და ბევრი მიდის.
ნახა ზამთარი დაძლეულ იქმნა
და აღიტაცა სიცოცხლეს ფიქრმა:
რუსი ასულის [illegible],
ესმა და მოჰყვა ბულბულის კვნესა.
ასულს ამკობდა ფოთოლი ჩირგვის,
ყვავილს კრეფდა და უწნავდა
გვირგვინს.

და მოუშუშდა ჭრილობა დავითს,
მაგრამ ტყვეობაც ჭრილობა არი.
არ დაგაძინებს დარაჯი ღამის
და დარაზული მწუხარე კარი.
ტყვე გახდი, ციხედ გამომწყვდეული,
რა გაგაჩერებს მყუდრო ადგილას.
ვიწრო საკანი გხუთავს წყეული,
ვერ შეეჩვიე ციხეს ადვილად.
გარს შემოგეკრა თითქო ფაცერი.
უწყლო ოცნება ფართქალებს ციხით.
უკრაინაში დაგრჩა ნაწერი,
გახუნებული სისხლით და სიცხით.
— ო, არ დამიწვან, როგორც ბეღელი,
ჩემი ნაწერი, ცრემლით ნაპკური.
არ დამეკარგოს სული მეტყველი,
გალობით, ლოცვით შემონახული.
ბეღელი არის ლექსების წიგნი,
შიგ უჩინარი ყანა შრიალებს,
შიგ მარცვლებივით ჩავყარე ფიქრი,
მისი ნიავი ჭკურნავს იარებს.
ციხეში მესმის ყანის ჩურჩული,
როგორ ვიმღერო, ტყვეა ბულბული!..
ასე ამბობდა ტყვე და ტუსაღი,
შორს ჭიხვინებდა მისი ულაყი.
— „რა მელექსება, ომის ცეცხლია,
ლუწი ვიყავ და გამხდარვარ ცალი.
ჩემო განგებავ თუ დაგეცლია
ბევრს აკაფავდა ჯავარდნის ხმალი!“
თვალაპყრობილი დავითი დადის,
ვიწრო საკანში გამომწყვდეული.
რომ გადათვალა ნაბიჯი ათი —
ორჯერ მობრუნდა მისი სხეული.

სად არ ყოფილა, რა კაცი არი,
შვედებთან ომი, ბრძოლა ხოთინის.
წინად ლეკების ტყვე-პატიმარი
და მაგდებურგში ეხლა ლოდინი.
ვით გამოჩეკილ კვერცხთა ნაჭუჭი

ორმოცდაათი ჩამწკრივდა წელი.
წლებმა გადუწვეს თმები ხუჭუჭი
და სანთელივით დაუდგეს ბნელი.
შემოეპარა სიბერე დავითს,
განაცრისფერდა თვალები ლურჯი.
თუმცა საომრად მიიწევს მკლავი,
მაგრამ დახუთავს კედლები მუნჯი.
საკანში მაინც მოეონავს უხშოდ
რუსთა ლაშქარის მებრძოლი სული.
მტერს გადუტყდაო მახვილი უფხო
და დამარცხება ერგოვო სრული.
სისხლით ნაფერი ოდერი მიჰქუხს,
იქ ყვავილებად დაჰყარე ცრემლი.
რუსთა მხედრობა მიადგა ჯიქურ
გერმანულ ფარით დახურულ
ბერლინს.
პრუსიის კოროლს ერყევა ტახტი,
ფრიდრიხ მეორე, ქურანა რაშით,
უაბჟანდოთ და დაგლეჯილ რახტით—
საქსონიიდან გადარბის მთაში.

ვადას მოსწიე, დავითს მოესმა,
გაივლო ხელი, სად არის ხმალი?
ძმობილო მახვილს უნდა მოლესვა,
მახვილს ამაოდ დაეძებს თვალი.
შფოთავს, მღელვარებს სასო-მიხდილი:
— „იბრძოლეთ ძმანო, გაშალეთ
ფრთენი,
ტყვეობას გიჯობთ ომში სიკვდილი,
რომ ვაჟკაცურად დალიოთ დღენი!“
უხმლოდ მხედრდება გრძნობა
ფარული,
რუსთა ლაშქარი ბერლინში შედის.
ისმის ზარი და ცხენთა თქარუნი
და ციხით შფოთავს დავითის ბედი.
ქართლით მოსული ელვარებს
ლურჯაც,
მისი ძმებია რუსულ ლაშქარში.
და დამარცხებულ ბერლინის ქუჩას
ამკობს ქართული რვალის კაშკაში.
დავითი საკნად შფოთარებს, ვიდრე
ოქტომბრის ღამით იხუთვის სიცხით,
რუსებს გადასცეს ბერლინის კლიტე
და გასალები ფრიდრიხის ციხის.
ო, სიხარულმა გამსჭვალა გული,
როგორ გააპოს კედლები კრული.

მოაგონდება ქართული ხმალი,
სრბოლა ყირიმში, ბრძოლა ხოტინის.
შენ მოგტიროდა ზუბოვის ქალი,
ვახ, თუ ჩამოჭკნა ვაშლი ლოდინეთ.
რუსთან იყავ და უკრაინელთან,
მათ შეუხორცდი ჭირში და ლხინში.
რამდენს გაანდე მამულის ელდა,
არსად გიგრძვნია სიკვდილის შიში.
შველოდი ომში დაცემულ უძლურს,
მიდამოს ქართლის ცრემლი ასხურე.
და როგორც დედის რძიანი ძუძუ
შენი ოცნება იქვე დასწურე.
რუსულ ლაშქარში ძმურად იბრძოდი,
არ შეარცხვინე ქართული ხმალი.
შვედებთან ომის ცეცხლში იწოდი,
პრუსიის გზაზე მიჰქროდი მალი.
კვისტრინთან მტერი დაძლეულ
იქმნა,
თუმცა შენ გახდი სიკვდილის მოწმე.
კვლავ აგიტაცა მხედრულმა ფიქრმა
და მოიგონე მრავალი მოძმე.
შენ მოგაგონდა რუსული კალოც,
როცა ლაზარემ გარგუნა პური.
მისი პირველი შეხვედრით გალობ,
ფრინველის დარად ფართქალებს
გული.
— „მე დავიმკვიდრე ხმალით მამული,
ნამდვილი სუნთქვა მეომარ ქართლის.
გზა მუღაბანი, თუ მეწამული
მე გავანათე ჩამოქნილ სანთლით.
იქნებ ოდესმე, მეომრის ღონე,
ძეო ქართლისავ, მოგყვეს აქამდი.
მოდი, ამ ადგილს და მომიგონე,
რომ მეც პირველად ამ გზას
ვკაფავდი!“

იტყვის დავითი და მწუხარ წამით,
შემოსულ დარაჯს მოგუდავს მალე.
გავარდება და გალურსულ ჟამით,
მას შეიფარებს ოქტომბრის ღამე.

ხმა მაგდებურგში ირხევა სუსხზე,
გამოცოცხლდება ქალაქი მკვდარი.
გაქცეულაო, ქართველი წუხელ,
ციხის საკანში უჩინრად მჯდარი.
გადასცურაო გაშლილი ელბა,
სად იშოვაო მახვილი მაინც.

ვერვინ შესძლოო ქართველთან შებმა,
ნამდვილ ჰგავდაო ჯვაროსან რაინდს.

დავითმა აგრე ზამთარი სძლია,
გაზაფხულივით წაიღო სუნთქვა.
გზად რუსთა ლაშქარს წამოეწია,
გამარჯვებულებს მადლობა უთხრა.
ალაღებული ამღერდა კიდეც,
ბერლინის კლიტეს შეახო ხელი.
თავის ჭრილობას დაადო კლიტე
და გადმოაგდო სიამის ცრემლი.

შინ დაბრუნება

შინ დაბრუნდი, დაბუგული,
შენ, სახლკარი დაგხვდა ღვიძლო,
არც ბულბული, არც გუგული,
დილით როგორ გაიღვიძო?
ცარიელზე დაჯექ აგრე,
ვინ ჩაგიქრო ცეცხლი შურით!
რას დასტირი, რა დაჰკარგე,
წყლის დოქი თუ ბეღლის პური?
დაგინგრიეს სახლის ჭერი,
გაგიმეტეს მწირი სიძე.
შინ და გარეთ არის მტერი,
მხედრის სულო, გაიღვიძე!
გადუწვავთ და გაუძარცვავთ,
ბეღელი და პურის ყანა.
სჩანს ქარქვეტამ ხორბლის მარცვალს
ლექსის წიგნიც გაატანა.
ხელთნაწერი ქარს მიჰქონდა
შემოდგომას ჰგავდა თურმე,
ფურცელ-ფურცელ თუ მიჰქროდა
მისი ცოდვით დავითრგუნე!
ზვარში ვაზი რომ აგიჭრან,
ჩაგაწვეთონ გულში შხამი,
ან წაგართვან მშიერს იჯრა,
დაგიბნელონ ჭრაქი ღამით, —
მაინც შესძლებს კაცი აღდგეს,
სახლკარისთვის ქვები ზიდოს,
მაგრამ ხმები თუ წაგართვეს,
სმენა როგორ დაიმშვიდო!
ჩრდილში დაჯექ, გაშლილ ვერხვის,
მოგაგონდა შენი ჰუნე.
ვერხვი არის ფერი ვეფხვის,
მეტყველი და მეფსალმუნე.
ფიქრობ, მტერი გამოცოცხო,
ცეცხლის კერით კვამლი შობო,
კვლავ რვეული გააცოცხლო,
იგალობო და იშრომო.
მარტო სახლი რას გაგთბობს,
ხელთნაწერის ხმა არ ისმის.
ხმაურობამ რომ გაგართოს
შენ დოლაბი გინდა მისთვის.
ვერ შესძინე ბავშვი ფუძეს,
გაგაღვიძოს დილით ადრე.
გსურს დოლაბი ახმაურდეს,
გაფხიზლდე და ცისკრად ადგე.
სახლს დოლაბმა უთხრას ძმობა,
ტალღამ ღარი დაგიმშვენოს.
და დავითმა იწყო შრომა,
რომ სახლკარი აიშენოს.
გააცოცხლებს ნაცარ-ტუტას,
ცეცხლს გააჩენს მზეზე ბროლით.
რვეულიდან ლექსი ბუუტავს,
და კერიდან სქელი ბოლი.

ოცნება წისქვილზე

„ეს წყლის ასამაღლებელი და წისქვილი მოვიგონე და დავხაზე და ამ ჩემ ნათქვამ ლექსის წიგნში ჩამიტანია. ხატი უნდა ეს-ვენოს იმ წისქვილში და ღამით გაუქრობ-ლად სანთელი ენთოს“.

დავით გურამიშვილი.

შენ რა გქონდა, რით აგეგო
წისქვილი?
ლექსის წიგნში ის ჩახატე ფრთხილად.
საკვამურში გესმა ქარის წივილი,
ცეცხლთან დაჯექ, ოცნებე თბილად.
სად იშოვო ფიცარი და კრამიტი,
წისქვილის ქვა ან სამინდე კოდი?
ეგებ გვალვით შეიცვალოს ამინდი —
იშრომო და დააყუჩო შფოთი.
წისქვილი გსურს თუ პატარა სენაკი,
სად იპოვო ხელსაწყონი მჭრელი?
რომ გათალო სარეკელა ეშმაკი,
უნდა დასცე შენ ჭადარი ჭრელი.
უკვდავების წყლით დასძარი
წისქვილი,
შიგ ოცნება აშრიალდეს კალმით.
ფიქრი, ფიქრი გაიშალოს ნისლივით
და წამოდგეს ღულარჭნილი კვამლი.

წისქვილის ხმა გაისმოდეს მხარეში,
გაუქრობლად შიგ სანთელი ენთოს.
უცხო მგზავრი თუ დაიბნა ღამეში —
შეხედოს და დოლაბის შუქს ენდოს.
ყინწვისივით მოიხატოს კედელი,
აშრიალდნენ სამოქმედოდ ფრთენი.
სუფთა წყალში გაჩნდეს თევზი
მეტყველი
და გაშალო სამლოცველო შენი.

მეც მიგიხვდი, რად გინდოდა
წისქვილი,
ურმის მღერა და მდინარის ფონი.
ფიქრი, ფიქრი თმაში გქონდა
ნისლივით
და ქართლის მთას გაგონებდა მგონი.
იმღერებდა გვალვაშიდაც დოლაბი,
მოქაქანე ქვას დაღლიდი ქერით,
მოვიდოდნენ, დაჯავშნული ფოლადით,
ნათლულები და მოძმენი შენი.
გაგართობდა დაკოდილი ბორბალი
და წისქვილი გახდებოდა კლუბიც.
თუ ქართლიდან მოვიდოდა
ხორბალი —
არ დაფქვავდი, გაათბობდი უბით.

მეწისქვილე

„ღმერთო დამასწარ ზაფხულსა
ფქვილს, ამ წისქვილში დაფქულსა".
დავით გურამიშვილი.

თვალს დაგაკლდა, რულიც გაკლდა
დავით,
მომტირალი ძეწნა იყავ მარტოდ.
წყლის ხმაური გაიგონე ღამით
და წისქვილი წარმოგიდგა სათნოდ.
დააყურე ურმის რონინს თითქო,
გზად უსაპნოდ ჭრიალებდა ღერძი.
მთვარის შუქზე ბრჭყვიალებდა ხვითო
და ტიროდნენ ტირიფები ბერწი.
სივალალე, თუ წისქვილის ფიფქი
გადაჭკროდა საქართველოს ხორბალს.
სარეკელას აყოლილი ფიქრი
ცრემლში გალღვა და პურივით
მოლბა.

ქართლის ჭირის წისქვილშიგან
თხრობა,
კლუბი იყო თუ საფეხნო სული!
ჭრაქი ენთო თუ [illegible] ,
ქვა ჰქროდა თუ ტრიალებდა გული?
ბედი იყო თუ წისქვილის თვალი,
ერთ ადგილს რომ ციბრუტივით
ირთოდა!
ილეოდა ნაფიქრალი მკრთალი
და წისქვილი კვლავ დასაფქვავს
გთხოვდა.
იოანე დამასკელის ლექსი
გითუთქავდა შენ წამწამთა ბაგეს.
ეხლა მხოლოდ დოლაბის ხმა გესმის
და წისქვილის ოსტატივით აღსდეგ.
წისქვილში ზის ჩვენი მიწის მხვნელი,
მოგონებაც დატოვებულ ქართლის.
წისქვილი ხომ სამყაროა მთელი,
მბეჟუტავი და გარინდული სანთლით.
მოგონებას გააცოცხლებ ბნელში,
დააყურებ მოხმაურე სოროს.
და წისქვილის გამოუცნობ ხვრელში,
თაგვის მსგავსი, საიდუმლო
სცხოვრობს.
ობობასაც გაუბლანდავს ქსელი, —
შენი ტანჯვის და ცხოვრების რუქა.
ერთი დოქი წყალი სდგას და ბნელი
და თაგვს მიაქვს შენი ლექსის ლუკმა.
გადახსენი, გააცოცხლე წიგნი,
დააწვეთე მარცვლეული ფიქალს.
ცხელი ლექსი დააჩრდილე შიგნით,
შეჩვეული გვალვასა და გრიგალს.
წყალის ჩქამი გაიგონე, მკვეთრი,
წისქვილის ქვამ დაგიკარგა რული.
თვითონ გახდი მეწისქვილე ბედის
და მემინდე მშობლიური წყლულის.

ცხოვრება წისქვილში

ღამდება, ღუღუნებს წისქვილი მწედ,
ტრიალებს ბორბალი,
შემოაქვთ ხორბალი
ოცნება, ყოველთვის მხნე,
ედება ჭრილობას მტლედ.
ღუღუნი გაუბამს მდინარეს,
ნაგუბარს,

თაგვებსაც დაღუპავს ხმაური სოროში.
წისქვილში სათუთად გამართულ
საუბარს
ეს ტალღა ჩაიტანს მდინარის
ბოლოში.
ღიღინებს მეცხვარე, ზოზინებს
კამეჩი,
სიმღერა მოჰყვება მდინარეს ღამეში.
ჭრიალი ურემის, ურმულის კიაფი —
წისქვილიც ღულუნებს და ხორბლის
ხვავია.
სადღაცა ხმაურობს მტკვარი თუ
ლიახვი,
წისქვილში ფიქრები იოლად ჰყვავიან.
შემოდის ქაცვია,
ცხვრის ქურქი აცვია,
თაგვების საბუდარს
კენჭებით დახუთავს.
ფარეხის სურნელი დარჩება გარეშე.
შემოაქვს მეთევზეს მწვეთავი ფაცერი.
და ჭრაქით დასერილ წისქვილის
ღამეში
ლანდები დადიან, კედელზე ნაწერი.
ნამცხვარი, ხორბალი, ქატო და
მუხუდო,
ჯებირთან ძაღლი ჰყეფს დინჯი და
უკუდო.
იწყება სერობა, შენ ზიხარ მწუხარი,
ქალალდზე გადავა მდინარე მქუხარი.
აგდია კომბალი,
ჭრიალებს ბორბალი.
წისქვილში, გრილოში,
ანთებულ სტრიქონში,
ხმაურობს მდინარე მოსული მწედ.
შენ ზიხარ წისქვილში, ზიხარ და სწერ.
კალამი გაკვესე,
აღზრდილი ჭრილობით.
ლოცვანი დაკეცე,
ეხლა კი მშვიდობით.
ო, სულო დოლაბის სიცოცხლით
აენთე,
წისქვილო მისმინე, ჩემს კალამს
დაენდე.
გაყუჩდით ლოცვებო, სიმღერა
მომინდა,
ურმების ჭრიალით ცხოვრება მოვიდა,
ხმაურობს იგი და შრიალით გადადის,
კერასთან ჩაღდება სიცოცხლე
ქალალდის,
რომელიც დაიწყებს ქუჩაში
ღალადისს
და აღარ მოკვდება, იცოცხლებს
მარადის.

საბას აჩრდილის წისქვილში შემოსვლა

ზამთრის მარაგი შექმენ არაკი,
წისქვილში მოსულ მთესველს გაანდე.
თითქო ჭალაკით ჰქუხდა არაგვი,
შეშა დააპე, ცეცხლი დაანთე.
წისქვილს წყალობდი, უკვდავ
წყاروთი,
ქოხი მიწური, კოდის კიდური.
როგორც ზღაპარი ჭიდან ამოდი
და გააცოცხლე ქვა გარინდული.
სიბრძნე-სიცრუის იგრძნე დოლაბთან,
თვალი წისქვილის იყო დაჭდილი,
და მოგონებამ თოვლში მოლანდა
მოსკოვს გაშლილი საბას აჩრდილი.
ეპყრა ძნებივით სიტყვა ქართული.
სავსე თავთავი კალმით ნართავი.
იყო არაკთა ქსელში გართული,
მტკვარში ნათლული, კაცი მართალი.
სიტყვა ეპყრა თუ ხორბლის მარაგი!
მიმქუხარებდა გულში არაგვი.
თოვლში წამოდგა კალთა გაშლილი,
საბაოფივით საბას აჩრდილი.
შემოგანათა თვალნი დიდრონი,
სიბრძნით აგივსო გული კოკორი.
არ დაუგდია სიტყვა ლიტონი,
რა მიმოხვრა და ოხვრა როგორი!

შენც მთხრობელივით წისქვილს
იყავ.
მთესველს მოუთხრე მისი იგავი.
მდინარედ კმარა ცრემლი ანკარა,
მგზავრობაში რომ მიწა დაღარა,
მან აღაბრუნოს დოლაბი ჩქარა,
წიგნით გიჩრდილოს გული თაკარა.

მართლა იგავათ წამოიმართა,
წყლულის სამთელი შენი სანთელ

Гос. публичная библиотека Киргизской ССР

მან შეგაერთა მშობლიურ ხალხთან
და შენ ამღერდი როგორც შავთელი.
შენმა სანთელმა თვალი დაღარა,
უკვე განვლილი გზა გაანათა.
არაკს შემოყვა საბა ჭაღარა
და შენს წისქვილში მოიკალათა.

საბა, კრემლი და გორის ციხე

ქალაქს მოსკოვს მზეს ველოდით.
დავით გურამიშვილი.

ობლად მჯდარი მეწისქვილე,
გართულიყავ „ქართლის ჭირით“,
სწერდი, გლოვა მოისმინე,
წიგნი გჰქონდა გადაშლილი.
გადიკითხე ომი გორთან:
თურქს ეკვეთა ჩვენი ჯარი.
ბრძოლის ცეცხლში მოგაგონდა
ქართლის დიდი მწიგნობარი.
გორით წასვლა უცხოეთში,
მტრის ნახმლევი შერჩა კაბა,
მიილტვოდა მწვანე ხევში,
ღრუბელივით თეთრი საბა.
ქამი როგორ აუმტუტდა,
რა გზა ერგო, რა ტრამალი.
გვალვამ თვალი დაუთუთქა,
ცვარი დაშრა ნატამალი!
ზღვა, ხმელეთი გადალახა,
ქართლის ბედი დაებუდა.
ვერსად შველა ვერ მონახა,
მერმე კრემლთან დაეყუდა.
წიგნი ეპყრა სასოებად,
ვით ტაძარი ეპყრა თამარს.
ქართულ სიტყვას აგროვებდა
და ემთხვიე ბრძენის ქამარს.
ორი მწირი იოანე,
სად ეძებდით საქართველოს!
პეშვით წყარო მოუტანეთ
უცხოეთში ქართულ მდელოს.
საბას სიბრძნემ ქვაც დაალბო,
გააცოცხლა მშრალზე ფიქრი.
თვალი მისცა შენს ნაამბობს
და საუნჯე გახდა წიგნი.
ორმა მწირმა იოანემ,
სძლიეთ ბედი სატიალე.
თქვენ ღელავთ თუ ოკეანე,
თუ შრიალებს მატიანე?

განვლო ქამმა, დარჩით ხალტოდ,
თმა ქარიშხლით მოგლეწია,
„ქართლის ჭირის“ წერა გართობს,
შენც სიბერე მოგეწია.
სულის თოკი სანთლად ბრიხე,
გვალვით გული მოიწალა.
ხმალი დაგრჩა გორიციხეს,
საბა კრემლთან მიიცვალა.
დელგმას ელი დასიცხული
მოფსალმუნეთ ნატრობ არაგვს.
მშობელ მიწით გარიცხული,
სწერ, კითხულობ ქართულ არაკს.
კოკის დარად დაშრა ბედი,
ღადარივით ფეთქავს რიყე.
მაგრამ ფიქრში, ანასვეტი,
სჩანს კრემლი და გორისციხე.

ბუნების სარწყავი

[უკრაინაში] წყალნი მეტად მდორედ და ღრმა ჩავარდნით დიან, ისრე არა დიან, ვითარცა აზიაში, მომაღლოდ მიწის პირად ჩქარა დიან. [უკრაინაში გვალვაში] დიაღ მალ-მალ ცდების მოურწყაობით მოსავალი, ამის წამალი ეს პირველი ნუმერის ახალი ნეშტის მაგალითი წყლის ასამაღლებელი მოხაზულობით მიჩვენებია.

დავით გურამიშვილი.

ქართლის ხევში ბიბინებდა ბალახი,
არაგვს მაღლით მოწყდებოდა კალმახი.
უკრაინის მდინარე-კი მდორეა,
გვალვაა და რა დაარხევს ბორიოს,
როგორ ჰპოვო წამალი!
დააწყნარო მოვარვარე მლაშობი.
ააფეთქო თესლი მიწის ნაშობი.
ვარჯოვანი ხე აყვავდეს წყاروთი,
არ იწვალოს, როგორც თვითონ
წვალობდი,
ცას უხმობდეს მამალი.
მოუტანო მიწას წყალი სარწყავი,
არ დაფუშოს სიცხემ ვარდი,
საწყალი.
აზუზუნდეს ფუტკარის სკა გარშემო,
შთაგონებით ღორთქო ბალი აშენო,
შემომქმედი გაკურთხონ,
საჭოროფოდ გასჭერ არხი მაღალი,

ჯეჯილებმა იწყონ მწვანე ღაღანი,
აღარ მოცდეს გვალვით მიწა
მშობელი,
ტოროლებმა გაალვიძონ სოფელი,
იგალობოს საწუთროომ.
წამოჩიტდეს რტო, გვალვას რომ
გაეხმო,
შენც მდაბიო მშვენებაში დაემხო.
საკრავივით მოდრეკილმა ილოცო,
მხოლოდ მიწის სურნელებით
იცოცხლო,
ფრთას გიქნევდეს თუღუნი.
გაიჩაღოს არხმა მწვანე ხანძარი.
აგუგუნო კვლავ ბუნების ტაძარი.
ან გახვიდე, პურის ყანას დახედო,
და მლოცველმა სიბერეშიც გაბედო
სამიჯნურო ღუღუნი.

დავით გურამიშვილის გაბაასება სიკვდილთან

მოდი სიკვდილო, მაპკურე სიო,
და გამიგრილე სხეული თიხის.
ეგებ სექტემბერს ვერ მივაღწიო
ველარ განვჭვრიტო კამკამი ჭიქის.
ცხოვრების გვალვამ გული განლია,
ამომშრალ ტანში ღუღუნებს ქარი.
ყურში ქარია, სულში ქარია,
და ვინ შემასვას ანკარა წყალი?
ვაი სოფელო, ყრუ და მგმობელო,
შენ რა მარგუნე, რა გითხრა კიდევ.
ეხლა მტვერი ხარ ჩემო მშობელო,
მე ცოდვილი ვარ და განმერიდე.
მოდი სიკვდილო და გამალურჯე,
გვალვიან დღეებს რომ გადავურჩე.
თვალი ფსალმუნში მე შემეყინა,
წიგნის ფურცლებში გაყვითლდა
თითი.
ზე ამართული ხელი მეტკინა,
და ამიკვამლდა თვალები კითხვით.
მოდი სიკვდილო, მომბერე სიო,
მე ყურძნის კრეფას ვერ მივაღწიო.
მაგრამ გზად მავალ ცოდვილმა
სულმა
ვის ჩავაბარო გული პატარა.
ვინ ჩაიბაროს გამვლელის ურვა,
ვის დაესხუროს ჩემი ჭალარა!
ვის დავუტოვო ობლები ჩემი,
ტანთ ჩაუცმელი ვის ჩავაბარო?
ობლები ჩემი, მარადის ბუნი,
სოფელში როგორ ჩამოვატარო!
ოი, სოფელო, ყრუ და მხმობელო,
გამახუნე და ფერფლი მარგუნე.
ქარით ამავსე ჩემო მგმობელო
და აღუღუნე ჩემი საგულე.

მეორე გაბაასება სიკვდილთან

რას ჩამაცივდა სიკვდილი ნეტავ,
დავითი მღერის საამურ დილით.
წუხელი ჯანზე ვიყავი ბედად
შევაშინე და გაბრუნდა წბილი.
რატომ მაჩქარებს, ან რატომ მელის,
ველზე მოთიბოს ბალახი მწვანე.
ჯერ კოინდარზე გასინჯოს ცელი,
ანუ გაკაფოს ჭინჭარი მწვავე.
სიკვდილო განვედ, ნუ მართმევ
სითბოს,
მომეც გავსინჯო ლაპლაპა ცელი.
დავხედავ ცელს და სარკეში თითქო
ზედ აღიბეჭდვის სახება ჩემი.

და სიკვდილს ვეტყვი: თივით იკოხნე,
ცელზედ კიაფობს ჩემი სიცოცხლე.

არ დამლევია სიცოცხლის ძალი,
არ დამიშრიტო ცხოვრების წყალი.

მე ყველგან შევსძლებ ცხოვრებას,
მწირი,
ცელზე, ქარში და ღრუბლის კიდეზე.
რად მომაცდუნე, დამეხსენ გზირი
განვედი, სადმე გადაითესე.
ვაჟკაცს თიხისგან ვინ მოძერწავდა
და თუ მოძერწეს, დასჭირდათ შრომა,
მას ბუნებაში ცეცხლივით სწვავდა
დაუშრეტელი წყურვილის გრძნობა.
მაშ სანამ შრომა კაცს შეუძლია,
ნულარ წაართმევ დუღილის უნარს.
გვალვით გალობა თუ შეუქმნია,
ნულარ მიაწვდი ცარიელ სურას.
უთქმელი დამრჩა მრავალი ფიქრი,
როს დავასრულო მობრძანდი მაშინ,

გადამატარე ცხოვრების იქით,
ხელთ ამიტატე ჭალარა ბავშვი.
დავენატრები საყანე მარცვალს,
მაინც ჩვილივით გაგყვები მარტოდ.
აკვანში ჩამსვი მე კუბოს ნაცვლად,
და იავნანა მიმღერე სათნოდ.
ჩემი ჩატევა აკვანში სცადეთ,
კუბოს მაგიერ აკვანში ვიყო.
რომ დასასრული დასაწყისს ჰგავდეს,
სიკვდილის შემდეგ არ გავირიყო.
ის იავნანა აკვანთან თქმული,
განვლილ ცხოვრებას შეიტკბობს აგრე.
ეგებ დავსძლიო სიკვდილი კრული,
აკვნიდან მღერით მეორედ აღვსდგე.

უცნაური სურვილი

ჩემი სიკვდილი თუ მოვა მარტოდ,
უნდა ვიცოდე სახება მისი.
ის უნდა იყოს ზედმეტად სათნო
და თავწაკრული მშობლიურ ნისლით.
სიტურფით ჰგავდეს ღვთისმშობელს
მინდა,
ბროლის თითები ამკობდეს, თლილი.
ჰქონდეს ოსტატის მარჯვენა წმინდა
და ცელის ნაცვლად მომაჭდოს
ფრჩხილი.
ფრთა მოიქსოვოს დაწმენდილ ჩხირით,
გადამაფაროს ლამაზი ფრთენი.
გვალვაში მარგოს ჭანდარის ჩრდილი,
და ცაზე კვალი მდინარის მჩენი.
მარტოდ თუ მოვა, ლამაზი იყოს,
ვით ქალის თმებით შემკული ვაზი.
მე დამამზგავსოს ვენახის ჭიგოს
და მომეხვიოს ქალივით ნაზი.
ჩემი სიცოცხლის წაიღოს ჩრდილი,
წალკოტში დამრგას, მგზნებარე
გულით,
და მაშრიალოს მარტოდენ დილით
ფართო ფოთოლით და გაზაფხულით.

მკლავი ცოცხალი

დავითი დარდით ამბობდა დილით,
რად ამეტუზა სიკვდილის ჩრდილი?
ვბრმავდები, მაგრამ მარჯვენა,
მძლავრი
წისქვილს ხატავს და მარცვალს
ფიწალს.
მე მოვკვდე, მხოლოდ არ მოკვდეს
მკლავი,
არ მიებაროს ჟანგიან მიწას.
სიკვდილმა ხელი მომსხეპოს ცელით,
არსად დამარხონ, გაათბონ ცალი.
მე თუ მიმიზღონ სამარე ბნელი,
მარჯვენას არგონ ცხოველი წყალი.
როგორც ტაძარზე მიკრული მკლავი,
ჩემს ხელნაწერზე დარჩეს მარჯვენა.
რომ სთქვან: აანთო ხელმა
ვარსკვლავი
და სულიერი შფოთი გვაჩვენა.
არ გამიუქმოთ მარჯვენა თბილი,
სიცოცხლეშივე მომკვეთეთ ცელით.
მე მხარზე შემრჩეს სამკლავე
ჩრდილი
და ტკივილები გალობის მგვრელი.
მხოლოდ ცოცხლობდეს თბილი
მარჯვენა,
სტრიქონთან ერთად შთავბერე სული.
მანვე აღნიშნა ლექსის გაჩენა,
ფურცელს გადასცა მლოცველის
თქმული.
საფლავი აკვნად თუ არ დაირწა,
ბტლედ მიმიტანოს სამარის კართან.
თვით მომაყაროს კუბოზე მიწა
და დამაფაროს ოცნების კალთა.
ან ამიტაცოს ვით ჰანიმედი,
ხუჭუჭა ღრუბლით შემიმკოს თავი.
ყველგან ის იყოს ჩემი იმედი,
ჯოხით გარეკოს ყრანტალა ყვავი.
მუჭში შეიპყრას ცხოვრების ქარი,
სითბო შთაბეროს დარჩენილ ნაწერს.
წიგნს, უკვდავების გაუღოს კარი —
და ბეჭდის დარად ნაწერზე დარჩეს.

დავით გურამიშვილის გაბაასება საწუთროსთან

არ დაელევა სათქმელი დავითს,
არ ეპუება საწუთროს ძალას.
როგორ დაუთმოს ცოცხალი თავი

და ამეტყველებს პირუთვნელ კალამს:
ჩემო საწუთროვ, ყოფილხარ მრუდე,
ბევრჯერ მიმუხთლე, როცა დაგენდე.
შენ დამინგრიე პატარა ბუდე,
სული კი თიხის ტანში ჩაჰკეტე.
მე მატანტალე ხრიოკ მიწაზე,
შიშველი ტერფით ვეძიე მწვანე,
როგორ მიგენდე, როგორ გიწამე,
და სადაური სად წამიყვანე!
უკვე დავბერდი, მივენდო ვიღას,
ვიგრძენ სიკვდილი სხეულს მიათრევს.
ის დამამსგავსებს გამომშრალ თიხას
და წამიკითხავს ეკლეზიასტეს..
მე კი უბრალოდ არ მსურს გაგშორდე,
რაღაც სხვაგვარად მომიწყვე ბოლო.
თუგინდ მყინვარის თხემზე გამშოლტე,
არ დამანახო სამარე მხოლოდ.
ან შემახვიე ღრუბელში სუფთად,
სიკვდილს მიმყიდე კრავივით წყნარი.
მატყლში ჩატოვე მამულის სუნთქვა,
ყელზე დამკიდე წკრიალა ზარი.
რომ სთქვან, მევახშედ გახდა
სიკვდილი,
ვალს ახდევინებს საწუთროს კრავით.
ვერ დაეწია ვერვის სირბილით,
ველარ შეჰკრიბა წლიური ხვავი.
მე კი მომაბას ყელზე საბელი,
უკან გავყვები ჭალარა კრავი.
მე უკვე მითქვამს ჩემი სათქმელი
და მსურს ღრუბელში მეგონოს თავი.
მე არ მივლია სოფელში უქმად,
ხუმცა საწუთროვ სანთელს მიქრობდი,
თურმე ვყოფილვარ სიკვდილის
ლუკმა
და უკვდავებას როგორ ვფიქრობდი!
მაგრამ დავტოვე ბალღი, ტანტალა,
ხმა ჩავუნერგე ზარივით წყნარი.
თუ სადმე შეგხვდეთ ჩემი პატარა
დაალევინეთ მამულის წყალი.

სამშობლოში დაბრუნება

იმას შვილად ვერვინა სჯობს
დავით ვინც ძეთ მოგვრიან
ვინ გამოსთქვა, ეს ტაბულა
მტერი ამით მოიგერა.

დავით გურამიშვილი

შენ დაგაბერა საწუთრომ
და უნაყოფოდ დაგშრიტა.
დაგაბერწა და გამწუხრა
სანამ სიკვდილი დაგშლიდა.
შვილი არ მოგცა მომყოლი,
სანაცვლოდ წიგნი იშვილე.
თითონ უწოდე ობოლი,
ვერ ჩაუნერგე სიმშვიდე.
წიგნში შეჰქმენი, აბარტყე,
ფრთები ქაღალდზე დაჰკარი.
გალობა გულით დაბადე,
ფურცლით ურწე აკვანი.
აღიზარდა და გლოვისას,
ზარით აქრობდა სინათლეს.
მან საიდუმლო მოისხა,
ფერი შემატა სიმართლეს.
იგი მღეროდა, იხარა,
თუმცა მხოლოდ შენ გესმოდა.
ჩანჩქერად გადმოიღვარა
და ქართულ ფიქრით კვნესოდა.
სიმღერას შენვე ისმენდი,
ახლოს არ გყავდა მშველელი.
არვის არგუნე იმედი,
არვინ გხლებია მსმენელი.
ცეცხლს შეაბერდით ამგვარად,
თავს აბეზრებდით ურთიერთს.
შორს იყო კერა ჭალარა,
და შორით ღამე უთიეთ.
დაჭკნობა ძეს არ აცალე,
არ მოგინუსხოს ღამემაც,
ის სამშობლოში გაგზავნე
ირგუნოს მისი წამება.
ხვალს გაკლდა, მაინც ჩასწერე,
ზედ მიახატე წისქვილიც.
გზად უკრაინას ამღერე,
ქართლში გაუშვი ნისლივით.
შენი შფოთვა და სიკვდილი
ჩამოსულ ძეს ხომ აჩნია.
შენი ტრამალზე სირბილი
და ნატერფალის არშია.

მართლა გყოლოდა ჭაბუკი
ვერ მოგვითხრობდა ამგვარად,
როგორ მღეროდი ქარბუქით
და წვიმა გცემდა ჭაღარა.
როგორ არგუნე საგზალი,
გზა დაულოცე მარჩენალს.
არ დაიკარგა საწყალი
და შენი ღელვა გვაჩვენა.

მინაწერი

უკვდავებისა წყაროთი
მოგართმევ სავსე სურასა.
დავით გურამიშვილი.

მწირი სახლი არ გადეწვა ლოცვას,
შენ მარადის შეგრჩენოდა აბედი,
მოსწრებოდი სერაფიტის მოსვლას,
ღვთისმშობელზე მეტად შეიყვარებდი!
წისქვილიდან დაგენახა სანთლით,
გორის ბაღში ეხლანდელი დარები.
ფარშავანგად დახატული ქართლი,
რას იტყოდი, როგორ გაიხარებდი!
მოგესმინა სად რუსთველი გალობს,
მოძმე ხალხთა სიყვარულის მარაგი.
რუსი მოძმე ადგებოდა კალოდ
და წისქვილში იჩქამებდა არაგვი.
დაგენახა კვლავ ზედაზნის თხემი,
ვით მეზობლებს, შემოკრებდი
სტრიქონებს,
და ეტყოდი: მოიწვიეთ ულაყმელი,
ჩვენ, მამული სიყვარულით გვაგონებს.
უკვდავების წყაროს გვასმევს ხალხი.
პური წყალში ჩააწეთ და დამლოცეთ.
ან მოსწყვიტეთ მწიფე ხილი ბაღის,
მარცვლეული ანიავეთ კალოზე.
რუსეთის და უკრაინის გული
გახდა ჩვენი განუყრელი ძმობილი.
ძაშ გავტეხოთ მეგობრულად პური,
კერის ცეცხლით, საგულეში შობილი.
ან არაგვთან დავიჩრდილოთ ადრე,
კალმახები ეჯახება კაშხალს.
ღმერთს აუგი გულმოსულმა ჰკადრე
და კურთხევა გადაეცი მაშვრალს.
გალობაში ვერ ჩავატევ ამბავს,
რა დავხატო, ან მოგითხრო რომელი?
სერაფიტი ნისლიან თვალს ნაბავს
და ვერა რქვა: ამაოა სოფელი.
შენც ვერ იტყვი: ვახ, სოფელო
მრუდევ!
თუმცა გვალვით დათუთქული
წვალობდი.
წამოდექი, ნახე შენი ბუდე
და განგვბანე უკვდავების წყაროთი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალ. ჟუთათელი

პირისპირ

რომანი

ნაწილი მეორე

ცუდი პაემანი

„ჯარჯარად მოდიან ახალი უბედურებანი, გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე შენ მოასწრებდე წინანდელ ჭირთა მიმართ ანგარიშის გასწორებას".

სენეკა.

ოც იანვარს, საღამოს ესტატე მაყაშვილის მზარეული — ევტიხი სირაძე ესტუმრა კორნელის და პატარა პაკეტი გადასცა. კორნელიმ ნინოს ხელი იცნო და მაშინვე გახსნა. წერილი ასეთი იყო:

„კორნელი, ჩვენი შეხვედრა აუცილებელია. ფრიად მნიშვნელოვან საკითხზე უნდა მოგელაპარაკოთ. საპატიო მიზეზის გამო, ჩვენსა ვერ მიგიღებთ. ვერც მე გეახლებით თქვენსას. ხვალ, საღამოს 8 საათისათვის ერთმანეთს ელოს ბინაზე შევხვდეთ. ევტიხის გამოატანეთ წერილი. მაცნობეთ—შესძლებთ თუ არა ხვალ საღამოს ელოს ბინაზე მოსვლას? ნახვამდის. ნინო მაყაშვილი".

კორნელიმ რამდენჯერმე წაიკითხა წერილი. მაგიდაზე დასდო და მხოლოდ მაშინ შეამჩნია, ევტიხი რომ ფეხზე იდგა. მზარეულს დაბალი ბუხრის ქუდი მოეხადა და ჯარისკაცივით გაჭიმულიყო.

კორნელიმ სკამი შესთავაზა და თვითონ საწერ მაგიდასთან დაჯდა.

ევტიხი განცვიფრებით მიაშტერდა ეტაჟერზე შედგმულ თავის ქალას, წიგნებით სავსე კარადას, საწერ მაგიდას, რომელსაც ყუმბარის ცარიელი ვაზნა ამშვენებდა, ოთახის კუთხეში მიყუდებულ შაშხანასა და ხმალს. გაუკვირდა: ეს კაცი მებრძოლია თუ მწიგნობარიო?

— რა ამბავია მაყაშვილებისას? — ჰკითხა კორნელიმ.

— ნინოობა დღეს დიდი არეულობა იყო, — მიუგო ევტიხიმ. სახეზე ჭარხალივით წამოწითლდა, თვალები მელასავით აუციმციმდნენ და დაწვრილებით უამბო კორნელის ყოველივე რაც ნახა და მოისმინა:

— ახლა კი ვიცი, ჩემო კორნელი, რატომ ჩვენსას აღარ დაიარებით. ნინო პლატონ მოგველაძეს უნდათ მიათხოვონ, მაგრამ ქალს შენ უყვარხარ.

— საიდან იცი? — უნებლიეთ ჰკითხა კორნელიმ.

— რომ არ უყვარდე, გულიც არ შეუღონდებოდა. სულ იმას გაიძახოდა: პლატონს არას გზით არ მივთხოვდებიო. ამბობენ დიდი მოაძროვნეაო პლატონი. — მიუგო ევტიხიმ.

კორნელის იამა, გაეღიმა და გაუსწორა:

— მოაძროვნე კი არა — მოაზროვნე.

— ჰო, მოაზროვნე. მერე რა? ქალს არ უყვარს და ქალის მშობლებს რამ შეაყვარა ის ულვაშებგაპარსული და საჭურისივით დამჭკნარი კაცი? გაწიე იქით! — გაიქნია ხელი ევტიხიმ.

— რატომ? პლატონ კარგი შესახედავი, განათლებული და ბრძენი კაცია. — არ დაეთანხმა კორნელი.

— რა შენი შესადარია! შენი სახე, ტანი და მხარბეჭი და მისი განა ერთია? განათლებას თუ იტყვი, — განათლება არც შენ გაკლია. ამდენ წიგნებს დღედაღამ კითხულობ. დედა თქვენის — ქალბატონი ტერეზას სიმდიდრე და ქონება კი მთელს ზემოიმერეთში ცნობილი გახლავთ. — თავი გამოიდვა ევტიხიმ კორნელისათვის სასარგებლო ლაპარაკით.

— სანამ მამა ჩემი ცოცხალი იყო და ხალხს აქიმობდა, მართლაც მდიდრებად ვითვლებოდით. ეხლა კი რაღა სიმდიდრე და ქონება გააჩნია საწყალობელ დედა ჩემს! — შენიშნა კორნელიმ და მწარედ ჩაფიქრდა.

მისმა ძმამ დოსტაქარმა ევგენიმ, მეცნიერული მივლინება მიიღო და 15 იანვარს საფრანგეთში ორი წლით გაემგზავრა. უფროსი ძმა დიდათ შველოდა კორნელის და მისი საფრანგეთში გამგზავრებით ერთი საყრდენი, ბიჯგი გამოეცალა ჭაბუკს.

დეიდა ელენეს კი მოხუცი მაზლი — სამსახურიდან გადამდგარი და ცარიელ-ტარიელი პოლკოვნიკი ჩამოუვიდა რუსეთიდან, ოჯახითურთ და იგი სტიროდა: ოთხი სული ასეთი შიმშილობის დროს როგორ შევინახოთო. თბილისში ცხოვრება მართლაც საშინლად გაჭირდა. სურსათ-სანოვაგე არ იშოვებოდა და, კიდეც რომ გეშოვნათ, ცეცხლი ეკიდებოდა და დეიდა ელენეს წუწუნი არ გაემტყუვნებოდა. ქალები კი არა და ეხლა კორნელიც წუწუნებდა. სოფლადაც ისევ გაჭირვება, შიმშილი და გლეხთა შორის მღელვარება სუფევდა. ადგილის, ტყის, ან სხვა რაიმეს გაყიდვა კიდეც რომ მოსახერხებელი ყოფილიყო, ფული არავის არ ჰქონდა და ვინ იყიდიდა? ამიტომ სოფლიდან დედა კორნელის ფულს ვერ უგზავნიდა. კორნელი კი ძალიან ხელმოკლედ ცხოვრობდა. ფეხსაცმელი დაეხა, კოსტუმი დაუძველდა და სასყიდელი ჰქონდა. მაგრამ ტანსაცმელს ვინ დაეძებდა. ტანსაცმელი კი არა და ხშირად თამბაქოს და წვერის გასაპარსი ფულიც არა ჰქონდა. „ჩემისთანა სიძე ვის რად უნდაო," — ფიქრობდა. ევტიხიმ როდი იცოდა მისი გასაჭირი. იგი მხიარულ გუნებაზე იყო და თავისას გაიძახოდა:

— დასწყევლოს ღმერთმა, როგორი ხალხია ჩემი ხაზეინები, ვერ გამიგია! ადამიანი თუ გიყვარს, განა მისი სიმდიდრე და ქონება უნდა ეძიო? ეხ, — ჩაიქნია ხელი ევტიხიმ და ხრინწიანი ხმით შიქასტებს მოჰყვა:

„რად მინდა მე სიმდიდრე ან ქონება,
თუ ვინც მიყვარს გვერდზე არ მეყოლება?!"

კორნელის გაეღიმა. მზარეულმა მუხლში ხელი წაავლო, ჩაიხითხითა და მერმე ისევ განაგრძო:

— ქალი მრავალნაირი გამონავალა. მე ბათუმის სადგურის მზარეულად რომ ვიყავი, სიმდიდრე და ქონება არ მაკლდა, მაგრამ ჩემმა ქალმა უქნარ, მოქეიფე და უნიფხვო მეგობარში გამცვალა და მიღალატა. იმ ღამეს შინ ადრე რომ არ მივსულიყავი, ვერაფერს ვერ გავიგებდი...

კორნელიმ უმალვე შეხედა და მონუსხა. შეეშინდა — ათასჯერ მოყოლილი ამბავის თხრობა ისევ არ დაიწყოსო და ჰკითხა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ევტიხი, როგორ არის შენი და შურას საქმე?

— გმადლობთ, ჩემო ბატონო. საქმე იჩარხება. როგორც იქნა, შურას გული მოვინადირე და ბოლოს ცოლობაზე დამთანხმდა.

უთქვენოდ ქორწილი არ იქნება. — მიუგო ევტიხიმ.

— ყოჩაღ. შენ ჩინებული მზარეული რომ იყავი, ადრევე ვიცოდი, მაგრამ ასეთივე კარგი მონადირე და მებადური თუ იყავი, როდი მეგონა. — შენიშნა კორნელიმ.

— მონადირისა და მებადურის შესახებ, რა მოგახსენო. — აღარ გაკადნიერდა ევტიხი.

— კარგი მონადირე და მებადური რომ არ ყოფილიყავი, იმ კალმახივით ტანალეწილ და მოქნეულ ქალს შენს ბადეში ვერ გააბამდი. — უთხრა კორნელიმ.

ევტიხიმ გულიანად გადიხარხარა. კორნელი შეეხვეწა:

— ევტიხი, წერილს გაგატან ნინოსთან და ისე გადაეცი, არავინ არ დაინახოს.

— დაწერე და გადავცემ. დარდი ნუ გაქვს. კორნელი, გენაცვალე სულში! — მიუგო ევტიხიმ.

კორნელიმ ქაღალდი აიღო და დასწერა:

„ნინო, ელოსთან დანიშნულ დროზე გეახლებით“... მერმე შეჩერდა და სხვა ვერაფერი ვერ დასწერა, რადგან მოზღვავებული გრძნობის დაოკება ვერ შესძლო.

ადგა, კარადა გამოაღო და თავისთვის შენახული ერთი ბოთლი სანთლის არაყი გამოიღო და კარგი ამბის მახარობელს — ევტიხი სირაძეს საჩუქრად მიართვა.

ევტიხის თვალები კვლავ ისე აენთნენ, როგორც ღამეში კატისა. ფანჯარასთან მივიდა, ბოთლი მაღლა ასწია, გაჰხედა და დაიძახა:

— ჰო, რა ანკარა არაყია! კორნელი, გენაცვალე სულში, თუ გაგიჭირდეს, ჩემი სახელი ახსენე და მაშინვე შენთან გავჩნდები. ნუ გეშინია. ჯარში ნამსახური ვარ, ომში ვყოფილვარ, სამჯერ ჭრილობა მიმიღია და თოფ-იარაღის ხმარება შენზე უკეთ ვიცი, თუ გინდა ბატონის ქალს მოვიტაცებ და სადაც მეტყვი, იქ მოგიყვან. მოგიკვდეს ბიჭი არსენა! კორნელი, შენი ჭირიმე. გენაცვალე სულში!

კორნელიმ გაიცინა და აბეზარ მზარეულს მადლობა გადაუხადა.

ევტიხიმ ბოთლი მაზარის ჯიბეში ჩაუშვა, ზედ ბანჯგვლიანი და ჭორფლიანი ხელი სასოებით დაადო და კორნელის დაემშვიდობა.

კორნელი საპარიკმახეროში შევიდა და მერმე გაპარსული, მორთული, გალამაზებული და ბედნიერი, დანიშნულ პაემანზე, ელოს ბინისაკენ გაეშურა. საპარიკმახეროში დიდი რიგი იყო და დანიშნულ ვადაზე მისვლა ნახევარი საათით დააგვიანა. პაემანზე დაგვიანება კი შეყვარებულთა ჩხუბის და უკმაყოფილების საბაბია. ამიტომ, როცა კორნელიმ ელოს ბინის კარებზე დააკაკუნა, ოთახიდან გაანჩხლებული ქალის ხმა შემოესმა: „ვინ არისო“ და ტანში გააცივა. „მე ვარ, კორნელიო“, — გაუბედავად მიუგო ჭაბუკმა. ქალმა კარები გაუღო, ცივად შეხედა, ჩქარი ნაბიჯით წავიდა, ტახტზე დაჯდა, ფეხები აიკეცა და ზედ კაბის კალთა გადაიფარა. სახეზე წამოწითლდა და

სიცხიანსავით თვალები კორნელის შეანათა. კორნელიმ მაჯის საათს დაჰხედა და ბოდიში მოიხადა:

— უკაცრავად. ნახევარი საათით დამაგვიანდა.

— ნახევარი საათით კი არა — ორმოცი წუთით. — ათი ... ნინომ. ამრეზილ და გაბუტულ ბავშვივით საყვედურები დაიწყო: — ასეა ყოველთვის. თქვენ ჩემთვის არასოდეს არ გცალიათ. მეგობრებთან და მასთან, ვისთანაც გულით შეხვედრა გსურთ, დანიშნულ დროზე, ზუსტად, გამოცხადებით ხოლმე.

კორნელის თავზარი დაეცა: „მარგარიტა ლეტცი ხომ არა ჰყავს მხედველობაშიო“ და დარცხვენით შენიშნა:

— ვინ მეგობრები?

— თქვენ კარგად იცით! — მოუჭრა ქალმა.

„უი, ჩემს თავს“, — გაიფიქრა კორნელიმ და პასუხი მიკიბ-მოკიბა:

— ჩემი მეგობრები ყველანი ომში დაჰხოცეს. გრიგოლ ცაგურიშვილი, ჯვებე მიქელაძე, საბრალო ბავშვი — კანარეიკა...

— კანარეიკა ვინ არის?

— ასპინძის ბრძოლაში მოკლულ კაკო ბაქრაძეს, ჩვენი ბატარეის ბიჭები კანარეიკას ეძახდნენ.

— განა სხვა მეგობრები არ დაგრჩათ?

— დამრჩა. მაგრამ რა? საცოდავი პეტრე ცხომელიძე მძიმედ არის დაჭრილი. ვანოს, სანდრო ხოტივარს, გიგა ნახუცრიშვილს, მიტო ჩიკვაიძეს და კუკური ზარანდიას კი, ამ ბოლო დროს, იშვიათად ვხვდები. — მიუგო კორნელიმ.

— თითქო იშვიათად ხვდებით! თქვენი სომეხი მეგობარი — ლეონ მერაბიანცი და გერმანელი ქალი — მარგარიტა ლეტც რად დაივიწყეთ! — გესლიანად შეაპარა ნინომ.

კორნელი გაშტერდა და მერმე ჰკითხა:

— ლეონ მერაბიანცი, საიდან იცით, ვინ არის? ან მარგარიტა ლეტცის ხსენება რად დაგჭირდათ? ალბათ ვანო გეტყოდათ!

— ვანო მე არც მინახავს. ეხლა ყველანი ამაზე ლაპარაკობენ. კორნელი გადაგვარებული ქართველი არისო. ომში არ წავიდა, თბილისში მოკალათებულ საქართველოს მტრებს ციხიდან ანთავისუფლებს და გერმანელ ქალთან დროს ატარებს და ქეიფობსო. — მიუგო ნინომ. ისევ საშინლად გაწითლდა და კორნელის ზიზღით შეხედა. კორნელის კარგა ხანია რაც არ ენახა ნინო და ამ ხნის განმავლობაში ქალი ზედმეტად ნერვიული შექმნილიყო.

„უთუოდ ვანო გამცემდა. ან იქნებ ქალებმა — მარგარიტა ლეტცმა და ქეთო მაღალაშვილმა ილაყბეს! ამ დასაწვავ, მეშჩანურ და ჭორიკანა ქალაქში განა რაიმე დაიმალება!“ — გაიფიქრა კორნელიმ და ნინოს ცივად მოუჭრა:

— ილაპარაკონ, რამდენიც სურდეთ. მარგარიტა ლეტცი მე არ დამიპატიჟნია, არც რაიმე საქმე მაქვს მასთან. — იცრუა კორნელიმ და მერმე ლეონი დაიცვა:

— ლეონი ჩვენი მტერი არ არის.

ნინომ თავი ჩაჰკიდა. მარგარიტაზე ლაპარაკი უხერხულად მიიჩნია და კორნელის სხვა საგანზე დაუწყო საუბარი:

— აღიარეთ შეცდომა, ნუ გრცხვენიათ. ომში რომ არ წახვედით, ხომ დიდათ დააშავეთ?

— მე სომეხ-ქართველთა ომის წინააღმდეგი ვიყავი, ეხლაც წინააღმდეგი ვარ და ვიქნები. არც ქართველებს და არც სომხებს, თანხმობის გარეშე, ამიერკავკასიაში ცხოვრება არ უწერიათ. ჩვენი ისტორიული მტერი ოსმალეთია. განა არ ვიბრძოლე მე მაშინ, როდესაც ოსმალნი თავს დასხმოდნენ. თუ მათ შემოგვიტიეს, მე ისევ ჯარში წავალ და თავგამეტებითაც ვიბრძოლებ. — მიუგო კორნელიმ.

— ვნახოთ. — არ დაუჯერა ნინომ.

— თქვენ ძალზე ცუდი აზრი შეგიმუშავებიათ ჩემს შესახებ, მაგრამ ეს თქვენი ბრალი როდია. — წყენით უთხრა კორნელიმ.

— როგორ, მე განა საკუთარი აზრი არ გამაჩნია? — იუკადრისა ნინომ და ხანგრძლივ დააცქერდა სტუდენტურ შავ პალტოში გამოწყობილ ჭაბუკს, მის გიშრისფერ, ინგლისურად გვერდზე გაყოფილ თმას და ლამაზ თვალებს. ისევ მოეწონა კორნელი, ისევ მოუნდა მისი ტრფიალი, მაგრამ თავი დაიჭირა, თვალზე ცრემლი მოადგა და ნაზად დაჰხარა თავი.

კორნელიმ იგრძნო და გულითადის ხმით უთხრა:

— ნინო, მე ვიცი, თქვენ სხვებმა მოგმართეს ჩემს წინააღმდეგ. თავს იწვალებთ და მეც მაწამებთ...

— განა იმერლებს რაიმე დაეჯერება? — ჩუმად შენიშნა ნინომ.

— აი, ხომ ხედავთ: არც ეს არის თქვენი აზრი. ეხლა კახელებიც გაეშმაკდნენ. — ღიმილით მიუგო კორნელიმ, რადგან ნინოს შენიშვნა ბოროტად არ იყო თქმული. კორნელი მიხვდა, რომ ნინო მალე მოტყდებოდა, და ამიტომ თხოვა:

— ნინო, ჩხუბს თავი გავანებოთ, შეიძლება პალტო გავიხადო?

ნინო შეკრთა. მაშინვე მოაგონდა ელოს თქმული: „ის იმერელი ისევ ტკბილად მოჰყვება სიმღერას, შენ გადნები და ისევ თავიდან დაიწყება თქვენი რომანი და ერთმანეთის წამებაო“. ეს მოაგონდა ნინოს, წამოიჭრა და დაიძახა:

— არა, მე მოვდივარ.

პალტო ჩაიცვა. უკანა კარებით კორნელი აივანზე გაიყვანა. გასაღები ელოს მეზობლებს დაუტოვა და ქუჩაზე გამოვიდა.

კორნელი გვერდით მოჰყვებოდა. მათი საუბარი არ ეწყობოდა. ვერის ალმართი დუმილით აიარეს. მხოლოდ გრიბოედოვის ქუჩის დასაწყისთან შესდგა ნინო, კორნელის შეხედა, გაფითრდა და უთხრა:

— კორნელი, როდესაც მე თქვენ ცოლობაზე დაგთანხმდით, მაშინ ძალზე გამოუცდელი, მეამიტი და სულელი ვიყავი. ეხლა კი... — ნინომ ბრაზით ტუჩი მოიკვნიტა, შერცხვა, თავი ჩაჰკიდა და ქუჩის ალმართს ნელის ნაბიჯით აჰყვა.

— რისთვის ამბობთ მაგას? — ჰკითხა კორნელიმ და მაშინვე შენიშნა, როგორ შეეშალა ფეხი ნინოს; ქალი მთვრალივით დაბარბაცდა და კორნელის მიუგო:

— მე ის არა ვარ, რაც ვიყავ. ბევრი რამ გამოვცადე, ბევრი რამ გავიგე თქვენს შესახებ.

— მაინც, რა გაიგეთ? — უკმეხად ჰკითხა კორნელიმ.

— ის რომ თქვენ არა ხართ გულწრფელი. თქვენ სცრუობდით. მე თქვენ არ გყვარებივართ. მე თქვენ მატყუილებდით. ნეტავ ვიცოდე, თქვენს მიერ

მოტყუებულ ქალთა შორის, მე მერამდენე ქალი ვარ? ჩასწერეთ თქვენს უბის წიგნაკში, მიუმატეთ ჩემი სახელი და გვარი იმ თქვენს მიერ მოტყუილებულ ქალთა სიას.

ნინოს ცრემლი მოერია. მას საკუთარივე სიტყვები აბრაზებდნენ და უკიდურესობამდე აღაგზნებდნენ.

კორნელი აღშფოთდა და შეაჩერა:

— ნინო, გეყოფათ!

— არა. მე იმიტომ დაგინიშნეთ ეს პაემანი, რომ თქვენთვის ყველაფერი მეთქვა.

— ცუდი პაემანი დამინიშნეთ. — წყენით უთხრა კორნელიმ.

— დიახ. — მიუგო ნაპირსგადასულმა ქალმა. — მეც ვიცი, რომ ცუდია, მაგრამ მე იძულებული ვარ.. უარი გითხრათ თქვენ ცოლობაზე.. მე თქვენი მეშინია.. მე თქვენი არა მჯერა... ნუ მიპასუხებთ. თქვენ გულწრფელი არა ხართ...

ნინოს ხმა აუკანკალდა. საოცრად ამოიოხრა. ჩქარის ნაბიჯით გასწია შინისაკენ, თითქოს ეშინოდა ქუჩაზე არ დავეცე და სახლამდე როგორმე მივაღწიო.

კორნელის თავზარი დაეცა. ერთბაშად გაშრა. ვერაფერი ვერ უპასუხა. მხოლოდ ესა სთქვა:

— განა დამშვიდებით არ შეიძლებოდა მოგველაპარაკნა!

სჯობდა არ ეთქვა, რადგან ქალი აილეწა, აღშფოთდა და ენამწარედ შენიშნა:

— ეს თქვენ შეგიძლიათ, ასეთ რამეზე. დამშვიდებით ლაპარაკი. მე არ შემიძლია. მე მეზიზღება.

ნინო წინა კარებში შევარდა. ბარბაცით აირბინა კიბე, კარებთან შესდგა, მიაწვა და სახელური მოსინჯა. ცოტა ხნის დუმილის შემდეგ კორნელის შეხედა და გაოცდა.

კორნელის ქუდი მოეხადა და თმა ასწეწოდა. თითქო ქარიშხალმა გადაურბინაო. გახევებული და დადუმებული იდგა. მკლავები ჩამოსცვენოდა, თითქო ქარმა ხეს ტოტები მოჰკვეთაო. თითქო ელვა დაეცაო, ისე უცნაურად ანათებდნენ და კიაფებდნენ სიბნელეში მისი თვალები. გულღვიძლსა და ჯიგარზე ცეცხლი ეკიდებოდა. ზეზეულად იწოდა ჭიბუკი.

ნინომ ხელი გაუწოდა და უკანასკნელად უთხრა:

— მშვიდობით. მე ცოლობაზედ უარს გეუბნებით, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ერთმანეთს მტრად უნდა მოვეკიდოთ. ჩვენს დამოკიდებულებაში ბედნიერი დღეებიც იყო. მიპასუხეთ: განა არ იყო? რამ დაგადუმათ? განა არ იყო? — ცრემლმორეული ხმით იყვირა ნინომ.

კორნელი შეირხა. ნინოს მკლავში ხელი სტაცა და უთხრა:

— იყო, არის და იქნება. განა შემიძლია მე თქვენი მტერი გავხდე? ნუთუ თქვენ არა გჯერათ, რომ მე თქვენ მიყვარხართ? განა შემიძლია მე თქვენი მოტყუილება? ნინო, თქვენცა და მეც ჭორების მსხვერპლი შევქმნილვართ. ნინო, ჭორები შეამოწმეთ? ნინო... — დაიძახა კორნელიმ, ქალს სახელო აუწია და, ნაცნობი და საამო სურნელით დაპკურებული ხელთათმანის ზემოდ, შიშველ მკლავზე აკოცა.

ნინომ ხელი გამოსტაცა და ზარი დარეკა. კორნელი ბნელი დერეფნის კედლის სვეტს გაეკრა. კარები გაიღო და ნინო შინ შევიდა.

კედლის სვეტს გაკრული კორნელი ჯვარცმულივით გაშეშდა. ერგვლივ წყვდიადი და საოცარი სიჩუმე დამკვიდრდა. მხოლოდ კორნელის ყურებს გაუდიოდათ ქვილი, თითქო ათასი ჭრიჭინას ძახილი მოესმისო.

უცბად, კარები ოდნავ გაიღო. იქედან შუქი გამოიჭრა და კორნელი გაანათა. კარებში ნინოს თავი გამოჩნდა. თვალზე ცრემლი უბზინავდა. ქალმა სახე და ტუჩები მუდარით წინ წამოსზიდა და კორნელის ჩუმად უთხრა:

— მშვიდობით. ნუ გამკიცხავთ. მშვიდობით.

ნინომ ნელინელ მოჰხურა კარები. ჯერ ნახევარი მისი სახე დაიმალა, მერმე — ცრემლიანი ცალი თვალი და ბოლოს — ყველაფერი დაიხურა, თითქო კორნელის თვალწინ შავი ფარდა ჩამოეშვაო.

კორნელი დიდხანს იდგა თავზარდაცემული და გარინდული. მის თვალებს მუდარით სავსე ნინოს სახე არ შორდებოდა. ცოტა ხნის შემდეგ გონს მოვიდა ჭაბუკი. უმალვე მოსწყდა კედელს, კიბეზე ჩაირბინა და ქუჩაში გავიდა.

წერილის სათავე

„Мы так недавно, так нелепо разошлись"...
ძველი რომანსიდან—„Вернись".

„ყველაფერი გათავდა. სად წავიდე? — ფიქრობდა კორნელი. — ყველაფერი გათავდა. რა მოხდა ასეთი? ამრიგად ფერი რამ უცვალა ნინოს? საბრალო, როგორ ჰლელავდა და თრთოდა! ხანდახან შმაგსა ჰგავდა. საყვედურებით ალმავსო. ვინ შეაეჭვა იგი ასე, რომ არაფერი არა სჯერა ჩემი გულწრფელობისა, ზნეობისა და კაცობისა!? ნეტავი ვიცოდე ვინ გამაშავა? ნეტავი ვინ იყო ის ჭორიკანა და პირშავი? მარგარიტა, ქეთო, ვანო ხომ არა?" — გაუელვა თავში კორნელის და ბრაზისაგან აცახცახდა. ხელფეხი გაუცივდა და ზედ მაგარი კუნთები დაეზიდნენ. „ზურგში ქურდულად დანა თუ დამეც, მაშინ მიფრთხილდი, შეფიცულო მეგობარო! ღალატისა და გაცემისათვის ჩემის ხელებით დაგახრჩობ და ყიამყრალა ხახიდან ამოგაცლი შხამიანსა და გველის წიწილასავით საზიზღარ ენას!" — ფიქრობდა კორნელი და თითები მორიელის კუდივით დაეკრუნჩხნენ, თითქო ვანოს ყელში სწვდა და ყაყრანტოს ამოცლას უპირებსო.

პირველად შეიძულა და გასწირა ადამიანი კორნელიმ ამრიგად. „სჩანს სიყვარული, ძმობა და მეგობრობა მეოცნებეთა მოგონილია და მხოლოდ სიცრუე და ბოროტება სუფევს ამა ქვეყნად". — ფიქრობდა სასოწარკვეთილი კორნელი.

იგი ჭავჭავაძის ქუჩით რუსთაველის პროსპექტზე გავიდა. მოსახვევში მზარეული — ევტიხი სირაძე შემოეყარა, მაგრამ კორნელიმ ვერ შეამჩნია და გვერდზე ჩაუარა. ევტიხიმ მიაძახა:

— კორნელი!

კორნელი შეკრთა და შეჩერდა.

— ჩვენსა ხომ არ ბრძანებულხართ? როგორ არის საქმე? — ყველის ვაჭარივით დაიჭყანა მზარეული.

— ჩემიცა და ქვეყნის საქმეც შავად არის, ჩემო ევტიხი. შავად არის ქვეყნის საქმე. ელოს ქმარს — მხატვარს ვანო მაჭავარიანს რაღა უშავს; საქმე გამოუჩნდა. მიადგეს და შავად ღებოს ეხლა ქვეყანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზარეულმა თვალები დაახამხამა და კორნელის ნათქვამიდან ვერაფერი ვერ გაიგო. გაოცებით მიაშტერდა: რას ამბობსო. კორნელიმ მკლავში ხელი გაუყარა, ცოტაზე გაატარა და სარდაფში მოთავსებულ რესტორნის კარებთან მიიყვანა.

მზარეულმა ისევ გაოცებით შეხედა.

— ჩავიდეთ. ერთი ბოთლი ღვინო დავლიოთ. — უთხრა კორნელიმ.

— რასა ბრძანებთ, ბატონო. თქვენგან პატივისცემა მე არ მაკლია. — თავპატიჟი გაიდო მზარეულმა.

— შურასთან საქმე მოგიგვარებია და უნდა დაგლოცოთ — მიუგო კორნელიმ, ხელი მაგრა ჩასჭიდა და კიბეზე ჩაიყვანა.

მზარეულმა ჩაიცინა, თავი ჩაჰკიდა და რესტორანში დარცხვენით ჩაჰყვა.

ესტრადასთან მაგიდა დაიჭირეს. მოძველებულ კოსტუმში გამოწყობილი, მელოტი ბერძენი პიანინოზე უკრავდა, კისერი მოეღრიცა, კამეჩსავით ბრიალა შავი თვალებით გადმოხედა მოსულთ. ევტიხი იცნო და გაუკვირდა: ამ ლამაზ და ახოვან სტუდენტს მაზარაში გამოწყობილ მზარეულთან რა ესაქმებაო. კორნელიმ გაუღიმა და მიესალმა: მაესტროს ვახლავართო! მაესტროს გაეხარდა. კორნელის, დიდის ამბით, თავი დაუკრა, და მერმე გაშეშებული და ზანგსავით გამურული თითები კლავიშებს გამეტებით დასცხო, თითქო ერთმანეთზე მიწყობილ მორებს ნაჯახით აპობსო.

— იქით გადავჯდეთ, თორემ ეს ოჯახქორი ყურის ბარაბნებს გაგვიხეთქავს. — უთხრა კორნელიმ ევტიხის და დარბაზს თვალი მოავლო, მაგრამ ცარიელი მაგიდა არსად იყო.

— მაგან თათრული სიმღერები იცის. ჩობანსაც საინტერესოდ უკრავს. — მიუგო ევტიხიმ კორნელის, ბუხრის ქუდი მოიხადა, დაკეცა, მუხლზე დაიდო და მაესტროს კმაყოფილი ღიმილით მიაჩერდა. ევტიხიც მელოტი იყო და ქერა-მოთეთრო თმა, გაპუტული ბატის ღინღლივით აქა-იქ შერჩენოდა. კორნელიმ კვეჟო კვინიხზე დაჰხედა და გაიფიქრა: „ეხ, შე უტვინო ევტიხი, ნეტავ იცოდე რა ცეცხლი ტრიალებს ეხლა ჩემს გულშიო“. მერმე მაგიდაზე მაგრა დააკაკუნა, მაგრამ ოფიციანტი არსად სჩანდა. ევტიხი წამოხტა. ბუფეტში მდგარ ღიპიან და ზორბა მიკიტანთან მივიდა. მიკიტანი მთვრალი იყო, თვალებს ნაბავდა და ზეზეულად სთვლემდა. ევტიხი დახლს დაეყრდნო, გადიხარა და მიკიტანს ყურში რაღაც უჩურჩულა. მიკიტანმა კორნელისკენ გაიხედა, ულვაშები გაისწორა, სამზარეულოში გამოჭრილ პატარა ფანჯარასთან მივიდა და დაიძახა:

— აქვსენტი.

მყისვე მოირბინა გრძელულვაშებიანმა ქონდრის კაცმა; კვერნასავით პატარა თვალები კორნელის შეანათა და ჭურჭლის ჭუჭყიანი ტილოთი მაგიდის გასუფთავება დაიწყო.

— რა მოგართვათ? — შეეკითხა იგი კორნელის.

— ჯერ შენი სახელი მაჩუქე. — ღიმილით უთხრა კორნელიმ.

— აქვსენტი, ბატონო! — მეგრულ კილოზე მიუგო ოფიციანტმა.

— სონ ორექ? — შეეკითხა კორნელი.

— მარტვილური. — მიუგო აქვსენტიმ.

— მეზობლები ვყოფილვართ. მა აბაშური ვორექ. — იცრუა კორნელიმ.

აქვსენტიმ მეგრული რომ გაიგონა, გაოცებით მიაშტერდა, სიამით გაეღიმა, თითქო გულზე ფიანდაზა გადაჰფინესო და ამის შემდეგ ოფიციანტსა და კლიენტს შორის მეგობრული, მეზობლური, უხილავი და ინტიმური კავშირი გაიბა.

— აბა, ჩემო აქვსენტი, საუზმე და კახური ღვინო მოგვიტანე. სამტრედიის კუპატები თუ გაქვთ, ის შეგვიწვი.. — შეუკვეთა კორნელიმ ვახშამი.

— ჩემი თავი თქვენ გენაცვალოთ. — მიუგო აქვსენტიმ, მკერდზე ხელი მიიდო, თავი დაჰხარა და წასვლა დააპირა, მაგრამ ევტიხი სკამზე ველარ დაეტია, წამოხტა, მკლავში ხელი გაუყარა და სანოვაგის ასარჩევად სამზარეულოსაკენ გაჰყვა.

კორნელიმ მიიხედმოიხედა. დარბაზში უცნობი ხალხი ქეიფობდა. მოქეიფეთა შორის, ნახევარზე მეტი, მეფის რუსეთის ყოფილი ოფიცრები იყვნენ. ახოვან და დარჩეულ ვაჟკაცებს უეპოლეტო ინგლისური ფრენჩები და ჟილეტისმაგვარი ტყავის სათფურები ეცვათ. ამ თეთრგვარდიელ ოფიცრებს მენშევიკური მთავრობა უფლებას აძლევდა ეცხოვრათ თბილისში და საქართველოს სხვა ქალაქებში. ეს ოფიცრები და ინგლისიდან მოსული საომარი იარაღი მერმე, საქართველოს ტერიტორიით, დენიკინს ეგზავნებოდა. სამშობლოს მოწყვეტილ და ცხოვრებიდან გარიყულ ამ უჯარო ოფიცრებს პირში ინგლისური ჩიბუხები გამოეჩრათ, კაეშნიანი თვალებით იცქირებოდნენ და რუსეთის მომავალ ბედიღბალზე ჩუმად საუბრობდნენ. კორნელიმ ყური მოჰკრა მათ საუბარს:

— აფსუს, ეხლა საქართველო ჩვენთვის უცხოეთია. — სთქვა ერთმა.

— ჩვენ ბოლშევიკებს მოუთავებთ რუსეთში და მერმე საქართველოსთვისაც მოვიცლით. — მიუგო მეორემ.

„გარეწარები. სტუმრებიც ასეთი უნდა". — გაიფიქრა კორნელიმ და ბრაზით შეხედა მათ. ერთმა თვალი უყო მეგობრებს: ასე ნუ ლაპარაკობთო და კორნელისაკენ დარცხვენით გაიხედა. კორნელიმ თვალი გაუსწორა და გასტეხა. ამის შემდეგ ოფიცრებმა კიდევ უფრო ჩუმად დაიწყეს საუბარი და კორნელის ცბიერად გაუღიმეს.

საქვეყნო საკითხზე ფიქრს-დიდხანს არ გაჰყოლია კორნელი, რადგან ისევ ნინოსთან შეხვედრა მოაგონდა. ეხლა თეთრგვარდიელ ოფიცრებს თვალი აარიდა და განზე გაიხედა. კუთხეში ახალგაზრდა რუსი ქალები ისხდნენ და საუბრობდნენ. კორნელის გაუღიმეს, შეეთამაშნენ და რახან მაგიდასთან მარტო იჯდა, მისი ანკესზე წამოგება სცადეს. რა იცოდნენ თუ რა ცეცხლი ტრიალებდა მათთვის უცნობი ჭაბუკის გულში! კორნელიმ მთვრალივით შეხედა მათ და გაიფიქრა: „ესენი უნდა სტიროდნენ და იცინიან. ამ უბედურთა ცხოვრებაც საშინელია. რა მინდოდა აქ? რად ჩამოვიყვანე ევტიხი? მიზანი აღარ არის ჩემს წინაშე. სად წავიდე, ვის მივმართო?"

უაზროდ დააშტერდა სუფრას, რომელზედაც ეხლა აქვსენტი საინებს, დანა-ჩანგალს და საუზმეს აწყობდა. ევტიხი ჩუმად დაჯდა. კორნელი სუფრაზე გადაფარებულ ქაღალდზე უცნაურ სიტყვებს სწერდა და ფანტასტიურ ფიგურებს ხატავდა. ევტიხიმ განცვიფრებით შეხედა და, როცა კორნელიმ თავი ასწია, დამნაშავე ბავშვივით თვალები დაახამხამა, გაუღიმა და ღვინო დაუსხა. კორნელიმ დიდი ჭიქა ასწია, ევტიხის გაბედნიერება მიულოცა და

დასცალა. ღვინომ დარდი ვერ განუქარვა. ისევ უაზროდ დააშტერდა სუფრას და ზედ ფანქრით დასწერა: „ევტიხი ბედნიერია, ევტიხი ადამიანია". მერმე ევტიხის შეხედა და უეცრად შეეკითხა:

— ადამიანი თუ არის ბედნიერი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ზოგი ბედნიერია და ზოგიც უბედური. უბედური ჭარბობს, რაღა თქმა უნდა. — მიუგო ევტიხიმ.

— ინდოელების ღმერთი ამბობს: ადამიანი გინდ მდიდარი და გინდაც ღარიბი იყოს, სულერთია, მაინც უბედური არისო. — უთხრა კორნელიმ.

— ინდოელების ღმერთი რომელია? — ჰკითხა ევტიხიმ.

— ბუდდა. — მიუგო კორნელიმ.

— ბუდურა ყოფილა, — დაასკვნა ევტიხიმ.

— რატომ? — გაუკვირდა კორნელის.

— მაშ, ჩემი ბატონი — ესტატე მაყაშვილი უბედურია? — შეეკითხა ევტიხი და ეშმაკურად გაუღიმა, თითქოს ხომ ხედავ — კამათში გაჯობეო.

— ერთი მასაც ჰკითხეთ. — არ დაეთანხმა კორნელი.

— სიმდიდრე, ქონება და სწავლა მას არ აკლია. ქალი ლამაზი ჰყავს და ჩინებული ოჯახი, მეტი რაღა უნდა. ნინოს რომ შეირთავდე, შენც ბედნიერი იქნები. — დაადგინა ევტიხიმ.

— განსაზღვრულ დრომდე. სიბერეს და სიკვდილს კაცი ხომ ვერ გაექცევა? — ურჩობდა კორნელი.

— სიბერეს და სიკვდილს დაუდგეს თვალი! სიბერე და სიკვდილი მართლაც უბედურებაა, მაგრამ რას იზამ, ადამიანის შვილი მას ვერ გაექცევა. სანამ ცოცხალი ხარ, კარგად უნდა მოსჭამო ეს წუთისოფელი და დრო გაატარო. — ასწავლა ევტიხიმ.

— ყოჩაღ. შენ თავისებური ფილოსოფოსი ყოფილხარ, მაგრამ ეს მითხარი: ღვიძლის და ახლობლის სიკვდილი, ან საყვარელი არსების განშორება ხომ სატანჯველია? — ჰკითხა კორნელიმ.

— სატანჯველია, მაგრამ რას იზამ — უნდა გაუძლო. — მიუგო ევტიხიმ. მერმე თვალები აუციმციმდნენ და კორნელის გულითადის ხმით შეეკითხა: — კორნელი, გენაცვალე სულში, თუ არ გეწყინება, მითხარი — ბატონის ქალთან როგორ არის თქვენი საქმე?

— ისე, ასე.. — მიკიბმოკიბა კორნელიმ.

ევტიხიმ დიდი ჭიქით დალია კორნელის სადღეგრძელო და „ნინოზე გაბედნიერება" უსურვა.

დარბაზში ხმამაღალი ლაპარაკი, სადღეგრძელოები, ყიჟინი და სიმღერები თანდათან მინელდა. ბევრმა ქეიფი გაათავა, ანგარიში გაასწორა და ქუჩაზე ავიდა. ნაშუაღამევს რესტორნის დარბაზში სამი საეჭვო ყოფაქცევის ქალი, ექვსიოდე რუსი ოფიცერი და კორნელი და ევტიხი დარჩნენ.

უცბად ესტრადაზე ქერა, ლამაზი და ახოვანი ოფიცერი ავიდა, მაესტროს ადგილი დაიკავა. პიანინოზე აკორდები აიღო და საამო ბარიტონით ძველებური, ნაღვლიანი რომანსის სიმღერა დაიწყო:

«Я помню вальса звук прелестный...»

დარბაზში დარჩენილმა, მოქეიფე ხალხმა ტაშისცემით დააჯილდოვა მომღერალი. განსაკუთრებით ქალებმა აიკლეს იქაურობა. კორნელი კი უფრო დასევდიანდა. ოფიცერმა კიდევ სამი რომანსი იმღერა და [illegible]. ყველაზე უკედ — უკანასკნელი: „Вернись“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც ერთი რომანსი არ ჩაწვდენია კორნელის სულსა და გულში ისე და იმრიგად, როგორც ამჟამად მოსმენილი ეს ძველებური, დრომოჭმული რომანსი და ამ რომანსის ბანალური სიტყვები. კორნელი გაოცდა: „თითქო მომღერალმა იცოდაო ჩემი გულის დარდები“. ყოველივე ეს კორნელის გემოვნების ნაკლს როდი შეადგენდა, ვინაიდან ხშირად მათხოვრის დანჯღრეულ არღანზე და სოფლის ბიჭის გულუბრყვილო გარმონზე მოსმენილი საცოდავი, ბანალური და ძველისძველი მოტივიც კი გამხდარა გამოჩენილ მუსიკოსთა, პოეტთა და მწერალთა შედევრების შექმნის სათავეთ და საბაბად. კორნელისა და რომანსში გამოთქმული განცდები ერთმანეთს ეხმიანებოდნენ, ეს ერთგვარი ტრამპლინი იყო, რამაც ულრმეს და უმძაფრეს შეგრძნებისათვის მომართა კორნელის არსება. ჭაბუკის თვალები უცნაურის ძალით აღენთნენ. ყოველი მისი ძარღვი მომართულ ჩანგის სიმივით დაიჭიმა, მის ყურებში განუწყვეტლივ ჟღერდნენ განუკურვნელი სევდისა და კაეშნის შემცველი, ნაღვლიანი სიტყვები: „Мы так недавно, так нелепо разошлись“.

„არა, შეუძლებელია ასეთი უაზრო და უსაფუძვლო განშორება. შეუძლებელია“. — კინაღამ არ დაიძახა კორნელიმ. ჭიქაში ჩარჭობილი თხელი ქაღალდის ხელსახოცი აიღო და ზედ ფანქრით სულმოუთქმელად დასწერა:

„ძვირფასო ნინო, მივდივარ და არ ვიცი — სად, რატომ და რისთვის? მიზანი ალარ არის ჩემს წინაშე. ყოველივე ეს ნეტავი რისთვის მოხდა? ნუთუ იმიტომ, რომ ჩემს ბედის წიგნში მხოლოდ წამება სწერია. მე ახალი ცხოვრების დაწყებას ვაპირებდი, მთელის ჩემის არსებით და გატაცებით და ეხლა გშორდები სრულიად გაძარცული. გულშია მხოლოდ ტკივილი, ტანჯვა საშინელი. მე ეხლაც ვახერხებ ღიმილს, მაგრამ ეს ღიმილია იმ ადამიანისა, რომელიც ჯარგა ხანია რაც გარდაიცვალა. მიმყვება თქვენი სახე — ბავშვური, სუფთა, წმინდა, შეურყვნელი და უნაზესი, რომლის ღირსი არა ვარ, არ ვიყავი (ამას ყოველთვის ვგრძნობდი) და რა საჭირო იყო ჩვენს ურთიერთობაში მესამე პირის ჩარევა? განა გამბედაობა არ შემწევდა თვითონვე მეთქვა თქვენთვის ყოველივე? რად დაუჯერეთ ჭორებს? ბრალდებებს რომ მიყენებდით, პასუხიც უნდა მოგესმინათ. თქვენ ეს არ ისურვეთ და ეხლა რა გაეწყობა! სჩანს თქვენ მე, მართლაც, არ მიცნობდით, მე კი მეგონა — ჩვენ ერთმანეთს სავსებით ჩავწვდით. დაიავ ტკბილო, დაიავ დაუვიწყარო, ჩამოიხედეთ ღრმად და დაკვირვებით ჩემს სულსა და გულში. ჩემი გადარჩენის და ჩემი დაღუპვის სათავეც თქვენ ხელთ არის. მოეპყარით ფრთხილად და ფაქიზად თქვენდამი არსებულ ჩემს გრძნობას, რომლის გამჟღავნება თქვენს

წინაშე ვერ მოვახერხე მე სათანადოთ, ვერ შევსძელი, რომ ერთხელ და სამუდამოდ დარწმუნებულიყავით ჩემს კაცობაში, ზნეობაში და არ წამოგცდენოდათ ჩემს შესახებ: „არაგულწრფელი“. თუ ასე იფიქრებთ, სულის შეგნებით გეუბნებით, მაშინ, — სიკვდილი მიჯობს. ეს არ არის ნოლაბი და ბოზა, არც, თავის შეცოდება და არც მუდარა. დეე, ყოველივე რაც უნდა მოხდეს, აღსრულდეს!

მშვიდობით. იყავით ბედნიერი. მაპატიეთ იმ ტკივილებისათვის, რომელიც მე თქვენ მოგაყენეთ. ნუთუ ჩვენი კავშირი ასე უნდა გათავდეს! შეუძლებელია ჩვენი ასეთი უსაფუძვლო და უაზრო განშორება. „Мы так недавно, так нелепо разошлись!“ ველი პასუხს.

კორნელი“.

მკვდრის მზე

„Tristi fummo
Nell aer dolce dal sol s'allegra“...
დანტე.

„ჩვენ ვიყავით ნაღვლიანი
მშვენიერ ჰაერში, რომელიც ზეიმობს მზითა“.

გავიდა ხანი და ეხლა კი გამოირკვა — სად, რატომ და რისთვის უნდა წასულიყო კორნელი. 1919 წლის გაზაფხულზე ოსმალეთმა ისევ შემოუტია საქართველოს და კორნელიმ სამშობლოს დაცვა და თანაც საყვარლისათვის გმირობის ჩვენება გადასწყვიტა.

რესტორანში დაწერილ წერილზე ნინოსაგან ჯერაც არ ჰქონდა კორნელის მიღებული პასუხი და იგი ქალაქში მოწყენილი დაეხეტებოდა. ქუჩაზე მიმავალთ როდი ამჩნევდა ჰაბუკი. ფიქრებში წასული და გვერდულად შებრუნებული მისი მეოცნებე თვალები სადღაც შორს, უცხო მხარისაკენ იცქირებოდნენ. ასეთი ხედვა გრიგოლ ცაგურიშვილისგან ისწავლა მან. ამ წუთას მისი თვალები ვერის დაღმართიდან გამოჩენილ კავკასიონის ქედებს და მყინვარს გასცქეროდნენ.

გზაზე კორნელის მეგობარი — გიგა ნახუცრიშვილი შემოეყარა. 1918 წელს ისინი ჯარში იყვნენ და პირველი ნათვლა ასპინძის ომში მიიღეს. ეს ის დრო იყო, როდესაც ოსმალეთი ბათომს, ახალციხე-ახალქალაქის მაზრებს იკავებდა. ეხლა კი 1919 წელი იყო და ისევ ჯარისკაცის მაზარაში რომ ნახა გიგამ კორნელი, — გაუკვირდა:

— კაცო, შენ კიდევ ჯარში ხარ?

— განა არ იცი, თურქებმა რომ ისევ შემოგვიტიეს? უკან დაახევინეს ძალლთაპირებმა გენერალ მაყაშვილის ჯარებს ახალციხის მაზრაში. — მიუგო კორნელიმ.

— როგორ არ ვიცი.

— ჰო და, აგაშენა ღმერთმა. — ნიშნის მოგებით უთხრა კორნელიმ.

— ომებს თუ მიჰყევი, ომი ჩვენს ქვეყანას, როგორც ვატყობ, ყოველთვის ექნება. — გაეხუმრა გიგა.

— მაშ არა და, შინ დავჯდები ცხელ ბუხართან, თურქებმა კი ახალციხე და ახალქალაქი დაიკავონ, რას დავეძებ! მე ანგრე რომ არა ვმსჯელობ, შენ მაინც ხომ იცი. — ეხლა უკვე პატრიოტულ ჰანგებზე მღეროდა კორნელი.

— ვიცი, მაგრამ ცოდვა ხარ, ბიჭო. ამდენ ომებსა და დავიდარაბაში ხიფათი რამ არ შეგეყაროს. — გააფრთხილა გიგამ.

— დავრდომილს რაღა ხიფათი უნდა შეეყაროს, ხოლო ჯანსაღნი თუ კი ბრძოლას გაექცნენ, ქვეყანა ვინღა დაიცვას?! და მერმე: უხიფათო სიცოცხლე განა არსებობს? — შეეკითხა კორნელი.

— სიცოცხლე მაინც ტკბილია. — მიუგო გიგამ.

— ეხ. — უიმედოთ ჩაიქნია ხელი კორნელიმ.

წინად, და, განსაკუთრებით კი, ამ ბოლო ხანს კორნელი სიკვდილს ისე ხეპრედ ეკიდებოდა, თითქო არ კი ეშინია მისი, არამედ ეთამაშება კიდეცო. მისი ასეთი ახირება, სასოწარკვეთილება და კაეშანი ნინოსთან განშორებით და პირადი ზრახვების მიუღწეველობით აიხსნებოდა.

— ყოველი ადამიანის ცხოვრებაში დადგება წამი, როდესაც იგი შეიგნებს, რომ სიცოცხლე სიკვდილის მიერ დაგებული ხაფანგი ყოფილა. — დაიწყო კორნელიმ.

— ურწმუნო ადამიანი საცოდავია. კორნელი, შენ ისევ შემცდარ გზას ადგეხარ.

ეს გიგა ნახუცრიშვილის ნუგეშინი და გაფრთხილება იყო. ასეა მოწყობილი ადამიანი, რომ თუ თითონ დაღუპული არ არის, ხიფათში მყოფს და წყალწაღებულს უნდა მიეშველოს, ხელი გაუწოდოს.

კორნელიმ ეშმაკურად გაიცინა და, გრიგოლ ცაგურიშვილისამებრ, ცალგვერდა ცქერით შემოჰხედა. მის დიდრონს, შუქიანს, უცნაურსა და ჭკვიან თვალებს მეგობრის მზამზარეული და ყოველ-შემთხვევისათვის თქმული, გაცვეთილი სიტყვები განა გამოეპარებოდა?

ვერის ხიდზე გავიდნენ.

მთებსა და ვერის ბაღებს მწვანე ფერი დასტყობოდათ. მარტის თვე იყო. მზე ჩადიოდა ცეცხლმოდებულ ღრუბლებში. საამური დაისი იდგა და ჰაერში ნაადრევი გაზაფხულის სიო იგრძნობოდა, ხოლო მთვარესავით მკრთალი მზის სხივები, უცნაურად აშუქებდნენ ხის კენწეროებს.

— მკვდრის მზე! — სთქვა კორნელიმ.

გიგამ ველარ მოითმინა და უთხრა:

— ბიჭო, რადა ხარ ასეთი? შეხედე: განა ქვეყანა მშვენიერი არ არის?

— მით უარესი ჩვენთვის! — მიუგო კორნელიმ. მაგრამ რახან დღეს გიგამ გაზაფხულის მოახლოვება პირველად იგრძნო, კორნელის კაეშანმა ვერ წაშალა გულს ჩასახული აღტაცება და სიხარული. გიგამ ისევ გაჰხედა მიდამოს. ყორლანოვის ქუჩისა და ამ ქუჩის ბოლოს აღმართულ ეკლესიის გალავნის ქვემოდ, მთის ფერდობზე ჭერამისა და ატმის აყვავებული ხეები შენიშნა და დაიძახა:

— ჭერამი აყვავებულა!

კორნელი ხიდზე შესდგა. შეხედა და გაიღიმა.

მისი თვალებიც, თითქოს აყვავდნენო. ახლად ამოწვერილი ულვაშით დაფენილი ზედა ტუჩი აებზიკა და ბავშვივით წამოიძახა:

— მშვენიერია!

გიგას გაუკვირდა. კარგა ხანია რაც არ ენახა კორნელის სახეზე ეიხარულისა და აღტაცების ასეთი გაელვება. ბავშვობაში იცოდა მან ასეთი სიცილი, ასეთი გულუბრყვილო და უმწიკვლო ღიმილი, მაშინ რომელსაც ტოლებთან ერთად, ხელთოფებს აკეთებდნენ და პანტავაშლით ებრძოდნენ ერთმანეთს გვიმრაში ჩასაფრებულნი.

კორნელის ეჩქარებოდა, სადგურზე ჯარისკაცებით, ცხენებით და ქვემეხებით დატვირთული ვაგონები, ბორჯომისაკენ მიმავალი მისი ეშელონი იდგა. კორნელის ისევ უხილავი სევდა აღებეჭდა სახეზე. გიგამ და კორნელიმ ერთმანეთი გადაკოცნეს. მერმე კორნელი, სანაპირო ქუჩაზე დეიდას დაემშვიდობა და სადგურისაკენ გასწია.

ახალციხისა და ახალქალაქის მაზრაში მცხოვრებმა მუსლიმანებმა, ოსმალეთის დახმარებით, ქართული ჯარის ნაწილები დაამარცხეს და ზემოდ აღნიშნული ორი მაზრა თითქმის მთლიანად დაიკავეს. მაზრების დაბრუნებას ხანგრძლივი ომი დასჭირდა.

მთელი დღით ნაბრძოლებ იმ ბატარეას, რომელშიაც კორნელი ირიცხებოდა, ღამით პოზიცია შეაცვლევინეს, ჯარისკაცებმა სამთო ქვემეხებს ცხენები შეუბეს, დაჭრილ-დახოცილნი ფურგონებზე მოათავსეს და მერმე, დაღამდა თუ არა, ტყით დაფენილ მაღალ მთისაკენ გაეშურნენ.

წინ ბატარეის უფროსი — კაპიტანი სანდრო ალექსიძე, მისი თანაშემწე — შტაბს-კაპიტანი ბერეჟიანი, მეთაურები და მზვერავები მიდიოდნენ.

ბატარეის ქონების გადაზიდვას ფურგონები აღარ ეყო და მათ უკან დატვირთული ურმები ზლაზვნით მიჰყვებოდნენ.

ჯარისკაცები დიდის ვაივაგლახით მიდიოდნენ სოფელ კარჩხალის უხეირო გზით. ნისლიანი ღამე იყო და მეგზურნი შუბებზე წამოგებულ ჭრაქებითა და ჩირაღდნებით უშუქებდნენ გზას. ქვემეხები ორმოებში ვარდებოდნენ, გზაზე დაყრილ ლოდებზე ბორბლები ვერ გადადიოდნენ და ჯარისკაცები შეძახილით და ერთის ყიჟინით აწვებოდნენ ქვემეხებს.

მარჯვნივ მაღალი მთა იყო აწვდილი, ხოლო მარცხნივ — თვალუწვდენი ნაპრალი იმუქრებოდა. ფრთხილად იყო საჭირო სიარული, რომ ჯარისკაცს ან ცხენს ფეხი არ დასცდენოდა და გზიდან ნაპრალში არ გადაჩეხილიყო.

კორნელიმ უზანგების მარყუჟში ფეხები გაუყარა, დაგორგლებული საბანი უნაგირზე დასდო, ზედ დაემხო და მალე დაეძინა. აღვირმიშვებული ლურჯა ნელა მიდიოდა: მძინარი ჩემი მხედარი არ გადმოვარდესო, ფრთხილობდა. როცა კორნელის ტანის სიმძიმე მარჯვნივ ან მარცხნივ გადასძლევდა, მაშინვე შეჩერდებოდა, დაიხვიხვინებდა, ყურაცქვეტილი თავს მხედრისაკენ მოიქცევდა, ჭკვიანის თვალებით შემოჰხედავდა და, სანამ კორნელი უნაგირზე არ გასწორდებოდა, ფეხსაც არ გადასდგამდა.

აღმართი გათავდა. ბატარეა მთის ტაფობზე გავიდა. ვაკეზე ჯარისკაცებმა, წყვდიად ღამეში მოკიაფე, შორეული ხანძარი დაინახეს.

ოსმალთა მიერ მიტოვებული სოფელი იწოდა უმოწყალოდ.

ცამდე ავარდნილი ცეცხლის ალი ბოროტად იკლაკნებოდა მუნჯსა და ბნელ ღამეში, თითქო უბედურების მაცნეთ მოვლენილაო.

ჯარისკაცთა ძახილი და ყიჟინა ერთბაშად შესწყდა. ეხლა ბნელი ღამის სიჩუმეს დაჭრილთა კვნესა, ქვემეხთა ბორბლების გრიალი და უზანგების ღაღარუნი არღვევდა მხოლოდ.

ხანძარს გვერდი აუქციეს და ისევ აღმართს შეუდგნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმოსავლეთით იდარა, ცაში ნათელი ჩადგა და რიჟრაჟმაც მოატანა, მაგრამ მერმე ისეთი ნისლი და მურისფერი ჯანღი წამოვიდა, რომ კაცი კაცს ერთ ნაბიჯზე ვერ გაარჩევდა და უკუნის მაგვარ წყვდიადს ეხლა აბრიალებული ჩირაღდნებიც კი ვერ არღვევდნენ.

წვიმის წინწკლები წამოვიდა. ისე გულდაგულ ჟინჟღლავდა და სცრიდა, რომ ამრიგად კოკისპირული წვიმაც კი ვერ დაასველებდა კაცს.

ტყე ერთბაშად გათავდა, ჯარისკაცები ველზე გავიდნენ და ერთ პატარა სოფელთან დაბანაკდნენ.

ქვემეხებიდან ცხენები გამოხსნეს; საბმური გამართეს. ქვემეხებთან და ბატარეის ქონებასთან ყარაულები დააყენეს. მერმე მოშივებულნი სოფლისკენ გაეშურნენ.

ძიწური სახლის გვერდზე ქალი ძროხას წველიდა სახელდახელოდ.

ეს სოფელი გახიზნული ეგონა კორნელის და შიგ რომ სიცოცხლის ნიშანწყალი შენიშნა, გაუკვირდა. თუმცა სულ მალე დარწმუნდა თუ რა ყოფაში იყვნენ ამ სოფლის მცხოვრებნი: ყოველი მიწურის წინ ბარგიბარხანით დატვირთული ურმები იდგნენ და გუშინ რომ ოსმალებს კარჩხალში გაემარჯვათ, მაშინ ამ ურმებსა და სოფლის ხიზნებს ცხრაწყარო ექნებოდათ გადავლილი. ეხლა კი, კარჩხალში ოსმალთა დამარცხებისა და ქართული ბატარეის აქ მოსვლის გამო, იმედი მისცემოდათ, ჯარისკაცები სიხარულით მიიღეს, პურით, ყველით, რძითა და კვერცხით გაუმასპინძლდნენ.

მაისი იყო, მაგრამ ამ ნისლიან დილით მთაში საშინლად ციოდა. ბატარეის „ბიჭებს“ კოცონი დაენთოთ, ცეცხლს შემოსხდომოდნენ, ზედ ეფიცხებოდნენ და ტანსაცმელს იშრობდნენ. მაზარებსა და ჩექმებზე ორთქლი სდიოდათ.

კორნელიც ცეცხლის პირას წამოწვა. ცეცხლს მკერდი მიუშვირა და ამხანაგის მუხლზე თავი მისდო. სველი საცვლები ტანზე ცივ ტილოსავით ეკვროდა. უფრო ახლოს მიუჩოჩდა კოცონს, დაღლილსა და დაქანცულ ამხანაგებს— ჭაბუკ სტუდენტებს და მოხალისეებს თვალი მოავლო. საცოდავად მოკუტული, ფუფუნებაში აღზრდილი მელენტი ლეჟავა ბატარეის მამაც ფეიერვერკერს— სანდრო ხოტივარს ჩაჰხუტებია. სანდროს კი მიტო ჩიკვაიძის განიერ მკერდზე მიუდევს თავი. იქვე, თბილისიდან ეხლახან ჩამოსული, გიგა ნახუცრიშვილი იწვა გულალმა, ყანაში მუშაობით დაღლილ გლეხივით. შრომით დაკოჟრებული და ტალახში ამოსვრილი ვეება ხელები მკერდზე დაეწყო. აგერ, ბატარეის ჯარისკაცთა სულისჩამდგმელი, კუკური ზარანდია არხეინად წაგორებულა შავგვრემანი ჯავახელი ვაჟკაცის — გიორგი ველჯანიშვილის გვერდით.

ბრძოლაგადახდილი ჯარისკაცები, რატომღაც უფრო საყვარელ და ახლობელ მეგობრებად ეჩვენენ კორნელის. ბავშვურის სიმშვიდით და უდარდელობით ეძინათ მათ მთის მაღალ ტაფობზე.

კაპიტანი სანდრო ალექსიძე კი ფხიზლობდა, ბატარეისათვის ზრუნვას, მეთვალყურეობას, განკარგულებათა გაცემას, გარჯასა და ჯაფას დაეღალნა. მაზარის ღილები გაეხსნა და საყუმბარე ყუთზე ისე დამჯდარიყო. ხელის გუ-

ლები ცეცხლზე მიეფიცხნა და უძილო თვალებით სინჯავდა თავის ჯარისკაცებს.

კაპიტანს შეეცოდა ისინი.

— როგორ დახოცილებსავით სძინავთ, საცოდავებს! — უთხრა მან თავის თანაშემწეს ბერეჟიანს — ქერას, მაღალსა და გამხდარ მეთაურს.

— ამათი ომი, მართლაც საცოდაობაა! — მიუგო ბერეჟიანმა და ცისფერი თვალები ცხვირსახოცით ამოიწმინდა.

— განა ესენი ცუდი მეომრები იქნებოდნენ, საჭირო წურთვნა რომ გაეარათ? აი, დედასა გორისასა, — დაიკვეხნა იმპერიალისტურ ომში ნამყოფმა მამაცმა კაპიტანმა. — ერთხელ... — დაიწყო მან მშვიდად ომში მომხდარი ეპიზოდის მეასეჯერ მოყოლა.

კორნელი ყურს უგდებდა. მერმე კაპიტანი დადუმდა. ტყავის ჩანთიდან წერილი ამოიღო და კითხვა დაიწყო. ერთ ადგილას გაეღიმა. კორნელი დააკვირდა: კაპიტანი მწითური, ბრგე ვაჟკაცი იყო, წვერი გაუპარსავი ჰქონდა და თმას სახეზე ჯაგარსავით ამოეწვერნა. ქარმა დაუბერა, მაზარა გადაუწია და ფრენჩის მკერდზე წმინდა გიორგის ორდენი გამოუჩინა. „საოცარი ხალხია ეს მხედრები, — გაიფიქრა კორნელიმ, — წლობით სწავლობენ შეიარაღებულ ადამიანთა ხელმძღვანელობას, ადამიანთა ათასობით ხოცვასა და ომს. წლობით ემზადებიან იმისათვის, რომ ერთ მშვენიერ დღეს, ცხარე ბრძოლაში, იერიშის დროს გაიმარჯვონ, სასიკვდილოდ დაიჭრან ან განიგმირონ კიდეც". — ფიქრობდა კორნელი და ისევ აკვირდებოდა კაპიტანის მშვიდსა და წყნარ სახეს. „ისე არხეინად ზის კაპიტანი ცეცხლის პირას, ისე დამშვიდებული კითხულობს წერილს და იღიმება, თითქო ხვალ, ან ამ რამდენიმე საათის შემდეგ სრულიადაც არ ელოდეს არავითარი ხიფათი! ვინ იცის ვისგან არის ეგ წერილი? იქნებ დედამ, ან კაპიტანის გმირობითა და ვაჟკაცობით მოჯადოებულმა სატრფომ გამოუგზავნა!" — ფიქრობდა კორნელი და სატრფოს ხსენებაზე ნინო მოაგონდა და მასაც თავის გამოჩენა და რაიმე გმირობის ჩადენა მოუნდა, მაგრამ დიდხანს არ გაჰყოლია ამ ფიქრებს, რადგან მალე თვლემა მოეკიდა.

კაპიტანთან ზემდეგი მივიდა, გლეხები მიუყვანა და შეატყობინა:

— ექვსი ურემი ღამით ბატარეას ჩამორჩენია და ლაფსა და ორმოდან ვეღარ ამოჰყავთ.

კაპიტანმა მძინარ ჯარისკაცებს თვალი მოავლო. კორნელის ისევ ძილი ეკიდებოდა და უმწეოდ ლულავდა თვალებს, ხოლო სავალალო ამბავი რომ გაიგონა, მაშინ სრულიად დახუჭა თვალები. ეშინოდა: კაპიტანმა იმ ურმების ხევიდან ამოთრევა მე არ დამავალოსო. როცა, ცოტა ხნის შემდეგ, თვალები გაახილა, კაპიტანმა თვალი გაუსწორა და დაუძახა. რალა ჯანი იყო: წელმოწყვეტილი წამოდგა და უფროსის წინაშე განწირულივით გაჩერდა. კაპიტანმა დაზარება შეატყო და უთხრა:

— ცოდვა ხარ, ბიჭო, მაგრამ რა გაეწყობა: შენ ამათზე უფრო ყოჩაღი მებრძოლი ხარ, წაიყვანე ეს გლეხები, ხარები გაარეკინე და ლაფში ჩაფლული ურმები საჩქაროდ აქ ამოატანინე. ხომ იცი, იმ ურმებზე ყუმბარები აწყვია, ხოლო ჩვენ ეხლა ყოველი ყუმბარა მილიონად გვიღირს. გასწი, თორემ ცოტა ხნის შემდეგ ჩვენ ახალ პოზიციაზე გავალთ და შენ იქ საჭირო იქნები.

— მესმის! — მიუგო კორნელიმ. თავისი ლურჯა შეკაზმა, ხუთი გლეხი შეარჩია, ხარები ხევისაკენ გაარეკინა და, მოცემულ ამოცანის შესასრულებლად, დალმართისაკენ გულმოკლული და ამრეზილი გაეშურა.

ისევ ხევისაკენ მიმავალ, ვაივაგლახით ამოვლილ უხეირო გზას დაადგნენ. კორნელიმ უკან მიიხედა: სოფელი, ბატარეა და კოკონი ნისლში იყო გახვეული და არაფერი არ სჩანდა.

ეხლა ცეცხლის პირას არხეინად წამოწოლილ მეგობართა მიმართ შეკ დაებადა: „რათა შვილო, რატომ მაინცა და მაინც მე ამომიღო ნიშანში კაპიტანმა, განა სხვას ვერ დაავალებდა?!“ — გლეხებს დამუნჯებული მიჰყურებოდა და ფიქრობდა: „ხევიდან ურმების ამოყვანა რა გმირობაა!“ ცოტახნის შემდეგ ყველაფერი ნისლში გაეხვია, საოცარი სიჩუმე ჩამოვარდა და კორნელი შეშინდა: „ვაი თუ ოსმალნი თავს დაგვესხნენ. ორი ამ გლეხთაგანი თათარია, ორიც საეჭვო ტომისა. ქართულს ძლივს ახერხებენ და, ვინ იცის, ამ უკაცურ ტყეში ხიფათი არ წამკიდონ!“

ხევიდან უჩუმრად მოდიოდა ნისლი და გზას ეფინებოდა. მეგზურებად კორნელიმ ადგილობრივი სოფლის ორი გლეხი გაუშვა. თათრები კი თავისთავთან დატოვა. ბოლოს ძახილი შემოესმა.

ტალახში მუხლამდე ჩამდგარი მეურმეები ამაოდ ცდილობდნენ ლაფში ჩაფლულ ურმების ამოყვანას. ხარები დიდს ჭაპანწყვეტაში იყვნენ, მაგრამ ურმებს ადგილიდან ვერ სძრავდნენ, გამწარებული და იმედგადაწყვეტილი მეურმეები გამეტებით სცემდნენ სახეში სახრეს. აქელებული პირუტყვები უღელს აწვებოდნენ, თავს არ იზოგავდნენ, მაგრამ ვერას აწყობდნენ და დამნაშავესავით აბრიალებდნენ მეურმეებისაკენ შეშინებულსა და ცრემლიან თვალებს. მეურმეებს მაშინვე აუკრძალა კორნელიმ პირუტყვთა ცემა. მოდენილი, უღლიანი ხარები ყუმბარებით დატვირთულ ურმებს ჯაჭვითა და თოკებით შეუბეს და ორმოდან ასე ამოათრიეს. ეხლა ყუმბარებით დატვირთული ექვსივე ურემი აღმართზე მძიმედ მიჭრიალებდა.

მზის სხივებმა ნისლი აჰყარეს მთის მწვერვალებს. ნისლი მთის ფერდობებიდან დაბლა მისცურავდა და ხევებში მიიპარებოდა. როცა მეურმეებმა აღმართი აიარეს, მაღალი მთის სახედიდან, დაბლა ველი გამოჩნდა. ნისლი ველზეც აყრილიყო.

მოულოდნელად ხევიდან შაშხანამ დაიჭექა და ტყვიამ კორნელის ყურთან ზუზუნით გაუარა, ცხენიდან ჩამოხტა და სადავე გლეხს მიუგდო.

უცბად ურემში შებმული ხარი შეტოკდა. უღონოდ დაუცურდა სველსა და შიფერის დაფასავით მოშავო სიპზე ორად გაყოფილი, ნალიანი ქაჩაჩი და განაფხაჭი სიპზე ცარცით გავლებულ ხაზივით დარჩა, თითქო იეროგლიფების ძაგვარი, გამოუცნობი წარწერა გააკეთაო. ხარი მუხლებზე დაეცა. ყბა ლოდს დააჯახა, ქშენა აუვარდა და გასისხლიანებული ენა გადმოაგდო. მერმე თავი ცისაკენ ასწია, ნაღვლიანი თვალები აღაპყრო და აჰხედა წინ აღმართულ, მოშიშვლებულ მთას — საზაფხულო საძოვრებს და უმწეოდ დაიბღავლა, თითქო ამ ალიონზე მზის ამოსვლას შეევედრაო. მაგრამ მალე მთელის ტანით აკანკალდა, მუცელი რუმბივით გაებერა და დედამიწაზე წაიქცა.

ტყვიამ ისევ ახლოს გაიზუზუნა, ერთი ურმის ბორბალს მიერჭო. შეშინებულმა გლეხებმა ურმები და პირუტყვები მიატოვეს და გაიქცნენ. ერთიც კორნელის ლურჯაზე აპირებდა შეჯდომას, მაგრამ ცხენი არ დაჰნებდა. კორნელიმ დასჭყივლა, შაშხანით დაემუქრა და ყველანი უკანვე გამოაბრუნა. მკვდარი ხარი მეურმეებს უღლიდან გამოაშვებინა, გზის პირას დააგდებინა და უღელში მარჭაფად მყოლი მეორე ხარი შეაბმევინა. შაშხანით შეიარაღებული

ერთი ქართველი გლეხი ქარავანს გააყოლა. თანაც სოფლისაკენ აჩქარებით სვლა და მომხდარი შემთხვევის კაპიტანისათვის შეტყობინება უბრძანა.

ქარავანი ალმართს შეუდგა. ბოლოში მიმავალი ურემი მოსახვევს ორომ მიუახლოვდა, აყლაყუდა შავწვერა გლეხმა კორნელის უცნაურად შეეხედა. შიშისგან გამოლენჩებულ სახეზე მიწისფერი დასდებოდა. კორნელის შაშხანა ზიზღით შეათვალიერა. ამ დროს ისევ სროლა შემოესმა. ოთხად მოიკეცა. მერმე ალმართზე მიმავალს, წელში გაწყვეტილ ხარს შუბლზე გამეტებით გადაუჭირა სახრე და რქაზე გადაუტყდა. — მხდალო, ჯაბანო! — მიაძახა კორნელიმ და ის მეურმე რატომღაც შესზარდა.

ამ გარემოებამ ბრძოლისათვის წააქეზა კორნელი და, როცა ქარავანი მოსახვევს მოეფარა, თავისი ლურჯა ხეზე მიაბა, თვითონ კი გზის პირას, ერთ დიდ მუხის ქვეშ შაშხანით ჩაესაფრა.

ხევისაკენ ცქერა დაიწყო. ხევში პატარა მდინარე მიდიოდა. ნაპირების გასწვრივ ტირიფები ჩარაზმულიყვნენ. მალე ტირიფებში უცხო ჯარისკაცები შენიშნა კორნელიმ. ასკერებად შეიცნო. ათამდე იქნებოდნენ, ხიდან ხისაკენ გადარბოდნენ. კორნელის გულისძგერა აუვარდა. შაშხანას მოჭედილი თავისი ხელი რომ დაინახა, გაუკვირდა: ხელი საშინლად უკანკალებდა და ზედ მკვდრისფერი დასდებოდა. „მხდალო, ჯაბანო“, — შეუწყრა ეხლა საკუთარ თავს. ისე გაიქცნენ ასკერები ტყისაკენ, რომ ვერც ერთი მათგანის მიზანზე აღება ვერ მოასწრო. „ვაი, შენ ჩემო თავო, ეს რა დამემართა!“ — გაიფიქრა კორნელიმ და მაშინვე მდინარიდან ნაპირზე ასკერი ამოვიდა. ჯერ ბეკზე შაშხანა შემოსდო, მერმე ზედ ხელის გულებით დაებჯინა და ასე ამოცოცდა. ტირიფების ხეივანი ფრთხილად გაიარა. შაშხანა მოიმარჯვა და მინდორში განმარტოებით მდგარ ვერხვთან შეჩერდა. მაღალი და ახოვანი ვაჟკაცი იყო. ვერხვის ტანს მიეყრდნო და შაშხანა მთისაკენ გამართა. „ალმართზე მიმავალ ჩვენ ქარავანს თუ მოჰკრა თვალი!“ — გაიფიქრა კორნელიმ. ასკერი უთუოდ მოუსაზრებლად მოიქცა: ვერხვის თეთრ ტანზე მისი თავი დახატულივით ჩანდა. ნიშანში ამოღება ადვილი იყო. ასკერის თავი კორნელიმ შაშხანის ნიშანზე სწორად დასვა, მაგრამ მტერმა მოასწრო ურმებისაკენ გასროლა და შეირხა. თავი ნიშანს ასცდა. ასკერმა ცარიელი ვაზნა შაშხანიდან ამოაგდო, ახალი მისცა ლულაში და შაშხანა ისევ გამართა. მეორედ ამოიღო კორნელიმ ნიშანში მისი თავი. „იქნებ მანძილი მატყუილებსო“, — გაიფიქრა მებრძოლმა და სამიზნო დააყენა. კარგად იცოდა, რომ მთაში ადამიანის თვალი მანძილის შეგრძნებაში ცდებოდა. თითქო ჯიბრზე, მარცხენა მხრიდან, ქარმაც დაუბერა და კორნელიმ რამდენიმე სანტიმეტრით შაშხანის ლულა მარცხნივ გასწია, მაგრამ ამდენ სამზადისში ხელმეორედ დააგვიანდა და ასკერმა ისევ მოასწრო გასროლა. კორნელი ბრაზისგან გაიგუდა. ასკერმა შაშხანა ხელში აიღო, კონდახი მიწაზე დაუშვა, მეორე ხელი ვერხვის ტანს მოჰხვია, თითქო მისი თეთრი ტანი მოეწონა და ეალერსებაო, მერმე თავი წაიგრძელა, გაირინდა. უცხო მიდამოს თვალი მოავლო. ასკერის თავი ვერხვის თეთრ ტანზე ისევ დახატულივით სჩანდა და კორნელიმ ისევ მისი თავი ამოიღო ნიშანში. უეჭველზე მიდიოდა და ასკერის თავს იმიტომ ჩააცივდა, თორემ განა ტანში ვერ ესროდა. გულდაგულ დაუმიზნა. ეხლა იმრიგად აღარ ჰღელავდა, თავდაჭერილად, მტკიცედ მოქმედებდა და ასკერის თავი ისევ სწორად დასვა

შაშხანის ნიშანზე. მისი ბრალი იყო: რად ამოიჩემა მზიანი დღის სრბათლეზე ეს თეთრტანიანი ვერხვი? კორნელიმ ნელა და თანაბარის დაწოლით დაუშვა ჩახმახი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა მოხდა? თითქო მიწა იძრაო წამიერ და ასკერს გაქცევა ... ...ელი-დან გაუსხლტა. არა მარტო ვერხვი: ტყე და მდინარე, მთა და ველი, მთელი დედამიწა, ყველაფერი თითქო გაექცაო ასკერს, ჯარასავით დაუტრიალდა ფეხქვეშ. ცას ხანძარი წაეკიდა და თითქო ცა და მიწაც აუფეთქდაო, რადგან გადასახტომად მომზადებული, ფეხის წვერებზე შემდგარი ასკერის ტანი საშინლად შეტოკდა, ზვიადად შეტორტმანდა, ჰაერში აილეწა, დატრიალდა და მერმე მოცელილივით მოსწყდა და დედამიწას პირქვე დაემხო. ყოველივე ეს ერთ წამში მოხდა.

„საკვირველება მჭირს, — ფიქრობდა კორნელი, — რაგინდ ხიფათში არ უნდა ვიყო, თუნდაც სიკვდილის პირას მისული, ჩემი გონება მაინც ყველაფერს ამჩნევს, სინჯავს, სწონის და ვერას გზით ვერ მოვახერხე მისი ჩაქრობა. ჩემი ჯერიც მოალწევს და მაშინ ყველაფერი გათავდება, ჩემთან ერთად ჩემი ქვეყანაც მოკვდება და გონება იმ ასკერსავით სამუდამოდ დამიდუმდება“. — ფიქრობდა კორნელი ეხლა და მოაგონდა, რომ იმ საშინელ წუთს, როდესაც ასკერი ფეხის წვერებზე შესდგა, თავმოკვეთილივით დაბარბაცდა, ხელები უცნაურად გაშალა და აასავსავა, მას გაეღიმა. „რა იყო ეს? — გაუკვირდა კორნელის, — განა იმ წუთას გაღიმება შეიძლებოდა? იქნებ მტრის მოკვლამ გამახარა, ან იქნებ იმ ასკერის უცნაურმა მოძრაობამ და ტანის როკვამ გამოიწვია ჩემი ღიმილი, არ ვიცი!“

ამ ფიქრის შემდეგ კორნელიმ პირველად შენიშნა, რომ მის ირგვლივ საოცარი სიჩუმე დამკვიდრებულიყო და მან დააფრთხო. ქურდულად იცქირებოდა საფარიდან. სიჩუმეს დაბლა ხევში მიმავალი მდინარის ხმაური არღვევდა ძხოლოდ. ეს ხმაური რაღაც საიდუმლოებით მოსავდა მის ნაპირას ჩარაზმულსა და ტოტებ-დაშვებულ ტირიფებს, თეთრ ტანიან მაღალ ვერხვსა და მის ქვეშ მინდორზე დაგდებულ ასკერის უძრავ გვამს. მინდორის კიდეგანზე კორნელისაკენ მომავალი, ტყით დაფენილი ფერდობი იწყებოდა. ცასა და მიწაზე და იმ ფერდობზე დაფენილ ტყეშიც ისეთი ყუჟი სიჩუმე, სიმშვიდე და მყუდროება იყო მოფენილი, როგორიც წვიმა-ავდრის და ქუხილის წინ დამკვიდრდება ხოლმე.

კორნელი შიშმა აიტანა. კანკალი დააწყებინა და მუხის ძირას გარინდულს ასეთი ფიქრი ეწვია: „ვინ იცის, იქნებ მოკლული ასკერის ცხრა ამხანაგი ტყიდან ხედავდნენ ყველაფერს, ამ მუხიდან გასროლა გაიგონეს და ეხლა ფერდობზე ტყე-ტყე მოდიან, რომ მოკლული ამხანაგის სისხლი აიღონ! სისხლი აიღონ“, — გაიმეორა კორნელიმ და ტანში გააჟრჟოლა. მერმე ისევ განაგრძო ფიქრი: „აქ დავრჩე და ერთი ათს შევებრძოლო, რა ჭკუაა? ჩვენი ბატარეა ალბად ახალ პოზიციაზე გავიდა, მე მეორე ქვემეხის უფროსი ვარ და ამიტომ იქ უნდა ვიყო“. — მიზეზს ეძებდა კორნელი აქედან გაქცევის გასამართლებლად. რა წამს ეს გაიფიქრა, თავისი ლურჯა მოაგონდა. ლურჯამ ჭკვიანი თვალებით შეხედა, მუცელი აიკეცა, სიპი შეიკრა და მთელის ტანით ჩაიხვიხვინა, თითქო გულისთქმას მიუხვდაო. კორნელიმ დატუქსა: „ჩუმადო“. თოფნაკრავივით წამოიჭრა, ცხენს მოახტა და კარჩხალისაკენ გაჭკურცხლა. თანაც ზარდაცემული უკან იხედებოდა: მდევრებისა ეშინოდა.

გზაზე ქართველი მებრძოლები გადარბოდნენ და ფერდობზე დაფენილ ტყეში ესაფრებოდნენ. მოსახვევში კორნელი ასკერებმა დაინახეს და ტყვიები დააყარეს. თითქო ეს იყო ნიშანი: მთის ფერდობზე და ხევში, მთელი ფრონტის გასწვრივ თოფის სროლა ატყდა. ცოტა ხნის შემდეგ — ... ტყვიაფრქვევიც აჭახჭახდა ჯოჯოხეთის საზარელ და უცხო ფრინველივით.

ომი დაიწყო.

კორნელი მთის ტაფობზე ავიდა; სწორედ იქ, სადაც ამ დილით ბატარეა დაბანაკდა, მაგრამ ტაფობზე არავინ არ დაუხვდა.

უზანგებზე შეიმართა და მთიან არემარეს თვალი მოავლო.

„სად წავიდა ბატარეა, საითკენ ავიღო გეზი?" — გაიფიქრა კორნელიმ და მყისვე ხევის პირას, მახლობელ სერზე ქვემეხებმა დაიჭექეს.

კორნელის ტანში გააჟრჟოლა. ლურჯა შეატრიალა და იქითკენ მიუშვა.

ნაშუადღევის ოთხ საათზე ომი დასრულდა. ოსმალნი უკუიქცნენ და ქართველმა ჯარებმა მისდიეს. ბატარეამაც წინ წაიწია. სწორედ იმ პატარა მდინარისა, ტირიფებსა და ვერხვის ახლოს დაბანაკდა, რომლის ქვეშაც კორნელიმ ასკერი მოჰკლა.

ასკერი ისე უნდა ყოფილიყო მოკლული როგორც კორნელიმ თავის მეგობრებს — სანდრო ხოტივარს, კუკური ზარანდიას და გიგა ნახუცრიშვილს უამბო.

როცა მზე მთას თავზე დაადგა, კორნელიმ ამხანაგები მოკლულ ასკერის სანახავად წაიყვანა.

მდინარის ტირიფებიან ნაპირს დაჰყვნენ და ტყის ახლოს, მოშიშვლებულ მინდორზე განმარტოებით მდგარ ვერხვისაკენ გასწიეს.

სიპიანი კალაპოტი შეეყარათ, ზედ ჩექმები უცურდებოდათ. ჩქერებმა ჯარისკაცები, კინაღამ არ წაიღეს. სანდრო, კუკური და გიგა სიცილხარხარით გადავიდნენ ნაპირზე, კორნელი კი დინჯად მიდიოდა და ვერხვს რომ მიუახლოვდა, გულისძგერა აუვარდა. ჰღელავდა.

ვერხვის ქვეშ, მინდორზე პირქვე ჩამხობილი ასკერის გვამი ეგდო. ცალი ფეხი მოჰკეცოდა, ხელები გაეშალა და მოკრუნჩხული თითებით ბალახი ისე ჩაებღუჯა, თითქო დედამიწას ჩაჰკვრიაო.

სანდრო ხოტივარმა ოსმალური კარაბინი აიღო და გასინჯა:

— მშვენივრად მოვლილი კარაბინია — სთქვა მან.

კორნელი მუხლებზე დაეშვა და ასკერის შესივნებული თავი დაათვალიერა, ყურის ძირში ნატყვიარი ნაჭდობივით აჩნდა. ზედ სისხლი შეჰხმობოდა. იქითა მხარეც არ გაუგლეჯია ტყვიას, ისე სუფთად გასულა.

— სუფთად გიმუშავნია! — შეუქო გასროლა სანდრომ.

კორნელიმ ის ადგილი დაანახვა, საიდანაც ასკერს ესროლა და სანდროს გაუკვირდა:

— ყოჩაღ. ასეთი შორი მანძილიდან ნიშანში კარგად ამოგიღია.

— სნაიპერული გასროლაა. — დაემოწმა სანდროს კუკური ზარანდია.

გიგა ნახუცრიშვილმა ასკერის გვამი გადმოაბრუნა. ახოვანი ვაჟკაცი იყო. წვივებზე გერმანული ჰამაშები ეცვა და ტანზე გერმანულივე ქურთუკი ემოსა — ხაკისფერი და გასისხლიანებული. ზურგზე ტყვის ჩანთა ეკიდა და ამიტომ ზედ გულალმა დაწოლილს მაღალი მკერდი ამობორცვოდა. მხოლოდ თა-

ვი დედამიწისაკენ გადავარდნოდა. ხშირი წარბები ტალახში ამოსვროდა. უწვერულს ულვაშების ღინღლზე ეტყობოდა, რომ ჭაბუკი იყო. მისი ქუდი იქვე ბალახებში ეგდო. დახუჭუჭებულსა და გიშერივით შავ თმას ქარი უნიავებდა. მაღალი შუბლი ჰქონდა. არაბსავით შავი, მზეზე გატანჯულნი და ლამაზი სახე. მწერებმისეული სქელი ბაგეები გახსნოდა და იქიდან თოვლივით თეთრი კბილები გამოკრთოდნენ. ოდნავ გახელილი, უსიცოცხლო და სიკვდილის სუნთქვით დაორთქლილი გუგების ზოლი უჩანდა, იქედნურად მაცქერალი და ტანჯვით სავსე.

— გალიპოლიის მსროლელი ლეგიონის ჯარისკაცია! — დაიძახა ომში ნათრევმა სანდრომ.

— საიდან სად მოსულა.. — ჩაილაპარაკა კორნელიმ და ძლიერ შეეცოდა მოკლული ჯარისკაცი და რატომღაც მხატვარის ალმა თადემას სურათი მოაგონდა: „უკანასკნელი ეგვიპტური დასჯა“, რომელშიაც ფარაონის პირმშოს დაღუპვაა გამოხატული. დედას მკვდარი შვილი კალთაში ჩაუსვენებია, დედის კალთიდან გადავარდნილი თავი ჭაბუკისა იქვე ჩამჯდარ ქალს მუხლებზე უძევს. ფარაონის სიყრმის შვილის ოდნავ გახელილი თვალების გუგა, გაპობილი სქელი ბაგეები, თეთრი კბილების კრთომა და შავგვრემან ლამაზ სახეზე აღბეჭდილი ტანჯვა, — ყოველივე ეს მაშინვე მოაგონა კორნელის ჭაბუკი ასკერის სახემ. ხოლო აქ არსად სჩანდა სფინქსივით დადუმებული დედის მგლოვიარე სახე, ცრემლიან მის თვალთა მისტიური ჭვრეტა და არ გაისმოდა ეგვიპტურ საკრავთა უცნაური და კაეშნით სავსე ჰანგები.

— კორნელი, შენ უკვე აიღე გრიგოლ ცაგურიშვილის სისხლი! — ჩასჩურჩულა კორნელის გიგა ნახუცრიშვილმა.

კორნელი შეკრთა. სულ არ მოელოდა მაშინ ამ სიტყვებს.

— ერთი როდი კმარა. კაკო ბაქრაძე და სხვანი რად დაივიწყეთ! — კორნელის მაგიერ მიუგო სანდრომ გიგას.

— იქნებ ესეც სტუდენტი იყო, ვინ იცის! — სთქვა კორნელიმ. ჭაბუკ ასკერს თვალი აარიდა და მდინარისაკენ გაიხედა.

კუკური ზარანდიამ გასინჯა და საბუთები ვერ უპოვნა.

მზე ჩადიოდა მთის იქით. მთის თავზე ქოჩორივით დამდგარ ხეთა კენწეროების ნაჩრდილევში ალისფერი ცის დასავალი ილანდებოდა, მუნჯი და გალურსული. ხევში მდინარე მიდიოდა და თითქო ცის დუმილითა და სიჩუმით განცვიფრებული, უკმაყოფილო და შეშინებული ზედმეტად ხმაურობსო, მთიანსა და ტყით დაფენილ არემარეს აღვიძებდა. მდინარის ნაპირთან თმაგაშლილი, მოტირალი ქალებივით ჩარაზმული ტირიფების ტოტები ზანტად ირხეოდნენ მზის შუქითა და სხივებით გაისრულ საამო ჰაერში, ხოლო კენწეროზე შემომჯდარი ჩიტი გულდაგულ უსტვენდა მხიარულსა და უცნაურ ჰანგზე. მასთან მეორე ჩიტი მიფრინდა. ჟივილით მიეგებნენ ერთმანეთს. პატარები და ჩია ტანის ჩიტები იყვნენ — იქნებ ცოლქმარნი — მესკია, სკვინჩის ოდენები, მაგრამ სულ სხვაგვარი, უცხო და ფერადფერადი ჯუბა ემოსათ და კორნელის ისევ შეეცოდა მშვენიერ და გულგრილ ბუნების წინაშე მკვდარი ჭაბუკი.

სანდრომ ასკერის შაშხანა გადასცა:

— წაიღე, კორნელი, შენი ნაალაფევი!

წამოსვლის წინ კორნელიმ ისევ დაჰხედა ამ დილით მის მიერ მოკლულ ასკერს. იგი უძრავად იწვა, თითქო მშვიდად სძინავსო.

„გრიგოლ ცაგურიშვილიც ასე იწვა ჯავახეთში, ასპინძასთან დაჭრილი და თურქების მიერ განგმირული“.. — გაიფიქრა კორნელიმ და მაშინვე მრისხანედ დაიძახა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გრიგოლის სანაცვლო იყოს, ბიჭებო!

— ამინ! — დაუმოწმეს მეგობრებმა.

შაშხანები გადაიკიდეს და ბატარეისაკენ წავიდნენ.

მდინარეს რომ მიაღწიეს, უკან მოიხედეს: ღრუბლიან დასავლეთიდან გამოსროლილი, ძალაგამოლეული მზის სხივები ვერხვის კენწეროს და ტყეს მკრთალად და რაღაც უცნაურად აშუქებდნენ, თითქო მზე კი არა, მთვარე აშუქებსო.

— მკვდრის მზე! — დაიძახა კორნელიმ.

სანდრო და კუკური ვერხვის კენწეროს განცვიფრებული მიაშტერდნენ, ხოლო გიგამ ისევ წყენით ჩაილაპარაკა:

— კაცო, რადა ხარ ასეთი!

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სანდრო შანშიაშვილი

კრწანისი

(ნაწყვეტი დრამატული პოემიდან)

თ ე დ ო—დალახვროს ღმერთმა!
თითქოს ვეშაპი შებრძოლებია წმინდა გიორგის!
რა საშინელი ავდარია, ეს სატიალო!
ეხლა სად არის ჩემი გელა?..
ღმერთო გვიშველე!..
შენ დაიფარე ჩემი შვილი გაჭირვებისგან!
ჩვენი ერეკლე გაამარჯვე მოძალადეზე.
(ისმის კარის რაკუნი)
მოიცა! ვიღაც ხმაურობს გარედ.
ჩემი სახელიც დაიძახა.
მანდ რომელი ხარ?
ხ მ ა—გათენაშვილი თედო მინდა...
თ ე დ ო—ვინ ხარ?
ხ მ ა—მგზავრი ვარ!
თ ე დ ო—მგზავრი ღვთისაა... მოდი, ძმობილო!
(შემოდის ირაკლი, თედო შეხედავს და უკან იხევს)
შენ ვინ მგზავრი ხარ?
ძალიან ჰგევხარ...
რო გეთქვა ჩემთვის ერეკლე ვარო,
ამ პირჯვრის მადლმა, დავიჯერებდი.
მოდი. სტუმარო, დაღლილ იქნები.
აი, კერასთან ახლო ჩამოჯექ...
ცოტა დო მაქვს, ცოტა არაყი...
ი რ ა კ ლ ი—ნუ შესწუხდები...
მე მინდა მხოლოდ დასვენება, სხვა არაფერი!..
თ ე დ ო—დაღლილი სჩანხარ...
ი რ ა კ ლ ი—ძლიერ დაღლილი!
თ ე დ ო—შორი გზა გქონდა?
ი რ ა კ ლ ი—არც მაგრერიგად!
თ ე დ ო—მაინც საიდან?
ი რ ა კ ლ ი— თბილისიდან...
თ ე დ ო—მაშ შენ ამბავი გეცოდინება, რად სდუმხარ, ძმაო?
შენი სახელი?
ი რ ა კ ლ ი—ჩემი სახელი დღეს მე თვითონ მომძულებია!
თ ე დ ო—რა დარდი გაწვევს, რომ სახელიც მოგძულებია?
არაყს მოგართმევ... აი, ინებე! ვილაპარაკოთ... (ხონჩით მოუტანა საჭმელ-სასმელი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ თბილისიდან წამოსული ხარ,
გეცოდინება ომის ამბები.

ირაკლი—შენ გელას გარდა კიდევ გყავს შვილი?

თედო—შენ გელას იცნობ?

ირაკლი—ვიცნობ.

თედო—ეხ, ჩემო ძმაო, გელას გარდა სამი სხვა მყავდა.
ორი ასპინძის ომში მომიკლეს ახალგაზრდები.
ერთი კახეთში გაღმა ლეკებთან:
როცა ერეკლე კოხტა ბელადს ეომებოდა.
მეც ვახლდი მაშინ ერეკლე-ბატონს...
შუბლში ჭრილობა მაშინ მივიღე,
ხოლო ამ მკლავში ადრე დამჭრეს, ვხმარობდი მაინც...
ჰო, იმას ვამბობ...
მაინც თბილისში რა ამბავია?

ირაკლი—ხომ შეიძლება დავიძინო იქით ოთახში?

თედო—რატომაც არა, შენი კვნესამე.
ალბად ჩვენები გაიმარჯვებდნენ.

ირაკლი—გელას ცოლშვილი აქ არა ცხოვრობს?

თედო—დანიშნული მყავს, შენ შემოგევლე...
ამ თვეში ქორწილს ვუპირებდი და ომმა უსწრო!
ომს გადაიხდის! ღვთის შეწევნით დამიბრუნდება...
მაინც ამბავი გეცოდინება...

ირაკლი—ამბავი?

თედო—დიახ, ამბავი!

ირაკლი—რა უნდა გითხრა?

თედო—ამბავი, შე დალოცვილო!

ირაკლი—ერეკლე დამარცხდა!

თედო—რაო? მე გეკითხები ჩვენს ერეკლეზე — ბაგრატიონზე!

ირაკლი—ჰო, ერეკლე ბაგრატიონი...

თედო—თუ იცი რამე... ჩემი შვილი იმასთან არის...

ირაკლი—ერეკლე დამარცხდა... მტერმა აჯობა...

თედო—რას ამბობს ეს კაცი...
(გაივლის, ჩიბუხს ამოიღებს)
სადაური ხარ?

ირაკლი—ქართველი ვარ!

თედო—მერე ქართველი მაგას რად იტყვის...
არსად სწერია, რომ დამარცხდეს ერეკლე-მეფე,
ამბობენ, იმის ბედის წიგნში არ სწერიაო.

ირაკლი—გლეხო, დამარცხდა!
და შერცხვენილი, გაქცეული ქოხს თავს აფარებს.

თედო—რაებს მიჰქარავ!..
პატივისცემა სტუმრისა, თორემ
ეხლავ სახლიდან გაგაგდებდი... ამ პირჯვრის მადლმა!
მაგნაირ ჭორებს უვრცელებენ... მოსისხლე მტრები...
არც შენ მგონიხარ მისი მოკეთე...

ირაკლი—მოხუცო, მეტად დაღლილი ვარ... იქ დავიძინებ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ ე დ ო—რაც გინდა ჰქენ, წადი, დაიძინე...
(ერეკლე გადის)
ვიღაც ოხერი ყალბ ამბებს როშავს...
რად შემოვუშვი, გდებულიყო ძაღლებთან გარედ!
ავდარი ჩადგა.
ნეტა ქვეყანაც დამშვიდდებოდეს!
ღმერთო, შენ მოეც გამარჯვება საქრისტიანოს.
(შემოდის გელა) შვილო, გელა!
მოდი შვილო! მოდი, გამახარე!
ცოცხალს რომ გხედავ, ღმერთს მადლობა...
შვილო, საიდან... როგორ უცბად...
გ ე ლ ა—აქ უნდა კაცი მოსულიყო...
თ ე დ ო—ვიღაც ოხერი...
გ ე ლ ა—რას ამბობ, მამი!
თ ე დ ო—ვნანობ რომ სახლში შემოვუშვი...
გ ე ლ ა—იცი, ვინ არის?
თ ე დ ო—ვიცი!
მიჰქარ-მოჰქარა! არ უნდა იყოს კეთილი სული...
უნდა გამეგდო გარედ... მაგრამ... შენ რომ გიცნობდა...
(გელამ მეორე ოთახში შეიხედა)
გ ე ლ ა—ეგ ერეკლეა, მამაჩემო!..
თ ე დ ო—ვინ ერეკლე?
გ ე ლ ა—მეფე ერეკლე...
თ ე დ ო—(ჩიბუხი ხელიდან გაუვარდა)
ერეკლე? როგორ? ჩემს ღარიბ ქოხში?
(კარებთან მივა და იჩოქებს)
მაპატიე მე უბირს, უხეშს...
ისევ შენმავე ერთგულებამ ჩამადენინა...
განა არა რომ მივამსგავსე, რას ვიფიქრებდი...
მაინც რა მოხდა, მითხარი, შვილო, გამაგებინე...
გ ე ლ ა—დიდი ბრძოლები გადავიხადეთ!
და ორჯერ კიდეც დამარცხდა მტერი...
და გასაქცევად ემზადებოდა,
მაგრამ ღალატით ბოლოს გაგვტეხეს...
მტერი თბილისზე, როგორც ზღვის ტალღა გადმოიღვარა.
ჯერედ გაძარცვეს მეფის სასახლე,
მერე ცეცხლს მისცეს... იწვის თბილისი!
იმ მოედანზე, სად მარმარილოს
შადრევანია ლომთა ძეგლებით,
ამართეს ბოძი, ხალხს იქ აღრჩობდნენ!
ღვთის მსახურებს კი ხიდიდან ჰყრიდნენ!
არჩევდნენ ლამაზ დედებს და ქალებს,
მათს ბავშვებს ხმლებით შუა ჰკვეთავდნენ...
შანთებს უჩენდნენ მოხუცებულებს
„ქონება სად გაქვთ დამარხულიო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ ე დ ო—ვაი, უბედურო! ვაგლახ, ასეთს დღეთა მოსწრებას!
(აცრემლებული, საყვედურით)
შენ, ო, ღმერთო, რატომ ჩემი ლოცვა არ შეისმინე?
რად შეგვაყენე ფეხით მტერი, შენი მგმობელი,
შენ მას რად მიეც გამარჯვება შენ ერთგულ ხალხზე?
ერთი კურატიც ხომ აღუთქვი ხახულის ხატსა?
ვაიმე! ვაიმე!
ხ მ ა—ოჯახის შვილო, გათენაშვილო!
გ ე ლ ა—ვიღაც იძახის...
თ ე დ ო—მე აღარავის გული აღარ მაქვს... ვინც უნდა იყოს...
გ ე ლ ა—სოლომონია... ბრძენი მსაჯული... (გაუღებს კარებს)
მობრძანდი, სოლომონ!
ს ო ლ ო მ ო ნ—აქა მშვიდობა...
მეფე სად არის?..
გ ე ლ ა—მეფე ისვენებს...
ს ო ლ ო მ ო ნ—მადლობა ღმერთს, იგი გადარჩა!
თედო ვაუკაცო, ვეღარ მიცანი?
თ ე დ ო—გიცანი, შვილო... ამ დროებას რისთვის შევესწარ?
ს ო ლ ო მ ო ნ—რა დაგმართია, ცრემლი თვალებზე?
თ ე დ ო—თვალი კი არა, გული მიტირის...
ს ო ლ ო მ ო ნ—იქნებ ბგონია, ჩვენი საქმე სრულიად წამხდარა?
არა, თევდორე...
სანამ ფეხზეა ქართლ-კახეთი, ფშავ-ხევსურეთი
და ლეხის იქით იმერეთი სამთავროებით,—
დედა-სამშობლოს, ვერვინ წაახდენს...
ი რ ა კ ლ ი—(გამოდის) სოლომონ, შენი ხმა შემომესმა...
ს ო ლ ო მ ო ნ—მეფე-ბატონს დილა მშვიდობის...
ი რ ა კ ლ ი—რა ამბავს მეტყვი?
ს ო ლ ო მ ო ნ—მაიასთანა, გელასთანა ცოცხლები გყვანდნენ.
არა გვიშავს-რა...
უმეტესობა ხაზინისა გადავარჩინეთ
და დედოფალიც საიმედო ადგილას არის.
ღვთით, მომავალიც კარგი გვექნება!
წუხელ ცა რისთვის გვაწვიმებდა ჭექა-ქუხილით,
დღეს გაიხედე, ვით კაშკაშებს სექტემბრის დილა!
აქ ხონჩით ვხედავ სარგო საუზმეს და მშიან კიდეც!
არაყიც არის — მეფეს მათარით...
(არაყს ასხავს და მეფეს მიაწვდის)
ი რ ა კ ლ ი—არ მინდა შვილო!
ჩემგან გაცემულ საუნჯის ბჭესთან
მიველ მათხოვრად მოწყალებისთვის;
ვურეკდი კარებს, ვითხოვდი შველას
და უმადურნი ყრუ იქმნენ ჩემთვის!
ჩემგან დახსნილებს მონობისაგან
მეჯნუნ და აბოს ყარაბაღელებს
გული გავუხსენ მამაშვილური

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მათ ამ გულში ლახვარი ჩამცეს!
დიდი რუსეთის იმედი მქონდა
და დღეს, როგორც სჩანს, მართლა შორს არის,
ანდა იმასაც გული უცვალეს,
ან მოვა მაშინ, როს დავეცემი!
მე ასე დავრჩი შემოძარცული
ნათესავთაგან, მეგობართაგან.

სოლომონ—მიირთვი, მეფევ! ეს დარდს მოგიკლავს!
უარს ნუ მეტყვი!

ირაკლი—არ მინდა, შვილო?

სოლომონ—ვინც დარჩნენ ცოცხლად, თუ იმათი სიყვარული გაქვს...
გზად მოვდიოდი, რისხვით სავსე არაგვი დამხვდა...
მალე იხილავთ რისხვით სავსე ქართველ შვილებსაც!
სარწმუნოდ ვიცი: ხოჯა-მაჰმედ შიშით კანკალებს;
თბილისი თუმცა ააოხრა, მაგრამ თავს არ გრძნობს
გამარჯვებულად... (ირაკლი სვამს. სოლომონი მათარას ჩამოართმევს)
მტერი დაგრჩეს ხელცარიელი!
ამბობს: ერეკლე ნადირ-შახის გამოზრდილია...
ალბად ჯარი ჰყავს კლდე-ღრეებში ჩასაფრებული,
სადმე მიყელებს, სამარცხვინო ოინს მიზამსო!
ასეც იქნება!
(ფვითონაც სვამს)
ასე მტერი დაგეცალოს!

ირაკლი—მტერს რა გამოლევს, ჩემო სოლომონ!

სოლომონ—გზა სიარულმა დალია,
სიპი ქვა წყალთა დენამ!
ურიცხვი მტერი ერეკლეს
მარჯვედ მახვილის ქნევამ!
თედო მიირთვი! გელა, აბა, შენც...

თედო—შენ შემოგევლოს გათენაშვილი
როგორც ეს გული შენ გამინათე...
მოხველ და თითქოს მზის სინათლე თან მოიტანე!

სოლომონ—ღმერთმა ძლიერ ჰყოს გლეხის ქოხი, გლეხის მარჯვენა...

თედო—ღმერთმა გვიცოცხლოს მეფე ერეკლე...
ჩვენი მსაჯული მართალს გვიბრძანებს...
ჩემისთანანი, ჩემზე ვაუკაცნი,
მრავლად არიან...

სოლომონ—ათიათასი მოვა ასეთი!

ირაკლი—ამაზე დიდი დამარცხება ვის უნდა შეხვდეს?
ჩვენი დიდების, მთლიანობის ჩვენი ნიშანი,
ქართველი ხალხის ძლიერების მაჩვენებელი,
რომლის გარშემო საქართველო იკრიბებოდა,
დროშა უძლევი, ჩემი დროშა მტერმა წაგვართვა...
ვაი ერეკლეს,
საქვეყნოდ შერცხვა ბაგრატიონი!

თედო—დროშა წაგართვეს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი—რომლის გარშემო საქართველო იკრიბებოდა!
თედო—როგორ წაგართვეს? იქ არ იყავით?
ირაკლი—საქვეყნოდ შერცხვა ბაგრატიონი!
თედო—გელავ, იქ იყავ? დალაჩრებულხარ!
სახლში სირცხვილით როგორ დაბრუნდი?
სოლომონ—თედო, ნუ ჯავრობ! მტერმა დაგვძლია!
თედო—მტერი დასძლევს ლაჩარს!
გელა—ბატონო მეფევ! ნება მიბოძე...
ის თქვენი დროშა ხელიდან ხელში გადადიოდა.
გააფთრებული მტერი იმ დროშას ეტანებოდა.
უცბად გამოჩნდა საიდღანაც დასტა მებრძოლთა,
ხელში დაჭრილი ვინმე ჭაბუკი მეთაურობდა...
გააპეს მტერი და იმ დროშას მკაცრად ეკვეთნენ
და ის ჭაბუკი ძმებს უყიოდა „ნოდარის სისხლი იძიეთ მტერზე“...
ირაკლი—თამაზ! შვილო! შემდეგ?
გელა—უფრო სასტიკი ბრძოლა შეიქმნა!
ჭიხვინი, ღმუილი,
ლეწა და ჭახანი,
ლახვართა ზრიალი
და ხმალთა სრიალი
ყვირილი, წივილი
იყო საზარი, ყურს აყრუებდა!
ცხენთა ტორისგან მტვერი დგებოდა,
დაჭრილი დაჭრილს ყელში სწვდებოდა.
ხოლო ყმაწვილი, მკლავშეხვეული,
მტერს მიაპობდა, დროშაც მიჰქონდა
და ბოლოს იგი ბუღმა და მტვერმა
სრულად დაჰფარა...
ირაკლი—ღმერთო, ჰფარვიდე და ნუ გასწირავ...
სოლომონ—მხოლოდ ერეკლე გვყავდეს ცოცხალი!
თავგანწირულნი მოვლენ და ჰნახავ
დროშაც, დიდებაც დაგვიბრუნდება!
იმასაც ჰნახავთ, მტერი გარბოდეს
და ნაოხარი მას აქ რჩებოდეს.
ირაკლი—არა! ამაო მსხვერპლი იქნება!
ჩემო სოლომონ!
თუნდ გამარჯვება ჩვენ მოვიპოვოთ,
ეს დროებითი იქნება მხოლოდ!
არა მგონია, დასცხრეს ისლამი!
კვლავ აღდგებიან ჩვენს დასაპყრობად
და ეს როდემდის უნდა გაგრძელდეს?
მზად ვარ უარვყო ჩემი უფლება,
რუსეთს გადავცე მემკვიდრეობა,
ოღონდ კი ხალხმა იბედნიეროს!
სოლომონ—რად ბრძანებ მაგას, მეფეო ჩემო?
დიახ, მე მესმის იგი კავშირი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლით შენ გინდა რუსეთს შეეკრა!
იქ პირობა, თუ აღთქმა და ფიცი
ორივე მხარეს ჰხდის ვალდებულად!
მაგრამ რომ მისცე მემკვიდრეობა
და დაუკარგო მთელ ხალხს უფლება,
ჯერ სამაგისო რა გვემართება?

ირაკლი—თუ დაიმეხა ხე რომელიმე
თუნდ იყოს მუხაც, ძნელად-ღა აღსდგეს!
მე დავიმეხე!
შერყეულია ჩემი ტახტის ძველი სიმტკიცე!
ჩემი შვილებიც თვით ამტვრევენ შეფოთლილ ტოტებს!
მათი ბმედი მე აღარ მაქვს მცირეოდენიც!
და თუ ჩვენ ვზრუნავთ ხალხის კეთილ-დღეობისათვის
ასეთს რღვევის დროს მტკიცე, სწორი გზა უნდა ვნახოთ!
და ეს გზა მტკიცე რუსეთია, დიდი რუსეთი!
რა ვუყოთ დღეს თუ გაჭირვებულს ვერ დამეხმარნენ,
ამის მიზეზი საპატიო ალბად იქნება!
ხვალ და ზეგ იგი მოვა ჩვენთან თავის დიდებით!
დიდი ხალხია, განათლებაც თან მოსდევს დიდი!
წესწყობილება მას მტკიცე აქვს, ჯარიც მტკიცე ჰყავს.
იგი მეზობლობს დასავლეთის დიდ სამეფოებს,
რომლებთან მსურდა უშუალო დაახლოება...
ამას ჩვენ შევძლებთ თვით რუსეთის შემწეობითაც!
ჩვენ კი ხელთ შევრჩით ველურსა და ბნელეთის ქვეყნებს
და თუ სიკეთეს ჩვენი ხალხი ოდესმე ჰპოებს,
იქ უნდა ჰპოვოს... ვერ ავიცდენთ აუცილებელს.

სოლომონ—დიახ, დაიცავს!.. ამ დაცვის გამო
ჩვენც მას მივაგებთ სამაგიეროს!
მე მოგახსენებ მემკვიდრეობას...
რათა ჩვენ შეგვრჩეს არსებობა და ჩვენი სახე!
და ამის გარდა, ჯერ ჩვენ არ ვიცით,
თუ რას გაცნობებს რუსთა ხელმწიფე.
ცხადია, ველურ მეზობლებთან არ გვეცხოვრება,
ისიც ცხადია, თავს არ ვისპობთ განათლებულთან...
ამიტომ დღესაც საქართველო შენგან მოითხოვს:
არცა ვის ვეყმოთ, არცა ვემონოთ,
გარეშე ღვთისა დამბადებლისა!
არამედ ვიყვნეთ თანასწორნი თანასწორებთან!

ირაკლი—სად არის ძალა, რომ ეგ შევიძლოთ?

სოლომონ—ძალა ხალხშია!
(ამ დროს ისმის გარედ სიმღერა და ყიჟინა)
გესმის მეფეო! ძალა იქ არის!
და სიბერის დროს შენ მათ დაშორდი...
შვილებს დაენდე და მიუშვი სადავეები
რა კი დაჰშორდი, განიცადე ამიტომ მარცხიც.
(შემოდის მოხევე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ო ხ ე ვ ე—ოჯახს მშვიდობა!
თ ე დ ო—(მიეგებება) მშვიდობა მოგცეს! შენ ვინ კაცი ხარ?
მ ო ხ ე ვ ე—მოხევე ღვთისო ზვიადაური!
თ ე დ ო—რაზე გარჯილხარ?
მ ო ხ ე ვ ე—ერეკლეს ვეძებ.
ამბად გავიგე, გზად მოუბნობდნენ:
ჩვენი ერეკლე ვითამ აქ იყოს...
მეც მჯერა, რადგან ჯარი ტრიალებს...
თუ მართალია,
აღარც დამჭირდეს ჩავლა ქალაქში.
აქ ყველა გლეხურ ჩაცმულები ხართ...
მითხარ, ერეკლე რომელი არის?
ი რ ა კ ლ ი—ერეკლე მე ვარ!
მ ო ხ ე ვ ე—შენ? ერეკლე ხარ?
შენ დაგენაცვლე, თუ მართლა ის ხარ...
(უჩოქებს, ერეკლე ააყენებს)
ი რ ა კ ლ ი—მითხარ რას ითხოვ შენზე ღარიბ შენის მეფისგან?
მ ო ხ ე ვ ე—განა მე შენთან მათხოვრად მოველ
ჩვენმა ბატონმა დარიალიდან
რუსის აფიცერს გამომაყოლა!
ი რ ა კ ლ ი—რუსის აფიცერს?
მ ო ხ ე ვ ე—დიახ, აფიცერს! ქალაქში მიდის
ძალიან ჩქარობს, არსად ისვენებს...
გზად შევაჩერე მცირეოდენ ხანს
და თუ მიბრძანებ, მას აქ მოვიყვან.
მაინც იძახის: ერეკლე მსურსო!
ი რ ა კ ლ ი—სოლომონ! ჩქარა!
ს ო ლ ო მ ო ნ—აბა, წამოდი! (მოხევეს გაიყოლებს)
ი რ ა კ ლ ი—ნუ თუ მე გული რასაც მიგრძნობს, იგი ასრულდეს?
მ ა ი ა—(შემოდის) მეფეს სიცოცხლე და გამარჯვება!
ი რ ა კ ლ ი—მაია!
მ ა ი ა—საამო ამბის მახარობლად მოვდივარ შენთან!
მოღალატეებს დიდი ქსელი გაებათ თურმე.
მაგრამ როდესაც სინამდვილე ხალხმა გაიგო,
მოღალატენი ჩაქოლეს და ზოგიც აჩეხეს...
დაიძრა ხალხი და მოდიან ყოველ კუთხიდან!
ი რ ა კ ლ ი—შვილო, რა მესმის? სიზმრად ხომ არ ვარ?
მ ა ი ა—აი, გაჰხედე, მეფევ-ბატონო!
ვინც დაიხია თბილისიდან, ისინიც ყველა, ყველა შენთან არის...
(აიხადა უკანა ფარდა და გამოჩნდნენ: სარდლები, ჯარი, მოქალაქენი და სხვები)
ხალხო! ერეკლე კვლავ თქვენთან არის!
ხ ა ლ ხ ი—ერეკლე მეფეს დიდხანს სიცოცხლე!
მ ა ი ა—ძმებო, შვილებო!
მე თვითონ დედა, მოგიწოდებთ დედების ცრემლით,
აღარ გვეღირსა მოსვენება გარეშე მტრისგან!
გეძახით ჩვენი გათელილი ცოცხლების კერა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მეძახიან საფლავები თქვენი მამების.
გახსოვდეთ ცრემლი და გოდება დაკარგულ შვილზე!
გახსოვდეთ შვილი, რომ აკუწეს დედის აკვანზე,
გახსოვდეთ დედა, აკუწულ ბავშვს რომ ააგლიჯეს
და წაათრიეს გასაყიდად მანდილახდილი!
აგერ, უცქირეთ! ცეცხლის ალი მთებს აელვარებს,
ეს იწვის ჩვენი საკუთარი გული — თბილისი!
და იგი გული მოგიწოდებთ: შური ვიძიოთ!

ხალხი—გაგვიძეხ, მეფევ!
მზად ვართ, გაგვიძეხ!

სოლომონ (შემოდის გახარებული, უკან რუსის ოფიცერი)
მეფევ აღსრულდა!

ირაკლი—რა, ამბავია?

სოლომონ—(ოფიცერს) მეფე ერეკლე!

ოფიცერი—ნება მიბოძე, თქვენო უდიდებულესობავ,
გიძღვნათ სალამი ჩემი ხელმწიფე-იმპერატრიცის!

ირაკლი—მოხარული ვარ,
რაოდენადაც შეუძლიან დღეს ჩემს დაჭრილ გულს!

ოფიცერი—უკვე გავიგე ყველაფერი და ვწუხარ დიდად!
თქვენი წუხილი შეიცვლება კვლავ სიხარულად!
ჩემმა ხელმწიფე-იმპერატრიცამ მე მომავლინა
თქვენთან სასწრაფოდ, რათა გაუწყოთ:
რუსთა ლაშქარი მოზდოკიდან უკვე დაიძრა.
შარაგზის ყაჩაღს არ შეარჩენს ძალმომრეობას!
აი, ინებეთ უმაღლესი მათი მომართვაც.

ირაკლი—(უნდა სთქვას რაღაც და ცრემლი ნებას არ აძლევს. პაკეტს ეამბორება)
ჩემი ნატვრა... ვეამბორები...
აწ განმიტევე მეუფეო მე, მონა შენი!

გელა—(უცბად იყვირებს)
მამი! მამი!

თედო—ჩუმად!

გელა—აგერ, უცქირეთ!

თედო—რას ჰხედავ, ბიჭო! ჩამოეთრიე...

გელა—ცხენს მოაქროლებს...

ირაკლი—ვის ჰხედავ, შვილო.

გელა—აგერ, არაგვზე გადმოახტუნა.
იმასთან თითქოს ვიღაც ქალია...
ორნი მოჰქრიან... უკან სხვა ხალხი...
ვხედავ, ნამდვილად ქალია ერთი!

თედო—ღვთის მშობლის დედავ, ჩვენო მფარველო.

გელა—მამავ, ის ვაჟი...

თედო—რომელი ვაჟი?

გელა—ის არის სწორედ და... მკლავშეხვეული!..
ის დროშა მოაქვს... ერეკლეს დროშა...

ირაკლი—ნუთუ თამაზი? ნუთუ მან შესძლო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღმერთო, არა ვარ უბედური! ბედნიერი ვარ!
(შემოიჭრება თამაზ და ანასტასია. თამაზს მოაქვს დროშა)

თ ა მ ა ზ—მეფეს სიცოცხლე და გამარჯვება!

ი რ ა კ ლ ი—თამაზ! შვილო! ანასტასია!
(გადაეხვევა ხან ერთს, ხან მეორეს)

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა—მამი! მოვდივარ და რას ვხედავთ... გზას ვერ ვუქცევდი.
მოდის და მოდის ქართველთა ჯარი!
წინ მიუძღვიან მეთაურები...
მამი, ის აღა ქართლის სოფლებს შემოსევია...
წავიდეთ, ჩქარა! ნულარ ვაყოვნებთ...

ი რ ა კ ლ ი—(დროშას ჩაიკრავს გულში)
დროშავ, ნაკურთხო მრავალჯერ სისხლით...
კვლავ შენ გაგვიძეხ...

ხ ა ლ ხ ი—(იჩოქებს დროშის წინ)
ვფიცავთ ჩვენს დროშას,
ჩვენს მთლიანობას,
ჩვენს ძლიერებას
ვპოვოთ სიკვდილი, ან გამარჯვება!
გაგვიძეხ, მეფევ!

ი რ ა კ ლ ი—ხმალი!
გატეხილ ხიდთან სამიათასი!
დავით, წარუძეხ!
ერთი მთხრობელიც აღარ გაუშვათ!
(მოართვეს ხმალი, ქუდი და ნაბადი)
შვილებო!
ვიდექით დიდი მიზნის წინაშე:
გზა ჩვენ, ქართველებს გაკვლეული გვქონდა,
რომ დავღწეოდით ძალმომრეობას,
რომ ჩვენ გვეცხოვრა ერთმორწმუნესთან!
მტერმა დაგვასწრო... ჰსურდა მახვილით
მას ჩაეშალა ჩვენი წადილი,
ჩაეკლა ჩვენი დიდი მიზანი
რუს-ქართველების წმინდა კავშირი,
მაგრამ ცდა მისი ამაოდ დარჩა!
ძველის ხალისით და სიხარულით
მოხუცის გული წინ გაგიძღვებათ
და თუ სიკვდილი სწერია ჩემი,
მოვკვდე პირველი!

თ ე დ ო—(ბუხრიდან ხმალი ჩამოგლიჯა)
არა, ერეკლე!
მე ძველს მეომარს ნუ დამივიწყებ!
შენი გულმკერდი უნდა დაიცვას ჩემმა გულმკერდმა...
დაე მე მომხვდეს ცხელი ტყვია შენკენ ნასროლი!
წავიდეთ ძმაო,

ხ ა ლ ხ ი—წავიდეთ მტერზე! ან გამარჯვება და ან სიკვდილი!

ოთარ ჩხეიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვერუწიო

ჩვენ დილით ადრიან გამოვედით უკანასკნელი ბანაკიდან. წუხანდელი ღამე მეტად მოუსვენრად გავატარეთ. არც მე არც თამაზს ხეირიანად არა გვძინებია. ჩვენი გამძღოლი კი, ზაზა, მთელი ღამე გულიანად ხვრინავდა, ამიტომ იყო, ალბათ, რომ ის უფრო იმედიანად და ხალისიანად გამოიყურებოდა.

მთელ ღამეს ქარი დაძრწოდა და შემაშფოთებელი ღმუილი ამოჰქონდა უფსკრულებიდან. ჩვენი კარავი ფრთამოტეხილივით აქეთ-იქით იზნიქებოდა. ხან ისე საშინლად შეირხევოდა, რომ შესაზარი ფიქრი გაგვიკრთომილებდა ხოლმე: აი ესაა. ტიალი სტიქიონი მთელ თავის ძალებს მოიკრებს და საბრალო ადამიანებს ჩვენი საბუდრიანად რომელიმე უფსკრულის ხახაში გვსტყორცნის. მოდი და დაიძინე ასეთ ვაივაგლახში... სიცივე ძვლებში ატანდა. მატყლის სათბურები ყინულის ფარდებს დაემსგავსნენ. გვაშფოთებდა ტიალი ამინდი და, მით უფრო ის, რომ ხვალ მწვერვალზე ასვლას ვერ მოვახერხებდით.

შესაბრალისად კრუსუნებდა ჩვენი კარავი. ქარი დაუზოგავად აწყდებოდა და აკანკალებდა. საშიში იყო საბმურები არ დაეწყვიტა ან პალოები არ ამოეძრო. რამდენჯერმე გარეთ გამოვედით მე და თამაზი. პალოები უფრო ღრმად ჩავარჭვეთ და საბმურების იმედიანობა შევამოწმეთ.

ზაზა ისე გულიანად ხვრინავდა, რომ მე და თამაზი შურით შევყურებდით. სიოს სისინათ, ან ნანინათ თუ ჩაესმოდა ქარტეხილის ღრიალი. მთების ღვიძლი იყო, ქარტეხილივით უტეხი იყო ზაზაც... ასეთი კაცის გვერდით ყოფნა გასაჭირს შეგიმსუბუქებს, იმედის ნათელს დაავანებს და რწმენას მოგცემს გამარჯვებისას...

თავზე შავი ღამე გვაწვა და შავი ქარი ღმუოდა. არაფრის გარჩევა არ შეიძლებოდა. ამ უკუნეთში მიტოვებულნი, ჩვენი პლანეტიდან მოწყვეტილებს ვგავდით, რომლებიც ქარის აფრაზე შერჩენილები უზღვროობაში ვიკარგებოდით.

გულბოროტობდა უსპეტაკესი მწვერვალი: ცოდვილთა მოდგმამ რათ დაადგაო ფეხი ჩემს წმინდა კალთებს. უხსოვარ დროიდან იდგა მწვერვალი ნისლის ფარდებშემოხვეული. თავმომწონეობდა თავის სიმშვენიერით და მიუღწევლობით. შორით მკრთომარი შეჰყურებდა ადამიანი უხსოვარ დროიდან, და ქედს იხრიდა მისი ბუმბერაზობის წინაშე. და არ იკმარა ადამიანმა შორით ალერსი, ფეხი დაადგა მას უწმინდესს და აღელდა სპეტაკი მწვერვალი...

დაბლა ტყუილა კი არ გვაფრთხილებდა ასწლოვანი მოხუცი, ზაზას მამაი: მაგას ვერუწიოს უძახიანო, შვილებო, ვერ უწევთო, ამაოდ დაშვრებითო!..

ღმუოდა შავი ქარტეხილი, შავ ღამეს თუ ებრძოდა ასე საშინელი. თუ ასე გასტანა უნდა დავბრუნდეთ... დავბრუნდეთ დამარცხებულნი.

ქვემო ბანაკში კიდევ იყო გამზადებული მეორე ჯგუფი, რომელიც ჩვენს შემდგომ უნდა შესჭიდებოდა მწვერვალს. მაგრამ ასეთ ამინდში უაზრო იყო მწვერვალთან რკენა. აშკარა იყო ექსპედიციის დამარცხება. ჩვენს ხელმძღვანელს თამაზს ჰზარავდა ამის წარმოდგენა!

ჯერ იყო და ერთი კვირით უკან ჩამოვრჩით.

ექსპედიცია საბჭოთა საქართველოს ოცი წლის თავისადმი იყო მიძღვნილი და, ვფიქრობდით, წლისთავს სწორედ ქედმოუდრეკავ მწვერვალზე შევხვედროდით. მაგრამ მეტეოროლოგიურმა სადგურმა ისეთი საშინელი ამინდი გვიწინასწარმეტყველა, რომ ტფილისიდან მხოლოდ მეორე დღეს გამოვედით...

ეს არაფერი...

მაგრამ მწვერვალი არ გვიკარებდა. საშინელი სტიქიონი გზას გვიხშობდა, მის სპეტაკ შუბლზე ჭმუნვის ღარები დაემჩნია. სიწმინდის შერყვნა აშფოთებდა ამაყ მწვერვალს.

„ავალთ??"

კითხულობს თამაზი ისე რომ ეტყობა იმედის უკანასკნელი სხივიც ჩანავლებია და ნუგეშისცემას თხოულობს.

მეც ასეთ მდგომარეობაში ვიყავი, მაგრამ ძალა მოვიკრიბე და დავაიმედე:

„ავალთ თამაზ!... სულ ხომ ასე არ იქნება, ალბათ, გამოიდარებს!"...

„ალბათ?!. ვერაფერი ნუგეშია, შენმა მზემ!.."

ზაზა შეიშმუშნა.

„რა ამბავია ბიჭებო?!".

„ქარი და ქარაშოტი, ღვთის რისხვა და უბედურება!.. ზაზამ იყუჩა ერთ ხანს, ყური თუ მიუბყრო ქარის თარეშს. „პატარა თვალი წაატყუეთ როგორმე... ეტიალ ქარს ყურადღებას ნუ მიაქცევთ, თორემ დაგლახაკდებით"...

ზაზამ გვერდი იბრუნა. ნეტავი შენ. კლდის ანათალი ხარ!...

ჩვენ ზაზას დავუჯერეთ, უფრო მაგრად გავეხვიეთ ტყაპუჭებში, ერთმანეთს მივეხუტეთ და დაძინება ვცადეთ.

ქარი ისევ ზუოდა. სადღაც აკრეფილ თოვლს აყრიდა ჩვენს კარავს.

თითქოს ნელნელა შენელდა ქარის ზუზუნი, გონებას გადაშორდა განსაცდელის საშინელება და რულში ჩავიძირე...

ხმამ გამომაღვიძა. თამაზი მანჯღრევდა.

„დაგძინებია, ბიჭო?!"

„ჰო... რა იყო?!"

„არაფერი, მეც წამძინებოდა!.."

გავყუჩდით და კვლავ დაძინება ვცადეთ. მაგრამ ძილი დაიკარგა. განჭრა ყოველგვარი სწრაფვა და იდეალები. მწვერვალზე ასვლის შმაგი წყურვილიც კი აღარ მაშფოთებდა. ერთად ერთი სანატრელი ძილი-ღა იყო. რა ხერხი არ ვიხმარე, დიდედასეული ძილისპირულიც კი მოვიშველიე, მაგრამ ამაოდ!... ვწყევლიდი თამაზს გაღვიძებისათვის.

„მოდი მე ზღაპარს გეტყვი" — იცინის თამაზი—„ეგებ ჩაგეძინოს... იყო და არა იყო რა"...

საკვირველია ადამიანი ხუთიათასი მეტრის სიმაღლეზე იწვეს, ყინვა ძვლებში ატანდეს, ულმობელი ქარი თოვლში დამარხვას უპირებდეს და კიდევ სურვილი ჰქონდეს დაძინებისა!...

თამაზის ზღაპარი...

მზენათი იყო თამაზის ზღაპარი. გულმეხსა და გაყინულ მიწას ჩავხუტებოდი და თამაზი თავის სატრფო მზენათზე მებუტბუტებოდა. ზღაპრული იყო მათი ტრფობა, წრფელი, უზადო. ზღაპრული მშვენებისა იყო მზენათი. ნარნარი და უზაკველი ქალწული თამაზისათვის ზესწრაფვად გადაქცეულიყო. ზღაპარს ეძახდა თამაზი მზენათს, ზღაპრულს უწოდებდა თავის ტრფიალს: ეს მწვერვალი და მზენათიო, — იტყოდა თამაზი, — სილამაზითა და სიწმინდით ერთმა-

ნეთს ჰგვანანო. ამადაც იზიდავდა ასე ძალუმად თამაზს ვერუწიო. ამიტომაც ჩვენთაგან ყველაზე მეტი აღტაცებით თამაზი შეჰყურებდა ოქროვან ბუმბერაზობას, მზის გვირგვინი რომ ეხურა ხოლმე თავზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიცივე ძვლებში ატანდა. მზენათის სახე ატფობდა თამაზს.

მითხრობდა თამაზი...

ოცდახუთ თებერვალს დილით ადრე გავუარე მზენათს. ერთად ვაპირებდით აღლუმზე წასვლას. ბუხართან იჯდა მზენათი. ალი ელამუნებოდა რკინილის შუშას. ტკაცუნობდა შეშა, ცვივოდნენ ნაპერწკლები. კვამლი ზევით მიაქანებდა ნაპერწკლებს.

ლოყები აცისკრებოდა მზენათს. ეუეუნა თვალები შემომანათა და გამიღიმა.

ფეხაკრეფით მივუახლოვდი. სავარძელში ჩავიკეცე.

სარკმლებს ლაჟვარდისფერი ფარდები ეფარნენ და ოთახში ნაცრისფერი იდვა.

მზენათი შალის ფოჩებს აწვალებდა და აღტაცებული შეჰყურებდა ავარდნილ ნაპერწკლებს.

ვუმზერდი მზენათს და, ვნანობდი, რომ ყველაფერი დამავიწყდა მის გარდა. ხომ გახსოვს, იმ დღეს რომ ხეობა გამოვიარეთ. ის ხეობა ადრეც მქონდა ნანახი. აი, ის ვინატრე მაშინ, — კავკასიონის ეს უმშვენიერესი ადგილი, პატარა წნული ქოხი ვინატრე და ვერხვის ქვეშ, წყაროს პირას... მარტო წნული ქოხი, ბიჭო, ჩემი მზენათი, წყალი და მზე, მე მეტს არაფერს ვთხოვდი მადლიან მიწას.

ვდუმდი. სდუმდა მზენათიც. ოდენ ნაპერწკლები ჭორიკანობდნენ ჩვენს შორის.

ხან-ხან ნაზად მიღიმოდა მზენათი და ამ ღიმილმა წონასწორობიდან გამოიყვანა! ხელები განვიწოდე.

„მზენათ!...“

„რა იყო თამაზ?!.“

უნებლიედ წამოვდექით ორთავენი.

მკლავებზე სათუთად მოვკიდე ხელი და სუნთქვა შეკრულმა ჩაჩურჩულე.

„უნდა გეამბორო, მზენათ!..“

ეს იყო პირველი ხორციელი სურვილი. მზენათმა თავი ჩაღუნა, მე ვიგრძენი თუ როგორ შეაკრეჭოლა. მერმედ კავები შეარხია და თავი ოდნავ გვერდზე გადახარა. მოლურჯო ზოლები აჩნდნენ შეფაკლულ ლოყებზე. თითქოს, მარწყვი ადნებოდა, თითქოს, აპრილი ყვაოდა მის ტუჩებზე. სუნთქვა შეგვეკრა...

თითქოს კარები ყურთამდის გაიღო და მთელი ერი თავს დაგვესხა. ანაზდათ, ყიჟინა და ზრიალი დაირხა ოთახში. სარკმლებიდან ლაჟვარდი დაფით და ნალარით შემოიჭრა. თითქოს, კედლებიც ხარხარებდნენ. სურათებმა ფეხი აიდგეს, იატაკზე ჩამოვიდნენ და დავლური გამართეს.

ანაზდათ მომსწყდა მზენათი.

შორი-შორ გავჩერდით. თავჩაღუნულებს ყვითელი ალი გვიკრთოდა სახეზე.

დაიწმინდა ხრიალი. „ვაშას“ ყვირილი მოგვესმა გარკვევით. ავიხედეთ, ეს რადიო მიმღები იყო, აღლუმი დაწყებულიყო, ხმა ბერიას მოედნიდან მოდიოდა.

მზენათმა ისე გადიხარხარა რომ მუხლთ მოეშვა და მახლობელ სავარძელში ჩაიკეცა. ცალი ხელი გულზე მოიჭდო. მეორე ხელის ნეკით ცრემლს იწმენდდა თვალთაგან.

ერთი ამბორიც არ დამცალდა. ახ, ნეტავ ერთი წამით გვიან დაწყებულიყო ალლუმი!

„ჩვენ დაგვაგვიანდა, თამაზ!..“

ეროვნული ბიბლიოთეკა

სთქვა მზენათმა და მეორე ოთახში გაფრთხიალდა პალტო ჩასაცმელად.

...ვფიქრობდი ვერუწიოს წვერზე ავიდოდი, მის შუბლს ვემთხვევოდი და ვითომც მზენათისთვის მიამბორნია... არც ეს მიკარებს, ბიჭო!.. ნაღვლიანად დაასრულა თამაზმა.

გამოიდარებს, მწვერვალი შენი იქნება, — ვცადე თამაზის დაიმედება.

მეტი კრინტი აღარ დაგვიძრავს.

რაღაც ბინდიანმა ფიქრებმა წამიღეს. ჩამძინებოდა... თამაზსაც მორეოდა ძილი...

ზაზა გვარხევდა.

„ადექით ბიჭებო, ადექით, ქარი ჩადგა, ინათა კიდეც!“..

წამოვჯექი. თვალებს ვიფშვნეტდი და ისევ ზაზას შევნატროდი... ნეტავი შენ ბუნების შვილო, ყველაფერი ბუნებრივი და დროული იცი!...

მწვერვალი ნისლში დაკარგულიყო.

ჩვენ წინასწარ განზრახულ გზას დავადექით. სამხრეთ კალთას გავყევით არ-დიგარდმო. ასე დასავლეთის წახნაგს მივაღწევდით, რომელიც ცერად მიემართებოდა მწვერვალის უკანასკნელ კონუსამდის. იქ კი, შორიდან ისე სჩანდა, რომ თოვლ-ყინულიან ფერდობზე მოგვიხდებოდა სიარული.

სქელმა ნისლმა აკვამლება დაიწყო. ჰაერი რძისფერი გახდა. ირგვლივ პირ-ქუში მწვერვალები შავათ აისვეტნენ. მათ თხემებზე ცა ღვინისფერი გახდა. მწვერვალთა გულებზე მყინვარები კრიალებდნენ და საშინელ უფსკრულებს ძოლიმარნი გადაჰყურებდნენ.

ვერუწიო თვალის-მომჭრელად აელვარდა. საოცარი ძალით გვიზიდავდა თავისკენ. ის ამაყად გადაჰყურებდა გარე მოჯრილ მწვერვალებს და პატივ-მოყვარე სცდილობდა უზღვრო სივრცეს ასწვდენოდა.

თამაზმა წერაყინი დაარჭო. მწვერვალს შეჰყურებდა ერთხანს, მერმედ მო-ლიმარმა ჩვენ გადმოგვხედა, წერაყინი ასწია და დაიძახა:

„მოვდივართ!“ და ზაზას მოუბრუნდა „ხომ ავალთ, ძია ზაზა?“

„ჰაიჰაი!..“

„ჰოდა, თქვენს სოფელში ძეგლს დაგიდგამთ, ბალმასავით თითით მწვერვა-ლისაკენ!..“

ბალმა ვიღა ეშმაკიაო, შემეკითხა ზაზა.

„ბალმა შვეიცარელი გლეხი იყო, ძია ზაზა. პირველად ის ავიდა მონბლან-ზე და შემდეგ წაუძღვა მეცნიერ დესოსიურს... ოღონდ მონბლანი, — ალპების დიდება, ვერუწიოსთან მხარს ვერ გაშლის“.

— იალბუზის ხელა თუ არის ვერუწიო?

— არა, ვერუწიო იალბუზს ასიოდე მეტრით ჩამოუვარდება.

— იალბუზზე ვინღა ავიდა პირველად?

— იქაც ევროპელებმა აგვასწრეს, ძია ზაზა, — ინგლისელი დუგლას ფრეშ-ფილდი ავიდა იალბუზზე პირველად!

— ეგ ვიღაც ფრეშფილდი უფრო ადრე ცხოვრობდა თუ ვახტანგ გორგა-სლანიო, — არ მეშვება ზაზა.

— ჰაიჰაი, გორგასლანი!...

— ჰოდა, სწორედ ის გორგასლანი ავიდა პირველად იალბუზზე და არა ვიღაც ინგლისელი, არ გაგიგონიათ?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,
ციდან ჩამოესმა რეკა,
იალბუზზე ფეხი შესდგა
დიდმა მთებმა იწყეს დრეკა.

შევდექით და გულიანად გადვიხარხარეთ. ზაზა გაგვიწყრა: მე სერიოზულად ვლაპარაკობ და თქვენ რა გაცინებთო!.. ზაზას ღრმად სწამდა თავისი აზრი და ჩვენს დარწმუნებასაც სცდილობდა. რად არ იწამებდა, ქართული მითოსი უმაგრებდა ზურგს...

თამაზმა ხელი მოხვია ზაზას.

ზაზა მაინც თავისას გაიძახოდა. წადი და დაარწმუნე კავკასიონის ჯიქი!

გზა განვაგრძეთ.

თამაზი წინ მიდიოდა, შემდგომ მე. ზაზა ხან გვერდზე მოგვდევდა, ხან წინ გაგვისწრებდა, გამუდმებით ლაპარაკობდა ამ მთისას, იმ ბარისას. საშიშ ადგილებში ერთმანეთს მოვებმებოდით, ამ დროს ზაზა უკან მოექცეოდა და დადუმდებოდა ხოლმე, რადგან არ იყო დარწმუნებული ზურგთ უკანიდან ვუსმენდით თუ არა...

დასავლეთის წახნაგს შევყევით. ჯერ ისევ დილა იყო. შუადღისგულამდის რომ მწვერვალისთვის მიგვეღწია, მოვასწრებდით ბინდამდის ქვემო ბანაკში ჩასვლას. წუხანდელ კარავში ვერ შევჩერდებოდით, რადგან იმას მომდევნო სამეული დაიჭერდა და კარავში მეტი ადგილიც აღარ იყო.

წინ მივიწევდით და წახნაგი, თითქოს, გრძელდებოდა. მწვერვალიც, თითქოს, ზევით-ზევით იწევდა და ჩვენ დამცინავი ღიმილით გადმოგვყურებდა.

თამაზი მოიქანცა.

ახლა, მე წავალ მეთქი წინ, — ვუთხარი თამაზს.

„არა, ...ჯერ კიდევ შემიძლიან!... ნუთუ ამანაც უნდა გამაცბუნოს!...“

მეც მოვიღალე. ზაზას ერთ ხანს ისეთი ხველა აუტყდა, თითქოს, გული სასულეში მიებჯინაო, მაგრამ მალე გაუარა და კვლავ ჩვენზე მხნედ გამოიყურებოდა.

ნეტა თუ ავალთ!...

ეგებ ჩვენ დავმარცხდეთ, მაგრამ ჩვენი მომდევნო ჯგუფი მიზანს მიაღწევს. ექსპედიცია თავისას გაიტანს, გამარჯვებას მიუძღვნის საბჭოთა საქართველოს ოცი წლისთავს... მაგრამ თამაზი!..

წახნაგი უცებ გაწყდა. ნაწყვეტებს შორის თოვლი გაწოლილიყო. ზემო წახნაგი ბორცვდებოდა, მის გასწვრივ სვლა აღარ ეგებოდა. მხარმარჯვნივ ფრიალო დაკიდებულიყო. მხარმარცხნივ დიდი ბრტყელი ქვები. ფიფქწაყრილნი სარკესავით კრიალებდნენ. მეტი ჯანი არ იყო ამ სახიფათო გზას უნდა დავდგომოდით.

თამაზმა წერაყინით მოსინჯა თოვლის ზოლი და ზედ შესდგა. მუხლამდის ჩაეფლო თამაზი. წერაყინს დააწვა, ნაბიჯის მონაცვლება სცადა. მაგრამ თოვლმა ერთბაშად ჩაიწია.

„ბრთხილად, ბიჭო!...“ იყვირა ზაზამ, მაგრამ გვიანღა იყო, თამაზის მხრებიც დამეკარგა თვალთაგან. მოასწრო ბრჩხილებით დაჭკიდებოდა მოყინულ ქიმს.

უმალ წერაყინი ჩავარჭვე, ცალი ხელით მას ჩავეკიდე, მეორე თამაზისკენ გავიწოდე, შუა თითის წვერს-ღა ვუწვიე ხელი. თამაზი განქრა. ანგარიშმიუცემლად იქით გადავქანდი, სადაც თამაზი ჩაიკარგა... ზაზამ სატეკელში ჩამავლო ხელი და უკან გადამაქანა.

„რას შვრები ბიჭო?!."

სასოწარკვეთა არას გვარგებდა.

თოვლის ზოლმა მთელ სიგრძეზე დაიწია.

წახნაგებს შორის ნაპრალი ყოფილიყო. წუხანდელ ქარს წაენამქრა და წაეყინა. ახლა მზემ იძალა და მოალბო თოვლი...

საიმედო ადგილი მოვსინჯეთ, წერაყინები ჩავარჭვეთ, თოკი გამოვაბით და ნაპრალში ვისროლეთ.

„თამაზ!!!"

ჩავყვიროდით ხან მე, ხან ზაზა. არ იყო პასუხი. შორეული ბუყბუყი ისმოდა ნაპრალიდან, — უფსკრულის დემონი თუ ილრინებოდა.

„მწვერვალის ანგელოზო შენ დამიფარე!"...

წარსთქვა ზაზამ და პირჯვარი გადიწერა. მერმე თოკს ჩაავლო ხელი, ნაპრალში აპირებდა ჩასვლას. მე არ დავანებე... რომ შევმსუბუქებულიყავ ზემოსათბური გავიძვრე და ნაპრალში ჩავეკიდე. ნელ-ნელა მივცოცავდი. ხან-ხან ქიმებზე ფეხს ვიმაგრებდი და ზევით და ქვევით ვიყურებოდი. ზემოთ პირს ძალიან დავშორდი. ნაპრალის ძირი კიდევ შორს იყო. ნეტა თუ ჩამყვება თოკი ძირამდის... „თამაზ!" ვყვიროდი ხშირად და ისევ უფსკრულის ბუყბუყი ისმოდა. აქა-იქ ქიმებზე, სისხლი შევნიშნე, ეგებ მეჩვენებოდა, მაგრამ ერთი კი ცხადი იყო, ამ სილრმეზე ჩამოვარდნილი სულიერი სულს ველარ შეინარჩუნებდა. თოკიც გათავდა და მეც ფეხის წვერი ძირს შევახე. ნაპრალის ძირი აქ უნაგირივით შემაღლებულიყო. იმას იქით კიდევ შავი სილრმე იყურებოდა. ჩამოცვენილი თოვლი მივყარ-მოვყარე და... თამაზის უსულო სხეული შემრჩა ხელში.

„თამაზ!!!" ამოვილუღლუღე ცრემლმორეულმა და მის წინ მუხლთ მოვიყარე.

ზემოდან ლაჟვარდის ოდნავი ნათელი აღწევდა და თამაზის ცრიალ სახეზე ლანდები კრთოდნენ. შევყურებდი თამაზს... მის სახეზე არც ჩავარდნის წინ განცდილი შიში სჩანდა, არც სინანული უბედო ბედის გამო. მხოლოდ პატარა საყვედური ალბეჭდოდა:

ერთხელ მაინც გეკოცნაო შე ულვთო!..

როცა თამაზის გვამი ზემოთ ავიტანეთ, ზაზამ მომსკდარი ცრემლები ჭუდის ბანჯგვლებით ამოიწმინდა. მერმედ ძარღვიანი მკლავები მაღლა აიღერა, მწვერვალს დაუქნია და დაემუქრა:

„ჩვენ მაინც ამოვალთ!..."

ჩვენ ავედით...

დაბრუნებისას ერთი აზრი ამეკვიატა... რამდენი რამ იტაცებდა თამაზს! მწვერვალის თხემი ეწევოდა კრიალა ცამდე... გონებისა და მიწის წვეროებს ეჭიდებოდა. შორი ნათელი იზიდავდა საოცარ ძალით, არ ასვენებდა სული ბობოქარი... და მერე რა?!. მოკვდა და სანანულად აი რა გაჰყვა, მხოლოდ:

ერთხელ მაინც გეკოცნაო, შე ულვთო!!!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალიო ადამია

ყირიმში გასაგზავნი წერილი

„... მებრძოლმა ადამიამ 48 ფაშისტი გაულიტა".
„ზარია ვოსტოკა".

დედა მაიას, მოხუც მამაშენს,
მეზობელ სოფლებს, მშობლიურ კუთხეს —
საადამიოს, უკვე დამასწრეს,
შენი გმირობის ამბავი უთხრეს...

და შორს არაა ჩვენგან შავი ზღვა,
დიდი ფოთი და ძველი ყულევიც —
შრიალათ ისმის დღით და ღამითაც
ტალღების მცირე ნაჩურჩულევიც!

შენ ზღვის მილმა ხარ და მაინც გხედავ
რომ მებრძოლებში დგეხარ წინარე, —
შორით გილიმის მოხუცი დედა
იმედიანი და მოცინარე!

სურდა მას შენი ბრძოლა ეხილა,
შენმა მარჯვენამ ფიქრსაც დაასწრო...
ქართველის ხმალი გადატეხილა,
არ გალუნულა იგი არასდროს!...

მე გამეგება შენი სიმღერა
იყოს მეგრული, იყოს ლაზური:
მტრისთვის კარები არ გაიღება,
ჩახერგილია და ჩარაზული!...

გაზაფხულია, ჰყვავის ყირიმი,
გადაიშუქეს ფერი ჭალებმაც, —
და ვარსკვლავები ცაზე მიყრილი
შავი ზღვის ფსკერზე ჰყრია ჭავლებად...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზაფხულია, შმაგი ენგური
ნაპირს მოარღვევს მთებში ნაგეში;
ვით ჩვენებური „ჩელა“ მეგრული
ცას შეჰლიღინებს სიწყვდიადეში.

მინდა შენამდე ასე ჩემი ხმაც
მოიჭრეს, როგორც ჰანგი მცირედი, —
მივლეწ-მოვლეწავთ მტერს და შევრისხავთ
და ლაჩრულად არ გავიწირებით...

კვლავ ამწვანდება ხეზე ფოთოლი,
და ვარდისფერად მოვა მაისი,
აშრიალდება სევასტოპოლი,
ჩვენი იალტა და სიმაისი.

1942 წ. აპრილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფრიდრიხ ვოლფი

ქიული

1939 წელს, 12 ოქტომბერს, საღამოს, როცა ჩვენ, 150 პოლიტიკური პატიმარი, პირველად შევედით ფარდულში, წყვდიადმა პირდაპირ დაგვაბრმავა, თუ შეიძლება ასე ითქვას.. ფარდული წარმოადგენდა ჯერ კიდევ პირველი იმპერიალისტური ომიდან გადარჩენილ ხის ძველ ქოხმახს. მაშინვე გვეცა შმორის სუნი. ეტყობოდა, იქ ხალხი მოკალათებულიყო. სიბნელეში ვაწყდებოდით წვიმისაგან დასველებულ პალტოებსა და ხალათებს, გვესმოდა ესპანური, იტალიური, პოლონური და გერმანული ხმამაღალი შემოძახილი: „ნუ გვერიდებით, თამამად შემობრძანდით ახალ ბინაშიო". იქ იწვა საერთაშორისო ბრიგადის ორმოცდაათი წევრი, რომელთაც ომის გამოცხადების შემდეგ უარი ეთქვათ შესულიყვნენ „ლეგიონში" ან საფრანგეთის არმიის სამარშო ბატალიონში და ამიტომ სასჯელად სხვა ბანაკებიდან გადაეყვანათ პირენეების საზღვარზე მდებარე დისციპლინარულ საკონცენტრაციო ბანაკში. ჩვენ ჯერ კიდევ ვერაფერს ვარჩევდით და ჩვენი მცირე ბარგით ხელში ფეხზე ვიდექით. საიდანღაც ზევიდან გვესმოდა ყურთწამღები ძახილი: საერთაშორისო ბრიგადებს, როგორც გამოცდილ ხალხს, რაც ბუნებრივი იყო, დაეკავებინათ ტახტები „ზედა სართულში". ფეხებში გვედებოდა სხვადასხვა სამუშაო იარაღი — ჩაქუჩები, ნიჩბები. ბოლოს ზევიდან გაისმა მეგობრული გაფრთხილება:

— ბატონებო, ამ ბანაკში, სამწუხაროდ, ლოგინები თვითონ არ მოდიან ადამიანთან.

ვიღაც მეორე თავის ხმას ამგვანებდა ელექტრონის ზარის რეკას.

— თქვენ, ბატონებო, უცდით, როგორც გეტყობათ, ხელზე მოსამსახურე ბიჭებსა და გოგოებს.

ჩვენც წინ მივეჩქარებით. რა მალე ეჩვევა ადამიანი სიბნელეს — ერთ წუთში ჩვენ დავიჭირეთ ფარდულში ყველა ადგილები ზევითაც და ქვევითაც. ბარგი-ბარხანას ვაგდებთ არჩეულ ადგილზე. ავდივართ ზევით და ვიძახით:

— ერნსტ, შენ სადღა ხარ?

— ფრიდრიხ, რალფ, ოტტარ, ალექს, აქ მოდით, აქ ძალიან მოხერხებულია, გადასახედია, როგორც ეიფელის კოშკიდან, პირენეებზე. ლიფტი მარჯვნითაა.. ამოდი, რაღა! მომეცი შენი ბარგი-ბარხანა და ხელი... ხომ ხედავ, აი აქეთ?

ჩვენ მართლაც დავიჭირეთ საუკეთესო ადგილები, „ზედა საწოლები", ე. ი. ყოველ ჩვენგანს ერგო 60 ოთხკუთხი სანტიმეტრით ხის საცხოვრებელი ფართობი, რომელიც იზნიქებოდა, როცა მას დაადგებოდი. ზედ თხლად ეყარა თავცეცხლა და ლერწამ-ნარევი ძველი ჩალა. კედელში გამოჭრილი

იყო პატარა ჭურჭუტანა, საიდანაც შედიოდა ოქტომბრის მკრთალი, წვიმიანი დღის სინათლის სუსტი ანარეკლი.

ხუთი წუთის წინად ჩვენ ძლივს, ფრთხილად შემოვდიოდით ამ—ბნელ, ნესტიან, ცივ ფარდულში, რომელიც დღეიდან—ვინ იცის, რამდენი ხანთ—ხდებოდა ჩვენს ბინად, ეხლა კი ჩვენ უკვე გვქონდა „ზედა საწოლები". ეს კი ნიშნავდა, რომ ჩვენ კი არ დაგვეყრება მტვერი და ჩალა, არამედ ჩვენს მეზობლებს ქვევით. მეტიც მოვახერხეთ: ჩვენ დავიკავეთ პატარა სარკმელი, საიდანაც, მართალია, პირენეის ქარი ჰქრის, მაგიერად სინათლეც შემოდის. მეზობლებად კარგი ბიჭები გვყავან: ერნსტი, სიყმაწვილის მეგობარი, ალექსი, ექიმი ჩეხიის საზღვრიდან, ჰამბურგელი სილფი. ჩვენ წინ მდებარე კედლის გასწვრივაც ამხანაგები მოწყობილან. მხოლოდ ჩემს გვერდით, მარჯვნივ ჩაჩხირულია რაღაც უცხო არსება. ეს არსება მოკრუნჩხულა, გადაუხურავს გაცრეცილი შავი პალტო — საკვირველი კაცია. ყოველ შემთხვევაში, ჩვენიანი არ არის. ჩვენთვის ყოველგვარი მოსაზრებით სასურველია დავრჩეთ აქ, ზევით „ერთიანის კომპანიით". ერნსტი მეუბნება:

— გაუცვალოს ადგილი ალექსის, ჩვენს მარცხნივ. შემდეგ პოლონელები არიან.

ძე მივუბრუნდი მოკრუნჩხულ პალტოს, ოდნავ შევეხე და ვუთხარი:

— არ შეიძლება, ადგილი გაუცვალოთ თქვენს მეზობელს მარცხნივ? ჩვენ ძველი ნაცნობები ვართ და გვინდა ერთად ვიყოთ.

პასუხად მესმის გაბოროტებული ბუზღუნი და გაურკვეველი წყევლა. პალტო კიდევ უფრო მჭიდროდ იკუმშება.

„შინაგანი მტრის" წინააღმდეგ მომქმედი პოლიციის რაზმის garde mobile-ს უფროსი გაჰყვირის მთელს ბანაკს:

— Rassemblement! დადექით!

ჩვენ მწყობრად ვდგებით ეზოში. გუნდებად გვანაწილებენ სამოც-სამოც კაცს. ჩვენი ბანაკის უფროსი გვატყობინებს (ბანაკში ითვლება ათი ფარდული ანუ 2000 პატიმარი): „თქვენ იმყოფებით დისციპლინარულ სამხედრო ბანაკში. თუ რომელიმე თქვენგანი დაბინდების შემდეგ 10 მეტრის მანძილზე მიუახლოვდება ეკლიან მავთულს, მას გაუფრთხილებლად ესვრიან!" ამის შემდეგ თავებს გვპარსავენ. გვინდა პროტესტი განვაცხადოთ, მაგრამ ვამჩნევთ, რომ თავები გაპარსული აქვთ საერთაშორისო ბრიგადის რაზმელებსაც. გადავწყვიტეთ პროტესტი გადაგვედო უფრო დიდ შემთხვევამდე. სწორეთ ამ დროს სანარეცხოს რაღაც ვედროთი მოაქვთ წვენი. რადგან ჩვენ პარიზის საპატიმროდან ჩამოგვიყვანეს, ხოლო იქ დაგვაპატიმრეს ღამით ბინებზე, არცერთ ჩვენგანს არ აღმოაჩნდა საჭირო ჭურჭელი. საერთაშორისო ბრიგადის რაზმელები გვაწვდიან თავიანთ ჭურჭელს, საკონსერვო ქილებს, მაგრამ ეს „ჯამები" არ გაგვწვდა. საშინლად გვშიან. დამრიგებელი ერთხელვე არჩეული სისწრაფით ასხამს წვენს. ვედრო თითქმის დაცალიერდა. ჩემს გვერდით გაჩნდა ის პალტოიანი უცნაური კაცი. უსიტყვოდ იხდის წაღას და შეუშვერს წვნის დამრიგებელს, რომელიც აგრეთვე უსიტყვოდ უსხამს მუხუდოს წვენს. პალტოიანი პირდაპირ წაღიდან ხვრეპს.

— აი ნამდვილი ღორი! — ზიზღით ამბობს ერნსტი.

— მე მომეცი ამ ლენჩის კერძი, — მიმართავს პალტოიანი დამრიგებელს: — ამ ლენჩს, ეტყობა, არა შია!

და იგი ყლაპავს ერნსტის კერძსაც: ერნსტს ჯამი არა აქვს. პალტოიანის მიბაძვით ბევრი იხდის წაღას, რომ იმავე ხერხით გაგზავნოს ატომაქში ცხელი, წყალ-წყალა წვენი. ზოგი წაღა გადადის ერთი ხელიდან მეორე ხელში. თუმცა ჩვენ არა ვართ პოლონელი შლიახტიჩები[1], რომელთაც უყვართ შამპანურის სმა სატრფოთა ფეხსაცმელებიდან, მაგრამ, უნდა ვაღიაროთ, პატიმართა წაღებიდან გადმომდინარე ეს ფაფილა, ძალიან გემრიელი გვეჩვენა.

მაგრამ ერნსტი, სუფთა, ზრდილი გერმანელი, ვერ სძლევდა ზიზღს „პალტოსადმი“, რომელიც აღმოჩნდა პარიზელი დაბალი არონ ლიტერი. ერნსტი, რომელმაც ხის ნამორიდან უთოც კი გაიკეთა, ერნსტი, რომელმაც მაშინვე დაიწყო პერანგისა და ცხვირსახოცების რეცხა, ხედავს, რომ არონ ლიტერი მთელი პირველი კვირე არ იხდის ტანსაცმელს და ერთი წუთითაც არ იშორებს თავის პალტოს. ერნსტს ზიზღი აღრჩობს, როცა მის გვერდით სჭამს არონი, როცა იგი საშინლად ახველებს დღისით და ღამით და ჩვენს სარკმელში გადააფურთხებს ყვითელ სქელ ნახველს. ბოლოს ერნსტი მოითხოვს ჩემგან, რომ ვაიძულო მეზობელი „გადასახლდეს“. გარდა იმისა, რომ არონ ლიტერი ჩემს წინადადებას დაცინვითა და საშინელი წყევლა-კრულვით გასცემდა პასუხს, მე თვითონ ვგრძნობ, რომ არა მაქვს უფლება იგი გავაგდო. მაშინ ერნსტი თვით მიმართავს „პალტოს“. ხდება შეტაკება წარმოუდგენელ გერმანულ-პოლონურ-ფრანგულ დიალექტზე. ერნსტი ცდილობს შეაგნებინოს ბატონ არონ ლიტერს ჰიგიენის საფუძვლები, ბატონი ლიტერი კი უპასუხებს ველური წყევა-კრულვით.

— აი შენ გახდი ათასფეხა და სულ გაბანია შენი ფეხები!

როცა გაცხარებულ კამათში ერნსტი დაეთანხმა, უკეთესია ათასფეხად გახდომა და ათასჯერ ფეხის ბანა, ვიდრე ოთხფეხიან წვირიან ღორად, მოწინააღმდეგემ ბრაზიანი დაცინვით მოსთხოვა ზრდილ გერმანელს, მიშოვე ცხელი წყალი, საპონი, პირსახოცი და თბილი ოთახი, რადგან გიჟი კი არა ვარ, არამედ ფილტვების ავადმყოფობით ვარ დაავადებული და სრულიადაც არ მინდა გარეთ, ცის ქვეშ ბანაობამ სული გამაცხებინოსო. საერთოდ მე, არონ ლიტერს, არ დამიწყია მუსაიფი ახალგაზრდა კაცთან და გაგრძელებაც აღარ მსურსო. აქ კი ერნსტმა ჩვენ მოგვმართა, ნუთუ შეგიძლიანთ დასთანხმდეთ, ტილები დაგესიოთ და რაიმე ავადმყოფობა გადმოგედოთო. მეზობლის სახელი დავიწყებოდა და „მეზობელი ჟიული“ უწოდა, რაც შეიძლება ნიშნავდა აგრეთვე (juif) ურიას.

ამ სიტყვამ ახალი უსიამოვნება გამოიწვია.

— მე ჟიული არა ვარ, ბატონო ჩემო. მე თქვენთვის ვარ ბატონი არონ ლიტერი, — უკმაყოფილებით განაცხადა მან. — ადამიანს მიმართავენ ან მისი სახელით, ან სრულიად არ მიმართავენ. არონ ლიტერი და არა ჟიული!

მისი ხელები, დიდი ღონიერი ხელები ძველი დაბალისა, სრესენ პალტოს კიდურს. მისი თავი უეცრად იქცევს ჩვენს ყურადღებას. ეს თავი განსაცვიფრებლად უშნოა და იმავე დროს ლამაზი. ამოზნექილი, პატარა, კოპებიანი შუბლი; საფეთქლებსა და ცხვირს სერავენ კორძებიანი ძარღვები; თავის ორივე მხარეზე თხელი, მოწითალო თმა ზე წამოწეული დგას; სქელი, ნაზად მოხაზული ტუჩები ნახევრად ღიაა; ფართო, ოდნავ დატკეცილი ცხვირი სა-

[1]) აზნაურები.

ხეს ნადირის გამომეტყველებას აძლევს. მაგრამ ყველაზე უფრო შესანიშნავია თვალები; სასტიკი, მამაცი, მუქ-ლურჯი თვალები ისეთი ველური, ძლიერი და ლამაზია, რომ თითქოს ბატონობენ მთელ მის არსებასა და იმონებენ მოწინააღმდეგის ნებისყოფას.

— ჩემი სახელია, ბატონებო, არონ ლიტერი და არა ჟიული!

ვერავინ ბედავს სიტყვა შეუბრუნოს გააფთრებულ ადამიანს. ის ისევ ყურებამდე სწევს პალტოს, წვება ჩალით თხლად დაფენილ ფიცრებზე და ემსგავსება საცოდავ ფუთას. ამ დღიდან არონ ლიტერს შეერქვა ჟიული. მალე მთელი ბანაკი ასე ეძახდა და ასე გრძელდებოდა მისი უდროოდ გარდაცვალებამდე, რადგან ტულუზელმა ღვთისმსახურმა ჟიული ლიტერის სახელით აუგო წესი და დამარხა. მაგრამ მანამდის ჯერ კიდევ დიდი მანძილია.

ჟიული დღე და ღამ საშინლად ახველებს და აფურთხებს. ერნსტი ამბობს, საჭიროა ქოლგა ვიყიდოთ და გახსნილი ჩავიდგათ ჩვენსა და მის შორისო. იმ ხანებში პარიზიდან ორი საბანი მომივიდა. პალტოს გარდა ჟიულის ჯერ კიდევ ვერაფერი უშოვნია. ერთ ღამეს, როცა მისმა ხველამ და ფურთხებამ აღარ დამაძინა, ერთი ამ საბანთაგანი მას დავახურე. დილით საბანი მაინც ჩემს გვერდით აღმოჩნდა. ასე ხდებოდა განუწყვეტლივ რამდენიმე ღამეს, სანამ ერთხელ ჟიულიმ არ მითხრა:

— რად მახურავ შენს საბანს?

— შენ რომ ნაკლებ ახველო და მე უკეთ ვიძინო.

— ეს კი ამბობს, თითქოს მე შხამიანი ამონასუნთქი მქონდეს, — ჟიულიმ თვალით ერნსტზე მიჩვენა, — თითქოს ჩემი ნახველი თქვენ გწამლავდეთ და, მაშასადამე, შენი საბანი ოხრად წავა.

— მაშ სულ წაიღე ეს საბანი.

მან თვალები დამაშტერა და არაფერი მითხრა. საღამოს ჟიულიმ კონსერვის ძველი ქილით ცხელი ჩაი მომიტანა.

— დალიე, გაგათბობს.

ერთხელ ღამით შევნიშნე, რომ ჟიული ძალიან ცდილობს არ გამაღვიძოს, იკავებს ხველას და ყლაპავს ნახველს. ქრთამი მივეცი სანიტრის თანაშემწეს, მოეტანა ჩემთვის ტულუზიდან ცოტა იპეკაკუანი და ანისოლის წვეთები. ამით ვმკურნალობ ჟიულის. იგი აღტაცებულია. გახარებულია და უნდა ერთ დღეში მიიღოს ყველაფერი. მეორე დღეს უკვე გვარწმუნებს, წამალმა საუცხოოდ იმოქმედა და ეხლა უსათუოდ მოვრჩებიო. ჟიული დადის ბანაკში, ყველას გასაგონად აქებს „თავის ახალ ექიმს“ და ვერ გაუგია, თუ რატომ ვუშლი მე ასეთ რამეს. ბანაკში ჟიულის ჰყავს ერთი ძველი ნაცნობი, თერძი ბინაკი პარიზიდან, რომელსაც მეგობრულად „ბინენშვანც“-ს [1] ეძახის. ბინენშვანცი, მოჭიდავე, მოყვარული სენისა და უაზის დეპარტამენტებისა, საშუალო წონის ჩემპიონია, ხელით ღუნავს რკინის ძელებს.

ერთ მშვენიერ დღეს ჟიული და მისი მეგობარი ბინენშვანცი ჩემთან ამოდიან. ჟიული ამგვარად გვაცნობს ერთმანეთს.

---

[1]) გერმანულად „ფუტკრის კუდს“ ნიშნავს.

— ჩემი მეგობარი ბინენშვანცი, თერძი და მოჭიდავე, თუ დაგერდა პიჟაკის შეკეთება... ეს კი ჩემი ექიმია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ რამდენჯერ გამიგონია მისგან „ჩემი ექიმი“ ან „ჩემი ეპატარა ექიმი“. ამ სიტყვებში ისმოდა მფლობელისა და კერძო მესაკუთრის სიამაყე, მაგრამ იყო აგრეთვე კილო, რომელიც აქამდე ჟიულის ხმაში არ შემინიშნავს — კილო სინაზისა, მეგობრობისა და სიხარულისა.

ასე იყო თუ ისე, უნდა გამესინჯა ძველი და ახალი ფურუნკულებით დაფარული ძლიერი კისერი ბინენშვანცისა. იმავე დროს ჟიული იფიცებოდა თავის თორმეტი წლის ქალიშვილის მარიამის თავს, რომ მე სულ ცოტა ხანში გავკურნავ მის მეგობარს ამ ქრონიკული დაავადებისაგან. ჟიულის ნდობამ „თავისი“ ექიმისადმი ყოველ საზღვარს გადააჭარბა. და ნოემბრის ერთ ყინვიან დილას მოხდა დიდი ამბავი — ადამიანმა გაიმარჯვა თავის თავზე. ხის რვა როფი, რომელშიც პირს ვიბანდით ჩვენ და მეზობელი ფარდულის მცხოვრებნი (სულ ოთხას კაცამდე), იდგა ღია ცის ქვეშ და მათ უბერავდა პირინეის გამყინავი ქარი. სწორედ ეს ორი საერთაშორისო ბრიგადის წევრებისაგან შემდგარი ფარდული იყო დისციპლინის ყველაზე უფრო მიმდევარი როგორც შრომის შესრულებაში, ისე სანოვაგის გაყოფასა და ჰიგიენურად ცხოვრებაში. ჩვენ ყველანი, გარდა ავადმყოფებისა და რამდენიმე „უცხო“ პირისა, ყოველ დღე, დილით ექვს საათზე, როგორიც არ უნდა ყოფილიყო ქარი და ავდარი, ტანს ვიბანდით. ჩვენი მიზანი იყო, უფრო ცუდი დროებისთვის მოგვემზადებინა თავი. და აი ერთხელ დილით, როცა მე და ერნსტი ერთმანეთს ზურგს ვუფხეკდით, მეორე როფთან უპერანგოდ წელამდი ტიტველი, მთლად დაფარული საპნის ქაფით, გამოჩნდა ჟიული. საზეიმოდ, ისე, რომ მთელ რაზმს გაეგონა, ჟიულიმ დაიძახა:

— თქვენ თუ გეგონათ, რომ მე საპნის მეშინოდა, ძალიან სცდებოდით!

იშვიათად მსმენია თეატრის პრემიერაზე ისეთი ტაში, როგორიც წილად ხვდა „ღია ცის ქვეშ ჟიულის განბანას“. მივარდნენ, სველ ხელს ართმევდნენ და ბედნიერებას უსურვებდნენ. საპნის ქაფში გახვეულმა ჟიულიმ მარცხენა თვალი ჩამიკრა, თითქოს მეუბნებოდა: „აი როგორი ვართ ჩვენ, მე და თქვენ, ორივე“.

ერნსტსაც კი აუჩუყდა გული. იგი მზადაა ირწმუნოს, რომ შეიძლება ადამიანი ორმოცი წლის ცხოვრების შემდეგაც მოერიოს თავის ჩვევებს და რომ ეს არის, ჟიულის მხოლოდ პირველი გამარჯვება. „წყლით მკურნალობას“ ჟიულისთვის არ უწყენია. პირიქით, ხველა შეუნელდა. გაუარესება, რომელმაც საფლავამდე მიიყვანა, დაიწყო უფრო გვიან, შუა ზაფხულში, და სულ სხვა მიზეზმა გამოიწვია.

მაგრამ ჟიულის ჰქონდა თავისი წრისაგან შეძენილი სხვა ნაკლი, რომელთანაც უნდა ებრძოლა. ჯერ კიდევ ბავშვი, 1915 წელს, პირველი იმპერიალისტური ომის დროს, ვარშავასთან ბრძოლებისას ჟიული გაიქცა თავის ცეცხლმოკიდებულ სოფლიდან, და, რადგან არც ერთი ადამიანი მისთვის არ ზრუნავდა, იგი იძულებული გახდა გაჭირვებით ეცხოვრა ვაჭრობითა და კონტრაბანდით. მძიმე ცხოვრება იყო. მაგრამ სხვა რამ არ იცოდა. აქ კი... ჩვენი დარაჯები გატაცებით ჰკრეფენ მარკებს, რაც ჟიულისაც უყვარს, შუადღეზე, წერილების დარიგების დროს, ჟიული უეჭველად გაჩნდება, თხოულობს მარკებს და წერილის მიმღების ნებართვით თუ უნებართვოდ ელვისებური სისწრაფით სჭრის მარკებს, წერილებსა და ამანათებს. ნაწილს

თვითონ იტოვებს, დუბლიკატებს კი დარაჯებს აძლევს, რომელნიც ამისთვის თავის მხრივ ნებას აძლევენ, მოეხმაროს მათ სასადილოში, სადაც ქიულის ხვდება ზოგჯერ ცოტა შაქარი, ნამცხვარი და ხილი. ... ქიულის შევაგნებინო, რომ დარაჯები სცემენ ჩემს მეგობრებს ბნელ საკანებში, რომ მათთან მეგობრობა სამარცხვინო რამეა. ქიული ფიცსა სდებს, რომ გამოსწორდება, მაგრამ მეორე დღეს ისევ ვაჭრობს მარკებით.

— ამას თავის დღეში ვეღარ გადააჩვევ, — მეუბნება ერნსტი.

მე ვჯიუტობ:

— საძაგელი ფენის ქვეშ ქიულის აქვს კეთილი ჩანასახი.

— ეძიე, გისურვებ წარმატებას, — მიპასუხებს ერნსტი.

შესაძლებელია, მე მართლაც გადაჭარბებით ღრმად ვიცქირებოდე ქიულის ბუნებაში. იქნებ ყველაფერი ეს უგნურებაა? ამხანაგები მარწმუნებენ, ქიულის გამო „თავს ისულელებო“. ახლა რვეული ვუყიდე. იქ აწერებს ყველა „კარგ მარკას“... ვაჟიშვილისათვის. მისი ვაჟი, ფილიპე, სადღაც აფრიკაშია ფრანგულ ლეგიონში. ერთხელ, ზამთარში, ქიულიმ მიიღო წერილი ტუნისიდან. წერილს ჭრელი, მეტად საზეიმო ემბლემა ჰქონდა დაკრული. ფილიპე იწერებოდა, ეს „უკანასკნელი წერილია გამგზავრების წინაო. ახლა ცხენზე ჯდომა ვისწავლე და ცხენიანად გემით მივემგზავრებიო“. ქიულიმ ორი საფუძვლიანი კითხვა მომცა: ჯერ ერთი, გემით რად მიდიან ცხენიანაო, როცა აფრიკაშიც ბევრია ცხენით სასიარულო ადგილი, და მეორე, რა საქმე აქვს ბავშვს ცხენთან, როცა აქამდის ცხენის არა გაეგებოდა რაო? მითხარი ერთი, ჩემო ექიმო, შეისვამს კი ცხენი ზურგზე?

მე შევეხუმრე: — უეჭველად გადმოაგდებს, თუ ცხენზე ჯდომა არ იცისმეთქი.

— რა უნდა ქნას კაცმა, რომ ცხენმა არ გადმოაგდოს?

— ცხენს კარგად უნდა მოეპყრას და ხშირად აძლიოს შაქარი.

— შაქრის ნატეხები?

— დიახ, შაქრის ნატეხები.

ერთ მშვენიერ დღეს ვამჩნევ, რომ ქიული მარკების დუბლიკატებს შაქრის ნატეხებზე სცვლის. ჩვენი საკუთარი შაქრის მარაგიც სწრაფად ილევა. მალე ქიულიმ შეკრიბა შაქრის მთელი პარკი, რომ გაეგზავნა შვილისათვის, უფრო კი ცხენისთვის, და ამით მოელბო ცხენის გული. ამას სჩადის, რადგან ქიულის მთელ ქვეყანაზე ჰყავს მხოლოდ სამი ძვირფასი არსება: ვაჟი ფილიპე, ქალი მარიამი და „თავისი ექიმი“.

— ცოლი?

— მე ყოველთვის კარგად ვეპყრობოდი მას.

„ქვედა სართულში“, ჩვენს პირდაპირ, სცხოვრობს მეწაღე გიანი. მან პარიზიდან გამოიწერა იარაღი და მიიღო უფლება იმუშაოს. დარაჯებისათვის, რა თქმა უნდა, უფასოდ მუშაობს, ტყავის ფასსაც კი არ ახდევინებს, ჩვენზე ინაზღაურებს ყველაფერს.

იგი „უცხო ელემენტია“, მაგრამ ერთად-ერთია, რომელსაც აქვს მეჩექმის ხელსაწყო, ლურსმანი და ტყავი.

წაღების ლანჩაში გიანმა გაუგონარი ფასი — 30 ფრანკი — გადამახდევინა.

მეორე ამხანაგს, რომელსაც არ შეეძლო ასეთი ფასი გადაეხადა, გიანმა პირდაპირ უარი უთხრა წაღების შეკეთებაზე. საქმე ცუდად დატრიალდა.

გიანი გვარიანად მიბეგვეს. საქმეში ჩვენი სერჟანტი ჩაერია. თავის გასამართლებლად გადმოღვრილ მთელ ნაკადში გიანმა სხვათა შორის გვანაცხადა, ქიულმაც მითხრა, წაღების შესაკვთებელი ფასი დიდი ბრ—არის და სრულიად თავისუფლად შეგიძლია „ჩემს ექიმს“ გადაახდევინოვო. ვერ მოასწრო ამისი თქმა გიანმა, რომ ჩემს გვერდით მხეცური ყვირილი გაისმა. როგორც ავაზა, ერთის ნახტომით ვიღაც ჩავარდა ქვევით და გიანი იატაკზე დაანარცხა. ქიულის ხელში გაიელვა გიანის წართმეულმა მეწაღის დანამ.

მე ვუყვირი:

— ქიულ, ნუ გაგიჟდი!

ქიულს არაფერი ესმის. სერჟანტმა სილა გაარტყა — ქიული მას ეძგერა. ამხანაგები აკავებენ. ის კი უყვირის:

— გამიშვით, თქვე მშიშარა ღორებო, თქვე ლაწირაკებო! ფურთხის ღირსი ხართ ყველანი, ფურთხის!..

ვტაცე ხელი წითურ თმაში და როგორც იყო ავათრიე ზევით. ამხანაგები ცდილობენ სერჟანტი დააშოშმინონ. მას თვითონაც არ უნდა, მისმა ფარდულმა „ყურადღება მიიქციოს“. გიანი თხოულობს, სხვა ფარდულში გადაიყვანონ, რადგან ეშინია „ნადირის“. „ნადირი“ ქიულია.

ქიული მთელი დღე არ იღებს ხმას. ბოლოს მეკითხება:

— შენ დაუჯერე იმ ღორს, რომ მე თითქოს ვურჩიე, შენ მოეტყუებინე?

— სისულელეა, ქიულ! ერთი წუთითაც არ დამიჯერებია.

— სერჟანტებიც კარგები არიან! დაუფიქრდი ამას, ჩემო ექიმო!

ქიულს ელვიძება სიძულვილი პოლიციელებისადმი.

გაზაფხულზე, როცა წვიმასა და ავდარში გვიხდება ჩვენ თვითონ გავიკვლიოთ გზა საკუთარ სასაფლაოსკენ, როცა ფარდულში არ არის ღუმელი და მთელ დღეს ვერ ვიხდით სველ ტანსაცმელს, ქიულის ისევ დააწყებინა ხველა. მთელ ღამეებს ქიული კრუსუნებს და სულს ძლივს ითქვამს. ვამჩნევ, როგორ უნდა შეიმსუბუქოს ხველა — უნდა მუხლებზე დადგეს და წინ გადაიხაროს. და ქიული თითქმის მთელ ღამეს მუხლმოდრეკილი დგას. და თუ შენიშნა, რომ მე არ მძინავს, ცდილობს ხველა შეიკავოს. ერთხელ გავიგონე კიდეც, თუ როგორ ეუბნებოდა თავის თავს ნახევრად მძინარი ქიული:

— დაწყნარდი, ქიულ... მუხლებზე დადექ, ქიულ... ნუ ახველებ, ქიულ...

აპრილის ერთ დილას, როცა პირინეიდან ჩვენსკენ ჩამოწვა სეტყვა, სამუშაოდან ფარდულში დაბრუნებულმა ერნსტმა მითხრა:

— ნეტავი გენახა დღეს ქიული. მე მგონია, დარაჯებსაც კი შეეშინდათ მისი. ავადმყოფობის გამო, იგი მხოლოდ მსუბუქ სამუშაოზე უნდა გამოიყენონ. დარაჯებმა კი მოისურვეს გაეწვალებინათ ქიული და დააყენეს მძიმე ქვების ზიდვაზე. უეცრად მან მიუგდო ქვა რაზმის უფროსს ფეხებში და იყვირა, „მე მოვალე ვარ, მხოლოდ მსუბუქი სამუშაო შევასრულოო“.

— თუ გნებავს, უფრო მძიმე სამუშაოც მოიძებნება, — დასცინა უფროსმა.

— მეტს აღარ ვიმუშავებ არც ერთ წუთს, — აყვირდა ქიული. — ერთ კარტოფილსაც არ გავფცქვნი, თუნდაც დახვრეტა მომელოდეს. ავადაც ვარ

და თან მინდა გავიგო, რატომ შემომაგდეს აქ? მხოლოდ იმიტომ, რომ დაბალების კავშირის წევრად ვითვლებოდი და ესპანეთის სასარგებლოდ ვსწირავდი ფულს? ამისთვის დამაპატიმრეთ ღამით, თითქოს ყაჩაღი ვიყოფილიყო? ჩემი შვილი ფილიპე ხომ საფრანგეთის არმიაშია, ტუნისში, ქალიშვილი მარიამი და ცოლი ქალები არიან. ეს ჩირქსა სცხებს საფრანგეთსა და პოლიციელებს, რომელნიც თავიანთი რევოლვერებითა და ბამბუკის ჯოხებით ცირკის ნადირთ-მომთვინიერებლებსა ჰგვანან. არა! კმარა!

პოლიციელებმა სადღაც წაათრიეს.

ორიდან სამ კვირამდე საკანში აყურყუტებენო, — ვფიქრობდით ჩვენ.

მაგრამ შუადღისას ჟიული ისევ გამოჩნდა. ლოყებზე წითელი წინწკლები უხურდა. ჟიული კანკალებდა. ჩვეულებრივად არა ტრაბახობდა, სიტყვასაც არ იღებდა. საღამოს ამოიღო თავისი საყვარელი მარკები და დუბლიკატები დახია. შევეკითხე, ხომ არ გაგიჟებულხარ-მეთქი?

მიპასუხა:

— დამეხსენი, ჩემო ექიმო! ჟიულიმ იცის, რასაც შვრება.

ამის შემდეგ ჟიული მარკებს მხოლოდ შვილისთვის აგროვებდა და მთელის გულითა და სულით შეიძულა პოლიციელები.

სიცხე ხშირად დილიდანვე 39 გრადუსი ჰქონდა, მაგრამ ჟიულის არ უნდოდა საავადმყოფოს ექიმებისათვის მიემართნა, რომელთა წამლებში ძლიერ დიდი ფასი უნდა გადაიხადოს კაცმა. ჟიულიმ მე მომმართა:

— გამსინჯე კიდევ ერთხელ, ჩემო ექიმო.

მართალია, მარცხენა მხარეზე, ზემოთ, კავერნა აქვს, იგი ქშენს და სტვენს, როგორც ორთქლმავალი. ისევ შევეცადე ტულუზიდან მიმეღო მისთვის წამალი. ჟიული ბედნიერია. მოხუც პოლონელს გამოვართვი და ჟიულის ზურგზე კოტოშები დავაყარე.

— შენ უსათუოდ მომარჩენ, ჩემო ექიმო! — მეუბნება ჩემდამი რწმენით გამსჭვალული ჟიული.

მაგრამ ერთხელ ღამით, როცა ხველა წუთითაც კი არ შეუწყდა, ჩუმად მომმართა:

— ჩემო ექიმო...

— რა გინდა?

— როგორ ფიქრობ, კიდევ დავინახავ ოდესმე ჩემს ქალიშვილს, ჩემს მარიამს?

— ნუ იძლევი სულელურ კითხვებს, ჟიულ! რა თქმა უნდა, ნახავ.

მე მოგარჩენ და შენს ოჯახში კიდეც გამოვძღებით ნამცხვრებით, ღვინოსაც ბლომად დავაყოლებთ.

— შენ თუ ასე ამბობ, ჩემო ექიმო...

ხშირად წვება ჩემს საწოლზე, კედლის პატარა ჭურჭუტანასთან, და საშზარეულოში ნაპოვნ ძვლებიდან თავისი გოგონასთვის სჭრის ბეჭდებს, გულის ქინძისთავებსა და ბალთებს. ჟიულის მუდამ თან დააქვს გოგონას პატარა სურათი, უცქერის თვითონ და მეც მაჩვენებს.

— როგორი ბავშვია! წარმოუდგენელი სილამაზისაა, ხომ?

ერთხელ, აპრილის დამლევს, აღელვებულმა ჟიულიმ განზე გამიხმო. წერილების დიდი ხნის შეწყვეტის შემდეგ ჟიულის ისევ მოუვიდა ცოლის ბარათი. კონვერტში აღმოჩნდა მარიამის უკანასკნელი ფოტო-სურათი. უკვე მართლაც ლამაზი ქალიშვილი გამხდარა. მარიამს ელზასელი ქალიშვილის

ტანისამოსი აცვია, გრძელი ნაწნავები ამშვენებს და თმაში გაყრილი აქვს ფართო, შავი ბანტები.

— რა ბავშვია, რა ნიჭიერია! ზეიმზე დალადიესა და მეთავრეობის წინაშე იცეკვა, აი შენ თვითონ წაიკითხე... — მიბრძანებს სიამაყისგან ბედნიერებადაკარგული ჟიული.

ვკითხულობ ბარათს, რომლითაც ცოლი ატყობინებს ჟიულის, მარიამმა დიდ პატრიოტულ საღამოზე თვით პრემიერ-მინისტრის დალადიეს წინაშე იცეკვაო.

— ძალიან ნიჭიერი ბავშვია, — იმეორებს ჟიული, რომ გამომიწვიოს მოწონების გამოსათქმელად.

თუმცა ძალიან მინდა, მაგრამ ვერაფერი ვიპოვნე და სურათს უკანვე ვუბრუნებ. სურათს მართმევს და სევდიანად მეუბნება:

— შენ პოლიტიკოსი ხარ, ჩემო ექიმო. ეს ვიცი. მაგრამ ერიდე პოლიტიკას. პოლიტიკა დაგღუპავს ოდესმე.

ერნსტი იქვე იჯდა. გვთხოვა ელზასელ ქალის ტანსაცმელში გამოწყობილი მარიამის სურათი გვეჩვენებინა.

საღამოს ერნსტი მეუბნება:

დაანებე თავი მაგ ჟიულის!

ჟიული ეხლა განთავისუფლებულია მუშაობისაგან. მუდამ სიცხე აქვს. გაძნელდა მისთვის წამლის შოვნა — ტულუზაში აღარავის უშვებენ. მთავარი ექიმი მუდამ მთვრალია და მხოლოდ ორ დიაგნოზსა სვამს: motivé [1]) და pas motivé [2]). პირველი ნიშნავს ხუთი-ექვსი დღით სამუშაოდან განთავისუფლებას, მეორე — საკანს, სადაც ინტერნირებულთ დარაჯები სცემენ. ღარიბი და უფულო პატიმრები, რომელთა რიცხვს ჟიულიც ეკუთვნის, ღებულობენ ჩვეულებრივ მეორე დიაგნოზს. დიაგნოზისათვის — motivé და წამლისათვის უნდა გადიხადო ასიდან ორას ფრანკამდე, რომელსაც სერჟანტი-სანიტარი გადასცემს ზევით, დანიშნულებისამებრ. ხუთას ფრანკად შეიძლება ერთი-ორი თვით ბანაკის საავადმყოფოში მოეწყოს კაცი. ორისამი ათასი ფრანკი ღირს ტულუზის საავადმყოფოში გაგზავნა, სადაც შეიძლება რამდენიმე თვის გატარება (ეს თვეებიც ძალიან ძვირი ჯდება) და, ბოლოს, შეიძლება მოწმობის მიღება, რომ „შეუძლებელია ავადმყოფის ბანაკში დატოვება". ყველაფერი ეს დაახლოვებით ღირს ათი ათასი ფრანკი. ჩვენი ბანაკის სამხედრო ექიმები ან ქრონიკული ალკოჰოლიკები არიან, ან სადისტები, უფრო ხშირად კი ორივე ერთად. ერთხელ მოხუც ამხანაგს, რომელიც ღამით მეორე სართულიდან გადავარდა და ხელი მოიტეხა, მთავარმა ექიმმა დაზიანებული ადგილი მარლით შეუხვია. როცა ამ საქმეში ჩავერიე, ექიმმა მხოლოდ მხრები აიჩეჩა და მითხრა, არტახი არა მაქვსო, და ორმოცდაათი წლის კაცს ბორკილებით გაუკრეს საღი და დამტვრეული ხელები და სამოცი კილომეტრის მანძილზე გაგზავნეს ტულუზაში.

---

[1]) დასაბუთებულია.

[2]) არ არის დასაბუთებული.

ჟიული მათ არ ენდობა. ყოველ ექვს დღეში სიცხის გასაზომად შიდის და ღებულობს აღნიშვნას: „შრომა არ შეუძლია“. ჟიული ჩალის ბომარაზე წევს, თავის ქალიშვილისათვის ბეჭდებსა სთლის და ვაჟის ფილიპესთვის გამზადებულ მარკებს ერთი ადგილიდან აძრობს და მეორე ადგილზე აწებებს. ზოგჯერ წერილებს მიკარნახებს ფილიპესთან, სთხოვს, მოსწეროს წერილი მასაც და დედასაც და ურჩევს, როგორ მოუაროს ცხენს. მაგრამ ფილიპე წერილს აღარ იწერება. აპრილის დამლევს გამოგვიცხადეს მინისტრის განკარგულება: ინტერნირებულთ, რომელთა შვილები საფრანგეთის ჯარში იმყოფებიან, ნება ეძლევათ შუამდგომლობა აღძრან პატიმრობისაგან განთავისუფლების შესახებო. შუამდგომლობაზე ხელი უნდა ჰქონდეს მოწერილი ვაჟიშვილს, ხოლო ხელის მოწერა დამოწმებული უნდა იყოს უფროსის მიერო. მე გადავეცი ეს განკარგულება ჟიულის, ვუთხარი, ეხლა შეგიძლია განთავისუფლდე-მეთქი. სიხარულით შეხტა.

— ჩემო ექიმო, მთელ პარიზს შემოვირბენ, რომ შენც გაგანთავისუფლონ.

შემდეგ კი უეცრად განაცხადა:

— არა, ეს შეუძლებელია. ამან შეიძლება ჩემს შვილს ავნოს. იმან არ უნდა იცოდეს, რომ მამა მისი საკონცენტრაციო ბანაკშია მოთავსებული.

მოთმინება მეკარგება.

— შენ სულ მთლად გაგიჟდი, ჟიული! ვის უნდა სცხვენოდეს? შენ, რომლის ვაჟიც საფრანგეთის ბაირაღის ქვეშ იბრძვის თუ იმ პირუტყვებს, რომელნიც ავადმყოფ კაცს, ჩვენების ჩამოურთმევად, განაჩენის დაუდებლად, თვეობით გაყურყუტებენ ამ საღორეში? აზროვნების უნარი დაკარგე, მგონი, თუ განგებ ილენჩებ თავს? განა ძაღლი ხარ, რომელიც შიშისაგან სუფრის ქვეშ შეძვრება და იქაც კი კუდს აქიცინებს, როცა ფეხს წაჰკრავენ?

ამ შემთხვევამდე ასე გაბოროტებით არ შემოუხედნია ჩემთვის ჟიულის.

— ამაზე კიდევ ვიფიქრებ — ორჭოფად მიპასუხა ჟიულიმ.

საღამოს კი განმიცხადა:

— ნუ მიწყენ, ჩემო ექიმო, ვიცი. ეს უსათუოდ ავნებს ჩემი შვილის წარმატებას. მე ბებერი ვარ, ის ყმაწვილია... თავი გამანებე, — შენ პოლიტიკოსი ხარ, ესეც ვიცი. მე კი საერთო არაფერი მაქვს პოლიტიკასთან. მე უბრალო დაბალი, მუშა ვარ, საწყალი პოლონელი ურია. მე მინდა ჩემმა შვილმა ჩემზე უკეთეს მდგომარეობაში იცხოვროს.

ყველაფერი ამაოა. ჟიულის ვერაფერს შეასმენ. ნელ-ნელა მეც ვუთმობ. ერნსტი მართალი იყო, როცა დაცინვით მითხრა: ეძიე მასში კეთილი ჩანასახი, გისურვებ წარმატებასო. მართლაც რომ ძველი ქუდი გადაკეთდება, მაგრამ ძველი კაცისაგან ვერაფერს გამოიყვან. ჩემზედაც მომდის გული და ჟიულზედაც. თითქმის არ ველაპარაკები. ჩალაზე წევს, ლოყები უფრო და უფრო უწითლდება. მის მუდმივ ხველასა და ფურთხებას უკვე შევეჩვიეთ. მაგრამ ჩვენ შევეჩვიეთ აგრეთვე პატიმრობაში ყოფნას, ეკლიან მავთულს, დარაჯების სტვენას, რაც ყოველ ჩვენს მოძრაობას განაგებს, შევეჩვიეთ მთვრალი დარაჯების მუჯლუგუნებს, მუშტით და თოფის კონდახებით ცემას, შევეჩვიეთ დიზინტერიას, რომელიც სისხლისაგან გვცლის განუწყვეტლივ, მუცლის ტკივილებს, რომლის საწინააღმდეგო წამალს არ გვაძლევენ. ყველაფერი ეს ჩვეულებად გადაგვექცა. საბედნიეროდ ჩვეულებადვე გადა-

გვექცა კურსები უცხო ენებისა, ტექნიკური და სხვა, რომელთაც ჩვენ ვატარებთ მეტად ძნელ პირობებში, თავდაცვა პროვოკატორებისა და ჯაშუშებისაგან, კავშირი საკანებში ჩასმულ ამხანაგებთან, — ყველაფერი ეს ჩვეულებად გადაგვექცა. კუნთების რეფლექსის სისწრაფით ვუპასუხებთ ჩვენ ყოველგვარ შემოტევას, ყოველგვარ საფრთხეს, ყოველ ნიშანს სოლიდარობისას, ყოველ ახალ მდგომარეობას.

მაგრამ ერთი გარემოებისათვის მაინც არა ვართ მომზადებულნი. აქამდე სიით გამოძახების დროს დილის რიჟრაჟზე და საღამოს ბინდ-ბუნდში ჩვენ ვხედავდით მხოლოდ ერთი ჯიშის ფრინველს—ყვავებს, რომელნიც მწყობრად, დინჯად გაფრინდებოდნენ ჭალებიდან ველებში და ველებიდან ჭალებში. მათაც აქვთ თავიანთი corvet, თავიანთი სავალდებულო შრომაო, — ვამბობდით ჩვენ. ერთხელ, მზიან დღეს, ვიღაცამ მთელ ფარდულს გადასძახა:

— ბანაკზე ჩიტები მიფრინავენ!

ყველა ეზოში გავარდა. გრძელ მწკრივად მიფრინავდნენ სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მოჟღურტულე შავი ჩიტები. ესენი იყვნენ აფრიკიდან ხმელთაშუა ზღვაზე გადმოფრენილი შოშიები. რამდენიმე დღის შემდეგ გამოჩნდნენ მერცხლების მთელი ღრუბლები. ზოგჯერ იქვე, ჩვენს ახლოს, ჯდებოდნენ ეკლიან მავთულზე და ისვენებდნენ. შემდეგ დადგა თბილი დღეები, ჩრდილოეთის ქარები ბისკაიიდან და ყინულოვანი ქარები პირენეიდან შესცვალეს სამხრეთის ქარებმა. საღამოობით დასავლეთის ცის მოოქრულ ფონზე გარკვევით ისახებიან პირინეების ლილისფერი მწვერვალები. უფრო ქვევით მოსჩანს წიწვიანი ტყეების მოლურჯ-მოშავო ხაზი, კიდევ უფრო დაბლა — ღია მწვანე ფოთლოვანი მცენარეულობა. ბანაკიდან ვხედავთ თუ როგორ ეფინება ციცაბო ფერდოებს ყვავილების ჭრელი ხალიჩა. ეკლიან მავთულებს იქით ვამჩნევთ შავთავას ღია-ყვითლად აყვავებულ ბუჩქებს, და გვგონია, რომ მინდვრებში დგანან და ჩვენ გვიცდიან ქერათმიანი ქალიშვილები.

ამ მოულოდნელი, მშვენიერი, წყეული გაზაფხულისთვის ჩვენ არ ვიყავით მომზადებული. ხანში შესული კაცები ერთმანეთს წაეკიდებიან რაღაც სისულელისათვის, ერთმანეთს სკამებს ურტყამენ. ახალგაზრდა სამხრეთ სლაველი, რომელიც მთელი დღეების განმავლობაში ერთს სიტყვას არ იტყოდა, ეხლა დანით მივარდა თავის ამხანაგს. ძლივს მოასწრეს მისი დაჭერა, მაგრამ მაინც გაგვისხლტა ხელიდან, ხტომით გადირბინა ბანაკი, ეკლიან შვიდფა მავთულში გაძვრა, შარვალი ძონძებად დაიფხრიწა, დარაჯებმა თოფი ესროლეს, მან მაინც გადირბინა გზატკეცილი, ბუჩქნარი და მიაშურა რკინიგზის ყრილს. იქ ჩაწვა ბალახში, ყვავილთა შორის და არხეინად დაუწყო ცქერა ლურჯ ცას. თოფმომარჯვებული დარაჯები ძლივს ითქვამდნენ სულს, როცა მივარდნენ, ხელზე ორმაგი ბორკილები დაადვეს და უკანვე ბანაკში მოიყვანეს. იგი იღიმებოდა და მშვიდად გვეუბნებოდა:

— იქ კარგი იყო... კარგი!

საუცხოვო და საშინელია გაზაფხული. როცა საღამოობით პატიმრები შეიკრიბებიან და მშობლიურ ენაზე დაიწყებენ სიმღერას — ესპანელები, რუსები, იტალიელები, გერმანელები, ზოგი ბანაკის განაპირას მიიმალება და ყურებს დაიცობს. ყოველ ღამეს ესა თუ ის პატიმარი ცდილობს ეკლიან

მავთულზე გადაძვრომას. და ყოველ ღამეს ისევ და ისევ ისმის ოთხის ხმა, ყვირილი, — დარაჯებს ჩამოყავთ მავთულიდან და მოათრევენ სამორიგეო ოთახში სისხლისაგან დაცლილ, უკვე გონებადაკარგულ, ... ადამიანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველარ ვახერხებ ჟიულზე ზრუნვას. სამუშაო უთვალავია: საჭიროა ჩვენსავე შორის დისციპლინის შენარჩუნება, მისი გაძლიერება... გაზაფხულთან საბრძოლველად. რკინისებური უდრეკელობით ვაწარმოებთ ჩვენს მეცადინეობას, საღამოობით ვაწყობთ სასპორტო გასართობებსა და სიმღერებს. ჩვენ ვებრძვით გაზაფხულს, სევდას, უქალოდ ცხოვრებას — ვაწარმოებთ მკაცრ, დაუზოგველ ბრძოლას, და იგი გვაძლევს საშუალებას გამოვამჟღავნოთ ჩვენი ძალა, ჩვენი სიყვარული, სიცოცხლისა და ხასიათის სიმტკიცე.

ახლოვდება 1 მაისი.

ჩვენ გვინდა იგი ზეიმით აღვნიშნოთ. იმ ამხანაგებს, რომელნიც მუშაობენ რკინიგზის-გაყვანაზე, დაევალათ რაც შეიძლება მეტი ყვავილები ჩაიდვან ჯიბეებში. საღამოთი ახალგაზრდა მადრიდელს მანუელს, ერნსტს, ალექსსა და ოტარს მოაქვთ თეთრი ზიზილას მთელი კონები.

— დღეს შენი დაბადების დღეა? — მეკითხება ჟიული.

— არა, ეს გაზაფხულის პატივსაცემადაა.

— ნუ ატყუებ, ჩემო ექიმო, შენს ჟიულის!

მე არაფერს ვეუბნები.

საღამოთი გადმოვიღეთ ჩვენი კოლოფები და ჩემოდნები, ამოვაწყვეთ იქიდან საუკეთესო ტანსაცმელი, გავწმინდეთ, „გავაუთოვეთ", ე. ი. ვშლიდით ორი ფიცრის შუაში და ზედა ფიცარზე ვჯდებოდით რამდენიმე კაცი.

— აჰა, — ამბობს ჟიული და ეშმაკურად თვალებს ჭუტავს, — მესმის.... ხვალ...

— ხმა გაკმინდე, ჟიული! — დავუყვირე მე.

— თუ კი მივხვდი...

— თუ ერთი სიტყვა წამოგცდენია, ჩვენი მეგობრობა გაჭრება, ჟიულ, გესმის?

ჟიული ხმას არ იღებს.

მეორე დღეს არა ვდგებით საყვირის ხმაზე, როგორც შემოღებული იყო, ექვს საათზე. მეორე დღეს, ბრწყინვალე, მზიანი მაისის დღეს, ხუთ საათზე ჩვენი ფარდულის ბ-ის ათასზე მეტი ამხანაგი სდგას მწყობრად ეკლიანი მავთულის წინ, ფარდულ დ-ს პირდაპირ. ყველა სამუშაო შარვლებში და ტიტველი წელამდის. ბრძანებით ვიწყებთ ტანთ-ვარჯიშს. ბრძანება შეეხება ჩვენს პირდაპირ დარაზმულ მეზობელ ფარდულის 1500 ბინადარსაც. მორბიან დარაჯები.

— დაიშალენით!

— ჩვენ დილის ტანთვარჯიში გვაქვს.

— მოშორდით ეკლიან მავთულს!

ჩვენი ხელმძღვანელი ბრძანებს:

— ადგილზე — ირბინეთ — წა!

ორიათას ხუთასი კაცი, ხუთიათასი ფეხი იწყებს თანაბარზომიერ მოძრაობას. მიწა ზანზარებს. სადარაჯოსთან მებუკე უკრავს. მორბის მორიგი ლეიტენანტი რევოლვერით ხელში და გვიყვირის:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რასა შვრებით აქ?

— დილის ტანთვარჯიშია, ბატონო ლეიტენანტო.

— კმარა სირბილი, სირბილი აღკრძალულია ბანაკში!

— კეთილი, ბატონო ლეიტენანტო, — უპასუხებს ჩვენი ხელმძღვანელი და იძლევა ბრძანებას: — ადგილზე — ნაბიჯით — წა!

ჩვენ, თითქმის ყველანი, ყოფილი ჯარისკაცები ვართ. ლაშქრული ნაბიჯით მივდივართ და როგორ დავდივართ! პოტსდამის გვარდია ვერ გაივლის ასეთი საზეიმო ნაბიჯით. ნიადაგი ზანზარებს. ჩვენი ბანაკის ნიადაგის წიდვიანი, შავი მტვერი სვეტებად ადის. თვალის დახამხამებაზე ყველაფერი იფარება მტვრის მუქი, განუჭვრეტი ღრუბლებით, თითქოს აქ ყუმბარა გასკდაო. ყოველი მხრიდან მორბიან დარაჯები, ირგვლივ შემოგვეხვივნენ ჯარისკაცები. მაგრამ ხელმძღვანელი აცხადებს, ვარჯიშობა დამთავრდაო.

— შეჩერდით! დაიშალენით!

პირველი მაისის მოხერხებული უვერტიურა ჩვენ აღვნიშნეთ ფარდულში, ზემო ტახტებზე რძიანი ტკბილი ყავით.

— ქიული სად არის? — მეკითხება ერნსტი.

— ისიც ჩვენთან ერთად დარბოდა უსათუოდ, — გამოთქვამს თავის აზრს ალექსი.

სწორედ ამ დროს კიბეზე ხვნეშით ამოდის ჩვენთან ქიული. მოკლე ტრუსები და ჩემი სავარჯიშო ძველი ტრიკო აცვია. სულს ძლივს ითქვამს, ოფლში იწურება. საწოლზე დავარდება.

მე ვუწყრები:

— გაგიჟდი, ქიული?!

ხელი ჩაიქნია მხოლოდ. ჩვენ მივაწოდეთ რძიანი ცხელი ყავა. პირსახოცით ტანი დავუზილე და ორი საბანი დავახურე.

— ასე გაუფრთხილებლად თუ მოიქცევი, მოკვდები, ქიული.

ქიული იცინის:

— რაც თქვენ შეგიძლიანთ, ის ქიულისაც შეუძლიან!

— სისულელეა!

— განა მე მუშა არა ვარ, ჩემო ექიმო?

— შენ ავადა ხარ და ესაა მთავარი.

— მაინც... — ამბობს ერნსტი.

და აქ სიტყვაში მოსჩანს დადასტურება, რომ ქიულიმ, ნოემბერში განბანის შემდეგ, წინ გადადგა კიდევ ერთი ნაბიჯი.

სრულ შვიდ საათზე, როგორც ყოველ დილას, ჩვენ ვდგევართ ეზოში დარაზმულნი და დღიურ სამუშაოდ გამზადებულნი. პოლკოვნიკი და ოფიცრები გვიცდიან ეზოში, საპატიმროსთან. ისინი ელიან, რომ ჩვენ უარს ვიტყვით მუშაობაზე და აჯანყებას მოვაწყობთ. მაგრამ ამ სიამოვნებას არ ვაღირსებთ. ჩვენ გვინდა, ისე გადავიხადოთ პირველი მაისი, რომ ზეიმში მონაწილეობა მიიღოს ბანაკის ყველა ბინადარმა — უპარტიოებმაც-კი.

თერთმეტ საათზე, მუშაობის დამთავრების შემდეგ, სასწრაფოდ დავიბანეთ ხელ-პირი და გამოვიცვალეთ ტანისამოსი. ახლა უკვე სამი-ოთხი ათასი პატიმარი, ოთხ-ოთხი რიგში, როგორც ჯენტლემენები, სეირნობს ბანაკში.

ყოველ მათგანს ზიზილას თეთრი ყვავილი აქვს სადილეში. ყარაულის უფროსი მოგვვარდა:

— ეი, თქვენ, წითელო ღორებო! დღეს პირველი მაისია! ელენჩად ხომ არ მიგაჩნივართ მე!

ELIBRARY
GIORGI ITOTSKA

— განა გავბედავთ, ბატონო უფროსო, ლენჩად ჩაგთვალოთ? — თავაზიანად ვუპასუხებთ ჩვენ.

ნასადილევს გამოვდივართ, როგორც ყოველთვის, გზაზე სამუშაოდ. ხუთ საათზე ისევ სასწრაფოდ ვიცვლით ტანსაცმელს. ყველა საუცხოვო გუნებაზეა. მაგრამ ამ ხნის განმავლობაში კომენდანტმა მოასწრო დარაჯების დათრობა. გალეშილნი შემოვარდნენ ფარდულებში და ყვირიან:

— გამოდით და დაეწყვეთ ათეულებად!

ჩვენც საგარეო ტანსაცმელში გამოწყობილნი ვდგებით ფარდულების წინ. დამცველი რაზმის უფროსი ყვირის:

— პიჟაკები გაიხადეთ! ყვავილები გადაყარეთ!

ჩვენი ბანაკი, ათასხუთასი კაცი, ცალკე სდგას, განლაგებული მწკრივებად. არავინ იძვრის.

— გადაყარეთ ყვავილები! — ანჩხლდება უფროსი. — თუ არა და ყველა საკანში წახვალთ.

არც ერთი ხელი არ იწევს ზევით. ჩემს გვერდითაა ჟიული. ისიც უძრავად დგას.

უფროსი და დარაჯები მოგვვარდნენ, ცდილობენ გაგვხადონ პიჟაკები, სადილედან ამოიღო თეთრი ზიზილები. მანუელი, ჭლექიანი ახალგაზრდა, ესპანელი, მიწიდან იღებს თავის ზიზილას. სერჟანტი ხელმეორედ ართმევს. მანუელი ისევ იხრება ასაღებად, სერჟანტი მუშტს ჩაჰკრავს სახეში და ლურსმებით დაჭედილ ჩექმით სრესს ყვავილს. მანუელი მაინც არ უთმობს. ჩექმის ქვევიდან გამოღებული ხელი გასისხლიანებული აქვს, მაგრამ ყვავილი მაინც მაგრა უჭირავს.

— საკანში, წითელო ღორო! — ყვირის დამცველთა უფროსი და მანუელს სახელოში სწვდება.

მაშინ რიგებიდან გამოდის ვალენსიელი ხუანი, ღონიერი მეთევზე. იგი ხელიდან ართმევს მანუელს ყვავილს და ეუბნება უფროსს:

— უფროსო, ეს ავად არის, გარდა ამისა, ყვავილი ჩემია!

უფროსი ხუანს ეცა. დარაჯები კონდახის ცემით მიდენიან ხუანს ჭიშკრისაკენ. ხუანი ხელს არ უშლის მათ, დასტკბნენ ამ იაფი გამარჯვებით.

საღამოთი ჩვენ ახალგაზრდა მანუელს გადარჩენილი ყვავილები მივუტანეთ. მეზობელი ფარდულები, მთელი ბანაკის ფარდულები უგზავნიან მას გასრესილ თეთრ ზიზილებს. ფარდულ დ-შიაც ელვის სისწრაფით გავრცელდა ამბავი, თუ როგორ იცავდა მანუელი თავის ყვავილს დამცველთა უფროსისაგან. იქაურებიც ჰყრიან ეკლიან მავთულის აქეთ ზიზილას დიდ თაიგულებს. მანუელის მთელი ლოგინი მოფენილია ყვავილებით. მან კონსერვების ვეებერთელა ქილაში ჩადვა ყვავილების მსხვილი თეთრი კონა, რომელიც ფარდულის ბინდ-ბუნდში ანათებს, როგორც კაშკაშა ალი.

მხოლოდ ერთმა კაცმა არ გადასცა მანუელს თავისი ყვავილი. ეს იყო ჟიული. შევეკითხე:

— რატომ არ მიუტანე ყვავილი მანუელს?

— ყვავილს მე ჩემს გოგონას მარიამს გავუგზავნი სამახსოვროდ.

— სამახსოვროდ?

ცოტა ხანს ყოყმანობს, შემდეგ მეუბნება და თან კედლის ბალიშებს ეჭრუტანაში გასცქერის საღამოს ცასა და პირენეებს:

— ჰო, გასაგებია, თავისი მამის სამახსოვროდ.

ღამე, როცა მისმა მყივანა ხველამ გამაღვიძა, შემეკითხა:

— ჩემო ექიმო, შენ ოდესმე დასწერ დღევანდელ დღეზე რამეს?

— თუ ცოცხალი გავედით აქედან, შესაძლებელია, დავწერო.

— უნდა დასწერო უსათუოდ! ჩემო ექიმო, გითხრა ერთი რამ?

— აბა, სთქვი.

— რაც დღეს იყო, მშვენივრობაა, ჩემო ექიმო. უკეთესი რამ მე არ შემმთხვევია...

ჩვენ ისევ ჩუმად ვწევართ. ეს ქოხმახი თავისი ორასი ბინადრით, რომელთაც ყველას საკუთარი ბედი და თავგადასავალი აქვს, ღამით ერთიან ვეებერთელა არსებად ხდება, რომელიც სუნთქავს, კვნესის, რომელსაც სიზმრები ესიზმრება. აი გაისმის ისევ ხმა:

— ჩემო ექიმო?

— რა გინდა?

— შენ ქიულზედაც დასწერ ხომ, როცა შინ დაბრუნდები?

— რატომ უნდა დავწერო შენზე, ქიული? რამ უნდა მიიპყროს ყურადღება, რა სარგებლობას ნახავს მკითხველი?

— დიაღ, ვიცი, შენ პოლიტიკოსი ხარ, მე კი უბრალო კაცი ვარ, რომელიც ბურთივით ათამაშეს, — თავისებურად, ძველებურად ფილოსოფოსობს ქიული. — ჩემო ექიმო, დაუჯერე შენს ქიულის, მიატოვე ეს რაღაც პოლიტიკაა.

— მაშინ ხომ, ქიულ, კიდევ დიდხანს გვათამაშებენ მე, შენ და ბევრ სხვას, როგორც ბურთს.

— როდის იქნება, რომ ვეღარ გვათამაშონ?

— როცა ჩვენ მაგრა, ისე როგორც დღეს, ჩავჭიდებთ ერთმანეთს ხელს.

— მაგრამ ხუანი ხომ მაინც წაიყვანეს საკანში.

— მანუელს კი ყველამ მიუტანა თავისი ყვავილი და თანაგრძნობა გამოუცხადა, ფარდულმაც კი, და სწორედ იმიტომ, რომ ნება მისცა ბურთად გაეგდოთ წინ და არ შეძვრა სუფრის ქვეშ ძაღლივით.

— შენ რა გიჭირს, ჩემო ექიმო, შენ შეგიძლია ილაპარაკო... ჩვენ ძაღლებად გაგვხადეს.

მე მინდა უპასუხო, რომ ძაღლსაც შეუძლია აიწყვიტოს, მაგრამ ეს იქნებოდა ცარიელი სიტყვა, და ვჩუმდები. მე არც მაშინ მძინავს, როცა დილის ნიავი იწყებს ჩვენს სარკმელში ქროლას. ჩემთვის ძნელია გავარკვიო ქიულის ხასიათი. არ ვიცი, საერთოდ შეიძლება თუ არა დაარწმუნო ადამიანი, შეუძლია თუ არა ქიულისთანა ადამიანს მცირე ხანში, რომელიც მას დარჩენია, თავიდან მოიშოროს გეტოში დამამცირებელი, ბნელი მონური ცხოვრებისაგან გარს შემოზრდილი ქერქი.

დღეები გადის. ზაფხულის ქარები ხშირად ხვევენ ბანაკს წიდას მტვერის ნაცრისფერ, ბნელ განუჭვრეტელ ღრუბლებში. წიდაზე დგას ჩვენი ბანაკი. თხელი, შავი მტვერი ჰფარავს ჩვენ ოფლიან კანს, შედის ფარდულის ყოველ

ჭუჭრუტანაში, ავსებს ჩემოდნებს, გვიღრღნის ფილტვებს. ყველა ჩვენ კრუნ-ჩხვით ვახველებთ. ჟიულის ეშინია ხველის, რადგან ხველა მწყვეტ ტკივილებს იწვევს. მკერდზე ტყავის სარტყელს ირტყამს, რომ შეაკავოს შერყევის ძალა. ერთხელ ღამით ადგა და გავიდა ეზოში, რომ ცხვირსახოცებზე გაერეცხა. დილით ცხვირსახოცებზე სისხლიანი ლაქები შევნიშნე. როგორ უნდა უშველო? ჩვენი ექიმები ეუბნებიან:

— ჩვენ აქ სანატორიუმი არ გვაქვს გამართული, ჩვენი ჯარისკაცებიც მაჟინოს ხაზზე არ წვანან საბან-ბუმბულში.

დაიწყო გერმანელების შემოტევა. მცველები ეხლა უფრო ხშირად თვრებიან, ვიდრე წინად. ბანაკის ირგვლივ თერთმეტი ტყვიამფრქვევი დასდგეს. ღამ-ღამობით ოფიცრებს ფოლადის მუზარადები ხურავთ, მალული დიდი ფარანი უჭირავთ ხელში და ბანაკს ისე უვლიან ირგვლივ, თანაც თავიდან-ფეხამდე შეიარაღებული დარაჯები დაჰყავთ. სინდისი ჰქენჯნით და ეშინიათ აჯანყებისა. ეხლა ბანაკში უფრო იშვიათად იცემებიან და უფრო ხშირად ისვრიან. ერთხელ, თბილ, მზიან დღეს, გზაზე მუშაობის დროს, დამცველთა რაზმის მთვრალმა უფროსმა დაუძახა დარაჯებს:

— ნადირობა ნებადართულია!

მათაც ესროლეს სამუშაოზე მიმავალ ჯგუფს. მიწაზე დარჩა სამი მოკლული და შვიდი დაჭრილი.

ყოველ დღე ჩვენ ბანაკს ახლო ჩაუვლიან სამხედრო ნაწილები. მესაზღვრეები სასწრაფოდ გადაჰყავთ პირენეებიდან აღმოსავლეთისაკენ, სადაც ეხლა ომი სწარმოებს. პირიქით, ესპანეთის საზღვრისაკენ, დასავლეთით, დღე და ღამ მირბიან მატარებლები დაჭრილებით. ტულუზა-პამიერის გზატკეცილზე მიჩანჩალებენ ჰოლანდიელ და ბელგიელ ლტოლვილთა გუნდები. მიდიან ხალხით გაჭედილი ბრიუსელის წითელი ავტობუსები. მგზავრები სახურავზედაც კი სხედან. მათ განუწყვეტლივ ბაწრად მიჰყვებიან საოჯახო ნივთებით, ბუმბულებით, ბავშვებითა და ქალებით სახურავამდე სავსე კერძო ავტომობილები, ათიათასობით ველოსიპედისტები ჰოლანდიიდან, ბელგიიდან, ჩრდილოეთ საფრანგეთიდან და, ბოლოს, ბელგიის ჯარის ნაშთები. ხალხის ამ გაქანებულმა ნაკადმა ჩვენი ბანაკის წინ წალეკა ფართო შარაგზა. მსოფლიო ისტორიის ერთი ნაწყვეტი მიდის ჩვენს გვერდით.

ლტოლვილები ამბობენ, რომ ფაშისტები თვითმფრინავებიდან ტყვიამფრქვევებს უშენდნენ მშვიდობიან მცხოვრებლებს — გლეხებსა და ბოგანო ხალხს, რომელნიც მჭიდრო გუნდებად გარბოდნენ სოფლებიდან, რომ გერმანელები ტანკების რაზმების წინ შეუბრალებლად ერეკებოდნენ ლტოლვილებს, სანამ ხალხმა ასიათასობით არ შეუკრა გზა საწინააღმდეგო იერიშისთვის მომავალ საფრანგეთის ჯარს. ბელგიელი და ფრანგი ლტოლვილი ათასობით გასრისეს გერმანიის მძიმე ტანკებმა, ან დახვრიტეს გერმანელმა ტანკისტებმა, მაშინ როდესაც საფრანგეთის ტანკებმა შესწყვიტეს სროლა, რომ თავისიანებივე არ გაეჭლიტათ. ადამიანების ეს ცოცხალი ფარდა ბევრჯერ საფარად გამოადგათ გერმანელების სატანკო ნაწილებსო მათი წინსვლის დროს, — ამბობენ ლტოლვილები.

შემდეგ მოვიდა უკანასკნელი წერილები პარიზიდან. ჟიულიმაც მიიღო ცოლის წერილი, სხვებთან ერთად მეც ვტოვებ ქალაქსო, სად მივდივართ არ ვიცითო, ფილიპესაგან არავითარი ცნობა არ მიმიღია, მარიამი თან მიმყავსო. წერილს დართული ჰქონდა გოგონას უკანასკნელი ფოტოგრაფიული

სურათი დაკვირვებული, პირდაპირი გამომეტყველებით. ეხლა იყო არა ელზასელი ქალის ტანისამოსში, არამედ უბრალო სამუშაო ტანსაცმელში. ჟიულიმ სურათი მიჩვენა. მეორე მხარეზე სურათს ეწერა: „ჩემს ძვირფას მამას გამგზავრების წინ. მარიამი“. ჟიული ხმადაბლა იმეორებს ამ სიტყვებს და სახეს კედლისაკენ იბრუნებს.

ჟიული სურათს ყველას აჩვენებს. ჩვენს გვერდით წევს მემაღაროე საარის ოლქიდან, გერმანი, რომელიც ჟიულის ეჯავრება მისი მუდმივი დაცინვის გამო. გერმანს ჟიული ცრუპენტელას ეძახის. მანაც დაინახა სურათი.

— ლამაზი ბავშვია, გასაოცარი ბავშვია! — ტრაბახობს ჟიული.

— მართალია, — ამბობს გერმანი, — სად იყიდე, ჟიულ? ეს შენი ნამუშევარი არ უნდა იყოს.

მე სწრაფად ვდგები მათ შორის, რადგან ჟიულის თვალებში ვამჩნევ სახიფათო ნაპერწკლებს. ხელიც ვსტაცე, მაგრამ ჟიული მეუბნება:

— გამიშვი, ჩემო ექიმო, მე მინდა ცრუპენტელას ერთი არაკი უამბო.

ჟიული თავის ქვეშსაგებზე ჯდება და გვიჩვენებს, თქვენც დასხედითო.

— ოდესღაც პარიზში ცხოვრობდა სამი პატარა ბიჭი, — დაიწყო ჟიულიმ. — ყოველ მათგანს ერთ ღამეს ეყოლა დაიკო. როგორც ყოველი ბალღი, ისინი ტრაბახობდნენ. პირველმა სთქვა: მამა ჩემმა იყიდა დაიკო დიდ მაღაზიაში, „ლაფაიეტშიო“. მეორემ სთქვა: დიდი ამბავი ყოფილა „ლაფაიეტ“! მამა ჩემმა დაიკო ლუვრში მიყიდაო. მესამე ბიჭი ჩუმად იყო. მაშინ ამხანაგებმა ჰკითხეს, სად იყიდა მამა შენმა შენი დაიკოვო. მამა ჩემს ფული არა ჰქონდა, რომ ეყიდნაო, უპასუხა მესამე ბიჭმა. — მამამ თითონ გააკეთაო.

გერმანს მართლაც აუჩვილდა გული. გაუწოდა ხელი ჟიულის და უთხრა:

— დასწყევლოს ღმერთმა ეშმაკი! არ მეგონა, თუ მაგეთი იყავ! ყოჩაღ, ჟიულ!

დადგა ივნისი. დღითი-დღე უფრო და უფრო ცხელა და უფრო და უფრო დიდი მტვერი დგება. ოფიცრებსა და დარაჯებს ეტყობათ ნერვების აშლა. ქვეითი ლტოლვილების ნაკადი, რომელიც ჩვენ ბანაკთან ჩაივლის და ღამის გასათევს ჩვენთანაც კი თხოულობს, დღითი-დღე მატულობს. პირინეებისკენ მიმავალ ადამიანთა ხროვა ბოლო-უჩინარი გველივით მიიკლაკნება ფართო გზატკეცილზე: გერმანელები უკვე გასცილდენ პარიზს, უახლოვდებიან ორლეანს, უკვე გადალახეს ლუარა. მათმა მოტორიზებულმა ავანგარდმა სენეიენს მიაღწია.

ერთხელ დღისით ვიღაც შემორბის ჩვენს ფარდულში და ამბობს, ვიღაც ველოსიპედისტი ქალი ბავშვით ეკლიან მავთულთან სდგას და რალფს კითხულობსო. რალფი და მთელი ჩვენი ფარდული იქითკენ გაექანა. იქ იყვნენ რალფის ცოლი და მისი ექვსი წლის ბიჭი. ქალი ყვირის: „გერმანელები პარიზში არიან. ექვსასი კილომეტრი ათ დღეში ველოსიპედით გამოვიარე, ბიჭი წინ, საჭეზე, მიჯდა. მინდოდა კომენდანტთან მივსულიყავი, მაგრამ არ მიშვებენ, რალფმა სცადოს“.

ექვსი წლის ბიჭი ხმამაღლა ყვირის:

— მამა, გამოდი ჩვენთან! ველოსიპედი გაქვს? ჩქარა გამოდი!

რალფი მირბის დამცველთა უფროსთან. ჩვენ უკან მივდივთ. უფროსი ღრიალებს:

— ეს კიდევ რა დემონსტრაციაა?! ეშმაკმა წაგიღოთ! დამაცადეთ, ერთი: ჩვენი მიტრალიეზები უკეთ მოგელაპარაკებიან თქვენ!

ჩვენი ბინის ლეიტენანტი, საკონიც, უარს ამბობს წაიყვანოს რალფი კომენდანტთან ან და გადასცეს შუამდგომლობა.

ეკლიან მავთულთან ჩვენ თვითონ დავაყენეთ მორიგეები. ისინი მაშინვე ნიშნებით და თავის ქნევით ატყობინებენ რალფს, როგორც კი გამოჩნდება მისი ცოლი. მეორე დღეს გზაზე უკვე დგანან დარაჯები და ერეკებიან ქალებს. მაგრამ მოდიან სხვა ქალები, ჩვენი პატიმრების ცოლები. ისინი ყვირიან, ეძახიან თავისიანებს, ისვრიან კენჭებზე შემოხვეულ ბარათებს, რაზმავენ ლტოლვილ ფრანგ-ქალებს. იძულებული შეიქნენ გზიდან მოეხსნათ პოლიციელების საგუშაგოები. ჩვენ კი ყოველ თავისუფალ წუთს ეკლიან მავთულთან ვატარებთ.

ჟიულიც აქაა. ის უცდის ცოლსა და თავის გოგონას მარიამს. სიცხეა საშინელი. გზატკეცილი და ბანაკი გახვეულია მტვრის ღრუბლებში. ჟიულს მოაქვს სკამი, ჯდება და უცქერის ხალხით გაჭედილ გზას. ელის, ახველებს და ისევ ელის. მე წამდაუწუმ ვეუბნები:

— ჟიულ, მტვერი შენთვის საწამლავია, ჟიულ!

— ჩემმა ცოლმა და მარიამმა რომ ჩაიარონ? ან ფილიპემ რომ ჩამოიაროს თავისი ცხენით?

— ხომ ნახე, რა უყვეს რალფს?

— ჟიულს მაგას ვერ უზამენ? — ბოროტად ამბობს ჟიული და მის მუქ-ლურჯ თვალებში ელავს ჩემთვის ნაცნობი ნაპერწკალი.

ერთ საღამოს მე და ჟიული ისევ ვიდექით მავთულის ღობურთან. ისევ მოვიდნენ ქალები და ბავშვები. სევდით უცქერენ ქმრებს, თავს უქნევენ, ეძახიან. მათ შეიმუშავეს კორესპონდენციის გადაცემის ახალი ხერხი: წერილს ტანსაცმელში ჩაუდებენ ბავშვს, რომელიც მოძვრება მავთულის ქვეშ მამასთან. თუ ხერხმა კარგად ჩაიარა, მამას შეუძლია ბავშვი კიდეც ჩაიხუტოს გულში და გადაკოცნოს. ამასთანავე ყოველ გამარჯვებას უყურებენ, როგორც ერთგვარ სპორტიულ მოვლენას. ლეიტენანტ საკონს მაშინვე გამოაქვს ახალი აღკრძალვა, მაგრამ ეს არავიზე არ მოქმედებს.

ერთ საღამოს მავთულის ქვეშ მოძვრებოდა ხუთიოდე წლის ქერა, თმახუჭუჭა ბიჭუნა. სიფრთხილისთვის დედას ბავშვის სარტყელში გრძელი ბაწარი ჩაება, რომ საჭირო დროს უკან მიექაჩა. ჩვენ შევიკრიბეთ ამ ამბის საყურებლად. ბავშვი თითქმის ჩვენს მხარეზე გამოძვრა. მამამ უკვე ხელი გაუშვირა. და მოულოდნელად გაისმა ლეიტენანტ საკონის გამაყრუებელი სტვენა; სერჟანტი და დარაჯი მოვარდნენ, მამა განზე მიაგდეს, შაშხანა წაართვეს მოგუშაგეს, სერჟანტმა კონდახი მოუქნია ბავშვს, იქნებ მხოლოდ შესაშინებლად და იქიდან გასაგდებად. უცბად მოხდა რაღაც წარმოუდგენელი — ყველა აყვირდა.

— ლაჩრებო! მშიშარა ძაღლებო! ებრძოლეთ გიტლერელებს და არა ბავშვებს და პატიმრებს!

ლეიტენანტმა ისევ გამყინავად დაუსტვინა, კვლავ მოვარდა ორი დარაჯი, სერჟანტმა თოფი მოიმარჯვა. ამ წუთში ვიღაც დაახტა მას, როგორც აფთარი, შაშხანა ქვედაიხარა და ტყვია მიწას მოხვდა. სერჟანტის დასახმარებ-

ლად მივარდნილი დარაჯები ზურგში სცემენ ჟიულის. ჟიული წაიკიეს. მოვარდა ლეიტენანტიც რევოლვერით ხელში და სასტვენით პირში. საიდანღაც გაჩნდა დარაჯების ასეული ორი მიტრალიეზით. ჟანდარმებმა ეცენ და-გვახევინეს. მე მიწაზე ვამჩნევ მხოლოდ სისხლის დიდ ლაქას.

საღამოს გავიგეთ, რომ ჟიული საკანშია. დილით მოვიდა საავადმყოფოს სანიტარის თანაშემწე, ყოფილი ლეგიონერი, რომ ჟიულის ბარგი წაეღო. ჟიულის დიდი სისხლისღვრინება ასტყდომია. ჰგავს ფილტვები დაუზიანეს. მთხოვს, ვნახო. მე, რა თქმა უნდა, არ მიშვებენ. ჩვენ მაინც კავშირს ვაბამთ ერთმანეთთან. გავიგე რომ ჟიული ჭლექიანების „პასტერის ფარდულში“ მოუთავსებიათ, რომ ჟიულის სამი დღე სისხლს აღებინებდა პირიდან, რომ აძლევდნენ საყლაპავად ცოტა ყინულს, მეტი კი არაფერი გაუკეთებიათ. ერთ-ერთი ჩვენი მოსიარულე ავადმყოფის პირით ვთხოვე ჟიულის, შემატყობინოს თავისი ვაჟიშვილის მისამართი. მაცნობეს, რომ ორი დღის შემდეგ ჩავეწერო კბილის ექიმთან წასასვლელად.

და მართლაც, კბილის ექიმთან, ფარდულში შესასვლელთან, ჩემთან მოდის სანიტარის თანაშემწე. მან გადმომცა ქაღალდის ნაგლეჯი, რომელსაც აწერია: „ჩემს ექიმს“. ეს ჟიულის წერილია, — სალამი და მოკითხვა. მეორე მხარეზე მიწერილია ფილიპეს ძველი მისამართი. ციებითა და ლოთობით ღონემიხდილს სანიტარის თანაშემწეს, ძველ ლეგიონერს — დავარქვათ მას პიერი — ლოთის ზაფრიანი სახე აქვს. იგი ჩემს გვერდით ჩამოჯდა კედლის არშიაზე და მეუბნება:

— ფილიპეს მისამართი ძალზე მოძველებულია. ფილიპე და მისი ტუნისელი ბატალიონი საექსპედიციო კორპუსთან ერთად ჯერ კიდევ ზამთარში აფრიკიდან გადისროლეს ნარვიკში, ნორვეგიის ჩრდილოეთში. ფილიპე, ისევე, როგორც მთელი მისი ბატალიონი, დაიღუპა ნარვიკის ფიორდთან, როცა ჰფარავდა ფრანგების სასწრაფო უკან დახევას. ამდენ ხანს ვერა ვბედავდი ავადმყოფ ჟიულისათვის მეთქვა ეს. შეიძლება ეს თქვენ იდვათ თავს, რადგან ჟიული თქვენა გთვლით საუკეთესო მეგობრად.

მზე ოქროთი ავარაყებს საავადმყოფოს პატარა ეზოს წიდის მტვერს. ცალკეული ქოხმახების წინ გუშაგები დადიან.

— როგორა გრძნობს თავს ჟიული? — ვეკითხები მე.

— სიცხე დილიდან ემატება. გამუდმებით თხოულობს, წყალი დამალევინეთო. სისხლს ნაკლებს აყოლებს ნახველს, მაგრამ სრულიად არ სძინავს.

— არ შეიძლება ვინახულო?

— შენი შეშვება არ შეიძლება და საერთოდ...

პიერს ვაძლევ ფულს ღვინისა და ყინულის საყიდლად, ხოლო მას საკუთრად — ხუთ ფრანკს პაპიროსისთვის.

პიერი მეუბნება:

— ასე იყოს, თუ კი ბევრი ფული გაქვთ. პაპიროსი მე თვითონაც მაქვს ყოველთვის საკმაოდ, ჟიულისაც ეყოფა.

— ჟიულს ყოველდღე მიეცი რამდენიმე პაპიროსი, ოღონდ ნუ ეტყვი რომ ჩემგან არის: სასტიკად ავუკრძალე თამბაქოს მოწევა.

— მართალი ხარ! — მეთანხმება პიერი — ეხლა აღარა ღირს რეფერმით მისი შეწუხება.

შემდეგ პიერი მასწავლის, თუ როგორ მოვხვდე „შემოხვევით“ მთავარ ექიმთან. მართლაც, მალე წარვუდექი ამ ბატონს, მოლურჯისფერი ულვაშ-წვერიანს და სიტყვა ჟიულზე ჩამოვუგდე. ასისტენტი თვალით მბურღავს და რაღაცას უჩურჩულებს თავის უფროსს. მას იმავ წამს აპოპლექსიური სილურჯე მოიცავს.

— Sauve toi, salot! Tu es assez connu! გაეთრიე აქედან, სალახანა! გიცნობთ, რა შვილიც ბრძანდებით! — გაჰკივის იგი და კარებზე მიმითითებს.

პიერის დახმარებით მე მაინც ყოველ ორ დღეში ვგებულობ ჟიულის ამბავს. უფრო მეტიც: ჟიული ყოველთვის მიგზავნის ერთ ბოთლ ღვინოს, რომელიც მან „გამოაწყო“ საავადმყოფოში. გარდა ამისა, საავადმყოფოს სამზარეულოში ყველა ჩვენებისთვის შოულობს ქონს, კონსერვირებულ რძეს, სამარხო ზეთსა და ბრინჯს. ასე გვიბრუნდება სანოვაგე, რაც საავადმყოფოს ორფეხა თაგუნებს წაუგლეჯიათ. ჟიული ეხლა უკვე კეთილ საქმისთვის იყენებს კონტრაბანდისტის მრავალწლიან გამოცდილებას. ჩვენი ბარათებიც მისი დახმარებით იგზავნება, და ჩვენ დავრწმუნდით, რომ წერილები სამჯერ უფრო ჩქარა მიდის დანიშნულებისამებრ, ვიდრე ბანაკის ფოსტით, სადაც წერილების ნახევარი სამუდამოდ ჰქრება ცენზურის ხახაში. პიერმა არა ერთხელ მითხრა, ჟიულს გულით უნდა თქვენთან გულწრფელად მოლაპარაკებაო. ნუთუ ესეც არ მოხერხდება? მაგრამ სწორედ ამ დროს, ზავის ჩამოგდების შემდეგ, კომენდანტმა განსაკუთრებულ შიშში ჩააგდო ჩვენი ჯგუფი. ჩვენ სხვა საზრუნავიც ბევრი გვქონდა.

შემოდგომის ერთ საღამოს — დღის გუშაგები უკვე შესცვალეს ღამის გუშაგებმა — მე ჰიშკრისკენ გამიძახეს. იქ დამხვდა პიერი. მას როგორღაც ეშოვნა ჩემთვის საავადმყოფოში შესვლის ნებართვა. ჟიული სიკვდილის პირზეა, სიცხე 40 გრადუსს აღემატება, წამდაუწუმ ჰკარგავს გონებას და დაბეჯითებით მთხოვს ვინახულო. პიერმა, ძველმა ლეგიონერმა დარაჯს ცხვირის წინ გაუფრიალა ნებართვა, მორიგე ექიმმა ასე ბრძანა, სასწრაფო საქმეაო.

დარაჯმა გაგვიშვა. შევყევი პიერს „პასტერის ფარდულში“. გავიარეთ ჭადრების ბნელი ხეივანი და საავადმყოფოს, თითქოს დღე ყოფილიყოს, თბილი ეზო. ამ ფარდულის ბინადრები სალამს მაძლევენ, როგორც ძველ ნაცნობს.

— ჟიულისთან მიდის, — სთქვა ერთმა ავადმყოფმა.

ჩვენ გავიარეთ მთელი ფარდული. ფარდულის სიღრმეში პიერი კარს აღებს. ერთ ნამცეცა ოთახში ვართ: ოთხი მეტრია სიგრძითაც და სიგანითაც. სდგას საწოლი. მასზე წევს კაცი. სახეზე ბუზებისაგან დასაფარავად გადაფარებული აქვს მარლა. პიერმა მარლა გადასწია. ეს კაცი ჟიული იყო.

— ჟიულ, ხომ კარგადა ხარ? — ვეუბნები, რამდენადაც კი შემიძლია მხნედ.

ჟიული შემომცქერის. მისი მუქი-ლურჯი თვალები უცხოდ და დინჯად გამოიყურებიან. სახის წითლად ალეწილ არეზე მკვეთრად განირჩევიან თავისი სილურჯით. ჟიული თავიდან იხსნის ყინულიან ბუშტს, წინანდებურად მიღიმის და მეუბნება:

— ვიცოდი, რომ მოხვიდოდი შენს ჟიულისთან. წყალი დამალევინე, — თან ხელზე ხელს მისვამს.

პიერი აპირებს გაუწოდოს ყინულიანი წყალი. ვართმევ ჭიქას, გულზე ვიყრდნობ ჟიულის თავს და ვასმევ წყალს.

— შენ თანამიგრძნობ, ჩემო ექიმო, — მეუბნება ჟიული და ერთის მოსმით სცლის ჭიქას.

— მიმაწვინე წყნარად, — მთხოვს ჟიული. — იცი, თავს უკან ცეცხლი მეკიდება, თითქოს კეფას გავარვარებული რკინის სალტე შემოაკრეს და უფრო და უფრო მიჭერდნენ. ლამის არის ცხელმა ჰაერმა თავი გამიხეთქოს.

ვათვალიერებ სიცხის მრუდე ხაზს — იგი 40,8 გრადუსს აღწევს. თავის ტკივილიცა აქვს. ძველის-ძველი ჭლექი გამწვავებულია კონდახის ცემით, ფილტვებიდან სისხლს აღებინებს და ტვინის ანთება აქვს. ცხადია, ჭლექიანი მენინგიტია.

როგორ შეებრძოლნენ ამ ავადმყოფობას აქაური ექიმები? სრულიად არ შებრძოლებიან. დაგიტალისიც კი არ გამოუწერიათ, რომ გულის მუშაობას დახმარებოდნენ, მხოლოდ ეხლა, როცა ყველაფერი უკვე დაგვიანებულია, მორფის შეშხაპუნება დაუწყიათ და თავზე ყინულიანი ბუშტი დაუდვიათ. ბრაზი მახრჩობს, პიერს მივმართე:

— ექიმს უნდა მოველაპარაკო, ეხლავე!

ჟიული სახელოში მკიდებს ხელს და მაჩერებს:

— დაეთხოვე, ჩემო ექიმო! მე ისევ ცუდად შევიქნები... შენ, როგორც არის, ჩემთანა ხარ! მელაპარაკე მე, შენს ჟიულის... ექიმი ეშმაკსაც წაუღია! ჩვენ ხომ გავიგებთ ერთმანეთისას?

ჟიული ისევ იღიმება. მან იცის, რაც მოელის. არა, სიკვდილისა არ ეშინია, თუნდაც კეფაში ჩაევლოს სიკვდილს ხელი.

— რა ახალი ამბავია ჩვენს ბანაკში? — მეკითხება ჟიული.

ვუამბობ ყოველ ჩვენგანზე ცალ-ცალკე, ვუამბობ, თუ როგორ ეჭირათ თავი ჩვენებს, როცა ბანაკში გერმანულ-ფაშისტური კომისია მოვიდა. ამან განსაკუთრებულად დააინტერესა ჟიული. კომისიის თავმჯდომარე, პოლკოვნიკი-ფაშისტი გამოვიდა პატიმრებთან და უთხრა:

— წინადადებას ვაძლევ ყოველ გერმანელს, სულ ერთია მოქალაქეობა ჩამორთმეული აქვს თუ არა, წყობიდან წინ გამოვიდეს. ლაზღანდარობას ნუ დამიწყებთ, მერწმუნეთ, მაინც მოგაგნებთ.

ჩვენ ვიცოდით, რომ საბუთები უკვე გადაეცა გერმანელებისთვის ფრანგ-კომენდანტს. ყველანი წინ გამოვდივართ. ბევრი ჩვენგანი ძველი გერმანული არმიის ჯარისკაცად იყო ნამყოფი. სარებივით გაჭიმული ვიდექით და პირქუშად ვუცქერდით თვალებში ფაშისტს. მის გვერდით იდგა ორი სხვა გერმანელი ოფიცერი და ორიც სამოქალაქო ტანისამოსში გამოწყობილი გესტაპოს მოხელე. პოლკოვნიკმა გვითხრა:

— საქმე ის არის, რომ ყველა კვალიფიციურ გერმანელ მუშას, პირველ რიგში მელითონესა და ტექნიკოსს, რომელსაც სურს პატიოსნად იმუშაოს ჩვენთან, შეუძლია ეხლავე დაბრუნდეს თავის სამშობლო გერმანიაში.

და მაშინვე მიჰყო ხელი გამოკითხვას. პირველად მიმართა ჩვენს მარჯვენა ფრთაზე მდგომს:

— თქვენი სახელი?

— NN...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წინათ გერმანიაში აწარმოებდით პოლიტიკურ მუშაობას?

— დიაღ. ბრანდენბურგის საარჩევნო ოლქის კომუნისტების დეპუტატად ვიყავ რეიხსტაგში.

პოლკოვნიკმა თავი გააქნია და შემდეგს მიმართა:

— თქვენ? თქვენც კომუნისტი ბრძანდებით?

— დიაღ!

— აქ როგორ მოხვდით?

— ესპანეთში ომის დამთავრების შემდეგ ამ ბანაკში მოგვათავსეს.

— თქვენ იბრძოდით წითელი ესპანეთისათვის?

— დიაღ.

პოლკოვნიკმა მესამეს მიმართა:

— თქვენც ესპანეთში იყავით?

— დიაღ.

— ინტერნაციონალურ ბრიგადაში?

— დიაღ.

პოლკოვნიკმა ამალითურთ ხუთ კაცს ჩაუარა. შემდეგ შეჩერდა ორი მეტრის სიმაღლე ქერათმიან ჰამბურგელთან, რომელიც ძალიან ჰგავდა ისეთ „გერმანელ არიელს", როგორსაც ხატავენ ფაშისტურ სახელმძღვანელოებში. პოლკოვნიკი ალერსიანად ეკითხება ჰამბურგელს:

— თქვენ უსათუოდ ზღვისპირიდანა ხართ?

— ჰამბურგიდან.

— გსურთ გერმანიაში დაბრუნება?

ჰამბურგელი სდუმს.

პოლკოვნიკი:

— იყავით თქვენ ესპანეთში?

— დიაღ, ინტერნაციონალურ ბრიგადაში, — უპასუხებს ჰამბურგელი ისე ხმამაღლა, რომ მისი სიტყვები გარკვევით ესმის ყურადღებით მსმენელ ათას პატიმარ გერმანელს.

პოლკოვნიკი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. არც ერთმა ფრანგების მიერ დაპატიმრებულმა „ეროვნებით ამხანაგმა" გერმანელმა არ მოისურვა განთავისუფლება მიეღო ფაშისტ პოლკოვნიკისაგან და მას გაჰყოლოდა სამშობლოში. პოლკოვნიკმა ერთხელ კიდევ შეჰხედა ვეება ჰამბურგელს და შემდეგ ‘ხმამაღლა სთქვა, რომ ყველას გაეგონა:

— მშვენიერი ბიჭები ხართ, მართალი თუ გინდათ გითხრათ, მეცოდებით!

პოლკოვნიკი ცდილობს მოგვაჩვენოს, რომ ამ დემაგოგიური ხერხით ის გაუსხლტა ხაფანგს, რომელშიც ვარდებოდა კომუნისტების დაკითხვის წყალობით.

— განა ასე სჭირდებათ გერმანიაში მუშები? — მეკითხება ჟიული.

— გაგეცინება, ჟიული, — ვუპასუხებ მე: — მეორე ფარდულში მათ წინადადება მისცეს ებრაელ ინჟენერსაც კი, გერმანიაში დაბრუნებულიყო.

— აქ სასაცილო არაფერია, — ჩაილაპარაკა ჟიულიმ, — განსაკუთრებით გერმანელებისათვის, მაგრამ სად არიან გერმანელი მუშები და ტექნიკოსები?

— ნახევარზე მეტი ჯარშია გაწვეული, ან თვალყურს ადევნებს ჰიტლერის ურდოების მიერ დაპყრობილი ქვეყნების ქარხნებსა და წარმოებებს.

ჟიულიმ თავი გაიქნია:

— საეჭვოა, რომ სასურველ შედეგს აღწევდნენ...

შემდეგ ვუამბე, თუ როგორ მოხდა აგვისტოში ჩვენს ბანაკში აჯანყება, როცა ერთმა პოლიციელმა საჭმელში ჩაგვიგდო ქვა, როგორ გავყარეთ ბანაკიდან პოლიციელები, ავირჩიეთ პირველი დელეგატები და მოვაწყეთ პირველი კრება, როგორ იძულებული გახდა კომენდანტი დაეკმაყოფილებინა ჩვენი მოთხოვნები და ცოლშვილთან შეხვედრის ნება დაერთო.

— მწყინს, ჩემო ექიმო, რომ შენი ქიული იქ არ დაგესწროთ...

— ე, შენ ხომ თავის დროზე კარგად დაგვეხმარე, თუმცა შენის მხრით სიგიჟე იყო.

— შენ მართლა ფიქრობ, რომ მეც დაგეხმარეთ ცოლშვილთან შეხვედრის უფლების მოპოებაში?

გახარებული უჭერს ჩემს ხელს თავის გახურებულ ხელებს. შემდეგ უეცრად მწუხარედ ამბობს:

— იცი, ჩემო ექიმო, სხვებთან შეიძლება მოსვლა, ჩემთან კი არ შეიძლება.

ვცდილობ ქიულის ყურადღება სხვა საგანზე გადავიტანო:

— მე მხოლოდ და მხოლოდ შენთან მოვედი, მოვედი გვიან ღამით, შენ კი ამბობ, ჩემთან არავინ მოდისო.

სხვანაირად მიყურებს, ისე, როგორც წინათ იცოდა, თითქოს უნდაო მითხრას, „რატომ დინჯად არ მელაპარაკები? რათ გჭირდება ჩემთან ეშმაკობა?“

მაგრამ შემდეგ ისევ ხელს ხელზე მისვამს და მეუბნება:

— შენ ჩემი მეგობარი ხარ, ჩემო ექიმო, ჩემი საუკეთესო მეგობარი. ხომ ხედავ ამ საბანს? შენ მაჩუქე მაშინ, ოქტომბერში. ჭლექიან კაცს შენი საბანი მომეცი — ეს ღრმად მომხვდა გულში. საბანი ჩემთან დარჩება ჩემ უკანასკნელ წუთამდე... დიაღ, შენ ჩემი საუკეთესო მეგობარი ხარ...

შუბლზე ოფლი მოვსწმინდე და ვთხოვე მშვიდად ყოფილიყო და აღარ ელაპარაკნა.

— რა დაემართა მარიამს, ჩემს გოგონას? რა დაემართა ჩემს ცოლს, ჩემს შვილს, ჩემს ფილიპეს? — და აღგზნებული ციებ-ცხელებიანი თვალებით მიყურებს.

ჩემს თავს აღარ ვეკუთვნი. შემზარავი სიჩუმეა. ჩამობნელებულ ოთახში ბზუის შავი, მსხვილი მწერი, ბუზანკალა.

ბოლოს ვეუბნები:

— ქიულ, შენც ხომ კარგად იცი, ბანაკში 500 კაცზე მეტი უცდის პარიზიდან თავის ცოლსა და შვილს. მატარებლები არ დადიან, გზები გაჭედილია სამხედრო ეშელონებით...

— მაგრამ ბევრი გზიდანაც რომ იღებს წერილებს, მე კი არც ერთი არ მიმიღია. გამიგე, მეგობარო, — ამბობს ის უფრო ხმადაბლა. მე ცოტა რამ მაქვს სათქმელი ცოლისა და ქალიშვილისათვის.

— კიდევ რამდენიმე დღე მოითმინე და ისინი მოვლენ, — ვცდილობ დავამშვიდო ქიული.

— გამიგონე, ჩემო ექიმო, — დაიწყო ქიულიმ თავი და თავი, რაც ჰქონდა სათქმელი: — შენ უნდა უამბო ჩემს გოგონას, ჩემს პატარა მარიამს, თუ რითი მოკვდა ქიული... ლაპარაკს ნუ მაწყვეტინებ, ჩემო ექიმო... შენ უნდა უთხრა მას მართალი, მიკიბვ-მოკიბვა არ არის საჭირო... შენ ჩემი მე-

გობარი ხარ... იცოდეს გოგონამ სიმართლე... გამიგე მე რა მსურს, ის საკმაოდ წამოზრდილია, დეე იცოდეს, რა მიზეზით მოკვდა მამა მისი.

— ჟიულ, — ვცდილობ გავამხნევო: — ჯერ მადამდე არ მისულა — ბავშვი.

— ჩემო ექიმო, — მეუბნება ჟიული, — შენ ექიმი ხარ და ჩემი მეგობარი, რად გინდა ჟიული მოატყუო? ჩემთვის ყოველი სიტყვის თქმა ძნელია... გოგონამ იცოდეს სიმართლე — ის ხომ ერთი-ღა მყავს.

პიერი დგება, იღებს გრაფინს და ჩუმად გადის ოთახიდან.

— ჰხედავ, ის წავიდა. იგი იმავე ლეგიონიდან, იმავე ნაწილიდანაა, სადაც მსახურებდა ჩემი ფილიპე. აი სამი კვირაა, სულ ვეკითხები ერთსა და იმავეს. მაგრამ რაღაცას ბლანდავს, ამბობს, მე და ფილიპე ნორვეგიაში დავშორდითო ერთმანეთს. რად მიათრევენ ხალხს, ცხენოსნებსა და ჩემს ფილიპეს აფრიკიდან ნორვეგიაში, აისბერგებზე, ტუნისიდან თიოქმის ჩრდილოეთ პოლიუსამდე? ჭკუაზე შეირყნენ? გიჟები! გიჟი ბოროტმოქმედნი! განა დალადიე თავისი მთავრობიანად ადამიანია? ჩვენ? ჩვენც განა ადამიანები ვართ, როცა ამას ვითმენთ? როცა ბავშვებს უნდათ ეკლიან მავთულებში გაძვრენ და მამასთან მივიდნენ, მათ კონდახებს უშენენ. ამის ჩამდენნი განა ადამიანები არიან? ეს უნდა უამბო ქვეყანას, ჩემო ექიმო... დიაღ... ასე, ჩემს გოგონასაც უამბე... წინათ ჩემი ბავკვი მებრალებოდა, მაგრამ არა, ჩვენს დროში ბავშვებსაც უნდა ვუთხრათ სიმართლე.. როცა ტანი აეწვებათ, უფრო ფრთხილად იქნებიან. მიაფურთხონ პოლიციელებს. ცხვირ-პირში ურტყან სასტიკ ოფიცრობას... ქვეყანაზე ბევრია კარგი ფრანგი... ისინი დაეხმარებიან... მაგრამ ამის დავიწყება არ შეიძლება, ჩემო ექიმო, თორემ ყველაფერი ამაოდ ჩაივლის. ამიტომაც ასწერე ყველაფერი, და არა მარტო შენი ჟიული. დასწერე მთელი სიმართლე, ყველაფერი, როგორც იყო. ისიც, რომ თავიდანვე ვერ დავინახეთ ყველაფერი, რაზედაც შემდეგ ვოცნებობდით და რაც აუცილებლად მოხდება... სიმართლე...

შეუძლებელი გახდა მისი სიტყვების ნაკადის შეწყვეტა, თუმცა ცდა არ დამიკლია და მრავალჯერ მივაწოდე ჭიქა ყინულიანი წყლით. ჯერ კიდევ გამოუთქმელი და შეუჩერებელი სიტყვები უფრო და უფრო ძლიერად ალვებდნენ სიცოცხლის ალს.

— ჩემო ექიმო, პირობა მომეცი, რომ ყველაფერს უამბობ მარიამს მის ქმაზე, აგრეთვე მთელ ბანაკზე, შენ თავზე, ერნსტზე, ალექსზე, ბინენშვანცზე და ყველა კარგ ბიჭზე, თუ როგორ დავმეგობრდით, თუ რა შეუძლია კეთილ მეგობრებს... და ისიც შეიძლება უთხრა, თუ რისი გაკეთება შეეძლო შენს ჟიულის, რომ ცხოვრება სხვაგვარად მობრუნებოდა.

უეცრად წამოიწია და თვალებში ჩამხედა.

— ჩემო ექიმო, რად არ ჩამარტყი თავში, მე ბებერ აქლემს, როცა ჩემს ქალიშვილს მარიამს „წილად ერგო პატივი“ დალადიეს წინაშე ეცეკვნა, მაშინ, როდესაც მისი მამა ეკლიანი მავთულების იქით იჯდა? რად არ მითხარი: „ჟიულ, შენ იდიოტი ხარ. შენ არა ხარ ჩემი მეგობარი, თუ შვილს სიმართლეს არა სწერ?“

— ჟიულ, — დავიწყე მე ყოყმანით. — მაშინ სხვაგვარად აზროვნებდი.

— ყველაფერს თავისი დრო აქვს, — შემაწყვეტინა სიტყვა ჟიულიმ. — აქ მე ბევრი ვიფიქრე. გამახსენდა, რომ ერთხელ გითხარი: ჩემო ექიმო, დაანებე თავი პოლიტიკას-მეთქი. მაგრამ, გინდა თუ არ გინდა, ყველა შეიძლება

მოხვდეს საბედისწერო ჩარხის ტრიალში. ამიტომ ყველამ თვალი უნდა გაახილოს და შეიგნოს, რა ხდება ირგვლივ. ამიტომაც ხარ შენ მოვალე, აუხსნა ჩემს გოგონას, უამბო მთელი სიმართლე, — დაჟინებით ამბობდა ჟიული. და უეცრად: — სადაა ჩემი ფილიპე, ჩემო ექიმო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასწყევლოს ღმერთმა! რა საჭიროა მომაკვდავს ვუთხრა, რომ მისი შვილი უაზროდ დაიღუპა ჩრდილო ნორვეგიაში? ასეთი სიმართლე არაფერს არა შველის.

— ჟიულ, საიდან მეცოდინება, სად არის შენი ფილიპე, როცა ჩვენ მოწყვეტილი ვართ ოკუპირებულ არეს?

— გინდა, მე გეტყვი, სად არის ჩემი ფილიპე? — ისევ განაგრძო ლაპარაკი ჟიულიმ: — ფილიპე დაიღუპა... მე კარგად ვიცი, რასაც არ აბოლოვებს პიერი... ფილიპე გადაიყვანეს აფრიკიდან ნორვეგიაში და დაიღუპა...

ორივენი დავდუმდით. ჟიული წევს. ფართოდ დაუღია ლურჯი თვალები და შესჩერებია ჭერს. ასე მკვეთრად მოხაზული თავი შეიძლებოდა ჰქონებოდა მეთექვსმეტე საუკუნის რაინდსა და მხედარს, მაგალითად, კოლეონის ვერონის მოედნიდან. არა, ეს არის ჟიულის თავის ქალა, მთელ ევროპაში დევნილი პოლონელი ებრაელისა. ეს არის არონ ლიტერი, რომლის ვაჟიშვილი, საფრანგეთის ლეგიონერი, დაიღუპა ნარვიკთან, რომლის ქალიშვილი ელზა-სელი ქალიშვილის ტანისამოსში ცეკვავდა დალადიეს წინაშე და ეხლა დედასთან ერთად დაძრწის საფრანგეთში; არონ ლიტერი, საკონცენტრაციო ბანაკში ინტერნირებული და იქ ბანაკის ექიმების ცუდი მკურნალობით ჩაკლული. ჟიული კარგი მებრძოლი, უტეხი, fighter, როგორც მოკრივენი ამბობენ, აი ამ წუთშიაც იგი იბრძოდა სიმართლისათვის. მაჯას უსინჯავ — იგი სცემს სუსტად და ნაწყვეტ-ნაწყვეტად.

— ჩემო ექიმო, — მეუბნება ჟიული, — ჩემი ლოგინის ქვეშ კოლოფი დგას, მომაწოდე ერთი.

ვხსნი კოლოფს. იქ არის ჟიულის მთელი ქონება. იღებს საფულეს ფოტოგრაფიებით.

— ეს ჩემს ცოლს, ეს ბალთა და ბეჭედი კი ჩემს მარიამს.

ჟიული ხიხინებს მხოლოდ, ხველაც კი აღარ შეუძლია, თუ ცრემლი ახრჩობს?

— ეს ალბომი მარკებით შენ გქონდეს, ჩემო ექიმო. ფილიპეს ისინი აღარ დასჭირდება.

ყელსახვევებსა და სხვა წვრილმანს შორის ჟიულიმ მოსძებნა პაპიროსის კოლოფი და გახსნა. იქ იდვა გამხმარი თეთრი ყვავილი.

— შეხედე, ეს არის სამაისო ჩემი ყვავილი. მაშინ დავდექი მე სწორ გზაზე... შენი ჟიული კიდევ სხვა კაცად გახდებოდა, მაგრამ დრო არ მეყო.

ფრთხილად ამოაქვს კოლოფიდან გამხმარი ზიზილა, მაწოდებს და უმატებს:

— შეგიძლია მარიამს გადასცე, ან შენვე დაიტოვო... მაგრამ გოგონას ყველაფერი უამბე, გესმის, ყველაფერი!

ჟიულიმ წამოიწია და ჩამაჩერდა მინად-ქცეული თვალებით. უეცრად გაიღიმა — მეგობრული, ბავშვური ღიმილით.

— თუ დასწერ, ჟიულიზედაც ხომ დასწერ?

და მისი სახე კიდევ ერთხელ სხვაგვარად გამოიყურება — მის დიდ ლურჯ თვალებში აღარ ელავენ ნაპერწკლები, ისინი იწვიან მთლიან ალად.

— დასწერე ყველაფერზე, უთხარი მათ სიმართლე, მთელი სიმართლე, გესმის?

ხელი მკლავში ჩამჭიდა, ნიდაყვის ზევით, თითქოს უნდათ ფრჩხილებით, როგორც დანით, ამოჭრას ჩემზე ანდერძი. მის ტანს ტყვეის ადგილზე ეცა. ძლივს გავინთავისუფლე ხელი, თვალები ცარიელ სივრცეს ჩაამტერა. მე დავუხუჭე თვალები. ღამის სრული ათი საათი იყო. ფანჯრის იქით ღამის ნალარა დაჰკრეს. Efeindre le feu! ჩააქრეთ სინათლე!

თან მიმაქვს პატარა რვეული, სადაც ჟიული ასეთის გულმოდგინებით აგროვებდა მარკებს თავის ფილიპესთვის, და კოლოფი გამხმარი ყვავილით.

ბანაკის კომენდანტმა ნება დართო, კუბოს გაჰყოლოდა ყოველი ფარდულიდან ექვს-ექვსი ინტერნირებული პატიმარი და სამიც ჟიულის მახლობელი ამხანაგი, სულ ოცდაერთი კაცი. რადგან საფრანგეთში მიღებულია ერთ მწკრივში სამი კაცის დადგომა, ჩვენი პროცესია შესდგებოდა შვიდი რიგისაგან, რომელთაც წინ სერჟანტი მიუძღოდა. სექტემბრის ჰაერდახშული დილაა. სერჟანტმა ვერ მოითმინა, რომ გამოსვლის დროს არ დაეწყო თავისი „ერთი-ორი, ერთი-ორი", მაგრამ ჩვენ ვაბიჯებთ ისე, როგორც გვემარჯვება.

საავადმყოფოს საგვამოსთან სდგას ტულუზიდან მოსული რაბინის თანაშემწე. ჟიული უკვე ასვენია გაუთლელ თავდაჭედილ კუბოში. კუბო საბარგო მანქანაში გადავიტანეთ და კვერცხების საზიდი ამ თეთრი უხეში ყუთის ფიცრები ყვავილებით მოვრთეთ. მანქანა ნელა მიდის საავადმყოფოს ფარდულების გასწვრივ. ჭუჭყიან, ზოლებიან ხალათებში გამოწყობილი ავადმყოფები დგანან ეზოში, დგანან უხმოდ, ჩაფიქრებულნი. ინტერნირებული ესპანელები სალამს აძლევენ, საფეთქელთან მიაქვთ მუშტი. ვიღაც მოხუცი პირჯვარს იწერს. საავადმყოფოს შესავალთან მდგომი დარაჯი თოფით აძლევს სალამს.

მანქანა მიჰყვება თვალუწვდენ გზას. მავთულიანი ღობურის გასწვრივ, A, B და C ნაკვეთების ახლოს, ოთხიათასზე მეტი პატიმარი მოდის. ეკლიან მავთულთან უკანასკნელი სალამი მისცეს გარდაცვლილ ამხანაგს, რომელსაც არ ეღირსა განთავისუფლება. ამ ოთხი ათასი კაცის თვალებში ერთი და იგივე აზრი შეიძლება ამოიკითხოს კაცმა. სიძულვილი რომ ჰკლავდეს, ბანაკის ვერც ერთი ექიმი, ვერც ერთი ოფიცერი, ვერც ერთი პოლიციელი ვერ გადაურჩებოდა ამ წუთში სიკვდილს. ეკლიანი მავთულების იქით მდგომი ოთხიათასი ინტერნირებული უხმოდ აცილებს გადაცვლილ ჟიულს. ზოგი გაჭიმული სდგას და პროცესიას სალამს აძლევს ზეაწეული მუშტით, ზოგს მხედრულად ხელი მიუდვია ქუდის წინაფარზე, ზოგი პირჯვარს იწერს, ზოგიც მიწამდე იხრება და თავს უკრავს. ნახევრად ტიტველი მზარეულები მორბიან სამზარეულოდან, იწმენდენ გაოფლიანებულ სახეს და სასწრაფოდ იხდიან ქუდს. ყარაულები წამდაუწუმ აძლევენ თოფით მხედრულ სალამს. მიცვალებული არ არის საშიშარი, ამიტომ წმინდაა. მრავალი ამხანაგი ისევ და ისევ სდგას ეკლიან მავთულებთან, სალამს აძლევს ან მხედრულად ხელის ქუდზე მიდებით ან მუშტს სწევს ზევით.

ბოლოს, დავადექით სასაფლაომდე მიმყვან პამიერ-ტულუზას დიდ გზატკეცილს. ეს ის გზატკეცილია, რომელსაც უკანასკნელ თვეებში ჩვენ ვხედავდით მხოლოდ ეკლიანი მავთულების იქით, რომელზედაც სხვადასხვა შიმართულებით მიდიოდნენ ლტოლვილთა და საფრანგეთის დაჭრილებული ჯარის დემობილიზებული ათასები. ეხლა ამ დიდ გზატკეცილზე სიწყნარეა. ბენზინი გამოილია, და მანქანებიც აღარ სჩანან. ქვანახშირი არ არის, ახლო მდებარე რკინიგზაზე აღარ რახრახებენ მატარებლები. ტყვედ წაიყვანეს თითქმის ორი მილიონი ახალგაზრდა და აღარ დარჩა მუშა-ხელი. ოქროსფერი, მეტად დამწიფებული ჭვავი დგას ყანაში, თავთავი მიწამდეა დახრილი, მომკელი-კი არსად სჩანს. ამავე დროს ათიათასობით ახალგაზრდა შრომისუნარიანი ვაჟკაცი უსაქმოდ ყრია აქ, ბანაკებში. ეკლიანი მავთულით გარსშემოვლებული.

გზაზე შემოგვხვდა ორი ბებერი დედაკაცი. მიცვალებული რომ დაინახეს, პირჯვარი გადიწერეს. ვილაც მოხუცი ჩერდება, ქუდს იხდის და დაბლა ხრის თავს. უკაცურ გზაზე გვხვდება ოცი შეიარაღებული პოლიციელი.

პატიმართა სასაფლაო იმყოფება „პრერიებში", დაუმუშავებელ ველში. ქიულს კარგი მეზობლები ეყოლება — მას მარხავენ იმავე წრეში, სადაც ერთი წლის წინათ დაასაფლავეს რესპუბლიკის სახალხო ჯარის მრავალი ათეული ესპანელი ახალგაზრდა.

ჩვენ სასტიკად გვაქვს აღკრძალული მიცვალებულთათვის სიტყვის თქმა. აქ მხოლოდ რაბინის თანაშემწეს შეუძლია წარმოსთქვას ძველ ებრაულ ენაზე თავისი ლოცვები. ორი პატარა უხერხულება მაინც მოხდა. ქიული არ ჩაეტია საფლავში. ებრაული წესით მიცვალებულს სახე მიმართული უნდა ჰქონდეს აღმოსავლეთისაკენ და ამ მხრისაკენ უნდა იყოს მიმართული კუბოს ფართო ნაწილიც. მესაფლავეებს კი სამარხი პირუკუღმა გაუთხრიათ. ქიულის კუბოს ატრიალებენ ხან იქით, ხან აქეთ, მაგრამ არაფერი შველის. ქიული აქაც იჩენს თავის ჯიუტობას და არა სურს ის, რაცა სურს ტულუზელ მღვდელმსახურს. ამ უმსგავსობას ბოლო უნდა მოეღოს — აღსრულდეს ქიულის ნება! მღვდელმსახური მეორე უკანონობასაც სჩადის. იმის მაგიერ, რომ ბანაკის კანცელარიაში გაეგო მიცვალებულის სახელი, ის სასწრაფოდ გვეკითხება პატიმრებს:

— რა გვარია?

— ლიტერი — ვუპასუხებთ ჩვენ.

— სახელი?

უჭოჭმანოდ ვუპასუხებთ:

— ქიული.

და მალული სიამოვნებით ვისმენთ, რომ ჩვენს ქიულს ოფიციალურად წესს უგებენ იმ სახელით, რომელიც მას შეარქვა ჩვენმა ბანაკმა — ქიულ ლიტერი.

ისმის ებრაული განგრძობილი ლოცვები ჩივილით, ცრემლებითა და კვნესით. ქიული ხშირად მიმტკიცებდა, მორწმუნე ვარო. მაგრამ ქიული ხომ იყო, გარდა ამისა, ყოჩაღი მებრძოლი, აღგზნებული, ჯიუტი და სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში ჭეშმარიტების, — მართალია, თავისებური ჭეშმარიტების, — მაძიებელი. ქიულის მთელ არსებაში ღრმად გაუჯდა ერთი სურვილი, რომ მისი ქალიშვილისთვის ეამბნათ სიმართლე, რომ სიმართლე თქმუ-

ლიყო ჩვენს ბანაკში, რომ აწი არავინ „შემძვრალიყო, როგორც ძაღლი სუფრის ქვეშ“.

მე თვალს ვადევნებ საფლავის ირგვლივ შემჭიდროებულ პატიმრებს. მათ შორის ბევრია ესპანელი მებრძოლი, არიან პარიზელი ამხანაგები, არიან ისეთებიც, რომელნიც როგორც ჟიული, აქ, ბანაკში, გარდიქმნენ მებრძოლებად. პირმოკუმულნი მშვიდად იყურებიან ისინი ღრმა სამარხში. საშიშია უსაზღვრო, თავისუფალი ველების ცქერა — ერთი ნახტომი სასაფლაოს დაბალ გალავანზე და თავისუფალი ხარ. მაგრამ იქ სდგას თავიდან ფეხამდე შეიარაღებული ოცი პოლიციელი. ოდნავ მარცხნივ-კი და მიტრალიეზა. ეხლა დღეა — ნიშანი ნათლად გამოჩნდება. უნდა ვიცოცხლოთ! ეს არის ეხლა თავი და თავი. უნდა ვიცოცხლოთ მომავლისათვის. და ამიტომ უნდა მოვკუმოთ პირი, ხელი ავიღოთ გამოსათხოვარ სიტყვებზე, მდარეფასიან პროტესტებზე, და არ ვიყნოსოთ დამათრობელი სუნი დამწიფებული პურისა, როშლის სავსე თავთავები მიწაზე ეფინება. არა, არ დავუწყებთ ცქერას ცაზ, სადაც იკრიბებიან შოშიათა გუნდები აფრიკაში, ზღვის გაღმა გადასაფრენად. ცოცხალი დავრჩეთ! ვილაპარაკოთ და ვწეროთ მართალი ამ ბანაკზე, ამ დროზე — ჟიულის მარიამისთვის, ახალგაზრდობისთვის, ჯერ კიდევ გამოუცდელ ამხანაგებისთვის, რომ ისინი არ შეძვრნენ, როგორც ძაღლები სუფრის ქვეშ, არ გაიფანტნენ, არ დახუჭონ თვალი, რომ შეგნებულად დაირაზმონ და მოემზადონ უკანასკნელი, დიდი ბრძოლისათვის. ვიცოცხლოთ და თან არ გვეშინოდეს სიკვდილისა. ჟიულ, ჟიულ, შენ კარგი ამხანაგი იყავ, კარგი მებრძოლი... სამწუხაროა, მეტად სამწუხარო, რომ შენ „ასე ცოტა დრო“ გქონდა...

მიწის ქვიშიანი ბელტები ეცემიან კუბოს თავს, როგორც ტყვიამფრქვევის რაკრაკა ცეცხლი. ბევრი ამხანაგი იხდის ბერეტს და შეკუმშულ მუშტს შუბლთან იჭერს. ისინი სალამს აძლევენ ჟიულს, როგორც ომში დაღუპულ ჯარისკაცს. დარაჯები ალმაცერად გვიყურებენ. ერთ მუჭა მიწასთან ერთად ჟიულის კუბოზე მე დავაგდე პატარა, გამხმარი ყვავილი, ზიზილა, რომელიც ბრაზმორეული დარაჯების გულის გასახეთქად მას გაყრილი ჰქონდა, როგორც ჩვენ, საღილეში, პირველი მაისის დღეს.

თარგმანი **ნიკო ლოლთქიფანიძისა.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კლიმენტი გოგიავა

გენერალ-მაიორი ლესელიძე

I

დედამიწას უსაზღვრო სევდასავით დასწოლია თოფწამლის კვამლი. დათოვლილი მინდორი, გუშინ, თეთრად რომ ხასხასებდა, ახლა გაშავებულა. შეტრუსული და გაკვამლული ხეები აქა-იქ ჩონჩხებივით დგანან და გასროლის ტალღის უჩინარ ხელებს მათი ტოტების ნამტვრევები სადღაც შორს მიაქვს.

კვამლის გორები ისე მოედინება, თითქოს მშობლიური მთებიც მტრებს გამოქცევიან და ზურგისაკენ მიეშურებიანო. მერე რა მძიმედ და ხმაურით მიიწევენ ეს კვამლის გორები!? აი, ახლაც ცეცხლის უთვალავი ვარსკვლავების ნაკვალევზე შავად აღიმართნენ კვამლის გორები და რაღაცნაირი შხუილით წამოვიდნენ არტილერისტთა სანგრებისაკენ.

ჯერ ცეცხლის ნაღვერდალი წამოვა, გრიალით, გრუხუნით, შემდეგ ალმოდებული ფოლადი დანაპერწკლდება და მთელ ამ ცეცხლოვან ხაზზე გაწვება სიკვდილის შავი კვამლი.

ცეცხლი, ცეცხლი, ცეცხლი. და ამ გადანაცეცხლარ გზაზე მოფენილი კვამლი, კვამლი, კვამლი.

კონსტანტინე ლესელიძის შტაბამდე ეს ცეცხლი ჯერ ვერ აღწევს, ხოლო კვამლი კი დასწოლია ამ მიწურ სახლებს, ღრმა სანგრებს და თეთრად მოზიმზიმე მინდორიც გადაუშავებია.

კონსტანტინეს ყუმბარების ყუთზე გადაუფენია წითელი ისრებით დასერილი რუკა და თავის ამხანაგებს ეუბნება:

— მაშ ასე, ჩვენი ძლიერი ცეცხლის ქვეშ თამამად შეიძლება შეტევაზე გადასვლა, ხოლო უმთავრესი და სასიცოცხლო ის არის, რომ ჩვენმა ცეცხლმა უნდა ჩააჩუმოს მტრის ყველა დოტი და საარტილერიო ბუდე. — მიმართავს პოლკოვნიკი ერთს დაბალს, მაგრამ საკმაოდ ჩასკვნილს და ბრგე კაპიტანს, ხოლო მეორეს, რომელიც ჩაციებით დასცქეროდა რუკას, მხარზე დაჰკრავს ხელს.

— შენ კი ძმობილო, დიდი სიფრთხილე გჭირდება, თვალი ადევნე ჩვენი ქვეითელების წინსვლას და ურტყი პირდაპირ, ხოლო შენ ეი, თამბაქოს რომ მიადექი და ხრჩოლავ, განა ცოტა კვამლი დგას ფრონტზე? ამოცანა ხომ იცი? ურტყი მარჯვნივ სამოციდან — ასზე. არც მეტი, არც ნაკლები. მაშ ასე, გესმით ბიჭებო! დედა ვუტიროთ.

— დედა ვუტიროთ! — განიმეორა ადიუტანტმა და ღიმილით ამხანაგებს გადახედა: — მაშ, პოლკოვნიკი კარგ გუნებაზეა.

მაშინვე დაიშალნენ.

ღამე იყო. ფრონტის აზანზარებული ღამე. ყინვა უჭერდა მიდამოს. თეთრი, ავარსკვლავებული ცა გამარჯვების თვალებით დასციმციმებდა ფრონტს,

ხოლო ბედოვლათი ქარი არ ასვენებდა ისედაც მოუსვენარ მებრძოლებს, სანგრების კარებთან თოვლის კორიანტელს აყენებდა, სათოფურებიდან ყინვის მარცვლებს ჰყრიდა და ეამგამოშვებით ისე ჰკიოდა, თითქოს ეშმაკი ყოფილიყო ხის ჯვრების ქვეშ გაყინული ადამიანებისა.

კონსტანტინე მივიდა ცეცხლთან, მკერდი მიუფიცხა და ადიუტანტს, რომელიც სკამზე ყვინთავდა, ღიმილით უთხრა:

— ცოტა შორს დაიჭირე თავი, ძალიან ნუ გათბები, ძილი მოგერევა, — ამ სიტყვებზე თითონაც მოშორდა ცეცხლს.

კედელზე ნახშირით შიშველი ქალი იყო მიხატული, რომელსაც თავის მაგიერ სვასტიკა ედგა. კონსტანტინემ ამ ნახელავს, მხოლოდ ახლა მიაქცია ყურადღება.

— ტანი კარგად გამოუყვანიათ, მაგრამ თავის მაგიერ ეს ობობა... ჰა რას იტყვი ძმობილო?

— ეს ობობა რომ უზით თავში, იმიტომაც ადგიათ კარგი დღე. — უპასუხა ადიუტანტმა და თანაც განაგრძო — მიკვირს, უკან დახევისას როგორ დასტოვეს ეს სახლი და სანგრები?.. მაგრამ ვერ მოასწრეს თორემ, მოგეცა სიკეთე, ნგრევა, ხომ მაგათი მოგონილია. ტყუილად კი არ გამოჰყავთ ყველაფერზე ეს სვასტიკა. თავშიაც იგი უზით, აბა ქალი ამას ომში მისწერეს ქმარს!!

უცებ აენთო ადიუტანტი და მაგიდიდან დაჭმუჭნული ქაღალდი აიღო.

— აი ამხანაგო პოლკოვნიკო, რას სწერს მიუნხენელი ფრიდა თავის ჰერნის... „გიკოცნი ტუჩებს, შემდეგ თვალებს, ისევ ტუჩებს, მეტი ღონე არა მაქვს. შიმშილმა ხელი დაგვრია. ყველაფერი გაწყდა. შენი გამოგზავნილი ფქვილი და ყველი გაგვითავდა. კიდევ გამოგზავნე, რა ღმერთი გიწყრება. გენანება ვინმე რუსი ან ებრაელი, რომ მშიერი არ დარჩეს. წაართვი, დახოცე“.

... ამარი ქარი ისევ მოაწყდა ფანჯარას. ააძიგძიგა მინები და კედლებს თოვლი მიახვეტა. შემდეგ, რომელიღაც ჯვარს თითბრის ქუდი მოხადა და რაკუნით და ზრიალით გამოაქანა, ფანჯარას მიანარცხა. მინა ჩალეწა.

— რა ამბავია?! — წამოიჭრა ადიუტანტი.

აორთქლილ მინებს თითბრის ქუდმა მოაშუქა და მანამ იძიგძიგა, ირაკუნა, სანამ ადიუტანტმა შიგნით არ შემოიტანა იგი.

ლითონის ამ ბრჭყვიალა ქუდზე სისხლის წინწკლები მიყინულიყო. ხოლო მტრის ემბლემა — თავის ქალა — სისხლს დაეფარა. როცა ლითონი შეთბა, მიყინული სისხლი ჩამოდინდა და თავის ქალამაც სიკვდილის დარად გამოაშუქა.

ადიუტანტმა ქუდი კონსტანტინეს თვალწინ შეატრიალა.

— ამხანაგო პოლკოვნიკო, გუშინ გაზეთში წავიკითხე წერილი „ფაშიზმი კულტურის მტერია“. ასეთი განსაზღვრა არ მიმაჩნია სწორად. და აი რატომ. ადამიანები, რომლებიც თავიანთ ემბლემად ადამიანისავე თავის ქალასა და ძვლებს ატარებენ, ასეთ კაცთმოძულეებთან როგორ შეიძლება კულტურის მტრობაზე საერთოდ და, კერძოდ რაიმე კულტურის ნატამალზედაც ლაპარაკი... ყველაზე გონიერი ეს მებრძოლი ყოფილა ამაზე ტყვია რომ ჩაუჭედია.

ადიუტანტმა თითი დაადო ქუდის ნატყვიარს და ზიზღით სავსე თვალებით ემბლემას დააცქერდა.

კონსტანტინემ გაიღიმა.

— შენ ეს ქუდი არ მოგასვენებს, გაუძახე აქედან, დაისვენე!

ადიუტანტმა ქუდი გარეთ გააგდო. ქარმა მაშინვე მოიტაცა. ეგზ. მეტრის ბათქები ჩადგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაშუადამევმა მოატანა. ყინვამ უფრო მოუჭირა. ქარს ძალა გამოელია. ფრონტი მოსვენებას მიეცა.

ფხიზლობდნენ კონსტანტინე ლესელიძე და მისი არტილერისტები.

კონსტანტინემ ახლა ზურგი მიუფიცხა ცეცხლს. ჯიბიდან ოთარის წერილი ამოიღო. ერთხელ კიდევ ბოლომდე ჩაიკითხა, გაუღიმა შვილს, მიუალერსა, არის, ოთარ ჩემო, არის. წაიჩურჩულა მან. ისევ გაიღიმა და ხარბად დააცქერდა წერილს.

ყუმბარების ყუთებზე წამოწოლილ ადიუტანტს უცებ ჩაეძინა. დაღლილმა დაიხვრინა, დაიფშვინა. არ შეცივდესო, გაიფიქრა მუდამ ფხიზელმა კონსტანტინემ და თავისი მაზარა გადაახურა თანამებრძოლს. შემდეგ ბარათის მეორე გვერდზე ცუგრუმელა იზოლდას მინაწერიც ჩაიკითხა და შვილების ტიტინით აღტაცებულმა მამამ ძალა იგრძნო, მშობლიური ძალა.

„მამა შავი დღე დაუთიე გერმანელებს, არ გაახარო ისინი“.

ასე გატაცებით იწყებდა ოთარი თავის გრძელ წერილს.

„ცეცხლის დაწყება“ ჯერ ადრე იყო.

არც ძილი შეეძლო მუდამ ფხიზლობას მიჩვეულ კონსტანტინეს. საერთოდ ის ძილს გადაეჩვია. ომს ძილი არ უყვარსო. ხშირად უთქვამს მას ამხანაგებისათვის. შეტევის წინ სიმშვიდე, მოსაზრებულება, აუჩქარებლობა! — აი რითი გაჰქონდა პოლკოვნიკს.

ახლაც ქვეითი ჯარის ნაწილები ძლიერ შორს იყვნენ, ხოლო არტილერისტებს მაშხალის გაელვებისთანავე შეეძლო ისეთი ბათქები აეტეხათ, რომ მტრის სიმაგრეები ცაში მიმოეფანტათ.

კონსტანტინემ ერთხელ კიდევ გაიარ-გამოიარა ოთახში. გერმანელ ჯარისკაცების ნახატები ერთხელ კიდევ შეათვალიერა და შემდეგ ადიუტანტს დახედა; ეძინა დაღლილ-მოქანცულს. სახეზე სიმწრის ნაოჭები ეყარა. თვალები ნახევრად ღიად დარჩენოდა. ალბათ, ისე უცებ ჩაეძინა, რომ თვალების დახუჭვა ვერ მოასწრო.

კონსტანტინეს ოთარის წერილი ისევ ხელში ეჭირა. ამ წერილმა მოაგონა თავისი საყვარელი მშობლები და ყუთზე ჩამოჯდა. იგი ახლა ფიქრებით შორეულ გურიაში გადაეშვა.

„ჩემო საყვარელო მშობლებო! იცით, ჩემო კარგებო, რომ მე ვიბრძვი სახელოვან წითელ მებრძოლებთან გამხეცებულ მტრების — ფაშისტების წინააღმდეგ. ერთერთ ბრძოლაში არტილერისტებმა ქვემეხის მძლავრი ცეცხლით გაარღვიეს მტრის რკალი. ჩვენს მიწა-წყალზე მტერი ვერ გაიხარებს.

იყავით კარგად. თქვენი კოტე“.

კონსტანტინეს თვალწინ თავისი ბავშვობაც გადაეშალა. გურიის ამწვანებული მთები, მოშარიშურე ყანები, ჩაის ჩამუქებული მინდვრები და სოფელ ხვარბეთის გრძელ ყალიონიანი, თმაჭალარა ბრძენი გლეხები... იგი სიხარულმა აიტანა, მშობლიურმა სიხარულმა, რომ თავის გურიას აქედან რუსეთის ველებიდან იცავდა.

II

ნიკოლოზ ლესელიძის ფიშტომ ისე დაიქუხა, რომ ქოხ[illegible] შეაზანზარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიდი ხმა ჰქონდა, დიდად ბედნიერი იქნება.

ბებია-ქალმა სიცილით უთხრა ნიკოლოზს და მიულოცა მეორე ვაჟი.

ეს იყო 1903 წელს.

ოჯახს ახალი საზრუნავი შეემატა. საცაა კოტე მშიაო იტყოდა და მამას ახალი შრომა უნდა გაეღო. ახალი ოფლი უნდა დაეღვარა.

მაგრამ არა უშავს, შვილი იმედია, იმედი, იტყოდა ნიკოლოზი და ამ იმედით ხარობდა მისი ოჯახიც.

კოტე მკვირცხლი, ანცი და გულადი იყო. ვერაფრით ვერ შეაშინებდით და ვერც ქედს მოახრევინებდით. ტანათ პატარა იყო და ამიტომ მეზობლები იტყოდნენ ხოლმე — ეს ბიჭი ცარიელი გულიაო, მაგრამ მაშინვე დედა გამოექომაგებოდა: — აბა, უგულო და ღვთის გლახა, ღმერთმა გვაშოროსო.

ერთხელ კოტემ ოზურგეთიდან დაუანგული შაშხანა ჩამოიტანა, (ვიღაც ჯარისკაცს გადმოეგდო მატარებლიდან) დიდხანს წმინდა და აპრიალა იგი. ბოლოს თოფმა სარკესავით ელვა რომ დაიწყო, ყმაწვილკაცმა ვაზნები ვერსად იშოვა თორემ მოჭახჭახე შაშვებს კარგი დღე არ დაადგებოდა.

კალანდის წინა დღეებში კოტემ საიდგანღაც თოფწამალი ბლომად მოიტანა, მაგრამ შაშხანაში უვაზნოდ ხომ არ ჩაჰყრიდა და ახალი დარდი გაუჩნდა. კალანდა ღამეს მეტი გზა რომ არ ჰქონდა თოფწამლითა და ქაღალდით ლულა გამოსტენა და მუგუზალით ისე დააქუხა, რომ ასეთი გრიალი მის დაბადებიც ღამესაც არ გაუგონიათ. მამა ცოტა შეუწყრა, თანაც გაუღიმა: — სოფელი გაახალისეო.

იმ ხანებში ოზურგეთში გაჩნდნენ უცხოურად ჩაცმული ჯარისკაცები. ისინი ჩქარი, გაჭიმული ნაბიჯებით დადიოდნენ... თავი მაღლა ეჭირათ თითქოს ცაში დაჰკარგვიათ რაღაცაო, მიწას არც კი უყურებდნენ. ესენი გერმანელები იყვნენ, რომლებმაც სადგურის უკან ქვემეხი დასდგეს და ზედიზედ რამდენჯერმე დააგუგუნეს: მგზავრები აწრიალდნენ, მაგრამ გამოვიდა წითელქუდიანი რკინიგზელი და დაიწყო ქაქანი.

— დამშვიდდით ხალხნო, არაფერი ისეთი არ მომხდარა! რაა სროლის ხმები ხომ არა ხართ, რამ აგაწიოკათ, ეს წესრიგისათვის ისროლეს, სოფელში არეულობაა, წესრიგისათვის, გესმით.

იგი კიდევ დიდხანს ილაპარაკებდა, რომ მისთვის გერმანელს ქუდი არ ჩამოეფხატა და ხელი არ ეკრა.

— ესეც წესრიგისათვის, მოგხვდა? — ჩაიხითხითეს გლეხებმა.

კიდევ დაიჭექა ქვემეხმა. კოტეს მოეწონა მისი ხმა. მგრგვინავია. ქვეყანა შეაზანზარა. აი ეგ მესმის. შემდეგ გაიგო მისი სახელი — ქვემეხი, გერმანულად....

კოტე მკვირცხლი ნაბიჯებით ოზურგეთის სკოლისაკენ რომ მიიჩქაროდა, მას გზაში ხშირად ხვდებოდნენ შაშხანიანი ჯარისკაცები.

მომავალი მებრძოლი ბავშვური თვალებით აკვირდებოდა მათ და გული ნატვრით აუტოკდებოდა ხოლმე. მაგრამ მის ნორჩ ფანტაზიაში შაშხანა უმნიშვნელო იარაღად იყო წარმოდგენილი.

აი, ქვემეხი მესმის, ერთს დაიქუხებს თუ არა, ქვეყანასაც შეაზანზარებს.

ერთხელ ბათუმის გზატკეცილზე მიმავალ საარტილერიო ეშელონს დიდ-ხანს სდია, მაგრამ გული მაინც ვერ იჯერა, რადგან ქვემეხს ტილო ჰქონდა გადაფარებული და ვერცერთი მარჭვალი ვერ დაინახა.

იმ წელიწადს კოტემ ოზურგეთის ოთხკლასიანი სკოლის დამთავრების მოწმობა მიიღო, მაგრამ სიღარიბემ სწავლას მოწყურებული ჭაბუკი სახლში ჩაკეტა. კოტე მასზე უგრძესი ტანიანი თოხით მამას ამოუდგა გვერდში. თავისუფალ დროს წიგნებს ჩაკირკიტებდა და მისი ცოდვით მშობლები იწოდნენ.

— უი მოგიკვდეს ნენა, შვილო სიღარიბეს დაეფსოს თვალები, თორემ შენ ერთ დღეს არ გაგაჩერებდი შინ. — გულისტკივილით იტყოდა დედა და მიუალერსებდა წიგნში თავჩაღუნულ შვილს.

კოტე 17 წლის იყო, როცა მის პირსახეზე წვერულვაშმა იფეთქა და სიმწიფის სამყაროს კარებს მიადგა. მას ოცნების განხორციელების დრო დაუდგა. და იმ ბედნიერი წლის შემოდგომას, როგორც კოტე ახლა მოიგონებს ხოლმე, მომავალი მეთაური ხურჯინით ხელში, საარტილერიო სასწავლებელს ეწვია.

გურული ხაჭაპურებითა და ლოყაწითელი ვაშლებით ახალი ამხანაგები ასიამოვნა, ხოლო თვითონაც ბევრი ისიამოვნა, სამხედრო ტანისამოსით მხრები რომ დაიმშვენა.

აქ კი ნახა მისი საოცნებო ქვემეხი, მალე მისი დაშლაც შეისწავლა და აწყობაც. არც ისე ძნელი ყოფილა, როგორც ეგონა.

ასე მოშორდა იგი გრძელტარიან თოხს და მივიდა გრძელლულიან ქვემეხთან.

— ეს მძიმე ქვემეხი მართლაც რომ მძიმეა, მის ნაწილებს ვერაფერი გაუგე, აბა თუ ძმა ხარ, კოტე ერთი შენებურად მოჰყევი თავიდან, ეგებ შემდეგ მეც გავაჯახირო!

და ისიც ყველას დაუზარებლად აძლევდა პასუხს. ყველა ტიპის და ჯურის ქვემეხი ისე იცოდა, როგორც მამისეული გუთანი, ან და ის თოხი, რომლითაც იგი ხვარბეთის მინდვრებზე სიმინდს ახარებდა.

კოტე ლესელიძემ ფრიადზე დაამთავრა სასწავლებელი და არტილერისტის ფორმაში გამოწყობილმა სოფელში თავისი ჩასვლით მშობლები გაახალისა, ოჯახში სინათლე შემოიტანა.

III

გერმანელები ტულას მიუახლოვდნენ. ცეცხლი ნთქავდა ქალაქის მისადგომებზე ყველაფერს.

— „სერიოზული წინააღმდეგობა მოსალოდნელი არ არის, ტულა ჩვენია“.

გერმანელი ოფიცრები აიმედებდნენ თავიანთ ჯარისკაცებს, ჯარისკაცებიც წესისამებრ უფროსთა ყოველ კითხვაზე ერთდაიგივე პასუხს იძლეოდნენ.

„კარგია, ძალიან კარგი“.

და ნოემბრის სუსხიან დილით, როცა გერმანელთა სატანკო კოლონა ტულას მიუახლოვდა, ალონეც ბრეიკშპრეხერი თავის ცხოვრებაში ერთი თავით მაღლა აიწია. იგი უნტერ-ოფიცრად დანიშნეს, გაშანშალებული ბრძანება მთელ პოლკს წაუკითხეს და ეს სიხარული ბრეიკშპრეხერს, როგორ შეეძლო

თავის მშობლებისათვის მაშინვე არ გაეზიარებინა. სადილობის შემდეგ მან თავისი გრძელი წერილი შემდეგი სიტყვებით დაამთავრა:

„მთელ ჩემს ამხანაგებში მხოლოდ მე გავხდი ღირსი ოფიცერთა ოქროს სახლში ფეხის შედგმისა... უახლოეს დღეებში განზრახულია დიდი შეტევა ტულისა და მოსკოვის წინააღმდეგ. მოსკოვთან სერიოზული წინააღმდეგობა არ არის მოსალოდნელი“.

და ტულის საბჭოთა იარაღს მტერმა დაუპირისპირა თავისი იარაღი, თავისი გააფთრება. დაიწყო შეტევა, დაიძრნენ ჯავშნოსნები, ტანკები. მოტორების გუგუნში მედგრად გაისმა ადამიანთა ველური ყიჟინა: — ფორვერტს, ფორვერტს!..

მოდიან გუნდებად, ჯგუფებად და სოფლის ტანწერწეტა ხეები, წინათ, კოლმეურნეთა საამებლად მწვანე კოლინდარზე ჩრდილებს რომ ხატავდნენ, ახლა ტანკთა მუხლუხებისაგან დალეწილი, ნაფოტებად ქცეულნი იწვიან.

ოდა სახლებში, გუშინ, რომ სიცოცხლე ზეიმობდა, დღეს ცრემლი იღვრება, სისხლი ინთხევა და ყუმბარების ყოველ დაქუხებაზე სახლების კედლები ლაწუნით იშლება, თოვლსა და ტალახში იძირება.

მტერი ყველაფერს ცეცხლს აძლევს. ცეცხლი ანთია კიდით-კიდემდე. გაალმასებული ალი და შავი კვამლი დგება ტანკთა ნაკვალევში, თვითმფრინავთა გადანაზუზუნარ ადგილებზე.

მტერი მოიწევა ცეცხლითა და მახვილით, მაგრამ...

აი, ტულა ამდგარია მთელი თავისი მრისხანებით, მშვიდი ქალაქი ბობოქრობს და ზანზარებს. მისი გარეუბნები, მისი მისადგომები, ალმართულან ნამდვილ ციხე-სიმაგრეებად და მტრის ცეცხლს ცეცხლითვე ხვდებიან.

ეს მამაცნი საბჭოთა არტილერისტები არიან თემშარაზე ტანკათა კოლონას გზა რომ მოუჭრეს და ლითონის არმია შეაჩერეს.

ფოლადის ფრინველებმა ავი ზუზუნით სივრცე გადასერეს და ქალაქის თავზე წრე შემოხაზეს. მაგრამ ფოლადისავე ნამსხვრევებმა ისინი ცაშივე გაჰყინა, შეაბარბაცა. ორი სვავი თავისივე კვამლის სვეტს მიწისაკენ გამოჰყვა და იმ მიწამ, რომლისთვისაც ისინი აქ მოფრინდნენ, საუკუნოთ მიიბარა მათი ლეში.

— აი ეგ მესმის, თქვენი ჭირიმე ბიჭებო, თქვენი! — დაიჭექა კონსტანტინე ლესელიძემ და შემდეგ სტერეომილში მტრის მოტომექნაწილი რომ გამოისახა, ცეცხლიო, დასჭყივლა მან.

— სამშობლოსათვის, ცეცხლი!

— ჩვენი გამარჯვებისათვის, ცეცხლი!

— ხალხთა მეგობრობისათვის, ცეცხლი!

ოფლში იწურებოდა კონსტანტინე ლესელიძე.

თავშესაფარში ცოდა, მაგრამ მან მაინც მოიშილიფა და ისევ ცეცხლი... ცეცხლი. ძიგძიგებდნენ ტელეფონის აპარატები. მეკავშირეებს ძარღვები ეჭიმებოდათ, ხმები ეხლიჩებოდათ და ბრძოლის თაკარა წვავდა მთელ შტაბს.

კონსტანტინე ლესელიძის ბატარიების გრიგალისებური ცეცხლი ეღვრებოდა გერმანელთა სიმაგრეებს, მათ ჯავშნოსნებს, მოტოციკლისტთა კოლონებს, ხოლო ჩვენი ქვეითი ჯარი, წითელი ვარკვლავიანი ტანკები ამ ცეცხლის ჰორიზონტის ქვეშ მიიწევდნენ წინ.

მათ არტილერისტები უკაფავდნენ გზას და იცავდნენ ჰაერიდანაც.

ქალაქის სამხრეთ განაპირა უბანს მტრის ოცდაათზე მეტი ტანკი და რამდენიმე მეავტომატე უახლოვდებოდა. საჭირო იყო მათი შეჩერება, განადგურება, რომ თავდაცვის ზღუდისათვის არ შემოეკლოთ.

კონსტანტინეს ეს სასწრაფოდ აცნობეს და პოლკოვნიკმაც თავისი ერთადერთი ბატარეის ცეცხლი იქითკენ მიმართა.

ბატარეის მეთაურმა, რომელთანაც იმ წუთს კონსტანტინემ მიირბინა, გაუღიმა უფროსს და თავისთვის განიმეორა: არის, ხოლო როცა ქვემეხის ლულა აღმართა — მთელის ხმით დაიგრგვინა:

— ხალხთა სოლიდარობისათვის, ქართველი ხალხისათვის, ცეცხლი!

კონსტანტინემ გაიღიმა, ხოლო ყუმბარებმა ტანკები კვამლში გააუჩინარეს.

— აი, ასე, სიკვდილი... სიკვდილი!

ქუხდა ბატარეის მეთაური. როცა მისი ქვემეხი დადგა, ბინოკლში გამოისახა უკუქცეული მეავტომატენი და ტანკებზე მოზეიმე ცეცხლი.

— ძალიან არ დავსჭექეთ, ამხანაგო პოლკოვნიკო, მაშ — დაიწყო ბატარეის უფროსმა, — აი, აქედან, ტულიდან უნდა დაარტყას მტერმა მოსკოვს. მოსკოვთან კი მთელი საბჭოთა ხალხის, მათ შორის, თავისთავად ცხადია, წყდება ქართველი ხალხის ბედი. ხედავთ, ქართველი ხალხის სახელით გასროლილმა ბათქებმა როგორ თავგზა აუბნია გერმანელებს. ბედი კი ჰქონიათ, ქართველებს!

— ქართველი ხალხისათვის ცეცხლი მეთქი და ის იყო ტანკების კოლონას ზუსტად დავაყარე. აი ეგ მესმის, არა, ამხანაგო პოლკოვნიკო. აწი საცაა მოსალამოვდება. გერმანელები. როგორც წესი ძილს მიეცემიან, დავისვენებთ.

— არა, არ დავისვენებთ! — უთხრა კონსტანტინემ — პირიქით; დაზვერვამ ცნობები მოიტანა, მტერს შესცეებია, თხრილში ჩამძვრალა, გარდა ამისა დიდძალ ტანკებისათვის მოუყრია თავი და თუ ეს სამზადისი არ ჩავშალეთ, ხომ იცი, რაც მოგვივა. ახლა ყოჩაღად იყავ! — ხელი მაგრად ჩამოართვა თანამებრძოლს და შტაბისაკენ გასწია.

იმ ღამით მაშხალებზე უფრო მზვერავ კოვალჩუკის გმირობამ გაანათა წყვდიადი და იქითა მხარეს ისე დაიქუხილა, რომ მძინარე გერმანელებს თავზარი დაეცა. მზვერავი კოვალჩუკი — ეს მშვიდი, უწყინარი ადამიანი შეღამებისას შეიარაღდა და თავის მიწას მიანდო თავისი სიცოცხლე. იგი გაეკრა მშობლიურ მიწას და ხოხვით გასწია გერმანელთა ზურგისაკენ, თოვლზე მიჩოჩავდა, ყინულზე მისრიალებდა. ყინვისაგან აბრჭყვიალებულ მიდამოს ნისლი ბურავდა, მის ყოველ გასოსიალებაზე ყინვა ჭრაჭუნებდა.

კოვალჩუკს სიცხისაგან სუნთქვა ეკვროდა, სიმწრის ოფლი შუბლზე აყინდებოდა. ბოლოს შეისვენა. თოვლზე პირაღმა დაწვა, თავი ქურქში ჩამალა და თვალები ბნელ ცას მიაპყრო.

ის უკვე მტრის ზურგში იყო, მაგრამ ჯერ კიდევ დიდი გზა ჰქონდა მიზნამდე. მთელი სხეული უთრთოდა, უბჟუოდა, ხოლო მაგარი გული ფიქრების მორევში ისე სცემდა, რომ სუნთქვა ეკვროდა ყმაწვილ კაცს.

გერმანელი მეთვალყურე დროდადრო შეუსტვენდა ღამეს, მაგრამ ეს იყო შორს, ფრონტის ხაზის სიღრმეში და მისი ხმა იქვე იკარგებოდა.

— ჰა, ადამიანი?!

შეკრთა კოვალჩუკი და თოვლში უფრო ღრმად ჩაიწია. ფეხის ხმა ისე მოახლოვდა, რომ კოვალჩუკმა გაიგო გერმანელ პატრულების ფეხებქვეშ თოვლის შრიალიც.

— თავზე წამამადგებიან. დავიღუპე.

უცებ თვითმფრინავმა დაიზუზუნა, ხოლო გერმანელთა მეორე ჯგუფმა კოვალჩუკს სულ ახლოს ჩაუარა.

მან ცოტა არაყი შესვა, მაგრამ გულმა არ მიიღო. ისევ აბრაზურთნა.

— რა მემართება!? — გაიკვირვა კოვალჩუკმა, ფეხი-ფეხზე გადასდო და ფიქრს მიეცა. მაგრამ არც ფიქრისათვის ეცალა, დრო მიდიოდა, ძვირფასი დრო, ჯერ კიდევ დიდი გზა ჰქონდა გასაცოცი. იგი გაჰყვა პატრულების ნაკვალევს და ჯარისკაცთა განლაგების იქით შავად აზიდული სახლი შენიშნა. ეს იყო გერმანელთა საომარი მასალების საწყობი. კოვალჩუკმა ამ უზარმაზარ სახლს სამივე მხრიდან შემოუარა (მეოთხე მხარეს გუშაგები იდგნენ) და უკან გამოქანდა.

იგი, რაც უფრო შორდებოდა სახლს, მით უფრო აღელვებას ვერ იკავებდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ აფეთქებამ ქვეყანა რომ შეაზანზარა, ცეცხლის სვეტები ცას რომ მიებჯინა, თოფწამლის კვამლი ფრონტს რომ მოეფინა, აი, მაშინ გავანადგურეო, აღმოხდა კოვალჩუკს და დამშვიდებული თავის ნაწილისაკენ წამოვიდა.

იგი უვნებლად დაუბრუნდა მშობლიურ ტულას.

ცეცხლი კიდევ გიზგიზებდა. აბრიალებულ სივრცეში ადამიანთა სილუეტები ურთიერთს ეჯახებოდნენ. — ესენი იყვნენ თავზარდაცემული გერმანელი ჯარისკაცები.

*
* *

ყოველ ცისმარე დღე შეღებილი სისხლით მიდიოდა შორს, ინთქებოდა ზღვების გადაღმა და იქიდან წამოსულ ღამეს მზის დარად ავარვარებდა ფრონტი...

ქუხილით გადიოდნენ ბრძოლის მრისხანე დღეები.

ტულა ცეცხლითა და კვამლით შერუჯულ ჰორიზონტზე თავის გამარჯვების ალამს უფრო ამაყად აფრიალებდა.

შუადღისას საარტილერიო დუელი შეწყდა.

კონსტანტინეს, სანამ დაზვერვის ცნობები მოუვიდოდა, შეეძლო დაესვენა. სარდლობიდანაც არაფერი ისმოდა. მან მიუხედავად ყინვისა, საყელო გაიღება, სახელოები აიკაპიწა და ონკანიდან წყალი მოუშვა, სახეზე შეისხურა და სიცივის ორთქლით დაიბურა.

ტყვე გერმანელები ფანჯრიდან იჭვრიტებოდნენ, უცებ სახე შეეჭმუხნათ, მოძალებული სიცივე იგრძნეს.

— ლითონის კაცი ხომ არ არის სიცივეს, რომ ვერ გრძნობს — წაიბუტბუტა ერთმა.

— მათ არ სცივათ ფრიც, აბა შენ თვითონ წარმოიდგინე, თავიანთ ქვეყანაში როგორ შესცივდებათ.

— შეხედეთ, შეხედეთ ბიჭებო, მთელი პოლკი გამოიფინა გარედ... ღმერთო ჩემო, ზოგიერთები წელზევით შიშველები არიან.

თვალების ჭუტვით მიმართა ამხანაგებს ფელდფებლის ნიშნიანმა ჯარისკაცმა და თითი გაიშვირა ეზოსაკენ, სადაც ომგადახდილი არტილერისტები კვამლით შებურვილ სახეს იბანდნენ.

— აი, ეგ მესმის, ბიჭობაც ამას ჰქვია, — არ ისვენებდა ფრიცი, — ეს სურათი ახლა, რომ თვალწინ მიდგას, ბავარიაში რომ ეჩვენებინა ვინმეს ყალბი მეგონებოდა, მაგრამ ნაღდია.

— ამას ერთიმეორის წაბაძვით სჩადიან, — დაიწყო ბოხი ხმით მკვდარ თავისქალიანმა ეფრეიტორმა, — ხომ ხედავთ, პირველად პოლკოვნიკი გამოვიდა, მას, შემდეგ ჯარისკაცებმაც მიჰბაძეს, მაშ რა გეგონათ, დისციპლინაა, ჩვენ გვაჩვენებენ ასე...

— შენ კიდევ არ დაანებე ბაქიობას თავი? ჩვენ ახლა რა ძალას წარმოვადგენთ, რომ აგიტაცია გაგვიწიონ. მათ ხელში არა ვართ, საითკენაც დაგვისტვენენ, იქითკენ უნდა წავჩანჩალდეთ. წარმოგიდგენია! პირველად პოლკოვნიკმა შეუშვირა ონკანს თავი და განა შენ ბატონო ეფრეიტორო, ოდესმე იმის ვაჟკაცი იყავი, რომ ასეთ ყინვაში ჩვენს პოლკოვნიკს კი არა, თვითონ ფიურერს რომ შეეშვირა თავი წყლისათვის, მიჰბაძავდი??

— არა, არა.

— ჰანს იმისი ვაჟკაცობა ვინ მისცა.

— ეს მხოლოდ ფიურერს ისტერიკაში მიჰბაძავდა.

გაისმა ჯარისკაცებში.

ეფრეიტორმა სიბრაზისაგან კბილები ააჯიალა და გაინაბა.

— ისე კი ფიურერს, — განაგრძო ჯარისკაცმა — ძალიან სჭირდება ცივი წყალი, დიდი სიცხე ადგია, ცოტა დაუცხრება.

ამ სიტყვებზე ტყვეებმა გადიხარხარეს.

•
• •

კონსტანტინე ლესელიძე დანაყრდა. აგუგუნებულ ცეცხლზე მკერდი მოითბო და ფიქრებით მშობლიურ თბილისში განჩდა. იგი მიუჯდა მაგიდას და კალმით ოთხი ასო გამოიყვანა „ნინო“.

„..ორ ოქტომბრიდან დაწყებული დღემდე გაშმაგებული ბრძოლაა, მოცლა არა მაქვს. ფაშისტები ცდილობდნენ შვიდ ნოემბერს მოსკოვში ყოფილიყვნენ, მაგრამ ეს ვერ მიირთვეს. დიდი ზიანი მივაყენეთ, შევაჩერეთ მათი შეტევები. ტულასთან ბრძოლაში მტერმა სასტიკი დამარცხება განიცადა. ბრძოლებს გრძელდება. მომავალი ჩვენი არის.

ძვირფასო ნინო!.. მე კარგად ვარ, მკლავი და თვალი კარგად მიჭრის. მტერს არ გავახარებთ.

იყავი კარგად, აბა შენ იცი, როგორ მოუვლი ბავშვებს — ოთარსა და იზოლდას. შენი კოტე“.

საღამოს იმ ასეულმა, რომელშიც უნტერ-ოფიცრად ალონეც ბრეიკშპრეხერი იყო, ბრძანება მიიღო ღამით ორ საათზე შეტევაზე გადასვლის შესახებ. ამ ბრძანებამ ასეულს თავზარი დასცა.

— ღამით ომი, რომელ კანონში სწერია! — შესჩივლეს ალონეცს მისმა ამხანაგებმა.

ამ ამბავმა ალონეცი თვითონაც ააფორიაქა, მაგრამ ოფიცერი იყო და უბრალო ჯარისკაცებში იხტიბარს როგორ გაიტეხდა.

— ომმა კანონი არ იცის, როგორც მიუდგები, ისე უნდა მოსჭრა. — მიუგო ალონეცმა ჯარისკაცებს და ნავთში ამოვლებული ორი სქელი წიგნი ღუმელს

შეუკეთა. ცეცხლი უცებ აბრიალდა, ალონეცმა ღუმელის კარი გაღმოღო და გულმყერდი მიუფიცხა, გათოშილი ხელები გაითბო, შემდეგ ჯარისკაცს სურათის ჩარჩო დაამტვრევინა, მაგრამ სანამ ამას შეუკეთებდა, საკვამლე მილში მოზუზუნე ქარი ღუმელის ღია კარში გამოვარდა და წიგნების ფერფლიც თან გამოიტანა.

შავი ფერფლი პეპლებივით მოედო აკვამლულ ოთახს. გუნდ-გუნდათ დაფრინავდნენ ეს პეპლები და ჯარისკაცებს ესეოდნენ. ერთი მათგანი ალონეცის ცხვირზე დაფარფატდა და უნტერაფიცერმა ხელი რომ ჩამოისვა პოსლიკა ცხვირი გაუშავდა. ეს, როგორც უფროსმა, იუკადრისა და ბრძანა, ოთახის კარები გაეღოთ, მაგრამ იქ მისი უფროსი აღმოჩნდა — ლეიტენანტი ფრიცი, რომელმაც დაიღრიალა.

— არ გაბედოთ, სიცივეს კიდევ ეს მტვერი მირჩევნია.

— დიაღ, ლეიტენანტო, მურს აი ასე გაიწმენდს ადამიანი — და ალონეცმა ხელი მოისვა ცხვირზე—ხოლო ამ სიცივისაგან ვერაფერი ვერ დაგვიფარავს.

— სიცივე ამაღამ სთქვი! — დაიბურტყუნა ერთმა ჯარისკაცმა და გაბერილი სახე ალონეცისაკენ მიაბრუნა — ვერაფერი გამიგია. მანამ დღე ვიბრძოდით, ის არ კმაროდა? ახლა ღამითაც... მოდი და გაარჩიე თეთრისაგან შავი.

ამ სიტყვებზე ალონეცი აენთო და დაიღრიალა: — აქ, ჰაერს ნუ წამლავ, გაათრიეთ აქედან ეს ვირი და ჩააგდეთ.

როცა ოთახის კარები გაიღო, ქარმა მძლავრად შემოიშლიგინა და შავი პეპლები ისევ ააფორიაქა. გარეთ, თოვლის ფიფქთა შორისაც დაბორიალებდნენ ეს განადგურების პეპელები.

იმ ღამით გერმანელებმა სამჯერ მიიტანეს იერიში, მაგრამ ქალაქის დამცველებმა არტილერიის, ნაღმსატყორცნის და ტყვიამფრქვევის ძლიერი ცეცხლით გაუვალი ფარდა შეჰქმნეს მტრისათვის.

მტერი რაკი ღამის ბრძოლებში მოიქანცა, დილით წითელარმიელები კონტრიერიშზე გადავიდნენ და სოფელ ს-ში მრავალ გვამთა შორის ალონეც ბრეიკშპრეხერის გვამიც გაყინულიყო, რომლის გასისხლიანებულ საბუთთა შორის აღმოჩნდა საცოლესადმი გაუგზავნელი წერილი:

...„მე ნუგეში მესაჭიროება. ჯერ მკვდარი არა ვარ, მაგრამ ვერც ცოცხლებში ჩავთვლი ჩემს თავს. რუსეთთან ომი ძალლონის დიდ დაძაბვას მოითხოვს. ტულას ვერაფერი მოუხერხეთ...“

წითელარმიელთა კონტრშეტევა ელვის სისწრაფით განვითარდა. არტილერიის ცეცხლქვეშ წითელვარსკვლავიანი ტანკები მიიწევდნენ წინ და წინ, ხოლო მოიერიშე თვითმფრინავები მძლავრი პიკირებით აქრობდნენ მტრის საცეცხლე წერტებს და ანადგურებდნენ ტანკებს.

საღამოთი იასნაია პოლიანაში ტოლსტოის სახლიდან გერმანელთა მიერ გამოყრილ წიგნებს წითელარმიელები ასუფთავებდნენ და თაროებზე ალაგებდნენ.

ხოლო გერმანელთა აღალის უკან მიმავალი თავადი დემიდოვი ილანძღებოდა.

— არ შემცივდება ჰა... არ შემცივდება? თქვენისთანა დამცველები თუ მეყოლა, რა შემაციებს! კნიაზო, თქვენი პალტო მე დამითმეთ, თქვენ თქვენს ქვეყანაში მოგიყვანეთ, აწი რა შეგაციებთ. დამცინით! თქვე სალახანებო, თქვენა.

სიბრაზისაგან და სიცივისაგან აძიგძიგებული დემიდოვი ბურტყუნით მიჩანჩალებდა ოთხთვალას უკან. იგი, როცა მისი დრო იყო ტულის გუბერნიის უმდიდრესი თავადი იყო. ახლაც ბერლინიდან ჩამოიყვანეს მაგრამ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

V

ნინო ლესელიძე დღეს განსაკუთრებით კარგ გუნებაზეა. ქმრისაგან სამი წერილი ერთად მიიღო და ოთარისა და იზოლდას სკოლიდან დაბრუნებას მოუთმენლად მოელოდა.

კონსტანტინე ლესელიძე, რომელსაც საერთოდ ბევრი ლაპარაკი და მით უმეტეს ვრცლად წერა არ უყვარდა, თავისი ცეცხლოვანი ბრძოლების შესახებ ძუნწად სწერდა:

„6 დეკემბერი... აქ დიდი სიცივეებია და დედა ეტირათ გერმანელებს, ყოველ დღე იყინებიან, მალე მუსრს გავავლებთ...“

„16 დეკემბერი... ტულასთან მტერი დავამარცხეთ და ახლა უწესრიგოთ იხევს უკან. ძლიერ დიდი ზიანი მივაყენეთ მტერს“...

„19 დეკემბერი... ოთარი, შენი შეკვეთა — მაგრად დასცხე გერმანელებსო, უკვე შევასრულე. სულ შავი დღე დავაყენეთ გერმანელებს... მალე უტირებთ დედას... შენ კარგად ისწავლე და აითვისე სამხედრო საქმე. უნდა იყო მოწინავე მოწაფე. სირცხვილი არ მაჭამო“.

VI

ფრონტის პირველი ხაზი უკვე რამდენიმე კილომეტრით გადაიწია.

ცხენოსნები გერმანელებს უმოწყალოდ მიერეკებიან და მათი გადანაჯირგავლები მიდამო ნავულკანებ ადგილსა ჰგავს.

სოფლებში გაშავებული ღუმელები-ღა დგანან თავისი მაღალი მილებითა. ნასახლარებზე აქა-იქ ჯერ კიდევ ამოდის ობოლი კვამლი და გზად მიმავალ წითელარმიელებს ულონოდ ეფინება და მოუწოდებს: შური იძიეო.

ტყეში, ტოლსტოის საფლავის გვერდით ხის მდუმარე ჯვრებს ფოლადის ქუდები დაუხურავთ და ქარის ყოველ წამოქროლებაზე გაბზარულ ზარის დარად ჟღრიალებენ.

დიდებულ საფლავს თავისი მშობლიური თოვლი დაბრჭყვიალებს. გადარჩენილ ხეებს კენწეროები ისე დაუხრიათ, თითქოს ესალმებიანო საყვარელ სავანეს.

რაკი ნასოფლარს მიუახლოვდნენ, ლესელიძე ავტომობილიდან გადმოვიდა და თავის თანამებრძოლებთან ერთად ქვეითად გაჰყვა ტანკების მუხლუხებით დაბეკნილ შარას.

მებრძოლებს ვერ მოესწროთ ხეებიდან ჩამოხრჩობილთა გადმოღება. ერთ დაბალ ხის ტოტებზე ხუთი გვამი ეკიდა, საცოდავებს სული ისე ამოხდენოდათ, რომ თვალების დახუჭვაც კი ვერ მოესწროთ. ღია, გაყინულ თვალებში შურისძიება კიაფებდა.

— შური იძიეთ... შური იძიეთ! — იძახდნენ ჩამოხრჩობილნი.

— შური იძიეთ... შური! — ივედრებოდა ნასახლარის კვამლი.

ერთ დედაკაცს ტყიდან გამოსვლა გაებედნა და ბავშვით ხელში, გულდამწვარი მშრალი თვალებით დაჰყურებდა მის გავერანებულ კარმიდამოს. მან თავისი უმოძრაო თვალები მიაპყრო ლესელიძეს და უსიტყვოდ შეევედრა შური ეძია, შური.

ბავშვმა, დედას რომ მკერდზე მაგრად მიჰკროდა, მშობლიური ლაპარაკი რომ გაიგონა, თავი გვერდზე მიაბრუნა და დაიბუტუნა:

— მა... მა, მა... მა.

ბავშვის ხმამ კონსტანტინე დასუსხა. გული ატკინა, გული — ეს სულმოკლეობაა, ჩაილაპარაკა მან და ფოჩიანი კამფეტებით სავსე ხელი ბავშვისაკენ გაიშვირა. შიმშილისაგან ლონემიხდილმა ჩვილმა რაკი ვერ გადაიხარხარა, უმანკო თვალები ფართოდ გააღო და ორი კბილი გამოაჩინა, გაიღიმა.

არტილერისტებმა დედაშვილი ავტომობილში ჩასვეს, უიმედოს იმედი მიეცა, შიში გაუქრა, გათბა, შიმშილი მოკლა და ფიქრი რომ დაეუფლა, ატირდა, ატირდა მწარეთ.

— დაო ცრემლებს ნუ დაგვანახვებ, ცრემლებს! — სთხოვეს არტილერისტებმა.

ნაშუადღევს არტილერისტები სოფლის ბოლოს, ერთ ხშირ ტყის პირად დაბანაკდნენ და საღამომდე დასდგეს საზენიტო და შორსმსროლელი ქვემეხები, მოაწყეს მრავალი საცეცხლო წერტები და მტრის თვითმფრინავების გზა-კვალის ასაბნევად კარგადაც შენიღბეს ყველაფერი.

ერთი კვირის განუწყვეტელი ბრძოლის შემდეგ ძალზე მოქანცულებმა გატაცებით იმუშავეს და აი ახლა, როცა ცივი საღამო დაეუფლა მიდამოს, მიწურებში აბრიალებულ ცეცხლის პირად სხედან, ზოგ მათგანს უკვე ჩასძინებია და ზოგიც ქვაბურებიდან წვენს მადიანად ხვრიპავს.

კონსტანტინე ლესელიძე ბლინდაჟში ცეცხლის შუქზე ათვალიერებდა საფრონტო და მოსკოვის გაზეთებს. ფიქვის შეშის მუქი წითელი ალი მთელს ბლინდაჟს აელვარებდა, ცხელოდა.

ადიუტანტს საყელო გაეღეღა, ტკბილად ეძინა, მაგრამ ფეხის ხმაზე იგი უცებ წამოხტა და გასწია ხვრელისაკენ.

— ამხანაგო პოლკოვნიკო! — წამოეჭიმა ადიუტანტი ლესელიძეს — პარტიზანები გვესტუმრნენ, შეიძლება?

— რატომ არა, შემოუშვით, —

ლესელიძემ მაგრად ჩამოართვა ხელი ლეგა ტანის მოხუცს, რომელსაც წელზე ხელყუმბარები ნანადირევივით ეკიდა და მხარზედაც გერმანული ავტომატი უბრწყინავდა, ხოლო ხელში ფილთა ეკავა.

— პარტიზანი შ.

— შ!!

გაიკვირვა ლესელიძემ.

— დიახ, პარტიზანი შ. ასე მწერენ გაზეთებში. ისე კი ნიკოლაი სემიონოვიჩ შჩედრეევი გახლავართ, ამ სოფლის მკვიდრი, ახლა თქვენ, რომ გერმანელებს გამოსტაცეთ ბრჭყალებიდან... უი მართლა, ამხანაგო პოლკოვნიკო კარებში ჩემი სამი მებრძოლი და ხუთიოდე ტყვეა, შემოუშვით.

ამ სიტყვებზე მოხუცი ცეცხლს მიუჯდა, ხოლო ადიუტანტი ტყვე გერმანელებს შემოუძღვა ბლინდაჟში. ტყვეები სრულებით არ ჰგავდნენ ჯარისკაცებს. ერთ მათგანს თავზე ქალის პერანგი ჰქონდა შემოხვეული და იღლიაში წითელი ბიბილოიანი მამალი უფრთხიალებდა, ხოლო დანარჩენებს ქალის პალტოები და რაღაც ძონძები ეცვათ, ხელთ ქათმები, ბატები და იხვები ეკავათ.

— ამ ქათმებსა და ბატებს რას ერჩით, ესენი ხომ ჩვენებია — დაილაპარაკა მოხუცმა პარტიზანმა და ჩამოართვა ტყვეებს ისინი.

სიცივისაგან აკანკალებული ფრინველები ერთ კუთხეში მიყუჩდნენ. ბატმა ერთი წაისისინა და თავი ფრთის ქვეშ შეჰყო, ხოლო მამალი იხტიბარს არ იტეხდა, რაღაცას კაკანებდა, ვიღაცას ედავებოდა, ალბათ ეფრეიტორ ლორენს ლეზუნს, რომელიც თავჩაქინდრული იჯდა ლესელიძის წინ და [illegible] ებზე პასუხს არ იძლეოდა, ხოლო გულში კი კიცხავდა თავის გაჩენას.

— რატომ დუმხართ, დუმილით კარგს ნურაფერს მოელით, სთქვით, სთქვით რა მდგომარეობაა თქვენს დივიზიაში?

— ჩვენმა დივიზიამ მარტო ამ უკანასკნელი ორი ბრძოლის დროს სამი ათასზე მეტი კაცი დაჰკარგა. შევსება ორჯერ მოგვივიდა, მიუხედავად ამისა, ასეულებში შემადგენლობის სულ ბევრი 50 პროცენტია. ჩვენი ჯარების უკან დახევა გამოწვეულია მატერიალური ნაწილის და ცოცხალი ძალის უდიდესი ზარალით, გამანადგურებელი დარტყმებით, რომლებიც საბჭოთა არმიამ ჩვენს ჯარებს აგემა.

— კი მაგრამ, ამის შემდეგ როგორია ჯარისკაცების განწყობილება, კიდევ მიგიწევთ გული ომისაკენ, კიდევ გჯერათ გამარჯვებისა?

ჰკითხა პარტიზანმა თავისი დამტვრეული გერმანულით, რომლის სიტყვებს მან ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის წლებში მოუყარა თავი და აი სად გამოადგა.

— ჯარისკაცების განწყობილება დღითი-დღე უარესდება. ისინი ომმა დაღალა. სულ უფრო და უფრო ცოტა რჩებიან ისეთი გერმანელები, რომელთაც გერმანიის გამარჯვება სჯერათ. — შემდეგ, თითქოს, რაღაც გაახსენდაო ლეზუნმა თავი მაღლა ასწია, ამხანაგებს გადახედა და თვალების ჭუტვით განაგრძო: ჩვენი დივიზიის უკანდახევა ხუთ დეკემბერს დაიწყო. რუსების შემოტევა ისეთი უეცარი იყო, რომ ჩვენ მივატოვეთ ქვემეხები, ყუმბარები და სხვა საჭურველი.

ამასთან ერთად ეფრეიტორ ლორენს ლეზუნმა მახლობელ სოფელში გერმანელთა საარტილერიო ბუდეებისა და საცეცხლო წერტილების შესახებ მრავალი საინტერესო ცნობა და დივიზიის მეთაურის უკანასკნელი ბრძანებებიც გადასცა ლესელიძეს.

ერთმა მსუქანმა ჯარისკაცმა, რომელმაც წელან ორი ბატი ერთად შემოიყვანა, დაიწყო მედიდურად, ბოხი ხმით.

— ჯარისკაცებს აღარ სურთ ომი. მრავალი ჩვენთაგანი ფიქრობს ტყვეთ დანებდეს, მაგრამ გესტაპოს ჯაშუშებისა და ოფიცრების ეშინია. ჩვენი ასეულიდან რამდენიმე ჯარისკაცი გაიპარა, ჯარისკაცმა გაბრიელმა ხელი გაიხვრიტა. როცა ოფიცრები ჯარისკაცებს დასაზვერავად ჰგზავნიან, დავა ატყდება ხოლმე, ამბობენ, არაფერი არ გვიჭამიაო, გვცივაო. ჯარისკაცებში ხშირად გაიგონებთ ასეთ ლაპარაკს: „ამდენი გერმანელის დახოცვას ჰიტლერი ვერაფრით ვერ გაამართლებს". ბრძოლის სულისკვეთება დიდი ხანია გაჰქრა. თუ მოსალოდნელია მუშაობა ან შეტევა, გაისმის ბუზღუნი, უკმაყოფილება. ფრონტის სარდლის გენერალ ფონ ბოკის ოქტომბრის მიმართვა, რომელშიც მან განაცხადა — რუსების არტილერია და თვითმფრინავები მოსპობილიაო, უდიდესი სიცრუე იყო როგორც კი ჯარისკაცისათვის ოდესმე თავზე მოუხვევიათ.

ოფიცერთა საუკეთესო შემადგენლობა მწყობრიდან გავიდა. ახლა ასეულში არის მხოლოდ ერთი ოფიცერი-ლეიტენანტი ბუვიკი. შევსება ცუდად არის

გაწრთვნილი; სროლა შეუძლია,—მაგრამ შაშხანის დაშლა არ იცის. ოფიცერი ბუვიკი ასე გვეუბნება:

„ვიცი, რომ გიმძიმთ, მაგრამ არც ჩემთვისაა ადვილი, მებრძანებენ, მე კი თქვენ გიბრძანებთ, რაკი საჭიროა მაშასადამე, საჭიროა. თავი გაიბეთ ბუზღუნს“.

ადამიანები გახდნენ, დატილიანდნენ, მათ სტანჯავს მუწუკი და სისხლიანი ფაღარათი. თბილი ტანისამოსიდან მხოლოდ ქვეჩაფხუტები და ხელთათმანები მივიღეთ. შინიდან არასასიამოვნო ამბებს გვწერენ, გამარჯვება აღარავის სჯერა. ჩვენ რწმენა დავკარგეთ“.

ჯარისკაცმა დაამთავრა ლაპარაკი, ერთი ღრმად ამოიოხრა და წყალს დაეწაფა.

შემდეგ მტრის თვითმფრინავების ზუზუნი გაისმა. ტყვეები სხვა თავშესაფარში გაიყვანეს.

კონსტანტინე ლესელიძემ ცეცხლი გააჩაღა და ნიკოლაი შჩერდევი ერთხელ კიდევ შეათვალიერა, გაუღიმა.

— რამდენი წლისა იქნები მოხუცო?

— თეთრ წვერს რა ჭკუა აქვს! რაში მეტყობა მოხუცობა!.. ისე კი სამოცს ვავცილდი, მაგრამ ჰე, ახლა ვიღას ახსოვს თავისი თავის პატივი, ამ სამოც წელიწადს რაც ვიჩალიჩე და რაც ჩემს წინაპარს დარჩათ, ერთ წუთს გადამიბუგა მტერმა, მოდი და ამის შემდეგ ნუ მოჰკლავ ან ნუ შეაკვდები მტერს. პაპაჩემი ნაპოლეონს შეაკვდა (ქუდი მოიხადა მოხუცმა). მამაჩემისაგან გამიგონია კარგი ვაჟკაცი ყოფილა თურმე პაპა ივანე. უი, მართლა, შენ ქართველი კაცი ხარ და გეცოდინება არტილერიის გენერალი ლევან მიხეილის-ძე **იაშვილი.**

— როგორ არა, ვიცი!

— ჰო და ისიც გეცოდინება, რომ გენერალი იაშვილი პოლოცკთან ვიტგენშტაინის კორპუსის მარჯვენა ფრთას მეთაურობდა და გამარჯვების სულის ჩამდგმელი იყო. პაპაჩემი მის პოლკში იყო უფროს მემიზნედ და ლევან მიხეილიჩის ბრძანებაზე — ცეცხლს ქვემეხიდან აყრიდა ფრანგებს. ბერეზინაზე მარჯვენა ფეხი დაჰკარგა და სამი ფეხით ძლივს მოვიდა შინ, მაგრამ ეს არაფრად ჩაუგდია. გამარჯვებული იყო და გამარჯვების სიხარულმა ორმოცდახუთი წელიწადი კიდევ აცოცხლა... ამხანაგო პოლკოვნიკო თავი ხომ არ მოგაბეზრე ჩემი ზღაპრით?

— როგორ გეკადრებათ, ბრძანეთ, ძალიან საინტერესოა.

ეს ცხონებული პაპაჩემისეული თოფია, გავწმინდე — გავაყირიმე. ამ სიტყვებზე მოხუცი დარდიანად დააცქერდა თოფს და შემდეგ იგი კონსტანტინეს მიაწოდა.

— ამით, ძია ნიკოლაი სემიონოვიჩ გერმანელებს ვერაფერს დააკლებ. — კონსტანტინემ ღიმილით შეათვალიერა თოფი და ჩახმახი რომ მოსინჯა, დაილაპარაკა: — დატენილი ყოფილა.

— დიაღ, დატენილია... ამის გასროლის დროც დადგება. როცა გერმანელებს უკანვე წავაძუნძულებთ მაშინ, აი სწორეთ მაშინ ჩემს ნასახლარზე დავცლი, რომ პაპაჩემმა საფლავში გაიხაროს, თორემ ამის ხმა, ფი, ამის ხმა... — მოხუცმა ლესელიძეს შეანათა ჩაწითლებული თვალები და გერმანულ ავტომატზე მიუთითა.

ამ დროს ქვაბურაშიც წყალი ათუხთუხდა. ჩაი მზად იყო, მაგრამ კონსტანტინემ ადიუტანტს თვალებით ანიშნა რა დროს ჩაიაო, და თავისი ხელით გამოიტანა პატარა კასრი, თუშური ყველი, გურული სულგუნი, ჩურჩხელები, ჭაჭის არაყი და ვაზნების ყუთზე სუფრა გაიშალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ესენი საიდან! — გაიკვირვა მოხუცმა.

— საჩუქრებია ნიკოლაი სემიონოვიჩ. ეს შენი გამარჯვებისა იყოს. კონსტანტინემ რქაწითელით ჭიქა შეავსო და მიაწოდა მოხუცს.

მეგობრულად შეექცეოდნენ ვახშამს.

როცა ნაშუალამემ მოატანა, მამალმა თავისი მამლობა გაიხსენა და ყიყლიყოო შესძახა განთიადს. მებრძოლებმა გადიხარხარეს, შჩედრევი წამოდგა, თავისი ავტომატი ისევ ჩამოიკიდა, ფილთა ხელში აიღო და ბიჭებს მიმართა:

— წავიდეთ!

VII

შუაგულ ტყეში, სადაც ვერც ყინვა და ვერც ქარი ვერ ატანს, ასწლოვან ხის ძირში სხედან ბეწვის შუბიანი, დაბამბულ ხალათიანი ადამიანები. მათ შორის ბევრს სცემს მკერდამდე წვერი, ბევრი სრულიად ახალგაზრდაა, პირტიტველი... ზოგი მათგანი თოფზე დაყრდნობილი დგას, ზოგი მიწაზე წამოწოლილა და ხეზე ავტომატი მიუყუდებია. მათ შორის ნიკოლაი სემიონოვიჩ შჩედრევი ბებერ მუხასავით დგას და ცრემლებით გაბრწყინვებულ თვალებით მისჩერებია ბავშვიან ქალს, რომელიც ცრემლებითვე დამბალ სიტყვებით გულებს უჩქროლებს პარტიზანებს.

ბავშვი ახლაც კმაყოფილებით წუწნის ძია კონსტანტინეს ნაჩუქარ კამფეტს და ულიმის იქვე დაყუჩულ ფრინველებში თავმომწონედ ჩამდგარ მამალს.

— ჩვენს სოფელში გერმანელებმა კოლმეურნეთა მასობრივი რბევა და ქონების დატაცება მოაწყეს. ფაშისტმა ჯარისკაცმა, რომლის გვარი მე არ ვიცი, ავტომატის ოცდაერთი სროლით მოჰკლა სრულიად უდანაშაულო თორმეტი წლის ბიჭი ვალოდია... ჩემი მეზობელი ირინა მასლოვა უდანაშაულოდ ჩამოაღრჩეს და ობლად დასტოვეს მისი ოთხი მცირეწლოვანი შვილი, რომელთაგან ყველაზე უმცროსი ათი თვისაა და ყველაზე უფროსი თერთმეტი წლისაა... თვითონ მე ქმრის არაფერი ვიცი. იგი ტყეში გაიჭრა... შენი ქმარი პარტიზანიაო, წამართვეს რაც მებადა ყველაფერი, დამაპატიმრეს და დამიწვეს სახლი.

— არა უშავს დაო — მიმართა ერთმა ახალგაზრდა პარტიზანმა — მტრის სისხლით გაპოხილ მიწიდან უფრო მაგარ აგურს გამოვწვავთ. ისევ დაგასახლებთ, რაკი გერმანელები გავრეკეთ, ყველაფერი მოეწყობა.

პარტიზანთა რაზმი ორ ნაწილად გაიყო. ერთი ჯგუფი განთავისუფლებული სოფლის აღსადგენად წამოვიდა, ხოლო მეორე ნიკოლაი შჩედრევის წინამძღოლობით შუაგულ ტყეს გაჰყვა გერმანელთა ზურგისაკენ.

დეკემბრის უღონო მზეს ნასოფლარი გაებრწყინებინა. მიდამოს ნისლი ეფინა კიდითკიდემდე, ერთ ნახევრად დანგრეული სახლის თავზე წითელი დროშა ფრიალებდა. შარა-გზებიდან და ბილიკებიდან გახიზნული მცხოვრებლები ბრუნდებოდნენ. სოფელს უბრუნდებოდა სიცოცხლე...

სახურავზე დროშა რომ ფრიალებდა, იმ სახლის ჭიშკართან პარტიზანებმა ცხენიდან ჩამოსვეს ბავშვიანი ქალი.

— ეს ჩვენი სოფლის საბჭოა, აქ დაიცადე — უთხრა ახალგაზრდა პარტიზანმა და წინ ერთმანეთზე გადაბმული ქათმები, ბატები [illegible] ქალი ვერც-კი სცნობდა თავის სოფელს. სადღა იყო სოფელი? მალე თითოოროლა მეზობელიც გამოჩნდა.

— ანუსია, შვილო ანიუშა, — შესძახა ბებერმა მამაკაცმა და გამოიქცა ბავშვიან ქალისაკენ. პაპას დანახვაზე ბავშვმა დაიღრიალა: მამა...

მაგრამ სად იყო მამა! იგი სახლის უკან ხეზე ეკიდა.

იმ ღამეს კონსტანტინე ლესელიძეს ძილი გაუქრა. თუმცა იწვა, მაგრამ გული მოგონებებით უძგერდა, გონებას ფიქრი დაუფლებოდა და თვალწინ თეთრად გაბადრული ნიკოლაი შჩედრევი ედგა. და როგორც მამას უალერსებდა ამ გულალალ მოხუცს.

— მამა ნიკოლოზი სწორედ ასეთივე ფილთა თოფით ებრძოდა მეფე ნიკოლოზს. ეს იყო 1905 წელს, როცა რევოლუციის გრიგალმა გადაუარა ქვეყანას... მაგრამ მამა დააპატიმრეს, გააციმბირეს. ხუთი წლის შემდეგ იგი გამოიპარა გადასახლებიდან და ოზურგეთის ტყეებში ფირალივით იმალებოდა.

პატარა კონსტანტინე დედასთან ერთად ჭადსა და ოდესის ღვინოს ეზიდებოდა ტყეში და საყვარელ მამას მკერდზე ეკვროდა.

ჰო, ის დღეები, ტანჯვისა და სიხარულის ოქროს დღეები.

შფოთიანი ცხრაას ოცი წელი. ყვითელი შემოდგომის საღამო. იმ საღამოს შიში და სიხარული ახლაც კონსტანტინე ლესელიძის გულის რომელიღაც კუნჭულიდან დაიძრა და მოგონებათა ოქროს ბადესავით თვალებს გადაეფარა. იმ საღამოს შევიდა იგი ახალგაზრდათა არალეგალურ კომუნისტურ ორგანიზაციაში და იატაკქვეშეთიდან შეუდგა მენშევიკების წინააღმდეგ ბრძოლას.

ტკბილ მოგონებათა ძაფები უეცრად გაწყვიტა ბუკის მჭექარე ხმამ.

დილა იყო.

არტილერისტთა ბანაკმა გამოიღვიძა.

ქვემეხების თვლების ნაკვლევი ქარს თოვლით ამოევსო.

კონსტანტინე ლესელიძე გაჰყვა ბლინდაჟებს შტაბისაკენ.

დილის ტკბილხმოვანი სიმღერები, უფრო კი გულიანი ღიღინი მოისმოდა ბლინდაჟებიდან. სხვადასხვა ენათა, სხვადასხვა ბგერები ერთ მთლიან ჟრუანტელის მომგვრელ ნაკადად მოედინებოდა. ამ აღმაფრენმა ხმებმა შეაჩერეს კონსტანტინე ლესელიძე. ბოხი, რუსული „დუბინუშკა“, წკრიალა „კატიუშა“, ჩქარი უკრაინული „საცეკვავო“, ქართული, ოდნავ სევდიანი „სულიკო“, ტკბილად მობუბუნე ადერბაიჯანული „ქოროღლი“, მოჰქროდნენ და თვით ცივ ჰაერსაც კი ათბობდა და ატკბობდა მათი მხურვალება.

მოჯადოვებულივით იდგა კონსტანტინე და სიმღერები მას დიდ ძალად ეღვრებოდა გულში.

— ძალიან კი სჭექეს ჩვენმა ბიჭებმა! — მიმართა მას თავის თანამებრძოლმა ანანია ნიკოლაიშვილმა.

— ვენაცვალე მათ! — მოწყვეტით უპასუხა პოლკოვნიკმა და გზა განაგრძო.

— შტაბში კორესპონდენტი გელოდებათ.

— კორესპონდენტი აქ მოსულიყო, ამაზე უკეთესი რა უნდა უამბო მას.

შტაბში კონსტანტინე ლესელიძემ სათვალებიან კორესპონდენტს ქალალდების მოზრდილი შეკვრა გადასცა. ეს იყო ტყვეთა ჩვენებები, მოკლულ ჯარისკაცთა და ოფიცერთა დღიურები, კერძო წერილები...

ოფლით გაპოხილ წიგნაკში ქვეითი პოლკის ეფრეიტორ ვილჰელმ ბერმანს სიმწრით ჩაუწერია:

„28 ნ ო ე მ ბ ე რ ი. ჩვენ სოფელს მივალწიეთ. ბრძოლაა თითოეული სახლისათვის. რუსები შეუპოვრობას იჩენენ და უკან არ იხევენ. ჩვენს შორის არიან მოკლულნი და დაჭრილნი. ვერასგზით ვერ მოვახერხეთ შემდგომი წინსვლა, რუსების არტილერიამ უეცრად ცეცხლი დაგვიშინა. საშინელი რამ არის!

29 ნ ო ე მ ბ ე რ ი. ისევე ბრძოლა. რუსები ძლიერ გვიშენენ. მათი ტანკები სულ უფრო და უფრო თავხედნი ხდებიან. კვლავ ბევრია მოკლული და დაჭრილი.

5 დ ე კ ე მ ბ ე რ ი. სულ მუდამ ვიყინებით, შეტევაზე მივდივართ. რუსების არტილერისტები ცეცხლს გვიშენენ. საწყალი უნტერ-ოფიცერი და ფელდფებელი შნაიდერი ჩემს გვერდით მოჰკლეს. ძლივს მივალწიე საფარს. სროლა არ შემიძლია, ხელები გამეყინა... სამჯერ გადავედით შეტევაზე, მაგრამ სამჯერვე უშედეგოდ, როგორც იქნა შესაძლებელი შეიქნა სახლში შევიდე. ვიხდი ჩექმებს. ორივე ფეხის თითები დამზრალი მაქვს.

7. დ ე კ ე მ ბ ე რ ი. ჩვენ საზიდრებზე დაგვსვეს. არც დგომა შემიძლია და არც სიარული. საშინელ ტკივილებს ვგრძნობ. ჩვენს ასეულში 26 კაცი დამზრალია.

10 დ ე კ ე მ ბ ე რ ი. 500-დე დამზრალი გაემგზავრა ზურგში 25 კილომეტრზე. ჩვენი დივიზია იძულებულია უკან დაიხიოს. მთელი ძალა გამოგველია. ახლა მორჩა. მოგვერეკებიან უკან ისევე, როგორც წინათ ნაპოლეონს მოერეკებოდნენ.

სამშობლოში ეს არ იციან“...

VIII

რიკულებიან აივანზე დგას პაპა ნიკოლოზი. მისი გრძელტარიანი ჩიბუხი შავად აკვამლებულა და იღრჩოლება. ბოლი რბილად ეფინება წვერ-ულვაშზე და შემდეგ უერთდება ჩაის ბუჩქებზე მობუბუნე ნისლს.

კოლხიდური წვიმების შემდეგ გამოიდარა, მზემ პირი უჩვენა ქვეყანას, დედამიწა გაშრა, გათბა.

— დედაკაცო ბიჭი არა სჩანს, რაიზა დაიგვიანა ნეტაი?

— უი, მოუკვდეს ნენაი, — ნინომ თვალებზე ხელი მიიჩრდილა და გაიხედა ხერისაკენ. — იგია მგონია... ეგერ მოგელავს.

ჩაის ჩამუქებულ ბუჩქებს შორის ოთარი მორბოდა და ახალ გაზეთს გამარჯვების ალამივით მოაფრიალებდა.

უცებ ჭიშკარზე ბავშვების ჟივილ-ხივილი ატყდა. მესაზანდრეს გამოსდგომოდნენ სოფლის ბალღები. ნიკოლოზმა შინ მოიწვია თავისი ძველი ნაცნობი მესაზანდრე და ბავშვებიც კისრისტეხით შემოცვივდნენ ჭიშკარში.

— ამ უთენია რამ ააგდო ეგ ბედშავი! — თავისთვის გაიკვირვა ნინომ.

— დედაკაცო ერთი ჭაჭა დაგვაძგერე, თორემ მარტო მზე ველარ გაგვათბობს — მიმართა ნიკოლოზმა ცოლს.

— მოვხუცდით ჩემო ნიკოლოზ, — უთხრა მესაზანდრემ.

— მოვხუცდითო!.. მოვხუცდით კი არა, დავბერდით ბიჭო, დავბერდით.

ნინომ აივნის პატარა მაგიდაზე ბოთლით არაყი დადგა, ყველი და მჭადი გამოიტანა, კეთილი სუფრა გაშალა.

ბიბლიოთეკა

ძველ მეგობრებს მოურიამულე ბალღებმა თითო ჭიქის დაცლაც არ აცალეს ისე დაუწყეს მუდარა:

— ჩაბერე ბიძია ბახუ!

— ბაბუა ბახუ ერთი დოუკარი და მაშინვე დავიშლებით.

— ბაბუა ბახუ, ბაბუა ბახუ...

ბალღების ხვეწნაში მეგობრებმა ორ-ორი სასმისი მოასწრეს და შემდეგ სტვირიც გაიბერა.

— ბატონო ნინო სიყვარულის სიმღერები გესიამოვნებათ თუ...

— უი დამეფსოს თვალები, რა დროს ჩვენი სიყვარულია ადამიანო!

მესაზანდრემ თამბაქოს კვამლისაგან ჩაჟანგებულ ულვაშებში ჩაიღიმა და დაიწყო:

გერმანიის ჯარზედა,
გურულს ზედ მისვლა ჰგულია,
მოვიდა სისხლის წვიმაი
ნამდვილად გაგებულია.
ეგ მშობლიური მინდვრები,
სულ წითლად შეღებილია.
ერთის დროს ახალ ვაუები,
სრულ ომში გაქცეულია,
აღარ გვაძლევენ თოფებსა,
„ხაზინაც“ დაკეტილია.
ვიყიდოთ ვინტოვკეები,
მივცეთ ოროლი ფურია,
ვივაჭროთ ტყვია-წამალი,
ვისაც ბევრი გაქვთ ფულია.
მოიტათ ნაქონ-საქონი,
ჩასაცმელ-დასახურია.
ან ვერცხლის ქამარ-ხანჯალი
ან ქუდი ყაზახურია.
ხირიმებ უნდა გავწმინდოთ,
რაც იყო დაჯანგულია.
მზად იყოს ცხენის პატრონი,
საომრად გამზადულია,
სახელ ყველაზე მეტია,
ვაუკაცს თუ უდევს გულია.
ეგ ჩვენი გამარჯვებისა,
ლექსი ვთქვი საზანდრულია.

ამ დროს ოთარმაც ამოირბინა კიბეებზე და გაშლილი გაზეთი ბაბუა ნიკოლოზს მიაწოდა.

— რატომ დაიგვიანე ბაბუ?

— მამა უკვე გენერალ-მაიორია. — სხაპა-სხუპით მიაყარა სულერთიანად გაწითლებულმა და აქოშინებულმა ოთარიმ.

— ჩემი შვილი გენერალი!!

ცოლ-ქმარმა სიხარულის ცრემლმომდგარი თვალები ჯერ ერთმანეთს გაუსწორეს, შემდეგ ნინომ ხელები გაშალა, ნიკოლოზი და ოთარი მკერდზე მიიკრა, გადაკოცნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალე მთელმა სოფელმა მოიყარა თავი ნიკოლოზ ლესელიძეს. ყველას სახეზე სიხარული ზეიმობდა და ჯოხის ცხენებზე შემსხდარი ბალღები, ჯოხებითვე შეიარაღებულნი, მსგავსად მშობლებისა ერთმანეთს ულოცავდნენ თავიანთ ბედნიერების დამცველ გენერალთა რიგებში თავიანთ მეზობლის — კონსტანტინე ლესელიძის ჩადგომას.

„ბიძია კოტეს გაუმარჯოს, ბიძია კოტეს“ იძახოდნენ ენატკბილი ბავშვები.

როცა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ სიტყვა დაამთავრა, ნიკოლოზ ლესელიძე ისე იყო სიხარულისაგან მოსავებული, რომ ხმამაღლა ვერაფერი სთქვა და ჩიბუხს მიეძალა, ხოლო შემდეგ ოთარის მოხვია ხელი და დაიწყო:

— შვილო ოთარი, ჩემი ოთხი ბიჭი იბრძვის ფრონტზე. გენერალი კონსტანტინე, მაიორი ვიქტორი, კაპიტანი დავითი და სერჟანტი ვალერიანი და შენც ჩემო ბაბუ არ შეარცხვინო ჩვენი გვარი, გამოდი ისეთი კაცი, როგორიც მამაშენია. თავისუფლება შვილო ძვირფასია, მისთვის ბრძოლა გმირობაა. ნურაფერს ნუ შეუშინდები. მე თავისუფლებისათვის გამაციმბირეს მეფის ჯალათებმა, მაგრამ სამაგიეროდ, ხალხმა შემიყვარა. ხალხის სიყვარული ყველაფერია, ბაბუ.

მოხუცს სიტყვები ცეცხლოვანმა ტაშმა შეაწყვეტინა. ხოლო მესაზანდრემ თავისებურად ჩაილულუნა:

> წინანდელ ომები რა იყო, ძველი თოფი და ხმალია!
> საპირსაწამლეს აყრიდენ, ჩახმახს ეჭირა ტალია,
> ეხლა გართულდა ქვეყანა, ის გახდა როგორც ალია,
> ზღვის ძირში დადის გემები და მაღლა თვითმფრინავია,
> ისე გამოდის ტყვიაი, ვით ჩანჩქერიდან წყალია,
> აღარ გაუშვებთ ცოცხალსა, თუ მტერს მოვკარით თვალია.

...იმ დღით, როცა ხვარბეთს მზე დაჰნათოდა, ფრონტზე თოვლის კორიანტელი იდგა და ქვემეხებს გრიალი გაუდიოდათ.

კარგად შელამდა თუ არა, ფრონტის შავად მოლუშული ცა თეთრი შუშხუნების ჟინჟღილებმა გაკვეთა, ეს იერიშის ნიშანი იყო.

და კონსტანტინე ლესელიძემ თავის არტილერისტებს ომახიანად შეუყიჟინა:

— ცეცხლი!

ფაშიზმის დამხობა გარდაუვალია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ე. ბურჯულაძე

1942 წელი ფაშისტთა ხროვის საბოლოო განადგურების წელი იქნება

სსრ კავშირზე ფაშისტური გერმანიის მუხანათური თავდასხმის პირველ დღეებში ერთერთი საზღვარგარეთული გაზეთი წერდა, რომ ადოლფ ჰიტლერი სეკუნდსაზომით ხელში პირადათ ხელმძღვანელობს გერმანიის არმიის ოპერაციებს აღმოსავლეთისაკენ და დროს არა თუ საათობით, არამედ წამობით ითვლიდა.

საჭიროა შევნიშნოთ, რომ ავსტრიელი ეფრეიტორი შიკელგრუბერი, — ახლა ჰიტლერად წოდებული, — გერმანიის იმპერიის კანცლერად გახდომის დროს, ასეთ მოუთმენლობას როდი ამჟღავნებდა. პირიქით: ძალაუფლების ხელში ჩაგდებისთანავე ჰიტლერმა სასწრაფოდ შეკრიბა რეიხსვერის გენერლები და პირდაპირ გამოუცხადა მათ: „ნაცისტური გერმანია ორმოცდაათ წელიწადს იომებსო“. გერმანიის გენერლებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი 1918 წლიდან უსაქმოდ ისხდნენ, არ იამათ ფიურერის ორაკულისებური წინასწარმეტყველება: მათ კარგად ახსოვდათ 1914—1918 წ.წ. ომის დროს მიღებული მწარე გაკვეთილები, ახსოვდათ 1918 წლის 8 აგვისტოს „შავი დღე“, როდესაც გერმანიის იმპერიის დიდების მზე ჩაესვენა. გაჭიანურებული, საპოზიციო, ხანგრძლივი ომი გერმანიისათვის მუდამ დამღუპველი იყო.

„ელვისებური ომის“ ფაშისტური დოქტრინა პოზიციური ომის შიშისა და სასოწარკვეთილებისაგან დაიბადა. ამ დოქტრინის ავტორობა ჰიტლერის უახლოეს მეგობარს, ფაშისტური პარტიის სამხედრო იდეოლოგს და სამხედრო დიქტატურის დაუღალავ პროპაგანდისტს—გენერალ ლუდენდორფს ეკუთვნის. ერიხ ლუდენდორფმა (1865—1937) სიკვდილის წინ დასწერა მისი უკანასკნელი წიგნი: „ტოტალური ომი“, რომელიც ფაშიზმის ძარცვისა და ყაჩაღობის პროგრამას წარმოადგენს.

ლუდენდორფი თავის წიგნში ცინიკურად წერდა: „ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ომების ეპოქაში ვცხოვრობთ. ომი კვლავ პოლიტიკის გადამწყვეტ საშუალებად ხდება... ტოტალური ომი ულმობელია, — ამბობს ლუდენდორფი, — იგი თითოეული მამაკაცისა და დედაკაცისაგან უკანასკნელ ძალღონის დახარჯვას მოითხოვს. ომი მიმართულია არა მარტო მამაკაცის წინააღმდეგ, არამედ დედაკაცის წინააღმდეგაც, რომელიც საკუთარ ბავშვებს საფრთხეში ხედავს“. ლუდენდორფი მოითხოვს ელვისებურ მოქმედებასა და ულმობელობას. იგი ყოველგვარ განსხვავებას შლის ფრონტსა და ზურგს შორის, არმიასა და მშვიდობიან მოსახლეობას შორის.

სისხლისღვრისა და კაციჭამიობის ლუდენდორფისეული კატეხიზმო ჰიტლერელ გენერლების „ხელიხელ საგოგმანებ“ საუნჯედ იქცა: ფელდმარშალი ფონ-რაიხენაუ, გენერლები რუნდშტედტი, კლაისტი, კიუხლერი, ვალდემარ-ერფურტი, ბოკი და ფაშისტურ გერმანიის სხვა სამხედრო სპეციალისტები შემდგომ ანვითარებდნენ და აღრმავებდნენ თავიანთი მასწავლებლის „მოძღვრებას“.

ალსანიშნავია, რომ ლუდენდორფის ველური „იდეები“ ზუსტად დაემთხვა ჰიტლერის დამთხვეულ აზრებს. ეს უკანასკნელი თავის ნაბოდვარ წიგნში („ჩემი ბრძოლა“) სწერს: „არავინ არ დაეჭვდება იმაში, რომ ამიერიდან მსოფლიო უსასტიკესი ომების ცეცხლში გაეხვევა... მარადიულ ომში ადამიანობამ სიდიადე მოიპოვა, მარადიულ მშვიდობიანობის პირობებში კაცობრიობა დაიღუპებოდაო“. ან კიდევ: „ცხოვრება არის ომი, ყოველგვარი ბრძოლა, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ არის ომი. ომი წარმოადგენს ადამიანის ბუნებრივ მდგომარეობას... რა არის ომი თუ არა ვერაგობა, მზაკვრობა, მოტყუება, სამხედრო ინიციატივა, თავდასხმა და მოულოდნელობა“.

ამგვარად, „ტოტალური ომის“ ფაშისტური დოქტრინა შემდეგ ძირითად დებულებებზე ემყარება: ომი—ადამიანის ბუნებრივისა და ნორმალური მდგომარეობის გამოხატულებაა. მშვიდობიანობა და ზავი ომებს შორის მხოლოდ შესვენების მომენტს წარმოადგენს.

ომი მოითხოვს მეომარი ხალხის ყველა სასიცოცხლო ძალთა მაქსიმალურ დაძაბვას, ყველა და ყოველგვარ ხელმისაწვდომ საშუალებათა გამოყენებას მოწინააღმდეგის შესამუსრავად. ომი უნდა ატარებდეს ყოვლის შემცველ (ტოტალურ) ხასიათს. იგი ერთმანეთისაგან არ განასხვავებს ფრონტსა და ზურგს, არმიასა და მშვიდობიან მოსახლეობას, არ ზოგავს მამაკაცებს, ქალებს, მოხუცებს, ბავშვებს. ომი სწარმოებს მთელი ხალხების, მთელი ქვეყნების მოსახლეობის ფიზიკური ამოჟლეტის მიზნით.

ომი უნდა ატარებდეს მოულოდნელი, უეცარი დარტყმის ხასიათს, საჭიროა ელვისებური ტემპები („ბლიცკრიგ“), რათა თავზარი დასცე მოწინააღმდეგეს, დამბლა დასცე მისი წინააღმდეგობის უნარს, მის ნებისყოფას, რომ მტერი სწრაფად გაანადგურო და მოსპო. ამასთან დაკავშირებით საერთაშორისო უფლების ყოველგვარი ნორმები, ყველა ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი გამოცხადებულია უბრალო „ფარატინა ქაღალდებათ“, რომლებიც შეიძლება პირველ ხელსაყრელ მომენტშივე ციინიკურად დაიხეს და გაუქმდეს.

„ტოტალურისა“ და „ელვისებური ომის“ სისხლიანი ნიშნით ჩატარდა სამხედრო სამზადისი გერმანიაში, რომელიც ფაშისტურმა ურჩხულმა დიდ სამხედრო-საკატორღო ყაზარმად აქცია. „ელვისებური ომის“ განხორციელების მიზნით ჰიტლერული ბარბაროსები ომის გამოუცხადებლად, მუხანათურად თავს ესხმოდნენ ევროპის სახელმწიფოებს, რომელთა საზღვრებთანაც წინასწარ თავს უყრიდნენ შეუდარებლად გადამეტებულ ცოცხალსა და ტექნიკურ ძალებს. გერმანიის სამხედრო თეორეტიკოსებს ზუსტად ჰქონდათ გათვალისწინებული ცოცხალი ძალისა და ტექნიკურ საშუალებათა რაოდენობრივი უპირატესობის როლი მოწინააღმდეგეებთან ბრძოლის დროს. 1939 წელს გამოვიდა გენერალ-ლეიტენანტის ვალდემარ ერფურტის წიგნი სათაურით: „გამარჯვება — მოწინააღმდეგის სრული განადგურებით“. ამ წიგნში ვკითხულობთ: „მომავალი სამხედრო ოპერაციებისათვის საჭიროა გვექნეს რაოდენობრივი და ხარისხობრივი უპირატესობა ხმელეთზე და ჰაერში. ვისაც მოეპოვება აბსოლუტური უპირატესობა, იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს ჩვეულებრივი გამარჯვებებით, არამედ უნდა დაისახოს უმაღლესი ამოცანები. კონცენტრული ოპერაციები წარმოადგენენ გამარჯვების მიღწევის საშუალებას მოწინააღმდეგის ყველა შეიარაღებულ ძალების ან მისი მთავარი ნაწილების სრული მოსპობით“.

„ელვისებური ომის“ ჰიტლერული სტრატეგია ემყარებოდა არა მარტო რაო-

დენობრივ და მატერიალურ უპირატესობებს, არამედ თავდასხმის მოულოდნელობასაც. საბჭოთა კავშირზე თავდასხმამდე გერმანიის ფაშისტური არმია ჯარების რაოდენობისა და შეიარაღების მხრივ თანასწორ მოწინააღმდეგეს არსად არ შეხვედრია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორმაგად და სამმაგად მომეტებული სამხედრო ტექნიკისა და ძალების შემწეობით ჰიტლერმა და მისმა დამჭაშებმა ერთი მეორეზე მოყოლებით დაამარცხეს და დაიმორჩილეს პოლონელები, დანიელები, ნორვეგიელები, ჰოლანდიელები, ბელგიელები, ფრანგები, იუგოსლავია, საბერძნეთი. ფაშისტური გერმანიის „წარმატებებს“ დას. ევროპაში ხელი შეუწყო არა მარტო გერმანიის სამხედრო მანქანის უპირატესობამ მოწინააღმდეგეებზე, არამედ ანტიჰიტლერულ ბანაკში ერთიანობის უქონლობამ და დაქსაქსულობამ: ასე მაგალითად, მოკავშირეთა არმიები — ფრანგებისა, ინგლისელებისა, ჰოლანდიელებისა და ბელგიელების — არა თუ არ იყვნენ ფაქტიურად გაერთიანებულნი, არამედ ისინი, პოლიტიკურად გათიშულნი და წინაალმდეგობებით აღსავსენი, სრულიად განსხვავებული ოპერატიულ-სტრატეგიული გეგმებით ხელმძღვანელობდნენ. ჰიტლერელები ოსტატურად იყენებდნენ ამ არევ-დარევას და ძველი რომაული დევიზის „დაჰყავი და იბატონე“-ს პოლიტიკით წარმატებას აღწევდნენ. ფაშისტები მოწინააღმდეგე ქვეყნებში მიმართავდნენ ტერორს, დივერსიებს, უხვად ნერგავდნენ ჯაშუშთა ბუდეებს: ე. წ. მეხუთე კოლონა ცოტა დახმარებას როდი უწევდა ჰიტლერელთა მუხანათურ პოლიტიკას. თითქმის ყველა ქვეყანაში ფაშისტებს თავისი პირსისხლიანი აგენტურა ჰყავდათ: კვისლინგი — ნორვეგიაში, ხორტი — უნგრეთში, პაველიჩი — იუგოსლავიაში, ანტონესკუ — რუმინეთში, რუტი-მონნერგეიმი — ფინეთში, დორიო-ლავალი — საფრანგეთში და მრავალი სხვები ბერლინელ ბატონთა დაკვეთით საკუთარ ქვეყნებში ძირგამომთხრელ მუშაობას ეწეოდნენ. ყველა ამათ ბერლინი კვებავდა იდეურად და ფინანსიურად.

მიუხედავად იმისა, რომ ჰიტლერმა და მისმა კლევრეტებმა ევროპაში ნიადაგი წინასწარ სათანადოთ დაამუშავეს და ფაშისტურად გააპოხიერეს, ჯეჯილი არც ისე სახარბიელო აღმოცენდა. ჰიტლერულ არმიას ევროპის სივრცეზე არც ისე ტრიუმფალური მარშით გადაუვლია, როგორც გებელსის ცრუპენტელა პრესა გაჰკიოდა. 1938 წლის 12 მარტს ჰიტლერი შედარებით ადვილად დაეუფლა დაუძლურებულ ავსტრიას, რომელიც დოლფუს-შუშნიგის რეჟიმის წყალობით შინაგან ხრწნასა და ლპობას განიცდიდა. ამგვარადვე იმავე წლის 29 სექტემბერს გერმანიის არმიამ ადვილად „შეამტვრია“ ჩეხოსლოვაკიის ღია კარები. ასე, რომ „პრაგაზე ლაშქრობით“ ფაშისტურ „უძლეველ“ არმიას არავითარი „სასახელო ფურცელი“ არ ჩაუწერია ისტორიაში. — ხოლო ჰიტლერული არმიის მომდევნო „ლაშქრობები“ პოლონეთში, საფრანგეთში, იუგოსლავიაში, საბერძნეთში მრავალ მოულოდნელ დაბრკოლებებს წააწყდა: „წარმატებები“ ამ ქვეყნებში ჰიტლერულ გერმანიას დიდძალ მსხვერპლის ფასად დაუჯდა. განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც ბრძოლაში ნამდვილი ხალხთა მასები ებმებოდენ, გერმანელი ოკუპანტები კრიტიკულ წუთებს განიცდიდნენ. ასე, მაგალითად: ვარშავაში შეჭრილი სატანკო დივიზია ქალაქის შეიარაღებული მოსახლეობის სასტიკი წინაალმდეგობის შემდეგ იძულებული გახდა უკან დაეხია. აღსანიშნავია, რომ იუგოსლავიასთან და საბერძნეთთან ბრძოლის დროს გერმანიამ და იტალიამ დასახმარებლად უნგრეთის, რუმინეთისა და ბულგარეთის ჯარებს მოუხმეს. ამგვარად, ვერც „ბალკანეთის კამპანიამ“ შესძინა დიდი სახელი ჰიტლერს, ხოლო იტალია ხომ საბერძნეთში და იუგოსლავიაში

სირცხვილნაჭამიც დარჩა. ერთხელ კიდევ დადასტურდა ოტო ბისმარკის მოსწრებული ფრაზა იტალიელთა შესახებ, რომელიც მან გასულ საუკუნის 80-იან წლებში წარმოთქვა: „იტალიელებს აქვთ მეტისმეტად დიდი მადა — ხელოვნელები — დამპალიო“.

გერმანიას სერიოზულ მოწინააღმდეგედ დასავლეთში საფრანგეთი და ინგლისი მიაჩნდა. მაგრამ საფრანგეთი 15 დღის ბრძოლის შემდეგ დამარცხდა და კაპიტულაციაზე წავიდა. აღსანიშნავია, რომ საფრანგეთის ასე სწრაფად დაჩოქება თვით გერმანელ გენერლებისთვისაც მოულოდნელი იყო. საფრანგეთზე ჰიტლერელთა იოლ „გამარჯვებაში“ ძირითადი როლი საფრანგეთის მმართველ წრეების გამცემლობამ ითამაშა, რომლებმაც, თავისი ხალხის წინაშე შიშითა და პანიკით შეპყრობილებმა, ჰიტლერის წინაშე კაპიტულაცია არჩიეს. საფრანგეთზე იოლმა გამარჯვებამ საღერღელი აუშალა ჰიტლერს და მის დამქაშებს. მათ ბოდვითი ფანტაზიას ფრთები შეესხა. უტიფრობამ ყოველგვარი საზღვარი გადალახა. ყველა ჰიტლერებმა და ჰებელსებმა, ჰერინგებმა და რიბენტროპებმა მხეცური ღრიანცელი ასტეხეს, რომ გამარჯვების თილისმა მათ ხელთაა, რომ ამიერიდან მათ წინსვლას ვერავითარი ძალა ვერ გადაუდგება. ასე: „ელვისებური ომის“ დოქტრინის გვერდით წარმოიშვა ლეგენდა გერმანულ-ფაშისტური არმიის „უძლეველობის“ შესახებ. მართალია ლამანშთან შეჩერებამ, და, საერთოდ, ინგლისთან ომის წარუმატებლობამ საკმაოდ გააფერმკრთალა მიღებულ წარმატებათა „ბრწყინვალება“, მაგრამ ჰიტლერელებმა არაფრად ჩააგდეს ის ფაქტი, რომ ვერ შესძლეს თავიანთი თამასუქის განაღდება ომის „ელვისებურად“ დამთავრების შესახებ ევროპაში. ჰიტლერმა გერმანელ ხალხს ომის დამთავრება და ზავი აღუთქვა პირველად 1939 წლისათვის, მეორედ — 1940 წლისათვის, ბოლოს — 1941 წლისათვის.

ჰიტლერი და მისი გენერლები წლობით ელოლიავებოდნენ სსრ კავშირის წინააღმდეგ ლაშქრობის ტკბილ-მწარე ოცნებას. ფაშისტები ოცნებობდნენ საბჭოთა ქვეყნის უდიდეს სივრცეებზე, საბჭოთა რესურსებზე, სტრატეგიულ ნედლეულზე: საბჭოთა პურზე, საბჭოთა ნავთზე, ფერადსა და შავ ლითონებზე, ბამბაზე. ჰიტლერს სურდა საბჭოთა ქვეყნის დამონება, ხალხის ამოჟლეტა, ჩვენი ქვეყნის გაძარცვა, რათა ამ ნაძარცვით შემდეგში შეემუსრა ინგლისი, ომი გაეჩაღებინა ა. შეერთ. შტატების წინააღმდეგ. მაგრამ ჰიტლერსა და მის დამქაშებს დიდი საბჭოეთის განუსაზღვრელადაც ეშინოდათ. ფაშისტებს კარგად ესმოდათ სოციალიზმის ქვეყნის ძლიერებაც (მოვიგონოთ ჰიტლერის საუბარი ლონდონდერთან, 1937 წელს). ჰიტლერმა კარგად იცოდა, რომ საბჭოთა კავშირი არ არის ჩეხოსლოვაკია, ბელგია, ან იუგოსლავია. საფრანგეთზე გამარჯვების შემდეგ ჰიტლერი დიდხანს ყოყმანობდა, ნიადაგს სინჯავდა, მისთვის ჩვეულ მუხანათურ კომბინაციებს ქსელავდა, შანტაჟს მიმართავდა.

ჰიტლერელებმა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ სათანადოთ დაგეშეს და მოამზადეს თავიანთი პირსისხლიანი გოშიები იტალიიდან, რუმინეთიდან, უნგრეთიდან, ფინეთიდან. იაპონიის გაზ. „ასახის“ ცნობით ჰიტლერმა საბჭოთა კავშირზე თავდასხმამდე ჩვენს საზღვართან ფარულად შეაჯგუფა 180 გერმანული დივიზია, რუმინეთის — 45, ფინეთის — 23. სულ 248 დივიზია, იგივე გაზეთი იუწყებოდა საბჭოთა კავშირის საზღვრებთან უნგრეთისა და სლოვაკიის ჯარების დისლოკაციის შესახებ.

სსრ კავშირის წინააღმდეგ 35 მხოლოდ ჯავშანსატანკო დივიზია იქნა გამოყვანილი (საფრანგეთის წინააღმდეგ გერმანიის 10 სატანკო დივიზია მოქმედებ-

და). ჩვენი სამშობლოს წინააღმდეგ ჰიტლერმა მობილიზაცია უყო არა მარტო გერმანიის და მის მიერ ოკუპირებულ ქვეყნების მთელს უზარმაზარ სამხედრო მანქანას: ცოცხალ ძალასა და სამხედრო ტექნიკას, მან აგრეთვე ამოძრავა ფაშისტური კაციჭამიობისა და ბიწიერების ყველა ბინძური ინსტინქტი, რითაც მთელი ჰიტლერული არმია, თვითეული გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი არის გაჟღენთილი. ჰიტლერმა აღუთქვა თავის პირსისხლიან ურდოებს ელვისებური და იოლი გამარჯვება, უხვი ნაძარცვი და ბრწყინვალე მომავალი.

უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის ბევრი სამხედრო სპეციალისტი ძალზე სკეპტიკურად აფასებდა ჰიტლერის ავანტურას. მეტიც, ბევრი ფაშისტი გენერალიც კი ჯეროვნად ითვალისწინებდა სსრ კავშირის წინააღმდეგ „ელვისებური ომის“ იდეის უნიადაგობასა და ქარაფშუტობას. გენერალი კაბიში თავის წიგნში: „ომის სადაო საკითხები“, წერდა: „ელვისებური და ძლევამოსილი დარტყმის იდეა რუსეთის არმიის წინააღმდეგ ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. ყველა საღად მოაზროვნე და ფრთხილ ჯარისკაცს საუცხოოდ ესმის, რომ ელვისებური ომის გზით რუსეთის არმიას ვერ გადააქცევ ბრძოლის უნარმოკლებულად დიდი ხნის ვადით. ეს წმინდა უტოპია არის“.

კიდევ უფრო ჭკუამახვილად მსჯელობდა გერმანიის სამხედრო მწერალი პოლკოვნიკი ხირლი. ილაშქრებდა რა სსრ კავშირზე „ელვისებური ომის“ მოწყობის გიჟური იდეის წინააღმდეგ ხირლი წერდა: „რუსეთის არმიას თავის განკარგულებაში აქვს უზარმაზარი სივრცეები მანევრირებისათვის, თუ იგი ამა თუ იმ მოსაზრებით მოისურვებს თავი აარიდოს გადამწყვეტ ბრძოლებს და თავისთვის ხელსაყრელ სიტუაციას დაელოდება. ამასთანავე მას მოეპოვება დაუშრეტელი რესურსები ყოველგვარი დანაკარგების შესავსებად“.

როგორც ამერიკული გაზეთი „დეილი ნიუსი“ იუწყებოდა, ისეთი გენერლებიც კი, როგორც ფონ-რაიხენაუ, ლისტი, შტულპნაგელი და ბევრი სხვაც უკანასკნელ დრომდე ჰიტლერს აფრთხილებდნენ „ელვისებური ომის“ მავნე ილუზიებისაგან აღმოსავლეთში.

მაგრამ ჰიტლერმა დიდი ხანია დაკარგა ყოველგვარი გონიერება და გააკეთა გიჟური ნახტომი... უფსკრულისაკენ. 1941 წლის 22 ივნისს „ელვისებური ომის“ დემონური გეგმით ფაშისტური გერმანიის კაციჭამია ურდოები საბჭოთა ქვეყანას შემოესია.

1941 წლის 6 ნოემბერს თავის ისტორიულ მოხსენებაში ამხანაგმა ს ტ ა ლ ი ნ მ ა გენიალურად გამოაშკარავა ჰიტლერელ ვაი-სტრატეგთა ვარაუდები. „როცა გერმანელ ფაშისტ დამპყრობნი ჩვენს ქვეყანაზე თავდასხმას იწყებდნენ, — ამბობდა ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, — ისინი ფიქრობდნენ, რომ უეჭველად შესძლებდნენ 1½ — 2 თვის განმავლობაში „მოეღოთ ბოლო“ საბჭოთა კავშირისათვის და ამ მოკლე ხნის განმავლობაში ურალს მიაღწევდნენ. უნდა ითქვას, რომ გერმანელები ამ „ელვისებური“ გამარჯვების გეგმას არ მალავდნენ. პირიქით, ისინი მას ყოველნაირად უკეთებდნენ რეკლამას“.

ვერაგი მტერი იმედს ამყარებდა იმაზე, რომ საბჭოთა წყობილება, საბჭოთა ზურგი, წითელი არმია მტკიცე არ იქნებოდა. ჰიტლერელებს სჯეროდათ, რომ წითელი არმია და წითელი ფლოტი ვერ გაუძლებდა გერმანიის არმიისა და გერმანიის ფლოტის დარტყმებს და ადვილად უკუიქცეოდა, დაიშლებოდა. მათ ეგონათ, რომ წითელი არმიის პირველი წარუმატებლობის შემდეგ თავს იჩენდა კონფლიქტები საბჭოთა ქვეყნის მუშებსა და გლეხებს შორის, ატყდებოდა ჩხუბი და არევ-დარევა სსრ კავშირის ხალხთა შორის. დაიწყებოდა აჯანყებანი,

და ჩვენი ქვეყანა შემადგენელ ნაწილებად დაიშლებოდა, რაც ჰიტლერულებს ხელს შეუწყობდა თავიანთი დამპყრობლური გეგმების შესრულებაში. ცხოვრებამ მწარედ დასცინა გერმანიის პირსისხლიან იმპერიალისტებს. ბრძოლა ყველა ვარაუდი მოვლენათა განვითარებამ დააყირავა და მიწასთან გაასწორა. მთელი საბჭოთა ხალხი, როგორც ერთი კაცი აღსდგა ვერაგი მტრის წინააღმდეგ, თავისი სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლების დასაცავად. დამთავრდა ძმვიდობიანი მშენებლობის პერიოდი. დაიწყო პერიოდი დიდი სამამულო, სამართლიანი, განმათავისუფლებელი ომისა გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ.

ომის პირველ თვეებში ჰიტლერულ ურდოების თავდასხმის მოულოდნელობისა და უეცრობის გამო ჩვენი წითელი არმია იძულებული გახდა ბრძოლით უკან დაეხია და საბჭოთა ტერიტორიის ნაწილი დაეტოვებინა. ჰიტლერელთა ურდოები წინ მოიწევდნენ და საბჭოთა მიწაწყალს, საბჭოთა ქალაქებსა და სოფლებს იკავებდნენ, სძარცვავდნენ და აწიოკებდნენ მშვიდობიან მოსახლეობას, უმოწყალოდ ჟლეტდნენ ხალხს, აუპატიურებდნენ ქალებს და მცირეწლოვანებს, აწამებდნენ ბავშვებსა და მოხუცებს, ცეცხლს უკიდებდნენ და აფეთქებდნენ საბჭოთა კულტურის უკვდავ ძეგლებს, ნაცარტუტად აქცევდნენ მუზეუმებს და უნივერსიტეტებს, სკოლებსა და თეატრებს.

წითელი არმია იძულებული იყო დროებით უკან დაეხია. მაგრამ ჩვენი ჯარი უკან იხევდა არა პანიკურად, არა დეზორგანიზებულად, არამედ აქტიური წინააღმდეგობის გაწევით, სასტიკი თავდაცვითი ომებით. წითელ არმიის მებრძოლებს, საბჭოთა ხალხს ერთი წუთითაც კი ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ ჩვენი არმიის უკანდახევა დროებითია, რომ მტერი შეჩერებული, ხოლო შემდეგ განადგურებული იქნება. ბრძენმა ბელადმა და მხედართმთავარმა ამხანაგმა ს ტ ა ლ ი ნ მ ა წითელ არმიას, საბჭოთა ხალხს გამარჯვების გზა უჩვენა. უკანდახევის დროს საბჭოთა ჯარი გმირულად იცავდა თითოეულ მტკაველს მშობლიურ მიწაწყლისას. სასტიკი და განუწყვეტელი ბრძოლებით ქანცავდა და მუსრს ავლებდა მტერს, ანადგურებდა და სპობდა მის ცოცხალ ძალასა და სამხედრო ტექნიკას.

წითელმა არმიამ, საბჭოთა ხალხმა ხანგრძლივი თავდაცვითი სისხლიანი ბრძოლების ყველა განსაცდელს გაუძლო. ამ მწვავე და სასტიკ ბრძოლებში გამოიწრთო და უდიდესი გამოცდილება შეიძინა გმირულმა წითელმა არმიამ. დადგა დრო, როდესაც წითელმა არმიამ დროებითი უკანდახევის შემდეგ გარდატეხას მიაღწია ომის მიმდინარეობაში და აქტიურ თავდაცვიდან ძლევამოსილ შეტევაზე გადავიდა. სამხედრო ინიციატივა ხელში აიღო წითელმა არმიამ. ფრონტის ძირითად უბნებზე წითელმა არმიამ გაარღვია და დალეწა გერმანელთა არმიის მიერ უაღრესად გამაგრებული თავდაცვითი ზღუდეები. მტერმა ვერ შესძლო თავდაცვითი ხაზზე დამკვიდრება. კონტრშეტევაზე გადასვლის შემდეგ წითელმა არმიამ მტერს მოუსპო უამრავი ცოცხალი ძალა, საჭურველი და სამხედრო მასალა. ამასთანავე წითელმა არმიამ მტერს დიდძალი რაოდენობის ტექნიკა წაართვა. გერმანელები იძულებულნი გახდნენ ჯერ კიდევ ზამთრის განმავლობაში ნაადრევად დაეხარჯათ გაზაფხულის შემოტევისათვის მომზადებული რეზერვების ნაწილი.

დაიწყო გერმანელ ფაშისტ დამპყრობელთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის განმათავისუფლებელი ომის ა ხ ა ლ ი ე ტ ა პ ი. შეტევის განმავლობაში გერმანელ ოკუპანტებისაგან განთავისუფლებულია მოსკოვის ყველა მისადგომები, მოსკოვის, ტულისა და რიაზანის ოლქები, კალინინის ოლქის უდიდესი ნაწილი

და ლენინგრადის ოლქის თვალსაჩინო ნაწილი, დაიწყო სმოლენსკის ოლქის, ბელორუსიის განთავისუფლება. წითელმა არმიამ უკან დაიბრუნა დონის როსტოვი, ხარკოვის ოლქის დიდი ნაწილი, ელეცი, ვოლოკალამსკი, ტორჟოკი, კალინინი, კალუგა, მოჟაისკი, ხოლმი, ლოზოვაია, დოროგობუჟი, ... დასახლებული პუნქტები და ასობით ქალაქები. შეტევაზე გადასვლის შემდეგ წითელი არმიის ზოგმა ნაწილმა 400 კილომეტრზე მეტად წაიწია წინ. ჩვენი ჯარები დღითი-დღე, სულ უფრო და უფრო უახლოვდებიან ბელორუსიის, ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის საზღვრებს.

გერმანულ-ფაშისტური არმია სისხლისაგან იცლება. ილევა ფაშისტური გერმანიის ადამიანთა რეზერვები, მისი ნავთისა და სამხედრო ნედლეულის სხვა მარაგი. აღარ არის სურსათი. გერმანიის ზურგი დასუსტდა. გერმანელი ხალხი, მისი არმია შიმშილობს, ჯარს ეპიდემია ცელავს, ქვეყანა გაღატაკდა, ომი კი დაუსრულებლივ გრძელდება. დიდი და მძიმე დანაკარგები — მილიონი და მილიონი მოკლული ჯარისკაცები და ოფიცრები, დალუპული მრავალი ათასი ტანკი, თვითმფრინავი, ქვემეხი, ომის მეოთხე მშიერი წელიწადი, დეზორგანიზებული ზურგი, დასნეულებული, ჭუჭყიანი, მშიერი, სასოწარკვეთილებამდე მისული ჯარისკაცები — მკაფიოდ უჩვენებენ ჰიტლერული სამხედრო მანქანის მსხვრევას, გერმანელი ჯარისკაცის ფიზიკურ და მორალურ ძალთა დეგრადაციას. წითელი არმიის წარმატებებმა მოქანცა მტერი ფიზიკურად, დასცა და დააკნინა იგი მორალურად. გერმანიის ხალხში, არმიაში უფრო და უფრო მატულობს იმის შეგნება, რომ გერმანიის დამარცხება გარდუვალია. გერმანელ ჯარისკაცებისა და ოფიცერთა თვალსაჩინო ნაწილს იჭვისა და უიმედობის ჭია ღრღნის. ისტორიას ჩაბარდა ფაშისტური ლეგენდა გერმანულ-ფაშისტური არმიის „უძლეველობის" შესახებ. დიდი ს ტ ა ლ ი ნ ი გერმანელ ფაშისტთა არმიისა და მისი ოფიცრების შესახებ საფუძვლიანად იგონებს მოსწრებულ ხალხურ ანდაზას: „ცხვრების წინააღმდეგ ყოჩაღია, მაგრამ ყოჩაღის წინააღმდეგ თვითონ ცხვარიაო". სამარცხვინოდ ჩაიშალა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ „ელვისებური ომის" ჰიტლერული ბოდვითი იდეა. „უეცრობისა და მოულოდნელობის მომენტები, როგორც გერმანიის ფაშისტური ჯარების რეზერვი, სავსებით ამოიწურა... ამასთან, საკმარისი იყო გერმანელთა არსენალში გამქრალიყო უეცრობის მომენტი, და გერმანიის ფაშისტური არმია კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა" (ი. ს ტ ა ლ ი ნ ი).

ჰიტლერი ოცნებობდა საბჭოთა კავშირში რესურსების ახალი მარაგი მიეღო, ოცნებობდა ხელთ ეგდო სტრატეგიული ნედლეულის, პურის, ნავთის, ფერადი და შავი ლითონის, ბამბის, ხე-ტყის დაუშრეტელი საბჭოთა მარაგი. ვერაგ მტერს განზრახვა ჰქონდა ამ ნაძარცვით შეემუსრა ინგლისი და შემდეგ დასავლეთის ნახევარ სფეროს შესეოდა.

მტერი ანგარიშში მოსტყუვდა. ფაშისტური გერმანია იძულებული გახდა საბჭოთა ფრონტზე დაეხარჯა სურსათის, ნავთის, ზეთის, კაუჩუკის, ფერადი ლითონების ის მარაგიც, რომელიც მის განკარგულებაში იმყოფება.

ჰიტლერს სურდა სსრ კავშირის პოლიტიკური იზოლაცია. მას ეგონა, რომ შეჰქმნიდა საყოველთაო კოალიციას ჩვენი სამშობლოს წინააღმდეგ, რომელშიც დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს ჩააბამდა. ჰიტლერი აქაც მოსტყუვდა ანგარიშში. დიდი ბრიტანეთი და ამერიკის შ. შტატები არა თუ არ შეუერთდნენ ჰიტლერელთა ლაშქრობას სსრ კავშირის წინააღმდეგ, არამედ, პირიქით, ჩვენს ქვეყანასთან ერთად აღმოჩნდნენ ერთ ბანაკში ჰიტლერის

გერმანიის წინააღმდეგ. როგორც ამხანაგი სტალინი თავის ხალხისადმი ომის ბრძანებაში მიუთითებს უმაგალითოდ განმტკიცდა და გაიზარდა სსრ კავშირის საერთაშორისო კავშირ-ურთიერთობა. გერმანული იმპერიალიზმის წინააღმდეგ გაერთიანდა ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხი. „ამ თავისუფლებისმოყვარე ქვეყნებს შორის პირველი ადგილი უჭირავთ დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომლებთანაც ჩვენ გვაერთებს მეგობრობა და კავშირი და რომელნიც უფრო და უფრო მეტ სამხედრო დახმარებას უწევენ ჩვენს ქვეყანას გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ“. დიდი ბელადი სავსებით მართებულად მიუთითებს, რომ ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხი საბჭოთა კავშირს უყურებს, როგორც ისეთ ძალას, რომელსაც უნარი შესწევს ჰიტლერული ჭირისაგან იხსნას მსოფლიო.

ანტიჰიტლერული მსოფლიო ფრონტი უფრო და უფრო მაგრდება და ფართოვდება. მსოფლიო ანტიფაშისტური ძალები და შესაძლებლობანი დღითიდღე იზრდებიან.

ჰიტლერს სურდა სსრ კავშირის ეკონომიური იზოლაცია. მას აქაც კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. სინამდვილეში მოხდა ფაშისტური გერმანიის ეკონომიური იზოლაცია, მისი სამეურნეო ჩაკეტვა. ეს პროცესი, განსაკუთრებით, საბჭოთა და ინგლისის ჯარების ირანში შესვლის შემდეგ დასრულდა. ფაშისტური გერმანიის ირანიდან გაძევებით, გერმანიისა და მისი ვასალურ სახელმწიფოთათვის უკანასკნელი კარებიც დაიხურა. ამრიგად, ჰიტლერელთა სრული ეკონომიური ბლოკადა განხორციელებულად უნდა ჩაითვალოს.

ანტიფაშისტური კოალიციის ერთიანი სამხედრო-სტრატეგიული ფრონტის შექმნის ამოცანა ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ წარმატებას აღწევს. ამხანაგმა სტალინმა თავის ისტორიულ სიტყვაში აღნიშნა ევროპის კონტინენტზე მეორე ფრონტის შექმნის მნიშვნელობა, რომელიც „არსებითად შეამსუბუქებს ჩვენი არმიის მდგომარეობას გერმანიის არმიის საზარალოდ“ (ი. სტალინი). ეს ჭეშმარიტება მტკიცედ იკაფავს გზას თავისუფლებისმოყვარე ხალხთა შეგნებაში, რომლებიც სათანადო თადარიგს უკვე შეუდგნენ.

„ელვისებური ომის“ მეოხებით ობერ ბანდიტ ჰიტლერს უნდოდა თავიდან აეშორებინა წინააღმდეგობანი და გართულებანი საკუთარ ქვეყანაში, წინააღმდეგობანი და გართულებანი იმპერიალისტური გერმანიის ზურგში, ევროპაში, რომელიც მან ცეცხლითა და მახვილით გადათელა. აღმოჩნდა, რომ არამც თუ ევროპის „ახალი წესრიგი“ არ არის მყარი და მტკიცე, რაზედაც ჰიტლერ-გებელსებმა ტრაბახით ბააყრუეს მთელი მსოფლიო, არამედ შერყეულია ჰიტლერელ ავაზაკთა ზურგი თვით გერმანიაშიც. გერმანიის ზურგი სნეულია. თანდათან საყოველთაო ხასიათს იღებს ევროპის დამონებულ ხალხთა სულ უფრო და უფრო აქტიური ბრძოლა გერმანელ იმპერიალისტების წინააღმდეგ. გერმანიის არმიას, რომელიც დაშორდა გერმანულ ზურგს, უხდება მოქმედება მტრულ გარემოში. მტრის მიერ დროებით დაკავებულ საბჭოთა რაიონებში სულ უფრო და უფრო ძლიერდება პარტიზანულ-მასობრივი ბრძოლის ხანძარი. ჩვენი მოძმე — უკრაინელები, ბელორუსები, მოლდაველები, ლიტველები, ლატვიელები, ესტონელები, კარელები, რომლებიც დროებით მოხვდნენ ფაშიზმის უღლის ქვეშ, ჰქმნიან პარტიზანულ რაზმებს, ანგრევენ მტრის ზურგს, აქარწყლებენ ოკუპანტების ლონისძიებას, სპობენ მათ ცოცხალ ძალასა და სამხედრო ტექნიკას. გმირ პარტიზანთა რაზმები ამზადებენ და აჩქარებენ ფაშისტურ მხეცთა გვამებზე საბჭოთა ჯარების საბოლოო გამარჯვებას, საბჭოთა

ხალხის განთავისუფლებას ფაშისტური ტირანიისაგან და საბჭოთა მიწაწყლის საბოლოოდ გაწმენდას.

არ გამართლდა ჰიტლერელ ავაზაკთა იმედები საბჭოთა წყობილებისა და საბჭოთა ზურგის სისუსტის შესახებ. სსრ კავშირში ჰიტლერელ [illegible] ალარ გამოადგათ იგივე მეთოდები, რაც ევროპის ხალხთა წინააღმდეგ მათ ცოტად თუ ბევრად წარმატებით გამოიყენეს. დიდი სამამულო ომის პირობებში სსრ კავშირი, როგორც ბრძენი ბელადი მიუთითებს, უფრო ძლიერი გახდა, ვიდრე ომის დასაწყისში იყო. კიდევ უფრო განმტკიცდა ხალხის დარაზმულობა თავის მთავრობის, ბოლშევიკების პარტიის, თავისი ბრძენი ბელადის ამხანაგი სტალინის გარშემო. სსრ კავშირში ზურგი და ფრონტი ერთიანი და განუყოფელი მებრძოლი ბანაკია, რომელიც თავდადებით ეხმარება თავის წითელ არმიას, თავის წითელ ფლოტს. უდაოა, რომ ახლა ჩვენი ქვეყანა უფრო მეტად არის გაერთიანებული და დარაზმული თავისი მთავრობის გარშემო, ვიდრე ოდესმე ყოფილა, რომ „საბჭოთა ადამიანები ზურგში სულ უფრო მეტსა და მეტს შაშხანას და ტყვიამფრქვევს, ნაღმსატყორცნსა და ქვემეხს, ტანკებსა და თვითმფრინავებს, სურსათსა და საომარ მასალას აწვდიან ჩვენს ფრონტს“ (ი. სტალინის ბრძანებიდან).

როგორც ცნობილია ფაშისტი დამპყრობნი იმედს ამყარებდნენ „წითელი არმიისა და წითელი ფლოტის სისუსტეზე“. მათ მეტისმეტად გაზვიადებულად შეაფასეს თავიანთი ძალები და ჯეროვნად ვერ შეაფასეს საბჭოთა არმიისა და საბჭოთა ფლოტის ძლიერება. ცხოვრებამ მწარედ დასცინა გერმანელ ავაზაკებს. ახლა თვით ჰიტლერელებიც ველარ ბედავენ ძველი ზღაპრების განმეორებას. ყველა ქვეყნის თავისუფლებისმოყვარე ხალხები აღტაცებით და იმედით ადევნებენ თვალყურს წითელი არმიის გმირულ ბრძოლებს, რომელმაც არა თუ შეაკავა ჰიტლერელთა შეჯავშნული დივიზიების შემოტევა, არამედ ძლევამოსილ შეტევაზე თვით გადავიდა და ფაშისტურ-გერმანულ ურდოებს წარმატებით მიერეკება დასავლეთისაკენ, დღითი დღე, სისტემატიურად ათავისუფლებს საბჭოთა სოფლებსა და ქალაქებს, სპობს მტრის ცოცხალ ძალასა და სამხედრო ტექნიკას. ეს შემთხვევითი როდია. დიდი სამამულო ომის განვლილი პერიოდის მანძილზე წითელი არმია უფრო ორგანიზებული და ძლიერი გახდა, ვიდრე ომის დაწყებისას იყო. „წითელი არმიის წარმატებათა მეოხებით სამამულო ომი შევიდა ახალ პერიოდში,—ჰიტლერული სიბილწისაგან საბჭოთა მიწაწყლის განთავისუფლების პერიოდში. მართალია, ამ ისტორიულ ამოცანის შესრულებას წითელი არმია სუსხიანი და დიდთოვლიანი ზამთრის პირობებში შეუდგა, მაგრამ, ამის მიუხედავად, მან დიდ წარმატებებს მიაღწია. წითელმა არმიამ ხელთ იგდო საომარი მოქმედების ინიციატივა, არაერთი სასტიკი დამარცხება აგემა გერმანელ ფაშისტთა ჯარებს და აიძულა ისინი გაეწმინდათ საბჭოთა ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი“ (ი. სტალინის ბრძანებიდან).

წითელი არმია განაგრძობს ძლევამოსილ შეტევას გერმანულ-ფაშისტურ ჯარების წინააღმდეგ. მტერი უკან იხევს. ახლოვდება გერმანელი იმპერიალისტებისა და მათი არმიების საბოლოო განადგურება. თვით ჰიტლერელები კარგად გრძნობენ კატასტროფის მოახლოებას. ფაშისტურ პრესაში, რადიოში, „ფიუერერის“ სიტყვებში უკვე ალარ მოისმის „უძლეველობის“ დაფისა და ნაღარის ცემა, შეწყდა ფაშისტურ ორატორთა გამაყრუებელი ტრაბახი. ახლა ჰიტლერელები უიმედოთ ჩიფჩიფებენ „ალმოსავლეთის ფრონტის სიძნელეებზე“, საბჭოთა არმიისა და სამხედრო ტექნიკის „მომძლავრებაზე“, გერმანელ ჯარისკაცთა შორის დისციპლინის შერყევასა და მორალური დონის დაცემის შესა-

ხებ. თვით ადოლფ ჰიტლერი კვლავ ისტერიკამ შეიპყრო. როგორც ამბ. მიხეილ ივანეს-ძე კ ა ლ ი ნ ი ნ ი ამ ცოტა ხნის წინად წერდა — ახლა ჰიტლერი აღელვებული, სიმხდალის ციებ-ცხელებით შეპყრობილი სულის მოუთმენელად გაჰკივის ისტერიულად და იმეორებს ტრედიაკოვსკის სიტყვებს: „ჩემს თვალწინ არის უზარმაზარი, საზარელი, ასთავიანი, ასპირიანი ურჩხულია". თავისი გამოუვალ მდგომარეობით შეშფოთებული „ფიურერი" თავის ბრბისხანებას საკუთარ გენერლებს ატეხს თავზე — და ყველა ეს ბრაუხიჩები, ტოდტი, ლისტი, ფონ-რაიხენაუ, ფონ-ბოკები იგზავნებიან... ჯანდაბას. ჰიტლერი და პირსისხლიანი ხროვა ახლა თვითონ იძულებული არიან აღიარონ, რომ ისინი ანგარიშში მოსტყუვდნენ, რომ მათ სწორედ ვერ შეაფასეს საბჭოთა კავშირის ძალები და შესაძლებლობანი. ჰიტლერმა „ვერ გაითვალისწინა წითელი არმიის ძალები, ვერ გაითვალისწინა საბჭოთა ზურგის სიმტკიცე, ვერ გაითვალისწინა ჩვენი ქვეყნის ხალხთა ნებისყოფა გამარჯვებისა, ვერ გაითვალისწინა ფაშისტური გერმანიის ევროპული ზურგის არასაიმედობა, ბოლოს, ვერ გაითვალისწინა ფაშისტური გერმანიისა და მისი არმიის შინაგანი სისუსტე" (ი. სტალინი).

წითელი არმიის დიდი მხედართმთავარი და გენიალური სტრატეგი ამხანაგი ს ტ ა ლ ი ნ ი გვასწავლის, რომ ომის ბედიღბალს გადასწყვეტს ისეთი მუდმივი მოქმედი ფაქტორები, როგორც არიან — ზ უ რ გ ი ს ს ი მ ტ კ ი ც ე, ა რ მ ი ი ს მ ო რ ა ლ უ რ ი ს უ ლ ი ს კ ვ ე თ ე ბ ა, დ ი ვ ი ზ ი ე ბ ი ს რ ა ო დ ე ნ ო ბ ა და ხ ა რ ი ს ხ ი, ა რ მ ი ი ს შ ე ი ა რ ა ღ ე ბ ა, ა რ მ ი ი ს უ ფ რ ო ს თ ა შ ე მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი ს ო რ გ ა ნ ი ზ ა ტ ო რ უ ლ ი ნ ი ჭ ი.

როგორც ბრძენი ბელადი მიუთითებს ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი, რომელიც უზრუნველჰყოფს ომში გამარჯვებას, ჯარის მორალური მდგომარეობაა. წითელი არმიის მორალურ დონეს ასაზრდოებს და ამაღლებს ის გარემოება, რომ იგი სამართლიან, განმათავისუფლებელ, სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ომს ეწევა. ამხანაგ ს ტ ა ლ ი ნ ი ს საპირველმაისო ბრძანებაში ვკითხულობთ: „ჩვენ სამამულო, განმათავისუფლებელ, სამართლიან ომს ვაწარმოებთ. ჩვენ ისეთი მიზნები როდი გვაქვს, რომ სხვისი ქვეყნები ჩავიგდოთ ხელში, სხვა ხალხები დავიპყროთ. ჩვენი მიზანი ნათელი და კეთილშობილია. ჩვენ გვსურს გავათავისუფლოთ ჩვენი საბჭოთა მიწაწყალი გერმანელი ფაშისტი არამზადებისაგან. ჩვენ გვსურს ვიხსნათ ჩვენი ძმები — უკრაინელები, მოლდაველები, ბელორუსები, ლიტველები, ლატვიელები, ესტონელები, კარელები, იმ სირცხვილისა და დამცირებისაგან, რასაც მათ აყენებენ გერმანელი ფაშისტი არამზადები.

ფაშისტური გერმანიის არმიის სისუსტე, უწინარეს ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ ჰიტლერელ ჯარისკაცს არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს ომის ეს ნათელი და კეთილშობილი მიზანი. მას აიძულებენ ომოს სხვა ხალხთა დასამონებლად, გასაძარცვავად, შეუძლებელია ეს მან არ იცოდეს. ხოლო ეს ფაქტი უწამლავს მას ადამიანურ შეგნებას, ყაჩაღობა, ძალმომრეობა, რასაც იგი ეწევა, აძლიერებს ჰიტლერელთა არმიის რიგების დემორალიზაციას, „მარტო ისიც კი, რომ გერმანელმა დამპყრობლებმა, მორალური დეგრადაციის შედეგად, ადამიანის სახე დაჰკარგეს და უკვე დიდი ხანია გარეულ მხეცის დონემდე დაეცნენ, — მარტო ეს გარემოებაც კი იმას მოწმობს, რომ ისინი განწირული არიან გარდუვალი დალუპვისათვის" (ი. სტალინი).

ომში გამარჯვების სხვა ფაქტორებს შორის განსაკუთრებული ადგილი არმიის შეიარაღებას უკავია.

თავდაპირველად ფაშისტური არმიის ძლიერი მხარეები იყო ტექნიკით, განსაკუთრებით კი ავიაციითა და ტანკებით უხვად აღჭურვილობა, ცეცხლის სიმკვრივე. ამავე დროს, როგორც ამბ. კალინინი აღნიშნავს, გერმანელებმა იციან თავიანთი დადებითი მხარეების კარგად რეკლამირება. მაგრამ ხანგრძლივი საომარ გამოცდილების შემდეგ წითელმა არმიამ კარგად შეისწავლა მტრის ძლიერი და სუსტი მხარეები. იგი სისწორით და სიფხიზლით აფასებს გერმანიის არმიის ძალებსა და უნარს.

უკანასკნელ თვეების მანძილზე ძალთა თანაფარდობა მნიშვნელოვნად შეიცვალა: ახლა გერმანიის ავიაცია უკვე აღარ ბატონობს ჰაერში. ახლა მტერი თავის ზურგზე განიცდის იმას, თუ რამდენად გაიზარდა ჩვენი ავიაციის რიცხვი, ხარისხი, როგორ გამოიწრთო და დახელოვნდა მისი საკადრო შემადგენლობა.

გერმანიის სარდლობის გეგმების ზედიზედ რამდენჯერმე ჩაშლა მკაფიოდ ადასტურებენ ჰიტლერული გენერალიტეტის სამხედრო-სტრატეგიულ უილაჯობას, მათ უიმედო ავანტურისტულ ტაქტიკას, რომელიც მათთვის სავალალოდ უნდა დასრულდეს და დასრულდება კიდევაც.

წითელი არმიის უფროსთა შემადგენლობამ, არა თუ ბრძოლის საუკეთესო სკოლა განვლო, არა თუ დიდი გამოცდილება შეიძინა, არამედ თავიანთი უბადლო გმირობით, გამჭრიახობითა და ორგანიზატორული ნიჭით მთელი კაცობრიობა გააოცა. „წითელი არმია უფრო ორგანიზებული და უფრო ძლიერი გახდა, მისი ოფიცერთა კადრები გამოიწრთო ბრძოლებში, ხოლო მისი გენერლები უფრო გამოცდილი და გამჭრიახი გახდნენ“ (ი. სტალინი).

ფაშისტურ-გერმანული იმპერიალისტებისა და მათი არმიების განადგურება გარდუვალია.

მაგრამ გამარჯვება თავისთავად არ მოდის. იგი უნდა ძალით დაიპყრო. გამარჯვება უმსხვერპლოდ შეუძლებელია. ეს ჭეშმარიტება დიდი ხანია ღრმად შეიგნეს სსრ კავშირის მშრომელებმა, რომლებმაც ფრონტი და ზურგი ერთიან და განუყოფელ მებრძოლ ბანაკად გადააქციეს. ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, ჩვენი ინტელიგენცია საერთო ცხოვრებით ცხოვრობენ ჩვენი ფრონტის სახელოვან მებრძოლებთან ერთად. დიდი სამამულო ომის განსაცდელმა კიდევ უფრო განამტკიცა ფრონტისა და ზურგის ერთიანობა. საბჭოთა მგზნებარე პატრიოტებმა ფაბრიკებსა და ქარხნებში, რკინიგზებსა და კოლმეურნეობებში, მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკებმა დროულად გარდაქმნეს თავიანთი მუშაობა სამხედრო ყაიდაზე, მთელი თავიანთი მუშაობა მათ ფრონტის ინტერესებს, ფაშისტურ-გერმანულ დამპყრობლებზე გამარჯვების ინტერესებს დაუმორჩილეს.

საბჭოთა პატრიოტიზმის საუკეთესო დემონსტრაციას წარმოადგენდა 1942 წლის სახელმწიფო სამხედრო სესხის უდიდესი წარმატება. საბჭოთა ხალხმა სწორად გაიგო და შეაფასა, რომ სესხზე ხელისმოწერა — ეს წითელი არმიის პირდაპირ დახმარებას წარმოადგენს. ეს — ახალი და ახალი ყუმბარებია მტრის ბანაკში გადასროლილი. ჩვენმა მშრომელებმა სამხედრო სესხს უწოდეს სესხი ჩვენი თავისუფლების, ჩვენი პატიოსნების და ჩვენი დამოუკიდებლობისა. სამხედრო სესხი, რომელიც 10 მილიარდის რაოდენობით იქნა გამოშვებული, სულ რამდენიმე დღეში 2.860.831.000 მანეთის გადაჭარბებით გასაღდა. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ მოწმობს მთელ საბჭოთა ხალხის უდიდეს სიყვარულს თავის დედა-სამშობლოსადმი.

ფაშისტურ მართველებსა და მათ ხალხებს შორის არსებული უფსკრული კიდევ უფრო მეტევრმეტყველურად დაადასტურა იმ პოლიტიკურმა სკანდალმა, რაც ამას წინად ფინეთში, რუმინეთში და სხვა ქვეყნებში გამოშვებულმა სამხედრო სესხების ჩაშლამ გამოიწვიეს. იქ მოსახლეობა აქტიურად-ბოიკოტით შეხვდა მთავრობის ლონისძიებებს.

საბჭოთა კავშირის მშრომელებმა სამამულო ომის პირობებში უარი განაცხადეს 1—2 მაისის დასვენებაზე, რათა დაძაბული შრომით რაც შეიძლება მეტი დახმარება გაეწიათ ფრონტისათვის, უფრო მეტი შაშხანა, ქვემეხი, ნაღმსატყორცნი, ტანკი, თვითმფრინავი, საომარი მასალა, პური, ხორცი, თევზი, ბოსტნეული მიეცათ მისთვის.

თავდაცვითი პროდუქციის გასადიდებლად უმძლავრეს ბერკეტს წარმოადგენს სოციალისტური შეჯიბრება. ათობითა და ასობით ფაბრიკები და ქარხნები, წარმოების ათასობით ნოვატორები, ომიანობის დროის სტახანოველები გვიჩვენებენ სამრეწველო მოწყობილობის საუკეთესოდ გამოყენებისათვის, შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის ნამდვილი ბოლშევიკური ბრძოლის ნიმუშებს. ომიანობის დროის გამოჩენილ სტახანოველებს ამხანაგებს — დიმიტრი ბოსის, ლუნინის, სემივოლოსის, იანკინის კვალდაკვალ ღირსეულად მიჰყვებიან საქართველოს სტახანოველი-ათასოვნები: კომკავშირელი მიხეილ ჯოხაძე, გრიგოლ წიკლაური, გიორგი დეკანოზიშვილი — ავტოსარემონტო ქარხნიდან; ამხანაგები ხუციშვილი, სარიევი და სხვები — კიროვის სახელობის ქარხნიდან; აიბა, დარსაძე, ჩქარეული, ბოჭორიშვილი და სხვები — ტყვარჩელისა და ტყიბულის ქვანახშირის საბადოებიდან.

წითელ არმიას ესაჭიროება რაც შეიძლება მეტი პური, ხორცი, თევზი, ბოსტნეული. ომის პირობებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის წარმოებას ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც საომარი მასალისა და საჭურველის წარმოებას.

ჰიტლერული სამხედრო მანქანა ძლიერ არის შერყეული, მაგრამ იგი ჯერ კიდევ საბოლოოდ დამსხვრეული არ არის. ფაშისტური მხეცი სასიკვდილოდ დაიჭრა, მაგრამ დაჭრილი მხეცი ჯერ კიდევ ძლიერია, ცბიერი და მძვინვარე. საბჭოთა ხალხი ამას ერთი წუთითაც არ ივიწყებს.

ამხანაგი ს ტ ა ლ ი ნ ი აფრთხილებს არმიას და ხალხს არ დავკმაყოფილდეთ მიღწეული წარმატებებით. ფუჭი ბაქიობა და ამპარტავნობა შეუფერებელია საბჭოთა ადამიანებისათვის. წინ კიდევ მრავალი მძიმე და სისხლიანი ბრძოლები მოგველის. ჩვენს წინაშე უდიდესი საპასუხისმგებლო ამოცანები დგას.

დიდი ლ ე ნ ი ნ ი ს მიერ თქმული სიტყვები 1918 წლის მარტში, როცა გერმანიის იმპერიალისტთა ურდოები ცეცხლითა და მახვილით აპარტახებდნენ საბჭოთა მიწაწყალს, ახლაც გაისმის, როგორც მოწოდების ნაღარა: „რაკი ჩვენ გერმანელი იმპერიალისტები ომს გვახვევენ თავზე, — წერდა ლენინი, — ჩვენი წმინდა მოვალეობაა ფხიზლად შევაფასოთ ჩვენი მდგომარეობა, აღვრიცხოთ ძალები, შევამოწმოთ სამეურნეო მექანიზმი. ყველაფერი ეს უნდა ხდებოდეს სამხედრო დროის სისწრაფით, ვინაიდან ყოველი დაყოვნება ჩვენს ახლანდელს მდგომარეობაში ჭეშმარიტად „სიკვდილის მსგავსია“... ომის ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ საწარმოებლად აუცილებელია მაგრად ორგანიზებული ზურგი. საუკეთესო არმიას, რევოლუციის საქმის უერთგულეს ადამიანებს დაუყოვნებლივ გაანადგურებს მტერი, თუ ისინი საკმარისად შეიარაღებულნი, სურსათით მომარაგებულნი, გაწვრთნილნი არ იქნებიან“ (ლენინი, ტ. 22, გვ. 347). ლენინის ეს ბრძნული

მოწოდება მთლიანად განსაზღვრავს ჩვენი ხალხის სადღეისო ამოცანებსაც ჰიტლერელთა ურდოების განადგურების საქმეში.

ამხანაგი სტალინი სისტემატურად მოუწოდებს საბჭოთა ხალხს, რომ „ჩვენს არმიასა და ჩვენს ფლოტს ქმედითად და აქტიურად დაეხმაროს მთელი ჩვენი ქვეყანა, რომ ჩვენმა მუშებმა და მოსამსახურეებმა, ქალებმა და კაცებმა, შეუსვენებლივ იმუშაონ საწარმოებში და მიაწოდონ ფრონტს სულ უფროდაუფრო მეტი ტანკები, ტანკსაწინააღმდეგო თოფები და ქვემეხები, თვითმფრინავები, ზარბაზნები, ნაღმსატყორცნები, ტყვიამფრქვევები, შაშხანები, საომარი მასალები, რომ ჩვენმა კოლმეურნეებმა, ქალებმა და კაცებმა, შეუსვენებლივ იმუშაონ თავიანთ მინდვრებში და ფრონტსა და ჩვენს ქვეყანას მისცენ სულ უფრო და უფრო მეტი პური, ხორცი, ნედლეული, მრეწველობისათვის, რომ მთელი ჩვენი ქვეყანა და სსრ კავშირის ყველა ხალხი დაირაზმოს ერთიან ბრძოლის ბანაკად, რომელიც ჩვენს არმიასთან და ფლოტთან მხარდამხარ ეწევა დიდ განმათავისუფლებელ ომს ჩვენი სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლებისათვის, გერმანიის არმიის განადგურებისათვის“.

დიდი ბელადის თვითეული გამოსვლა შეიცავს მტერზე გამარჯვების დიად პროგრამას. მისი თვითეული სიტყვა ახდენს ჩვენი წითელი არმიის, სამხედრო საზღვაო ფლოტის, მთელი საბჭოთა ხალხის საბრძოლო მობილიზაციას. სტალინის ისტორიული სიტყვები და ბრძანებები კანონია საბჭოთა ადამიანებისათვის. ისინი თვითეულ საბჭოთა მებრძოლში, თვითეულ საბჭოთა პატრიოტში აღძრავენ მგზნებარე მისწრაფებას კიდევ უკეთესად იბრძოლონ, უკეთესად იმუშაონ. ამხანაგ სტალინის სიტყვებში გამოიხატება საბჭოთა ხალხის ძლევამოსილება, წითელი არმიის განუხრელად მზარდი ძლიერება, ჩვენი ხალხის რკინის ნებისყოფა და გადაწყვეტილება იბრძოლოს ფაშისტურ-გერმანიის არმიის სრულ განადგურებამდე.

მთელი საბჭოთა ხალხი, მისი გმირული წითელი არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი, მუშები, კოლმეურნეები — კაცი და ქალი, საბჭოთა ინტელიგენცია ღრმად არის გამსჭვალული იმ საბრძოლო ამოცანით, რომელიც ბრძენმა ბელადმა, წითელი არმიის გენიალურმა მხედართმთავარმა ამხანაგმა სტალინმა თავის საპირველმაისო ბრძანებაში დასახა:

„მივაღწიოთ იმას, რომ 1942 წელი გერმანელ ფაშისტთა ჯარების საბოლოო განადგურებისა და ჰიტლერელი არამზადებისაგან საბჭოთა მიწა-წყლის განთავისუფლების წელი გახდეს“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარგის კაკაბაძე

გიორგი სააკაძის აღსასრული

მე-17 საუკუნის დიდი ქართველი გმირის გიორგი სააკაძის სიცოცხლის უკანასკნელი წლები ჯერ კიდევ არ არის ქართულ საისტორიო ლიტერატურაში სათანადოდ გარკვეული. ამ წერილში ჩვენ გავაცნობთ მკითხველს იმ ცნობებს, რომელიც შემონახული აქვს დიდი მოურავის სიცოცხლის უკანასკნელ ხანების და მისი ტრაგიკული სიკვდილის შესახებ ოსმალო ისტორიკოსს ნაიმას.

მუსტაფა ნაიმა არის ცნობილი ოსმალო ისტორიკოსი, რომელიც მოღვაწეობდა მე-18 საუკუნის პირველ მეოთხედში. დაბადებით ის იყო ქალაქ ჰალეპოდან (სირიიდან) და გარდაიცვალა 1726 წელს. თავის დროზე ის ითვლებოდა ოსმალეთის ოფიციალურ ისტორიკოსად. თავისი ნაწარმოები მას დაწერილი აქვს ორ ტომად (დაბეჭდილია სტამბოლში).

ნაიმა საკმაოდ დაშორებულია გიორგი სააკაძის ცხოვრების ხანას. იგი მოურავის სიკვდილის შესახებ ცნობის გადმოცემისას, მისივე სიტყვით, სარგებლობს მის ხელში მყოფ წყაროებით, კერძოდ ისტორიკოსის ქიათიბ ჩელების ნაწარმოებით. ეს ქიათიბ ჩელები დიდი-მოურავის უმცროსი თანამედროვე ყოფილა და ამიტომ მის ცნობას აქვს უაღრესად დიდი მნიშვნელობა, რადგან გიორგი სააკაძის მოღვაწეობის შესახებ თანადროული და ასეთი ადრინდელი ცნობები, თხრობით გადმოცემული, ჩვენ სრულებით არ მოგვეპოვება.

საყურადღებოა ის, რომ მუსტაფა ნაიმა თავის ორ-ტომეულში თითქმის არ იხსენიებს საქართველოს, რომლის ამბები მას, როგორც სჩანს, არც აინტერესებდა. გამონაკლისს წარმოადგენს მისთვის გიორგი სააკაძის პიროვნება. ის დაწვრილებით აგვიწერს გიორგი სააკაძის მიერ სპარსელების ლაშქრის განადგურებას მარტყოფთან 1623 წ. 25 მარტს (ახ. სტილით 4 აპრილს), როდესაც დიდმა მოურავმა საკუთარი ხელით მოჰკლა ყარჩღაი-ხანი და დახოცა მისი ახლო მდგომნი მისი უახლოესი მრჩევლები. ეს ომი ნაიმას აწერილი აქვს ორ ადგილას, ორი სხვადასხვა წყაროს მიხედვით, რომელნიც ერთი მეორეს ავსებენ. ამ ომის გამომწვევი მიზეზი და თვით ბრძოლის მიმდინარეობა ნაიმას მოცემული აქვს საკმაოდ დაწვრილებით (ნაიმას ტექსტის ქვემოდ გადმოცემისას ჩვენ ყველგან ვსარგებლობთ არამ საფრასტიანის თარგმანით).

ნაიმას ეს თხრობა ეხება იმ ხანას, როდესაც ქართლის სამეფო რეგენტად (დიდ მოურავად) 1619 — 1623 წლებში ითვლებოდა ქართლის მეფის სვიმონ II-ის მცირეწლოვანობის გამო გიორგი სააკაძე. კახეთი 1616 — 1617 წლებში გამოვლილ ამოწყვეტის და გადარჩენილ მოსახლეობის ირანში გადასახლების გამო თითქმის მთლად დაცარიელებული იყო. მაგრამ ამ დროისთვის კახეთში თანდათან უკან ბრუნდებოდნენ თავიანთი ოჯახებით ის კახელები (უმეტესად თავად-აზნაურნი და მათნი მსახურნი), რომელნიც 1615 წელს თეიმურაზ მეფესთან ერთად გაიქცნენ იმერეთს და იქიდან მესხეთს,

(მესხეთი მაშინ მთლიანად ოსმალეთის ხელში იყო). ამ ამბების შესახებ ნაიმა გადმოგვცემს შემდეგს:

„შაჰმა (იგულისხმება შაჰ-აბაზ I-ლი) გურჯისტანის (ამ შემთხვევაში იგულისხმება კახეთი) ხანად დანიშნა ერთი თავისი ხელქვეითი, ფეიქარ-სულტანი და მიანდო მას ამ ქვეყნის კეთილმოწყობა და იქ სამართლიანობის დამყარება. რადგანაც ქალაქი ზეგამი დანგრეული იყო, ფეიქარ-სულტანმა კეთილ-მოაწყო ქალაქი კელხიზ, რომელიც მდინარე კანკის (ალაზნის) ნაპირას მდებარეობდა და გარდააქცია ის სატახტო ქალაქად. მან წესრიგის დამყარების მიზნით გამოაცხადა, რომ ყველა ვალდებულია კეთილად მოაწყოს თავისი ადგილ-საცხოვრებელი, თავისი ყანები და ყველამ უნდა მოჰკიდოს ხელი თავის საქმეს (მეურნეობას). ვისაც სათესლე არა აქვს, უნდა აიღოს სესხი ხაზინიდან. სამი წლის განმავლობაში ყველა თავისუფლდება სახელმწიფო გადასახადებისაგან. ამის შემდეგ მთებსა და მინდვრებში გაბნეული ქართველი რაიები (გლეხები) ისევ გაერთიანდნენ. მათ დაიწყეს მშენებლობა და ქვეყანამ იწყო კეთილმოწყობა. ქართველები, რომელნიც ყიზილბაშების შიშით დამალულნი და გაქცეულნი იყვნენ, ეხლა ისევ გამოჩნდნენ და მათ დაიწყეს თავისი ზარალის ანაზღაურება. ისინი ყველანი დაემორჩილნენ ფეიქარ-სულტანს. მაგრამ ფეიქარ-სულტანი შეაფიქრიანა ქართველების რიცხობრივად გამრავლებამ და მან შეატყობინა შაჰს, რომ ქართველები კვლავ გამრავლდნენ, ამჟამად ისინი ათიათასამდის არიან და მათ რომ მოინდომონ იარაღით გამოსვლა, ამის შესახებ როგორი იქნება თქვენი ბრძანებაო.

„შაჰმა გაგზავნა თავისი მცველი ჯარის უფროსი — ყორჩიბაში ყარჩღაი-ხანთან ერთად და რამოდენიმე ათასი ყიზილბაში. მან შეუერთა ამ ჯარს აგრეთვე მოურავ-ბეგი (გიორგი სააკაძე). ყველა ესენი გაგზავნილ იქმნენ გურჯისტანში იმ საბაბით, რომ წაეყვანათ საცოლე (იგულისხმება ახალგაზრდა ქართლის მეფის სვიმონისთვის) და მოეწყოთ სათანადო შეხვედრა. გარეგნულად მან დაავალა (თავის სარდლებს), რომ მოურავ-ბეგის უკითხავად არაფერი გაეკეთებინათ. მაგრამ გარდა ამისა მან უბრძანა, რომ მოუცადონ მისი პირად წერილს ან ბრძანებას და ამის მიხედვით იმოქმედონ.

„ყარჩღაი-ხანმა და მოურავ-ბეგმა მიაღწიეს გურჯისტანის ქვეყანას. ყარჩღაი-ხანმა ბრძანება გასცა, რომ ვინც ფეიქარ-სულტანს ემორჩილება (ე. ი. კახელები) და შაჰის მეგობრები არიან, უნდა გამოცხადნენ ამა და ამ ადგილას წყალობის მისალებად. თორმეტი ათასი ქართველი შეიკრიბა და გაემართა დანიშნულ ადგილისაკენ შემოწმების და აგრეთვე წყალობის მიღების მოლოდინში. ხოლო საიდუმლოდ გაგზავნილ წერილში შაჰი სწერდა: «ყორჩიბაშო, შენ ვალდებული ხარ ამოსწყვიტო ყველა ქართველები, რომელთაც შენ ჰკრებ მათი შემოწმების საბაბით».

„ამ შინაარსის წერილი შაჰმა გადასცა შიკრიკს მითითებით, რომ მან ეს წერილი უნდა ჩააბაროს ყარჩღაი-ხანს მოურავის უჩვენებლად. მაგრამ შიკრიკი ვერ მიხვდა შაჰის ხერხს, მისი ბრძანებაც მან პირუკუ გაიგო და წერილი გადასცა მოურავ-ბეგს ყორჩიბაშისთვის უჩვენებლად. მოურავმა რომ წერილი წაიკითხა, გაიგო საქმის მდგომარეობა და აცნობა ამის შესახებ ორ ათას ქართველს, რომელნიც შესამოწმებლად უკვე გამოცხადებულიყვნენ. ამ უმეცართ შეუძლებლად ჩასთვალეს შაჰის ასეთი საქციელი და არ დაუ-

ჯერეს მოურავს. როდესაც მოურავმა დაინახა, რომ ქართველებს მისი არ სჯერათ, გაჩუმდა და ამჯობინა დაცდა იმისა, თუ რით გათავდებოდა საქმე. მან შეჰკრიბა თავისი ხელქვეითი ჯარი და განგებ ჩამორჩა ყარჩღაი-ხანს, მაგრამ იმავე დროს (თუმცა საიდუმლოდ) მაინც ფრთხილად იყურებოდა.

„მოხდა ისე, რომ ფეიქარ-სულტანმაც შეჰკრიბა გურჯები (ე. ი. კახელები) და გაგზავნა ისინი შესამოწმებლად. ისინი გამოსულიყვნენ მთიდან ველზე. ყიზილბაშები უკვე მომზადებული იყვნენ და მათ ხმლებით დახოცეს ოთხასამდის ქართველი, რომელნიც მთის ხეობიდან გამოსულიყვნენ. ვინც უკან იყვნენ, ისინი კი თავის გადარჩენის მიზნით გაიქცნენ. გაქცეულებმა აცნობეს ყველაფერი სხვა ქართველებს. ეხლა ყველანი დარწმუნდნენ იმის სიმართლეში, რაც მოურავმა მათ აცნობა და დიდს დარდსა და შეწუხებაში ჩავარდნენ. ისინი შიშობდნენ, ხომ არ შეთანხმდნენ ამ საკითხში ერთმანეთთან ფეიქარ-სულთანი და ყარჩღაი-ხანი.

„მეორეს მხრივ ქართველების წინამძღოლებმა საიდუმლოდ მოილაპარაკეს მოურავთან და შეუერთდნენ მას იმ პირობით, რომ ერთად შეიკრიბნონ. დანიშნულ დილას ადრე თავს დაესხან ხანებს და მოაწყონ ყიზილბაშების საერთო ამოწყვეტა. მართლაც მამაცი ქართველები მოემზადნენ და დილას ადრე შეიკრიბნენ მოურავთან“.

თვით ომის ამბები ნაიმას უფრო დაწვრილებით მოთხრობილი აქვს თხრობის მეორე ვერსიაში, რომელიც მას სხვა წყაროდან უნდა ჰქონდეს ამოღებული. ქართველები მომზადებული არიან სპარსელებზე თავდასასხმელად, გიორგი სააკაძე თავისი შვილით ავთანდილით და კიდევ სამი რჩეული და სანდო ვაჟკაცით (ეს ცნობილია ქართული წყაროებით) ყარჩღაი-ხანის ბანაკში არიან. გამოჩნდა ქართველების ჯარი და უახლოვდება სპარსელების ბანაკს, რომელიც უდარდელობას მოეცვა.

„ყიზილბაშები, სწერს ნაიმა, უდარდელად იყვნენ. ზოგს ეძინა და ისვენებდა, სხვები კიდევ მხიარულად დროს ატარებდნენ. ამ დროს დაფარულ ადგილიდან გამოვიდა ქართველების ჯარი. მოურავი მივიდა ყარჩღაი-ხანთან და უთხრა მას: «რას უცდი, ჩემო ხანო, უბრძანე ჯარისკაცებს — შეკაზმონ ცხენები და მოემზადნენ. ნახე ეხლა, წყეულო ყიზილბაშო, რას ნიშნავს ქართველების ამოწყვეტა!» ამ სიტყვებისთანავე მოურავმა ჰკრა შუბი ყარჩღაი-ხანს იღლიაში. ყარჩღაიმ უპასუხა: «ქიაფარო (ურჯულო), არ შეგერგოს შაჰის პურ-მარილი»-ო, ამ სიტყვებით ის გადმოვარდა ცხენიდან.

„ამ დროს მოურავმა დაინახა ყარჩღაის შვილი, თავს დაესხა მას როგორც თავის მტერს და მოსჭრა მას ხმლით ხელი და თავი. ყიზილბაში მეომრები დაიბნენ. ხანები ვერ მიმხვდარიყვნენ — რა მოხდა და სანამ ისინი განცვიფრებულნი და გაშტერებულნი იდგნენ, ქართველი ბეგები (თავადები) სხვა და სხვა მხრიდან თავს დაესხნენ მათ და მოაწყეს მათი ისეთი ჟლეტა, რომ 30 ათასი ყიზილბაშიდან ცოცხალი გადარჩა მხოლოდ სამი ათასი, რომელნიც ძლივს შეახტნენ თავიანთ ცხენებს და გაიქცნენ. მამაცი ქართველები მსუბუქად გამოედევნენ გაქცეულთ და ყარაბაღის საზღვრამდის წყვეტდნენ და თავს სჭრიდნენ ყველა ყიზილბაშს. ამ დღეს ომი გაგრძელდა შეუწყვეტლივ დილიდან საღამომდის და ამდენი ხალხი ამოწყვეტილ იქმნა ხმლით. მოურავმა, მისმა შვილმა და ზოგიერთმა ქართველმა წარჩინებულმა წაიღეს ყარჩღაისა, მისი შვილის, ამირგონე-ხანის, ყაზგარ-ხანის შვილის, შირვანის ხა-

ნის იუსუფის და ათი სხვა სულთანის თავები, რომელთაც სათითაოდ გაუკეთეს ზედ-წერილი. წაიღეს აგრეთვე მათი დროშები, ბუკები.

„ძლვენებით რამაზანის თვის ოცს (ე. ი. 1624 წ. 8 ივლისს) მოვიდნენ მისი დიდებულების სულთანის ლაშქარში. ქალაქში მათ [illegible] სარდალივის კარავის (ოტაკის) წინაშე (ტყვე) ყიზილბაშების წინ გარეკვით, ჯოხებზე სათითაოდ მოჭრილი თავების აწევით და ბუკების და დოლების უკუღმა დაკავებით. ამის შემდეგ მოკლულთა თავები გაგზავნეს ამასიის ბეგის მამედ-ბეგის ხელით (ოსმალეთის) სატახტო ქალაქში“.

ამ ცნობიდან ჩანს, რომ დიდი მოურავი თავის მზადებას სპარსელების წინააღმდეგ აწარმოებდა ოსმალებზე დაყრდნობით და მათი დახმარებით. სააკაძე მოითხოვდა, რომ ოსმალებს ესარგებლათ სპარსელების ასეთი დიდი დამარცხებით და დაეკავებინათ ქართლ-კახეთი და მთელი ამიერ-კავკასიაც. მაგრამ ოსმალების სარდლობა ამ დროს ლაშქრობას აპირებდა შუამდინარეთისკენ ბაღდათის მიმართულებით და ამიტომ დიდი მოურავის ამ წინადადებას არ დაეთანხმა.

მოურავი ამის შემდეგ მეტად გაძლიერებულა. ქართლის სამეფოს მთელი საქმეები ეხლა კიდევ უფრო მეტად მის ხელში იყო. ნაიმას ამის შესახებ აქვს ერთი მეტად საყურადღებო ცნობა, რომელიც თავისი სიზუსტის მხრივ მაინც შეჯერებას თხოულობს:

„ამის შემდეგ, სწერს ის, მოურავ-ბეგი იჩენს მისწრაფებას რათა გურჯისტანი თავისთვის დაიმორჩილოს და მეფობის უფლებაც მიიღოს. ის შეუდგა თავისი სახელით ფულის ჭედვას ასეთი წარწერით: «მე, ვილაიეტის მეფე მოურავ-შაჰი (ე. ი. მოურავ-მეფე)» საკვირველია, რომ თუმცა ის არ იყო (ქართლ-მორწმუნე) მაჰმადიანი, მაგრამ მან მიიღო რაფიზის რჯული (შიიტობა)“.

აქ არ გავჩერდებით შემდეგდროინდელ ფაქტებზე. როგორც ცნობილია, ყარჩღაი-ხანის ლაშქრის განადგურების შემდგომ წელს სპარსელებმა გამოგზავნეს დიდძალი ჯარი და მარაბდასთან დაამარცხეს ქართველები. მოურავი და თეიმურაზ მეფე იძულებული გახდნენ ქართლიდან გაქცეულიყვნენ, მაგრამ მალე უკან დაბრუნდნენ. გიორგი სააკაძე ეხლა იწყებს სპარსელებთან სასტიკ პარტიზანულ ომს, რომლის დროს ის მუდმივ კონტაქტშია ოსმალების სარდლობასთან. 1626 წ. თეიმურაზ მეფე და ქართლის თავადები შაჰ-აბაზთან მორიგებას ცდილობენ, მაშინ როდესაც გიორგი სააკაძე ამისი წინააღმდეგია. ამას მოჰყვა იმავე წელს ცნობილი ბაზალეთის ომი, რომელიც გათავდა გიორგი სააკაძის დამარცხებით და მისი განდევნით ქართლიდან. გიორგი თავისი ერთგული პირების თანხლებით გადადის ახალციხის საფაშოში. მას ოსმალეთის ხელისუფლება უკვე ძლიერ კარგად იცნობდა და აფასებდა კიდეც. ამიტომაც ის ახერხებს ოსმალეთში ძლიერ მალე დაწინაურებას და თავის გამოჩენასაც. ოსმალური წყაროების მიხედვით ამდროინდელი ამბები გიორგი სააკაძის ბიოგრაფიასთან დაკავშირებით იხატება შემდეგნაირად. ლაპარაკია აქ ოსმალეთის ცენტრალური მთავრობის მიერ მოწყობილ ლაშქრობაზე აბაზა-ფაშის წინააღმდეგ. ეს აბაზა-ფაშა (ტომით აფხაზი), მეტად ენერგიული პიროვნება, აჯანყებულა არზრუმსა და მის მხარეში. მას ჰყავდა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯარიც.

1626 წლის დეკემბრის პირველ რიცხვებში კონსტანტინოპოლიდან სტუტარს გადავიდა ახლად დანიშნული დიდი ვეზირი ხალილ-ფაშა (ჩამომავლობით ის სომეხი იყო). იგი ჩაუდგა სათავეში აბაზა-ფაშის წინააღმდეგ გაგზავნილ ჯარს. 1627 წლის შუა ივლისში ლაშქარი ქ. ჰალეპოდან გაემართა ახალციხისაკენ და 25 ივლისს უკვე დაიარბექირში იყო. აქ დიდ ვეზირს მიუვიდა ცნობა, რომ ახალციხეს სპარსელები ემუქრებიან. დიდმა ვეზირმა ამიტომ გამოჰყო დიარბექირის, ჰალეპოს, მერაშის და რუმილიის ფაშები თავიანთი ჯარებით, აგრეთვე დიარბექირის და ჩალიკ-ალას იანიჩარების აღები, სულ 4 — 5 ათასი კაცი დიშლენგ ჰუსეინ-ფაშის მეთაურობით და გაისტუმრა ისინი ახალციხისაკენ. ამავე დროს დიდ-ვეზირმა გაგზავნა ბოსტან-ფაშა აბაზა-ფაშასთან დამორჩილების წინადადებით.

აბაზამ განაცხადა, რომ ლევენდის ჯარს (ეს იყო ოსმალეთის ლაშქრის ერთი დარგთაგანი) იანიჩარების შიში აქვთ და ამიტომ საჭიროა დიდი ვეზირი, რომელსაც თან ბლომად იანიჩარები ჰყავდა, გაემართოს ქ. მუშის მიმართულებით, ხოლო მე კი ფაშებთან ერთად სერასკირად, ე. ი. მთავარ-სარდლად ახალციხეზე წავალო. დიდ-ვეზირმა კვლავ მოსთხოვა აბაზას დამორჩილებოდა და გამოსულიყო არზრუმიდან. მაგრამ აბაზას, როგორც ჩანს, ცნობა ჰქონდა, რომ დიდი ვეზირი მას მოკვლას უპირებდა და ამიტომ მან ეს წინადადება მხოლოდ სანახევროდ შეასრულა, სახელდობრ არზრუმიდან გავიდა, მაგრამ ვითომდა ახალციხეზე გალაშქრების მომზიზებით დადგა არზრუმის ახლოს ილიჯთან. მალე ამ ადგილს მივიდა ახალციხეზე გაგზავნილი დიშლენგ-ფაშაც თავისი ჯარით. რადგანაც აბაზამ იცოდა, რომ მისი მოსპობა, თუ მის ხელში ჩაგდებას შესძლებდნენ გადაწყვეტილი საქმე იყო, ამიტომ ის თვითონ დაესხა თავს დიშლენგ-ფაშის ჯარს, დაამარცხა ის, ისე რომ თვით დიშლენგ-ფაშაც თავისი შვილებით ბრძოლაში დაიღუპა. ამას მოჰყვა არზრუმშიც იანიჩარების ამოწყვეტა. იანიჩარები ჩვეულებრივ ატარებდნენ მუხლთან გაჭრილ შარვალს, რადგანაც ეს უფრო მოსახერხებელი იყო სროლის დროს წამოსაჩოქებლად. აბაზა-ფაშას მეომრები დაერივნენ ვისაც სამუხლესთან გაჭრილი შარვალი ეცვა, ყველას თავს სჭრიდნენ. იანიჩარებთან ერთად დაიღუპა ბევრი უდანაშაულოც (1627 წ. აგვ. ბოლოს).

ამგვარად ოსმალებმა ვერ შესძლეს ახალციხეს შესაკავებლად დამხმარე ჯარის გაგზავნა. მეტიც, დიდ-ვეზირის ბანაკში იმასაც ფიქრობდნენ, რომ აბაზა-ფაშა თვითონაც აქეზებდა სპარსელებს ახალციხეზე წასულიყვნენ. როგორც უნდა იყოს, სპარსელებმა მართლაც მოახერხეს ახალციხის დაკავება. ამიტომ დიდი ვეზირი ხალილ-ფაშა გაემართა არზრუმისაკენ ამ ციხე-ქალაქის დაკავების მიზნით (სექტ. 1627 წ.).

მაგრამ აბაზა-ფაშამ გამოუკეტა მას არზრუმის ციხის და ქალაქის კარები და დიდი ვეზირი იძულებული გახდა ალყა შემოერტყა ქალაქისათვის. ხალილ-ფაშას არ ჰქონდა საალყო ზარბაზნები და ამიტომ მან მოატანინა თორთუმიდან საალყო დიდი ზარბაზნები. არზრუმთან დაბარებული იყო აგრეთვე მოურავიც, რომელიც სპარსელების მიერ ახალციხის და მისი მხარის დაკავების შემდეგ სამცხეს მაინც ვერ გაჩერდებოდა. „დიდ-მოურავიანის“ მიხედვით, ბაზალეთის ომის შემდეგ მოურავი გადავიდა სამცხეს, სადაც მას დატოვებული ჰქონდა თავისი ბარგი და სიმდიდრეც. ამის შესახებ „დიდ-მოურავიანი“ გიორგი სააკაძეს შემდეგ ნაირად ალაპარაკებს:

„ცოლშვილი სამხრეთს დავაგდე. მოყვრები მიიბარევდეს, ბატონიშვილსა (ქაიხოსროს) მე ვახლდი, იესე ჩემი მარევდეს, ხვანთქრის კარზედან წავედით, გზად ჩვენთვის დარნი დარეკდეს (ტ. 415).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოდის, რომ სამცხედან მოურავი პირდაპირ სტამბოლს წასულა. მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ უნდა ყოფილიყო, მით უმეტეს, რომ დიდი ვეზირი ამ დროს ლაშქრით მცირე აზიაში იმყოფებოდა. როგორც ჩანს, მოურავს მაშინვე კავშირი დაუკავებია დიდ ვეზირთან. როდესაც სპარსელებმა ახალციხის მხარე დაიკავეს, ის იძულებული იქნებოდა თავისი ცოლშვილითურთ ამ მხარეს გაცლოდა და ოლთის-არტანუჯის მხარეში გადასულიყო. აქედან ის დიდი ვეზირის მოწოდებით მიდის არზრუმზე თავისი მხლებელი ქართველებით და ადგილობრივი ჯარით. მოურავს თან მიუტანია ერთი დიდი საალყო ზარბაზანი, ორი ზარბაზანიც დიდ-ვეზირს ამ დროს მიუღია ოლთისიდან. საერთოდ მოურავის მისვლას არზრუმთან ოსმალურ წყაროსვე დამოწმებით ჰქონია დიდი ვეზირის ჯარისთვის ერთგვარი გამამხნევებელი მნიშვნელობა. ალყა გაგრძელდა 70 დღე, ისე რომ არავითარი შედეგისთვის დიდ-ვეზირს არ მიუღწევია. ამის შემდეგ კი მოვიდა დიდი თოვლი (1627 წ. ნოემბრის ბოლოს) და ჯარიც გაბრუნდა ქალაქ ტოკატისაკენ (მცირე აზიაში) დიდი ზარალით როგორც ადამიანების, ისე საბარგულების სახით. ამ ჯარმა მიაღწია 25 დღის სიარულის შემდეგ ქ. ტოკატს.

აბაზა-ფაშის მიმართ ამ უშედეგოდ ლაშქრობას მოჰყვა დიდად მოხუცებულ დიდ-ვეზირის ხალილ-ფაშის გადაყენება (აპრ. 1628 წ.). ის დანიშნულ იქმნა მეორე ვეზირად და მალე მოკვდა კიდეც. მის მაგივრად დიდ-ვეზირად რამდენიმე ხნის შემდეგ დანიშნული იქმნა ვეზირი ხოსროვ-ფაშა, წარმოშობით ბოსნიელი. მან მიიღო ეს დანიშნულება მაშინ, როდესაც მთავარი სარდლის როლში ის უკვე გზად მიემართებოდა აბაზა-ფაშის წინააღმდეგ სალაშქროდ. ივნისის დასაწყისს 1628 წ. ხოსროვ-ფაშა ქ. ტოკატიდან გავიდა აღმოსავლეთისაკენ. მოურავი, როგორც ჩანს, წარუდგა ახალს დიდ-ვეზირს, გადავიდა სუნიტურ მაჰმადიანობაში და იწოდა მუჰამმედ-ბეგად. მას მიეცა ყაფუჩი-ბაშობა (მეკარეთ-უხუცესობა), რომელიც წარმოადგენდა ერთ-ერთ უმაღლეს თანამდებობას ოსმალეთის სახელმწიფოში.

უფრო საფიქრებელია, რომ მოურავის ცხოვრებაში ეს ახალი ცვლილებანი იყო სტამბოლს მისი მყოფობის შემდეგ. მას შემდეგ, რაც ხალილ-ფაშის ლაშქარმა მოხსნა ალყა არზრუმს, გიორგი საკაძე თვით დიდ-ვეზირს გაჰყვებოდა და 1628 წლის იანვარში, ჩავიდოდა სტამბოლს. აი აქ მოხდა, როგორც ჩანს, მოურავის გადასვლა სუნიტურ მაჰმადიანობაში და მის მიერ ყაფუჩი-ბაშობის მიღება. ფარსადან გიორგიჯანიძე თითქოს ადასტურებს, რომ მოურავი ამ დროს სტამბოლში დიდის პატივით მიუღიათ. „მოურავი, მუხრანის ბატონი, ქსნის ერისთავი და (ამათ) ზოგნი სხვა საპატიო კაცისშვილნი (თავადები) თან გადიტანეს და ხონთქართან მივიდნეს. სამი-ოთხი საფაშო სარჩოთ გაუჩინეს, დიდი პატივი დასდვეს. ყაენი და ხონთქარი შეღლობდნენ ბაღდადს ზედან და ხოსროვ-ფაშა დიდის ლაშქრით ბაღდადსზედ გამოუძახეს. მოურავი და ვინც მასთან ქართველნი იყვნენ, ხოსროვ-ფაშას გამოატანეს და ბაღდადსზედ გამოისტუმრეს“ (ფარს. გიორგიჯანიძე).

ფარსადან გიორგიჯანიძეს აქ ერთი შეცდომა აქვს, სახელდობრ ხოსროვ-ფაშა მიდიოდა არა ბაღდადზე, არამედ აბაზა-ფაშის ჯანყის ჩასაქრობდ. მო-

ურავის და მისი მხლებელი ქართველების შესახებ ფარსადანის ცნობები არ არის მთლად ზუსტი. ის წერს შედარებით გვიან და ამ ამბებისაგან საკმაოდ დაშორებით და, როგორც სჩანს, ზეპირად გაგონილ ცნობების მიხედვით. მაგ., ცნობა იმის შესახებ, რომ მოურავისა და მისი ქართველებისადმი ოსმალეთის მთავრობას სარჩოდ 3 — 4 საფაშო მიეცეს, უეჭველად დიდად გაზვიადებულია. მაგრამ არსებითად ფარსადანიც ადასტურებს იმას, რომ მოურავი 1628 წლის დასაწყისს მართლაც ჩასულა სტამბოლს. იქ როგორც ოსმალეთისთვის ნამსახური კაცი და თავისთავადაც შესანიშნავი პიროვნება საკმაოდ უზრუნველუყვიათ და მაღალი ხარისხითაც დაუჯილდოვებიათ და შემდეგ გამოუსტუმრებიათ კვლავ არზრუმისაკენ სალაშქროდ.

„დიდ-მოურავიანის“ ავტორის ცნობით, — გიორგი სააკაძე სტამბოლში მიუღიათ ძლიერ კარგად. ის წარუდგა სულტან მურად IV-ს, რომელიც ამ დროს 16 წლისა იყო:

„ხელმწიფეს მუხლსა ვაკოცე, სიტყვა მიბრძანა თქმისანი,
ვკადრე, — თქვენს ხმალსა მოვენდევ, ყმობა ვერა ვქენ სხვისანი“.

სულთანი მას მოჰპყრობია პატივისცემით:

„მიბრძანა — ჩემი წყალობა შენზედა უშურველია“.
სამცხეს რაც ციხე აიღე, მთქმია, არც ხანი ძველია.
რაცა გწადს, იმას დაგმართებ, მე ვით ვარ შენი მშველია
და მოგცე ციხე და ქალაქნი, ქვეყანა აზრუმელია!..“
რაც ხანი დავჰყავ, მომაპყრა პატივი დიდ-საფერია,
ცხენსა შებძანდის, გვიბძანის (თან-გაყოლა), შევსხდით, ჩვენც ვნახოთ ერია“...

სულთანმა უბრძანა იენიჩარ-აღას (იენიჩარების უფროსს) — დაეთვალიერებინა მოურავისთვის თოფხანა და სტამბოლის მთელი სიმაგრეები. საერთოდ მოურავი სტამბოლში უმაღლესი ფენების დიდს ყურადღებას იპყრობდა:

„აწ ვისლა ახსოვს, რა ვნახეთ ბეგლარბეგ, რა ხანანია“.
(ე. ი. რა ბეგლარბეგები და სასახლეები ვნახეთო).

ეს ზამთარი და ზაფხულიც (1628 წ.) მოურავმა, როგორც სჩანს, დაჰყო სტამბოლს. სივასიდან დიდი ვეზირი დაჩქარებით ცხენოსანი ჯარით და აბაზა-ფაშისთვის მოულოდნელად მიადგა არზრუმს (27 აგვ. 1628 წ.). ეს მისი მსვლელობა იმდენად სწრაფი იყო (ცხენოსნის 4 დღის გზა მან ამ ორ დღეში გაიარა), რომ არტილერიამ მიაღწია დიდ-ვეზირის ბანაკს მხოლოდ 3 დღის შემდეგ. მოულოდნელობის გამო აბაზა-ფაშამ ვერ მოასწრო არზრუმის ციხეში შესვლა. ამ წლის მოსავალი ჯერ აღებული არ იყო და ამიტომ ციხის მომარაგებაც სურსათით არ მოესწრო. ხოსროვ-ფაშამ ალყა შემოარტყა არზრუმს. თვითონ თავისი მთავარი ჯარით მიადგა ქალაქს დევებოინის მხრიდან. აქედან მათ დაუშინეს ციხეს 7 ზარბაზანი. აჰმედ-ფაშას ეკავა პოზიციები ქალაქის მეორე ნაწილის კინბედის მხარეს, ხოლო მოურავ-მუჰამედ-ბეგს (გიორგი სააკაძეს) ეჭირა სანგრები ეგრედ წოდებულ გურჯი-ბოღაზის ანუ ქართველთა-ყელის მხრიდან (სექტ. 1628 წ.). როგორც ჩანს, მოურავს თან ჰყავდა ოსმალეთის ხელქვეითი მესხეთის (არტაან-არტანუჯ-თორთუმის) ჯარი.

აბაზა-ფაშის დასახმარებლად მოდიოდა სპარსელების ჯარი შემსი-ხანის წინამძღოლობით. მაგრამ არზრუმის ალყა იმდენად ენერგიულად მიდიოდა,

რომ არზრუმის ციხე-ქალაქი გაჭირვებაში ჩავარდა და ამიტომ ალყის 14 დღის შემდეგ აბაზა-ფაშამ გამართა დიდ-ვეზირთან მოლაპარაკება დამორჩილების და შერიგების შესახებ. უფრო, როგორც ჩანს, სპარსელების ალარის მოახლოვების შიშით დიდ-ვეზირი წავიდა დათმობაზე და [illegible] აბაზა-ფაშის დამორჩილებაზე წარსულის პატიების და საზოგადოდ უვნებლობის პირობით. ამ საფუძველზე მოხდა გარიგება. აბაზა-ფაშა პატიებულ იქმნა და მალე ის დაინიშნა ბოსნიის მართველ ფაშად ბალკანეთის ნახევარ-კუნძულზე (დეკ. 1628 წ.)

რომ არზრუმის და თვით აბაზა-ფაშის დამორჩილებაში დიდი როლი შეასრულა გიორგი საკაძემ, ეს ცხადად სჩანს ფარსადან გიორგიჯანიძის მოწმობიდან. „როდესაც ხოსროვ-ფაშა და მოურავი, სწერს ის, „აზრუმს მოვიდნენ, აბაზა-ფაშა ჯალალი (მოაჯანყე) შეიქნა (შექმნილიყო) და აზრუმის ციხე უკუიჭირა. ხოსროვ-ფაშა შემოადგა (ამ ციხეს) და მრავლის სარჯლით აიღეს და მოურავი და ქართველნი ციხის აღებაზედ ნამეტნავად კარგად ყოფილიყვნენ. ხონთქარსაც ამათის ქების ანბავი მისვლოდა და ასეც მოხსენებოდა: თუ მოურავი არ ყოფილიყო, ციხეს (და აბაზა-ფაშას დიდ-ვეზირი) ვერ აიღებდაო. ხონთქრის დაი ხოსროვ-ფაშის ცოლი ყოფილა და ქმრისათვის მოუწერია — ვეზირ-აზამი (დიდ-ვეზირი) ხარ და სარასქირი (მთავარსარდალი); მოურავის ქება მოდის და თქვენი არაო“. ამიტომაც, გადმოგვცემს გიორგიჯანიძე, შურით დიდ-ვეზირმა დაახოცინა მოურავი და მისი მხლებელი ქართველების ნაწილი. ცნობა იმის შესახებ, რომ დიდ-ვეზირმა, სულთანის სიძემ, თავისი ცოლის მოწერით და შურიანობის ნიადაგზე მოაკვლევინა მოურავი, მოთავსებულია „დიდ-მოურავიანშიც“. როგორც სჩანს, მე-17 საუკუნის ნახევარში ეს ვერსია ჩვენში საკმაოდ გავრცელებული და გაბატონებულიც ყოფილა. მართალია, ხოსროვ-ფაშა ცნობილი იყო როგორც უნიჭო სარდალი, მაგრამ ის არ ყოფილა სულთანის სიძე. სულთანის სიძე იყო დიდ-ვეზირი ჰაფიზ-აჰმედ ფაშა, რომელიც დიდ-ვეზირად იყო 1625 — 1626 წლებში, შემდეგ ის გადააყენეს და ხელმეორედ აღადგინეს ხოსროვ-ფაშის შემდეგ 1631 წლის ოქტომბერში, მაგრამ 4 თვის შემდეგ მაინც მოკლულ იქნა.

ამიტომ ეს ვერსია სინამდვილის მხრივ ეჭვს იწვევს, მით უმეტეს, რომ ის საკმაოდ გულუბრყვილოდაც არის შედგენილი. არსებითად ძნელი დასაჯერებელია, რომ სულთანის სიძეს დიდ-ვეზირისათვის მოურავის მიერ არზრუმთან თავის გამოჩენას რაიმე უარყოფითი შედეგები ჰქონოდა და დიდ-ვეზირს ასეთი შურისა და კონკურენციის ნიადაგზე მოურავი სიკვდილით დაესაჯოს.

მართლაც, სულთან მურად IV-ის ათი წლის დაი 1626 წ. დეკემბერში ცოლად შეირთო სწორედ ამ ხანებში (1 დეკ. 1626 წ.) დიდ-ვეზირობიდან გადაყენებულმა ჰაფიზ-ახმედ-ფაშამ, რომელიც დიდ-ვეზირად ორ წელიწადს იყო და ეხლა ჩვეულებრივ ვეზირად დაინიშნა. სულთანის ეს დაი გიორგი საკაძის მოკვლის წელს 13 წლისაც არ იქნებოდა და საეჭვოა, რომ ასეთ ყმაწვილ ქალს რთული პოლიტიკური ინტრიგების წარმოება შესძლებოდეს ან თვითონაც ასეთებში გარეულიყო.

მოურავის მკვლელი ხოსროვ-ფაშა ამგვარად არც იყო სულთანის სიძე, მაგრამ მოურავის არაჩვეულებრივ დიდ ქებას შეიძლება მართლაც დაეჩრდილა მისი, როგორც სერასკირის (მთავარსარდლის), სახელი. ამიტომ სავსებით შესაძლებელია, რომ ამ ვერსიაში სინამდვილეს შეეფერებოდეს ის, რომ 1) მო-

ურავს არზრუმის ალყის დროს არაჩვეულებრივად თავი გამოუჩენია. ხოსროვ-ფაშის მტრები სტამბოლში ეცდებოდნენ მოურავის ღვაწლი დაპირდაპირებინათ სერასკირის უნიჭოებისათვის; 2) მოურავის და მისი ქართველების რეპუტაცია სტამბოლის მართველ წრეებში არაჩვეულებრივ [illegible]; მართალი უნდა იყოს სულთანის მიერ მოურავის ქებაც; 3) ყველაფერ ამას შეეძლო გამოეწვია დიდ-ვეზირის ხოსროვ-ფაშის დიდი უკმაყოფილება, თუ მით უმეტეს მოურავის ქებამ ისეთი ხასიათი მიიღო, რომ მისი (ხოსროვ-ფაშის), როგორც სერასკირის, რეპუტაციას ზიანი მიეცა. ასეთ პირობებში სავსებით საფიქრებელია, რომ ხოსროვ-ფაშა მართლაც გამსჭვალულიყო შურით მოურავისადმი და გამხდარიყო მის ჩუმ, მაგრამ საშიშ მტრად. არზრუმთან თავის გამოჩენა იყო ამგვარად ახალი დიდი სიხარულის მომცემი მოურავისთვის, მაგრამ ამავე დროს მისი დაღუპვის დასაწყისიც.

1628 წლის დეკემბრის დასაწყისს დიდ-ვეზირი ხოსროვ-ფაშა დაბრუნდა სტამბოლს და დიდის ტრიუმფით შევიდა ქალაქში. მასთან ერთად ამ ტრიუმფის ასე თუ ისე მონაწილე უნდა ყოფილიყო გიორგი სააკაძეც. ამ დროს. საფიქრებელია, რომ მოურავს მიეცა სამფლობელო არზრუმის მხარეში, ე. ი. იქ, სადაც მან თავი ისახელა. რომ არზრუმის მხარეში მოურავს ჰქონდა მამულები, ამას მოწმობს „დიდ-მოურავიანი", რომლის მიხედვით სულთანი, თითქოს ეუბნება მოურავს:—„მოგცე ციხე და ქალაქნი, ქვეყანა აზრუმელია". როდესაც როსტომ მეფემ გიორგი სააკაძის შვილისშვილი იორამ სააკაძე დაბრუნა საქართველოში, ამის შესახებ სიგელში ის სწერდა: „ჟამსა მეფობისა ჩვენისასა მოურავის-შვილები (ე. ი. მოურავის შვილისშვილები) მოგიკითხეთ და შევიტყევით, რომ არზრუმში ხონთქრის წყალობით სცხოვრობდით"... ცხადია, რომ იორამ სააკაძეს არზრუმსა და მის მხარეში თავისი პაპის მამულები ჰქონდა ხელთ.

1629 წ. ზაფხულში მოურავი სულთანის ბრძანებით გაგზავნილ იქმნა ქ. კონიას მხარეში სოხტების მიერ გამოწვეული მოძრაობის ჩასაქრობად. სოხტები (სპარს. სიტყვა სუხტე — დამწვარი, იგულისხმება სარწმუნოების სიყვარულით დამწვარი) ანუ სუფტები იყვნენ რელიგიური სასწავლებლების სტუდენტები, რომლისგანაც ხშირად გამოდიოდნენ მუსულმანური ფანატიზმით გამსჭვალული პირნი. რა ამოქმედებდათ სუხტებს ამ დროს ცენტრალური მთავრობის წინააღმდეგ, ეს არა ჩანს, მაგრამ ცხადია, რომ სუხტების განწყობილებაზე გავლენას ახდენდა ის დიდი წინააღმდეგობა, რომელიც ამ დროს არსებობდა ლაშქარში იენიჩარებსა და სიპაებსა ერთის მხრივ და ლევენდსა და სენგანებს შორის — მეორეს მხრივ (ყველა ესენი ოსმალეთის ლაშქრის ცალკე კატეგორიებს წარმოადგენდნენ). თავისი აღზრდით და მიღებული განათლებით სოხტები (სუფტები) მხარს უჭერდნენ ძველს ტრადიციულ წესებს, ისინი იყვნენ ყოველ ახალი ცვლილებების წინააღმდეგნი. რადგანაც ამ დროს საშიშ ძალას მთავრობისა და სულთანისათვის იენიჩარები წარმოადგენდნენ, ამიტომ საფიქრებელია, რომ სოხტების მეთაურობით ქ. კონიაში და მის მხარეში მოწყობილი მოძრაობა იყო იმ ოპოზიციონური განწყობილების ანარეკლი, რომელსაც სტამბოლში წარმოადგენდნენ იენიჩარების აჯანყებანი.

გიორგი სააკაძე მივიდა სოხტებთან, გაურიგდა მათ და დაუმეგობრდა.

„... დავდექით, დავიწყეთ ჩვენ მათში ვაჭრობანია.
ზოგნი მეგობრად ვიჩემეთ, ზოგთ ძმობილ ვითა ძმანია.
დაწყნარდეს, იარებოდეს მათში სულ ჩვენი ყმანია"...

მაგრამ მალე სულთანისაგან მოვიდა ბრძანება სოხტების განადგურების შესახებ. ამ ბრძანების მიხედვით, როგორც „დიდ-მოურავიანი“ აღაპარაკებს გიორგი საკაძეს,

„შეუხედით დანდობილთა, ოთხგზით გზანი შეუკარით,
გარდუედით სიმაგრესა გალავნისა ციხის კარით,
მხრით თეძოსა ხმალი ვასვით, ვინ ფეხდადგმივ შემოვკარით,
და ვირემდისი არ გავსწყვიტეთ, განძს არვინ ვყავ მინაკარით!
შიგ დავდეგით, იქ ვიზამთრეთ, საქონლითა ავივსენით...
ხემწიფესა მოვახსენეთ წიგნითა და კაის ენით:
სიტყვა თქვენი გავათავეთ. რაც გვიბძანეთ, ისე ვქენით.
და განდგომილნი ამოვსწყვიტეთ, ჩვენ შევქენით სისხლთა დენით“.

„დიდ-მოურავიანი“-ს ცნობით, გიორგი საკაძის მიერ ამ ციხის აღების დროს (უნდა იგულისხმებოდეს თვით კონიის ციხე) წამოღებული თოფები ოცი ურმით გაგზავნილ იქმნა სულთანის კარზე. სულთანმა გამოუგზავნა მოურავს ქების წიგნი და ხალათი საჩუქრად.

ოსმალეთში მოურავის დაწინაურების შესახებ ნაიმა გადმოგვცემს შემდეგს:

„მოურავი არზრუმზე ლაშქრობის დროს ღებულობდა მონაწილეობას ამ ლაშქარში და ემორჩილებოდა სარდალს. როდესაც ის სტამბოლში ჩამოვიდა, მის მიერ ყიზილბაშებისთვის მიყენებული ზარალი მას ჩაუთვალეს დამსახურებად. მან მიიღო მაჰმადიანობა და იწოდებოდა მუჰამედად. მას მოეპყრნენ პატივისცემით და ის დანიშნეს ყარამანის ვილაიეტის (ოლქის) გამგედ. მართლაც ის იყო მეტად გულადი და მამაცი ადამიანი. ტანით ის ჰგავდა სპილოს და საზოგადოდ იშვიათი აჩრიმანი (მოხერხებული) იყო. მაგრამ სახელმწიფო საქმეში უვიცი სჩანდა. მის პიროვნებას ახასიათებდა ძალადობა და მძლავრობა. ამ დროს ზოგიერთმა ხუმარამ შეადგინა მის შესახებ შაირი, რომელშიაც ის ესაუბრება თავის თავს იმის გამო, რომ ზოგნი მის დანიშვნას ვილაიეტის გამგედ მეტისმეტად სთვლიდნენ და ამიტომ მასხრად იგდებდნენ მას:

მე ვარ მსმელი, მივირთმევ ღვინოსა ფლავით.
მე ტანითა ვარ მსხვილი როგორც ხარი.
არ ვარ წარმართი, არც მუსლიმი და იუდეი.
მე ვარ ყარამანის მირ-მირან — მოურავი.

„მოურავმა დანიშნა გადასახადების მიმღებად ერთი ხუცესი, რომელიც ძალადობას მიმართავდა. ეს ხუცესი იყო მისი ძველი ყმათაგანი. მოურავმა ის გაგზავნა აზნაურების რაზმით კონიაში. მოურავის კაცებს თავსაბურავი ჰქონდათ სპარსელების ყაიდაზე. ესენი იყვნენ ქართველები, რომელთაც არ იცოდნენ ოსმალების წესები და ჩვევები. მათ დაუწყეს მოსახლეობას შეწუხება, ართმევდნენ ამ მოსახლეობას ქონებას და ავიწროვებდნენ წარჩინებულ პირთ. მათ გაჰკრიჭეს რამდენიმე ქალიშვილი, შეჰსვეს ისინი ცხენებზე და თან დაჰყავდათ, როგორც უწვერონი ღულამები (იგულისხმება ყმაწვილი მამაკაცები). მათი და კონიას ველზე მჯდომ გადასახადების მიმღების — ხუცესის ძალადობამ მოსახლეობის მოთმინებას გადააჭარბა. სეიდ-იბრაიმ-ჩელები, რომელსაც მეორე სახელად ეძახდნენ აყ-ყაშ-ემერ-ოღლუს, იყო მედგარ და კადნიერ კონიელების მეთაური, ცნობილი იმავე დროს თავისი უშიშარობით. ის იყო უფ-

როსი შეიხის ნაიბი. მან შეკრიბა ფანატიკურ მუსულმანთა ბრბო და თავს დაესხა ქართველების კარვებს. სეიდ-იბრაიმმა სტაცა ხელი კისერში გადასახადების მიმღებ ხუცესს და წაიყვანა ის კონიას ციხეში, სადაც [illegible] ეიდეც დანარჩენმა ქართველებმა ეს რომ დაინახეს, უწესრიგოდ [illegible]

ამ გამოსვლის შემდეგ სეიდ-იბრაიმის მითითებით კონიას მოსახლეობა შეიკრიბა და შეადგინა თხოვნა, რომელშიაც ისინი ასწერდნენ მოურავ-ბეგის ხელქვეით ქართველების მიერ მიყენებულ შეწუხებას და ძალადობას, აგრეთვე იმ უწესობას, რომელთაც ისინი ჩადიოდნენ ქალაქ კონიაში. მათ მიიღეს ვილაიეტის ყადის ნებართვაც. მოჩივართა ერთი ჯგუფის მეთაურები ულემების და ყარიბების სახით წავიდნენ სადრაზამ (დიდ-ვეზირ) ხოსროვ-ფაშასთან, გადასცეს მას თავისი განცხადება და თხოვნა, იჩივლეს ძალადობაზე და სთხოვეს მას დახმარება. სარდალმა განცხადებიდან გაიგო იმ ძალადობათა, უბედურებათა და საძაგლობათა შესახებ, რომელნიც ჩაიდინეს ქართველებმა. ეს მისთვის ცხადი შეიქნა მოჩივართა სიტყვიერ განცხადებიდანაც. როდესაც ყველა ეს ძალადობანი და საძაგლობანი მტკიცედ დადასტურდა, მოურავი შეშინდა და გაიქცა. მის გამოსადევნებლად გაგზავნეს ანატოლიის ბეგლარ ბეგი ზორ-ფაშა მოჰარემის თვის 8-ს. მოურავ-ბეგის დასადევნებლად გაგზავნეს აგრეთვე სანჯაყ-ბეგი ნიიდეც. სეფერის თვის დასაწყისში (ეს არის მუსულმანური წელიწადის მეორე თვე) მათ (იგულისხმება დიდ ვეზირმა და მისმა ლაშქარმა) მიაღწიეს ჰალეპოს და გაჩერდნენ გეკ-მეიდანზე. მეხუთე დღეს იქ მივიდა აგრეთვე შამის (დამასკის) ვალი კუჩუკ-ახმედ-ფაშა და მაშინ მოეწყო საზეიმო მსვლელობა".

აქ მოხსენებული დიდ-ვეზირი ხოსროვ-ფაშა 1629 წლის ზაფხულში ლაშქრით წამოსულიყო სპარსეთის წინააღმდეგ ჰამადანზე გასალაშქრებლად. სკუტარიდან (სტამბოლის პირდაპირ მდებარე პუნქტიდან) ლაშქარი დაიძრა მცირე-აზიისაკენ (ივლ. 1629 წ.). დიდ-ვეზირის ეს ლაშქრობა გზა-და გზა აღინიშნებოდა სისხლისმღვრელი ქმედობით. მთელი რიგი მაღალი თანამდებობის პირნი სიკვდილით იქმნენ დასჯილი. თვით ქალაქ კონიაში ხოსროვ-ფაშას მოურავის მიმართ არაფერი ცუდი არ ჩაუდენია და მხოლოდ კონიიდან გასვლის შემდეგ დიდ-ვეზირს მოუვიდა ქართველებზე საჩივრები, რომლითაც ხოსროვ-ფაშამ ისარგებლა მოურავთან თავისი პირადი ანგარიშების გასასწორებლად. ნაიმას მოჰყავს ამ ამბების თითქმის თანამედროვე ქიათიბ-ჩელების ცნობა მოურავის დაღუპვის შესახებ.

„ქიათიბ-ჩელები, ამბობს ნაიმა, გადმოგვცემს: ზემოდხსენებული მოურავი ენდობოდა თავის დამსახურებას ოსმალეთის სახელმწიფოს წინაშე, რაც გამოიხატებოდა ყარჩღაი-ხანის დამარცხებაში და მრავალრიცხოვან ყიზილბაშ მეომრების ამოწყვეტაში. ამიტომ ის მივიდა სარდალ ხალილ-ფაშასთან და გამოიცვალა კიდეც თავისი სარწმუნოება. მაგრამ ის მიჩვეული იყო საქართველოს მართველობის წესებს და არ იცნობდა მუსულმანურ (იგულისხმება ოსმალურ) ქვეყნების მდგომარეობას. ის უდარდელი და უზრუნველი იყო წესრიგის დამყარების საკითხებში. ის ძალადობანი და შეწუხებანი, რომელსაც სჩადიოდა მოურავის გარშემო მყოფი ავაზაკების ჯგუფი, მიეწერა თვით მას. მოჩივარნი წავიდნენ დიდ-ვეზირთან. ზოგიერთი მეგობარი აფრთხილებდა მოურავს, რომ ხოსროვ-ფაშა სისხლის-მსმელი ბატონია და შესაძლებელია არ დაგზოგოსო. ამით მათ შეიყვანეს მოურავი შეცდომაში და ურჩიეს მას

გაქცევა. მოურავი არ იცნობდა იმ ქვეყანას, სადაც უნდა წასულიყო. მან იფიქრა, რომ როგორც საქართველოში აქვთ გაქცეულთ შესაძლებლობა თავის შეფარების, აქაც ასე მოახერხებდა. მაგრამ რადგანაც მან არ იცოდა არც გზები და არც მიმართულება, ამიტომ ის წავიდა მალათიაკენ. ხოსროვ-ფაშა, რომელსაც დავალებული ჰქონდა მოურავის შეპყრობა, მოეწია მას. მან გაუგზავნა მოურავს კაცი რჩევით და მითითებით, რომ მისი გაქცევა შეუძლებელია და წინააღმდეგობის გაწევაც მას ხსნას ვერ მოუპოვებს. ულონო ქმნილი მოურავი მიხვდა, რომ წინააღმდეგობის გაწევა არავითარ შედეგს არ მოიტანს და იძულებული გახდა დამორჩილებულიყო. თვითონ მოურავი, მისი შვილი და მისი ხელქვეითნი შეჰკრეს და სეფერის თვის მე-14 დღეს (ე. ი. 1629 წ. 12 სექტემბერს ახალი სტილით) მიიყვანეს ჰალეპოში. დიდმა ვეზირმა გააღო (კარავის) წინა-ოთახი და აღვიდა საჯდომზე. საშუალო ტანის თეთრწვერიან მოურავს ხელებზე ჰქონდა ბორკილები. მას ყვითელი ხალათი ეცვა, იჯდა სატვირთო ცხენზე. მას თან ახლდნენ 40-მდის ხელქვეითნი და შვილიც. ფაშამ ბრძანება გასცა ყველასთვის თავი მოეკვეთათ. თავი მოკვეთეს ჯერ მოურავს, შემდეგ მის შვილს და შემდეგ მის დანარჩენ ხელქვეითთ. მათი თავები დავარდა მიწაზე.

„ხოსროვ-ფაშა იყო კაცი სისხლისმსმელი და ტირანი. მხოლოდ სისხლის ღვრისადმი თავისი სიყვარულის გამო დაღვარა სისხლი მან ასეთი მოხუცი ლაზისა (ლაზი — ურჯულოებზე გამარჯვებულთა ეპიტეტი), რომელსაც დიდი დამსახურება ჰქონდა, რომელმაც უარი სთქვა თავის ცრუ სარწმუნოებაზე და მიიღო ისლამი. ხოსროვ-ფაშამ ის მოჰკლა ცრუ შეწამების საფუძველზე, რომ თითქოს მოურავს შეეძლო საქართველოში გაქცევა. ამგვარად ხოსროვ-ფაშამ შური იძია სპარსეთის შაჰის მაგივრად. ამის შემდეგ გამოშვებულ იქმნა ხოსროვ-ფაშის ბრძანება, რომ არავინ მოწინააღმდეგეთა ჯგუფიდან არ უნდა მიაღწიოს ალ-ოსმანის ხარისხებს (ე. ი. არც ერთი ქართველთაგანი არ დაწინაურდეს ოსმალეთის სამსახურში). რომ სპარსეთის შაჰებს გარდაეხადათ რამდენიმე ასი ათასი აყჩა (წვრილი თეთრი ფული) და გაეცათ რამდენიმე ქვეყანა, მაშინაც წინანდელი ფადიშაჰები (სულთანები ოსმალეთისა) არ დასთანხმდებოდნენ ამაზე და არ ჩასთვლიდნენ ამას ჭკვიან ღონისძიებად.

„მაგრამ ამ უვიცმა ვექილმა (მმართველმა) მხოლოდ თავისი მისწრაფების გამო სისხლის ღვრისაკენ ჩაიდინა ეს საზიზღარი და საძაგელი ბოროტმოქმედება. ვითომ დამტკიცებული იყო, რომ მოურავმა ჩაიდინა ძალადობა და შეწუხება ხალხის მიმართ და ამიტომ საჭირო იყო ხალხის უფლების აღდგენა და სამართლიანობის დამყარებაც! ნამდვილად კი უფრო მიზანშეწონილი და საჭირო იქნებოდა იმისი დადგენა, რომ მომავალში არავის ჩაედინა ასეთი ძალადობა და დანაშაული, როგორიც იყო ასეთი ცნობილი და მამაცი ადამიანის ვერაგულად აშკარა მოკვლა“.

ასე უარყოფითად უყურებს ოსმალური წყარო გიორგი სააკაძის მოკვლას.

მართლაც მოურავის წინააღმდეგ დიდ-ვეზირის მიერ წამოყენებული ბრალდება სრულებით არ შეეფერებოდა სინამდვილეს. მოურავს არც თავისი ძდგომარეობით და არც თავისი ხნოვანობით არ შეეძლო ქალების მოტაცებაში მონაწილეობა მიეღო. მაგრამ დიდ-ვეზირი უკვე კარგა ხანია მისდამი პირადი შურით იყო აღვსილი. ის ეძიებდა მხოლოდ საბაბს მოურავის დასაღუპავად და ეს საბაბიც გაჩნდა, როდესაც მოურავის ამალის რამდენიმე ქარ-

თველმა ჩაიდინა უმსგავსო საქმე (ქალიშვილების მოტაცება), რასაც უფრო ძძიმე შედეგები მოჰყვებოდა, უკეთუ წაყვანილ ქალიშვილებს შორის ადგილობრივი გავლენიანი პირების შვილებიც აღმოჩნდებოდნენ.

ქ. ჰალეპოში დიდ-ვეზირის ხოსროვ-ფაშის ბრძანებით სიკვდილი დაეკელი იქმნენ, როგორც ჩანს ახალგაზრდები, რომელნიც დამნაშავენი იყვნენ ქალიშვილების მოტაცებაში. ამას ამტკიცებს ვახუშტის მიერ შემონახული ერთი ცნობა. დასასჯელთა შორის იყო გორგასლის შვილი ბეჟანი (საფიქრებელია ქართლელი თავადიშვილი ჩხეიძე), რომელსაც წამოჰყოლოდა მისი მამაც. მამამ გორგასალმა მისცა ქრთამი ჯალათს, რათა მას თავი მოეჭრა შვილის მაგივრად მისთვის. ჯალათმა შეასრულა ეს და ბეჟანიც გადარჩა.

ფარსადან გიორგიჯანიძის სიტყვებიდანაც სჩანს, რომ გიორგი სააკაძე მართლაც უდანაშაულოდ დაიღუპა და ამაში დარწმუნებული იყვნენ ოსმალეთის ხელმძღვანელი წრეებიც. ის ამბობს, რომ როდესაც გიორგი სააკაძის მოკვლის „ამბავი ხონთქარს მოუვიდა, მეტად იწყინა, მაგრამ სანამ ხოსროვ-ფაშა ბაღდადით არ გაბრუნდა, არა თქვა რა. რა მოვიდა, ხონთქარმან ჰკითხა — სად არის მოურავიო. იმან მოახსენა — რაფუზი (არაბ. რაფიზ ნიშნავს განდგომილს) იყო და მოვაკვლევინეო. ხონთქარმან ბრძანა — ჯალათ გელსუნ (ოსმალურად — ჯალათი მოვიდესო). მისცეს (ჯალათს დიდი ვეზირი) ხელთა და დიდის სარჯლით მოაკვლევინეს ხოსრო-ფაშა“.

გიორგიჯანიძის ეს ცნობა არ არის ზუსტი. ხოსროვ-ფაშამ ჰალეპოდან განაგრძო ლაშქრობა ირანის მიმართულებით. 1630 წლის იანვრის ბოლოს ის მოსულიდან მიემართება ჰამადანისაკენ, სადაც მან მიაღწია კიდეც 10 ივნ. 1630 წ. აქედან ის გაემართა ბაღდადზე. იმავე წლის სექტემბერში დაიწყო ალყით ბაღდადის გარემოცვა, მაგრამ ბაღდადი სპარსელებს კარგად ჰქონდათ გამაგრებული. ზამთრის დაწყებისას ქალაქზე მიტანილ იერიშის უშედეგოდ ჩავლის შემდეგ ხოსროვ-ფაშა იძულებული გახდა ბაღდადისათვის ალყა მოეხსნა (14 ნოემბერს. 1630 წ.) და უკან გაბრუნებულიყო. ზამთარი დიდ-ვეზირმა გაატარა დიარბექირის სამხრეთით ქალაქ მარდინში, საიდანაც მან სთხოვა სულთანს მომავალ წლისათვის ყირიმელ დამხმარე ჯარების მასთან გაგზავნა. ეს ყირიმელი ჯარი მან ვერ მიიღო, ისე რომ 1631 წლის შუა ზაფხულს ის მარდინიდან გაემართა აღმოსავლეთით მოსულისაკენ, მაგრამ სექტემბრის დასაწყისს მას აუჯანყდნენ ხანგრძლივი ლაშქრობით თავმობეზრებული სიპაები და იანიჩარები, ასე რომ იგი იძულებული შეიქმნა დიარბექირს დაბრუნებულიყო.

ნოემბრის დასაწყისს ხოსროვ-ფაშა დაბანაკდა ჰალეპოში. ამ დროს უკვე ჩამოსული იყო ყირიმელი თათრების ჯარი, რომელიც დაბანაკდა არზრუმის მხარეში.

ამასობაში სტამბოლს წყდებოდა ხოსროვ-ფაშის ბედი. მისი მტრები იყვნენ სულთანის სიძე ყოფილი დიდ-ვეზირი ჰაფის-ფაშა და დეფტერდარი (ფინანსთა მინისტრი) მუსტაფა-ფაშა. ხოსროვ-ფაშამ იცოდა ეს გარემოება და ცდილობდა ისინი მოტყუებით ჩამოეყვანა თავის ბანაკში. ამ მიზნით მან აცნობა სულთანს, თითქოს სიპაიები თხოულობენ ორივე ამ ფაშის ჩასვლას ლაშქარში. ჰაფისმა და მუსტაფამ კარგად იცოდნენ, რომ ამ მოთხოვნის შესრულება გამოიწვევდა მათ დაწინაურებას კი არა, არამედ თავის დაკარგვას. ამიტომ მათ თავისი მხრივ სულთანის ნდობის მქონე მუფტის ჰასანის დახმარებით გა-

მოსჭედეს მისი და კაიმაკამის წინააღმდეგ მახვილი. მათ გადაუშალეს სულთანს ხოსროვ-ფაშის, როგორც სისხლისმსმელ ტირანის, ხასიათი (აქ საფიქრებელია, მათ გამოადგათ მოურავის უდანაშაულოდ სიკვდილით დასჯაც), დაუხატეს მას მისი მხედართმთავრული უნიჭობა, მასვე [illegible] ფაშ-ჭრის სხვადასხვა ადგილას დამარცხება და აგრეთვე ბაღდადის ალყის მოხსნაც. 16 ოქტ. 1630 წ. ხოსროვ-ფაშა გადააყენეს დიდ-ვეზირობიდან და დიდ-ვეზირად მეორეჯერ დანიშნულ იქმნა სულთანის სიძე ჰაფის-ფაშა. მაგრამ ხოსროვ-ფაშამ ამის საპასუხოდ მოაწყო ჯარის აჯანყება დიარბექირსა და მცირე აზიაში. ეს აჯანყება გადაედო სტამბოლის ჯარსაც, რის შემდეგ ახალი დიდ-ვეზირი ჰაფის-ფაშა (სულთანის სიძე) აჯანყებულთა მოთხოვნით მოკლულ იქმნა თითქმის თვით სულთანის წინ (9 თებ. 1632 წ.). სულთანს ამის შემდეგ გადაწყვეტილი ჰქონდა ბოლო მოეღო ხოსროვ-ფაშისთვისაც, რომელიც გამუდმებით თავის ლაშქართან იმყოფებოდა. ერთი თვის შემდეგ სულთანს სპეციალური ბრძანებით ის მართლაც ჩამოახრჩვეს.

აქედან ცხადია, რომ ფარსადან გიორგიჯანიძე უსათუოდ ცდება, როდესაც ხოსროვ-ფაშის სიკვდილით დასჯის მიზეზად გიორგი სააკაძის დაღუპვას სთვლის. ხოსროვ-ფაშას ბოლო მოეღო სულ სხვა სიტუაციაში და სხვა მიზეზების გამო. მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ მოურავის უდანაშაულოდ დაღუპვა იყო ხოსროვ-ფაშის მტრებისათვის მისი საბოლოო დისკრეტიზაციის თუ არ ერთ-ერთი მიზეზთაგანი, ყოველ შემთხვევაში მეტად ხელის შემწყობი. ეს იცოდნენ მაშინდელმა ქართველებმა და ამიტომაც ცნობა ამის შესახებ სათანადო გადმოცემის თავისებურად გაგებით შემონახული აქვს ფარსადან გიორგიჯანიძეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონსტანტინე გამსახურდია

ტომას მანნ*)

დღეს, როცა მთელი ევროპა ორ შეურიგებელ ბანაკად ქცეულა, ანტიფაშისტური ნაწილი ადამიანებისა პატივისცემით ისმენს გერმანული მწერლობის დიდისა და თვალსაჩინო სარანგის ტომას მანნის სახელს. იგი იმავე წელს გააძევეს ფაშისტებმა გერმანიიდან, როცა ალფრედ აინშტაინს და გერმანიის სხვა დიდ მეცნიერებსა და მწერლებს მოუხდათ სამშობლოდან გადახვეწა.

ანტიფაშისტმა ახალგაზრდა მწერლებმა, მათ შორის ტომას მანნის ვაჟმა კლაუს მანნმა, ტომას მანნის ხელმძღვანელობით დაარსეს ამსტერდამში ანტიფაშისტური ჟურნალი „ზამლუნგ“. ეს ჟურნალი 1939 წლამდის გამოდიოდა მანდვე.

გერმანულ სიტყვაკაზმულ მწერლობას გოეტეს შემდეგ დაქვეითების პერიოდები ჰქონდა. გოეტეს პროზაული ქმნილებები დიაღაც უსწორდებოდნენ თავიანთი ხარისხითა და ზედგავლენით იმჟამინდელი საფრანგეთისა და ინგლისის პროზას. უფრო მეტს ვიტყვი. გოეტეს „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი“ ზეღგავლენას ახდენს იტალიურ მწერლობაზე და იტალიური პროზის აღორძინება უკავშირდება გოეტეს სახელს.

დიდის გატაცებით კითხულობდნენ ზუდერმანის, შტორმის და შპილჰაგენის რომანებს, მაგრამ ესენი არ ყოფილან მწვერვალები.

გერმანული პროზაული ხელოვნება ტომას მანნის სახით აღწევს განვითარების ზენიტს.

თანადროულ ევროპაში ანატოლ ფრანსის დიდმნიშვნელოვან ფიგურას უპირისპირდება გერმანელი რომანისტი ტომას მანნ, არა მარტო თავისი დიდოსტატური ტეხნიკით, არამედ დიდის ერუდიციით, პრობლემათა ლაბირინტის სირთულით და პოლიტიკურის მნიშვნელობითა და ხვედრითი წონით. ახალი საუკუნეების ევროპის ლიტერატურათა განვითარებას თვალი რომ გადავავლოთ, კარდინალურად შეიცვალა მწერლის, პოეტის ტიპიცა.

საშუალ საუკუნეთა პოეტკაცი ამოდმომღერალი სუბიექტი იყო, იგი ფეოდალების, მეფეების ნასუფრალით იკვებებოდა. სახელმწიფურ ცხოვრებაში ნაკლებად ერეოდა, არც თუ რაიმე სოციალური ფუნქცია ჰქონდა მას განკუთვნილი ხალხისა და მმართველი წრეების თვალში. როგორც კარისპოეტს, მას არც მატერიალური არსებობის საფანელი გააჩნდა.

სტამბამ, გუტენბერგის გენიალურმა გამონაგონმა გააძლიერა მწერლის ზედგავლენა. XVIII-XIX საუკუნეებში ვოლტერი, გოეტე, ჰიუგო და XX-ში ანატოლ ფრანსი უკვე ისეთი გავლენიანი პიროვნებები იყვნენ, რომელთაც მეფეები, პრეზიდენტები და პარლამენტები უწევდნენ ანგარიშს.

---

*) წიგნიდან: „XX საუკუნე“.

XIX და XX საუკუნეში თითქმის არც ერთ მწერალს არ მოუხვეჭია დიდი სახელი მარტოოდენ ხელოვნური, პოეტური ქმნილებებით. ასეთნი მუდამ ახერხებდნენ დიდოსტატობასთან ერთად ყოფილიყვნენ პოლიტიკოს-კაცები, პუბლიცისტები, რომელნიც დიალაც ერეოდნენ პოლიტიკისა და სახელმწიფოს საქმეებში. ჰაუგოს ემიგრაციაშიც მოუხდა ყოფნა. აქტიურად ერეოდა პოლიტიკის საქმეებში რუსეთის უდიდესი რომანისტი ლეონ ტოლსტოი; ცნობილია, შეფის კამარილია ციმბირითაც მრავალგზის დამუქრებია ტოლსტოის, ხოლო რუსულმა ეკლესიამ ანათემა მოუწყო მას. ასეთი პოლიტიკური ტრიბუნის როლი შეათავსა ფრანგმა რომანისტმა რომენ როლანმა.

დიდი ტრიბუნის და პოლიტიკის კაცის კარიერამ მიიყვანა ტომას მანნ სამშობლოდან გადახვეწამდის.

*
* *

ტომას მანნში ჰარმონიულად შეერთებულია დიდოსტატის, პრინციპიალი პოლიტიკის კაცის, დიდი ტრიბუნის დამახასიათებელი კეთილშობილი თვისებები.

მართალია, მისი პოზიციაც, საიდანაც იგი ფაშიზმს ებრძვის, ისევე მცდარია, როგორც მისი მოპირდაპირისა: იგი ფაშიზმს აკრიტიკებს და ებრძვის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პროგრესულობის თვალსაზრისიდან, მაგრამ ერთი რამ ცხადია, იგი თავის შეცდომაშიაც გულახდილია და კეთილშობილი, უკომპრომისო და უანგარო.

ტომას მანნ დაიბადა 1875 წელს ლუბეკელ დიდვაჭრის ოჯახში.

1899 წელს იგი აქვეყნებს ერთ სონეტს, მეოცე საუკუნის პირველ ათეულ წლებში—თავის ნოველებს, მათ შორის პირველია: „დერ კლაინე ჰერრ ფრიდმანნ“. ხოლო 1901 წელს — დიდ რომანს „ბუდდენბროოკსს“. ორი წლის შემდეგ ნოველების წიგნს „ტრისტან“-ს: სტილის საკითხებში მანნზე ზედგავლენა მოახდინეს ნიცშემ, ფონტანემ, მოპასანმა, სკანდინაველმა და ინგლისელმა დიდმა პროზაიკოსებმა, განსაკუთრებით ტეკერეიმ და დიკენსმა.

ტომას მანნის შემოქმედება დიდად საინტერესოა არა მარტო პრაქტიკულის, არამედ თეორეტიულის თვალსაზრისითაც.

ტომას მანნ იმ ხელოვანთაგანია, რომელნიც დიდსა და ნაყოფიერ შემოქმედებასთან ერთად თვითდაკვირვებას აწარმოებენ, როგორც საკუთარ ლაბორატორიიდან, ისე სხვათა პრაქტიკის შესწავლის შედეგად გვიზიარებენ აზრს და გვაწვდიან ახალსა და ახალ იდეებს მომავალ თაობათა საგულისხმოდ. ასეთნი იყვნენ დ'ავინჩი, გოეტე, ბალზაკი, ფლობერი და ანატოლ ფრანსი.

არსებითად არც პსიქოლოგებმა, არც ლიტერატურის კრიტიკოსებმა არ იციან დანამდვილებით შემოქმედების იდუმალი ლაბირინტების ამბავი. ამიტომაც დიდად საგულისხმოა ასეთი ჩვენებანი დიდი მწერლებისა.

წიგნის დასტამბვის სიიოლემ, ევროპულ პრესასა და კრიტიკაში გაბატონებულმა კორუპციამ გაადვილა მწერლობა, ხოლო მისმა მასიურობამ გააშაბლონა იგი.

მასიურობამ და მოთხოვნილების გადიდებამ წარმოშვა, რა თქმა უნდა, სხვა პროფესიათა გაშაბლონებაც. საშუალ საუკუნეებში მთელი ფარის დახოცვა იყო საჭირო ერთი წიგნის გადასაწერად. მხატვრობაში დიდძალ ოქროს ხარ-

ჯავდნენ მეფეები და ფეოდალები ერთი ფრესკის დასახატავ წამლისათვის. ამიტომაც მწერლის კალამსა და მხატვრის ფუნჯს მარტო ლირსეულს აძლევდნენ ხელში.

მშვიდობიან დროში როგორც ქაღალდი, ისე წამალი გრძელდებოდა, წარმოიშვა მთელი ინდუსტრია ქაღალდისა და წამლებისა, წარმოიშვნენ სტამბებისა და გამომცემლობათა ტრესტები, ყოველივე ამან ბუნებრივად გამოიწვია ლიტერატურისა და პრესის მჯღაბნელების მთელი ლეგიონები.

აქიმი საშუალ საუკუნეში მაგი იყო, ბუნების იდუმალებათა იდუმალი მომთხრობი, ამიტომაც აქიმის სახელს გარს ერტყა ის შარავანდი, რომლითაც გერმანთა ხალხების ფანტაზიამ დოქტორ ფაუსტი შემოსა, ხოლო ქართველმა ხალხმა მინდია.

ამ გაშაბლონების საფრთხემ დააწერინა გოეტეს:

„Jung und Alte, gross und klein,
Grässliches Gelichter
Niemand will der Schuster sein,
Jedermann ein Dichter".

„ყრმასა და ბებერს, დიდსა და მცირეს,
(გულისამრევი ბრბო საზიზღარი),
არავის უნდა გახდეს მეჯღანე,
ყველას ენატრება პოეტის ქნარი".

სწორედ ამ გაშაბლონების ტენდენციამ დააწერინა გერმანელ პოეტს შპიტელერს:

„ყოველი კაცი, ვისაც საკმარისი ნებისყოფა მოეპოვება, ვისაც თავგამეტების უნარი გააჩნია და საკუთარი სულის ძახილის ყურისმიგდება ვისაც შეუძლია, ყველას ძალუძს მნიშვნელოვანი პოეტი გახდეს".

ცხადია, შპიტელერის მტკიცება ნონსენსია და ამგვარი გაუგებრობის ნაყოფია ბულვარული მწერლობა და უცხვირპირო საშუალოების მიერ დაყორეებული უგემურობანი ჩვენ თანადროულ დასავლეთში.

ტომას მანნის თეორია, პირიქით „მხოლოდ დემონიურობასთან წილნაყარად" სთვლის შემომქმედს.

„მე გამახარებდა კაცთა შორის მეგობრის მოხვეჭა, მაგრამ დღეშდის კობოლდებთან, დემონებთან, ე. ი. პოეტებთან მიხდებოდა დამეგობრება".

სწერს ივი.

ხელოვანი, მისი აზრით, არამც თუ რჩეულია, არამედ ამ ცხოვრებისაგან განდეგილიცაა.

„ჩვენ მარტოხელნი ვართ, განმარტოებულნი მეოცნებენი და ცხოვრებაში წილდაკარგულნი".

განაგრძობს ტომას მანნ.

ავტორი გრძნობს, რომ დიდ შემოქმედებას ერთი ადამიანის სიცოცხლეც არ ჰყოფნის. გოეტეც აგრე სჩივოდა თავის დროზე: „Ars longa, vita brevis est".

ხელოვნება გრძელიაო და სიცოცხლე მოკლე.

ტომას მანნს მთელი თეორია აქვს შექმნილი თავათ შემოქმედებითი პროცესის გამო.

ივი უარჰყოფს გულითადი, ტფილი გრძნობის უშუალოდ გამჟღავნებას.

„რადგან გრძნობა, ტფილი, გულითადი გრძნობა ყოველთვის ბანალურია და გამოუსადეგი და ხელოვნურია მხოლოდ გალიზიანება და ცივი ექსტაზი ჩვენი არტისტიული, გაფუჭებული ნერვების სისტემისა.

საჭიროა (ხელოვანი) იდგეს ადამიანურის გარეშე, არა ადამიანური იყოს თავათ, რათა ადამიანურობასთან უცნაური და წილდაუდები ურთიერთობა ექნეს მას... როგორც კი ხელოვანი განკაცდება და ადამიანურ გრძნობიერებას აჰყვება იგი, აქ ხელოვნებას ბოლო მოეღება უთუოდ".

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაასკვნის მანნი.

*
* *

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში გაძლიერებულმა პროფესიონალიზმმა, პარიზის, რომის, მიუნხენის ბოჰემის ცხოვრებამ ისეთი ცუდი ატმოსფერო დააყენა დასავლეთის ლიტერატურაში, მრავალი დიდი ხელოვანის გულში ზიზღსა და აღშფოთებას იწვევდა ეს გარემოება.

დეკადენტობისა და ამორალიზმის მქადაგებლებს დაავიწყდათ, ზნეობრივად დეგრადირებული ხელოვანი რომ ვერაოდეს შექმნის დიდსა და ჭეშმარიტ ქმნილებას.

ტომას მანნიც ხედავს ამ გადაჭარბებული ესთეტიურობის, ხელოვნების აღმატებულად გახელოვნურების საფრთხეს. მისი ერთ-ერთი ნოველის გმირი ტონიო კრეგერი ლიტერატორობას ხელობად როდი სთვლის, არამედ „საზიზღარ წყევლად".

ახლა სხვა მოთხრობაში („დამშეულნი") გმირის დეტლევის პირით გვეუბნება ავტორი:

„აჰ, ერთი ღამე, კიდევ ერთი-ღამე მენატრება არ ვიყვე ხელოვანი, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ადამიანი. ერთხელ მაინც გავექცე იმ წყევლას, რომელშიაც დათქმულია: შენ ადამიანურ ყოფაში წილი არ უნდა გედოს, არამედ უნდა სჭვრეტდე მხოლოდ, შენ არა გაქვს უფლება იცხოვრო, არამედ უნდა შექმნა მხოლოდ, შენ უფლება არა გაქვს გიყვარდეს, შენ მხოლოდ და მხოლოდ უნდა იცოდე, თუ რაა სიყვარული".

ხელოვანის, შემოქმედის ტრაგედიას ეხმაურება ტომას მანნ რენესანსური დრამით „ფიორენცა".

„პრიორი: მე არ ვიცი, თუ რაა სიმშვიდე, აუმღვრევლობა. აუმღვრეველნი იგინი არიან, ვინც მოწოდებული არ არის. ეჰ, მათი გზა იოლია! შინაგანი ცეცხლი გიზგიზებს ჩემს გულში და ამ ცეცხლს ავყავარ კათედრაზე.

ლორენცო: შინაგანი ცეცხლიო? ვიცი, კარგად ვიცნობ ამ ნაღვერდალს. მე ვუწოდებდი მას დაიმონს, ნებას, თრობას, მაგრამ იგი უსახელოა, იგი სიგიჟეა შეპყრობილისა, რომელსაც უცნობი ღმერთისათვის შეუწირავს თავი".

ტომას მანნს სძაგს ტიპიური ხელოვანი, რომელიც წარმოადგენს ერთგვარ შეჯვარებას კლოუნსა და დემონს შორის. ამავე დროს აღვიარებს მწერალი, ამ ცხოვრებიდან განდგომილი უნდა იყოსო.

ჩვენთვის გასაგებია მანნის ეს ვნებანი. ფრანგმა სიმბოლისტებმა, საერთოდ სიმბოლისტებმა ისეთი კორიანტელი დააყენეს ბოჰემიურობასა და პოეტური ცხოვრების გამო, ამ ავადმყოფურ გრძნობიერებას უთუოდ უნდა მოჰყოლოდა ეს გამოძახილი.

გადაჭარბებული რაფინირება სტილისა და გამოთქმისა უთუოდ იძლევა პირუკუ შთაბეჭდილებას.

რითი აიხსნება თუნდაც ის გარემოება, რომ ჩვენ ხშირად დიდეს ვატაცებით ვკითხულობთ მოხუცი, ომებგადახდილი გენერლების ან მინისტრყოფილების მემუარებს, ისეთი პირების ნაწერებს, რომელთაც წინად კალამი არა სჭერიათ ხელში?

აქ ორი მიზეზია. ერთი ისა, რომ ხსენებული კატეგორიის ავტორებს უნარიც არა აქვთ ნამეტნავად ხელოვნური რაფინირებისა, ბოლოს უმთავრესი ეგაა, ისინი მთელი სიცოცხლის მანძილზე ჭარბად დაჰკვირვებიან მოვლენებსა და ფაქტებს ცხოვრებისა, არა მარტო დაჰკვირვებიან, თავათ განუცდიათ ბევრი რამ, მათ სტრიქონებს ცხოვრების, მიწის სუნი უდის და ამით აჯადოვებენ ისინი მკითხველს. ასეთი ლიტერატურის კლასსიკური ნიმუშია იულიუს ცეზარის „გალლებთან ომი“.

ბურჟუაზიულმა დასავლეთმა შექმნა ამ უკანასკნელ საუკუნეში მწერლური პროფესიონალიზმი. მწერალი გაურბის სხვა პროფესიას.

რამდენადაც ყოველი პროფესია იძლევა დიდძალ მასალას ადამიანების მრავალფეროვანი ტიპების, ხასიათების გაცნობისას, ასეთი გამოცდილება ყოველთვის ნაყოფიერად მოქმედებს მწერალზე.

თავიანთი ადრიანი პროფესიების შთაბეჭდილებანი დიდის წარმატებით გამოიყენეს მწერლობაში ტეკერეიმ, სტენდალმა, ტოლსტოიმ, დეტლევ ფონ ლილიენკრონმა.

ასე რომ ტომას მანნის პროტესტი თანამედროვე ლიტ. პროფესიონალიზმის, აკვიატებული ბოჰემელობის წინააღმდეგ საჭირბოროტო ტკივილია. ეს შეეხება არა მარტო გადაჭარბებულ რაფინირებას სტილისას, არამედ მწერლობაშიც გავრცელებულ სენს, პროფესიონალიზმისაკენ ლტოლვას ყოველი კაცისას.

დიდ მწერალს, რომელსაც დაგროვილი აქვს დიდი ვიტალური, ცხოვრებისმიერი განცდანი, ეს პროფესიონალიზმი არას ავნებს, მაგრამ როცა ცხოვრების იგნორანტი მწერალი თავიდანვე პროფესიონალის ნიღაბს გაიკეთებს, მისი შემოქმედება უთუოდ იქნება უსისხლო და უნაყოფო ოცნებისგან გამოტანჯული.

გადაჭარბებული არტისტიციზმისა და გამოთქმის ხელოვნურობის წინააღმდეგ გალაშქრება ჩვენ არ უნდა გავიგოთ, როგორც აპოლოგია მოშვებული ჯღაბნისა.

ზოგს ასე ჰგონია, ენის უმეცრებისაგან გამომდინარე უბრალოება იყვეს თითქოს ის იდეალური სისადავე სტილისა, როგორიც ახასიათებთ სტენდალს, ტეკერეის და ტომას მანნს ან ანატოლ ფრანსს.

*

* *

არცერთი მწერალი დიდი არ გამხდარა არასდროს, თუ მას დიდი ინტელექტუალური მეტამორფოზების გზები არა აქვს განვლილი. ეს ინტელექტუალიზმი ახასიათებს ჩვენი საუკუნის როგორც ლირიკოსებს, ისე ეპიკოსებს.

საშუალ საუკუნეში კიდევ მოიპოვებოდნენ ინსტინქტიური ხელოვანნი.

დღეს ყოველი დიდი ხელოვანი დიდი მოაზროვნეც უნდა იყოს მიუცილებლად. ინსტინქტიური შემომქმედი შესაძლოა დღეს იყოს რომელიმე პრიმიტიული ავტოდიდაქტი. ასეთი ადამიანები, თუნდაც დიდი ტალანტით დაჯილდოვებული, ღრმა ორნატებს ვერ დასტოვებენ ლიტერატურის ისტორიაში.

ტომას მანნის შემოქმედების საკმაო და ვრცელ მანძილზე ორი ფილოსოფოსის ზედგავლენანი ხდებიან საცნაურ. სახელდობრ: შოპენჰაუერისა და ნიცშესი (ბუდდენბროოკის გმირი).

კონსული ტომას ბუდდენბროოკ სიკვდილის კვირაძალში შოპენჰაუერის წიგნს: „ქვეყანა ვითარცა ნება და წარმოდგენას“ კითხულობს. ცნობილია, შოპენჰაუერის უაღრესი პესსიმიზმი.

მისი ფილოსოფიის მიხედვით, ეს ქვეყანა ყველა წარმოსადგენ სამყაროს შორის უსაძაგლესია. ამ სამყაროს სათავეა ბრმა და გონიერებას მოკლებული ნებისყოფა; მისი შინაარსია: ბრძოლა, ტკივილი და სიღატაკე, განუსაზღვრელი გაცრუება გულისა; ინდივიდუალური არსი („ექსისტენც“) ისეთი რამეა, რაც არ უნდა არსებობდეს („ვას ნიხტზაინ ზოლლ“). ამ არსობას ცალკეულს ასაზრდოებს ნება ცხოვრებისადმი, ხოლო ამ ნების პირველსათავეა წყევლა და ცოდვა, ყოველი განვითარების საბოლოო მიზანია უარყოფა ცხოვრებისადმი მიქცეულ ნებისყოფისა.

თავის უზარმაზარი შრომის: „ქვეყანა ვითარცა ნება და წარმოდგენა“-ს დასასრულში ყოველი არსობის და ყოფის ფინალად შოპენჰაუერი სახავს არარაობას და არყოფნას.

ტომას მანნის რომანების და ნოველების გმირები წილდაკარგულნი არიან, ბედისაგან მუხთლად განწირულნი, სასოწარკვეთილნი და სვეგამწარებულნი. სიკვდილს ისინი სთვლიან როგორც ყოფნის მიერ განმზადილ წამებისაგან განმათავისუფლებელს.

რიჰარდ ვაგნერის მუსიკისა და შოპენჰაუერის ფილოსოფიის ტრაგიზმი საცნაური ხდება ტომას მანნის გმირების ხასიათში. განსაკუთრებით ნოველაში „ტრისტან“ და დიდ რომანში „ბუდდენბროოკს“.

დიდი შთაგონების წყარო იყო მანნისათვის „ტრაგედიის წარმოშვება მუსიკის სულიდგან“.

ამ საუკუნის ადამიანები გრძნობდნენ Fin du siècle [1])-ის ზღურბლთან მიღწეულთა დეკადანსს.

ნიცშე ნეგატიურად ეპყრობოდა მთელს თანამედროვე კულტურას.

დეკადანსით დადაღულია, ნიცშეს აზრით, მთელი თანამედროვე ხელოვნება, მწერლობა და მუსიკა.

„ქერა ბესტია“ გამოსჭვივის ტომას მანნის ზოგიერთ „ცისფერ თვალება“ გმირების პსიქოლოგიიდან.

„ბუდდენბროოკში“ ავტორი გვეკითხება:

„განა ყოველი კაცი ხელმოცარულობის ნაყოფი არაა? განა ქვეყნად გაჩენის პირველსავე დღეს არ მოხვდა იგი ტანჯვით სავსე დილეგში? ყველგან ტყვეობაა, ბორკილები და არტახები. თავის ინდივიდუალობის რკინის საღტეებით დახლართულ სამზერებიდან გასცქერის ადამიანი გარეგანი პირობების გარდაუვალ გალავანს, ვიდრემდის სიკვდილი არ მოვა და თავისუფლებას, შინ მიბრუნების უფლებას არ მიანიჭებს მას“.

---

[1]) საუკუნის აღსასრული.

ამ დეკადანსის დამლა ეტყობა როგორც ტრისტანის გმირს, ისე კონსულის ცოლს „ბუდდენბროოკში“. მთელი პასსაჟებია ამ დეკადანსის მაუწყებელ ტომას მანნის ნოველლაში „სიკვდილი ვენეციაში“.

აშენბახი დეკადენტია და ამ დეკადენტობის ცოდვა გახდება ბოლო ხარუპვის მიზეზი.

ტონიო კრეგერში ორი საწყისი ებრძვის ურთიერთს.

პოეტი და მოქალაქე.

ხელოვანი შესცქერის ჯერაც წარმოუშობელ და სქემატიურ სამყაროს, რომელსაც წესრიგში მოყვანა და გაფორმება ესაჭიროება.

იგი უმზერის ადამიანების ლანდების კორიანტელს, აქ ურთიერთში აღრეულია ტრაგიკული და კომიკური ელემენტები, ხანაც ისეთნიც, რომელნიც ბარჩბივი ბუნებისანიც არიან.

ტომას მანნის ეპოპეია „ბუდდენბროოკი“ წარმოადგენს მთელი გვარის აღორძინების და დაქვეითების ტრაგიულ ისტორიას. რომანი იწყება ახალი სახლის კურთხევის გამო გამართული ნადიმით. ეს არის ტიპიური რეალისტური რომანი.

ბუდდენბროოკების გვარის აღორძინების, განვითარებისა და დაცემის ისტორიაში მოცემულია ტრადიციული ბურჟუაზიული ოჯახის ბიოისტორია. ამ ხასიათის ეპოპეა მოგვეპოვება ემილ ზოლას „რუგონ მაკარის“ სახით.

ავტორი აშუქებს ოთხი თაობის ნაშიერებს;

იოჰან ბუდდენბროოკ, ნიდერლანდელი კონსული, სიცოცხლითა და ოპტიმიზმით სავსე კაცია. მას ბედი უღიმის და ყოველივე იოლად გამოუდის ხელიდან. საქმის კაცი და დიდვაჭარი. ასეთივე იოლი და მიუჭირვებელი სიკვდილით მოკვდება იგი.

პატრიციული გვარის ტრადიციებს განაგრძობს მისი ვაჟი ტომას ბუდდენბროოკ, სენატორი, მტკიცე ნებისკაცი, საქმიანი და სასტიკი. მას მაღლა უჭირავს თავისი გვარის ალამი, მაგრამ მოახლოებულია ამ გვარის დაქვეითება და ტომას ბუდდენბროოკ უმწეოა შეაჩეროს იგი.

ევროპაზე გადაივლის 1848 წლის რევოლუციის ქარბორბალა. რევოლუცია შეარყევს დიდვაჭრული ოჯახის ხვავიანობასა და ტრადიციებს. რევოლუციის აჩრდილისაგან დაშინებული ევროპული ბურჟუაზია პესსიმისტურ ფიქრებს მიეცემა.

ტომას ბუდდენბროოკს ხელში ჩაუვარდება შოპენჰაუერის წიგნი „სამყარო ვითარცა ნება და წარმოდგენა“. უკვე უგუნებოდ შექმნილი ბურჟუა დააცხრება შოპენჰაუერის შავნალვლიანობას. გულშემოყრილი ტომას ტრაგი-კომიკურად ასრულებს სიცოცხლეს. ქუჩაზე სეირნობის დროს იგი ცნობიერებას დაჰკარგავს, წუმპეში ჩავარდება და მოკვდება.

როგორც პესსიმიზმი, ისე მუსიკა ამეღავნებს, როგორც დეკადანსისაკენ დაქანებულ კლასის, ისე პიროვნების განწყობილებას.

თუ ტომას ბუდდენბროოკს შოპენჰაუერის წიგნი აჯადოვებს, მისი უდღეური ვაჟი ჰანნო მუსიკითაა გატაცებული. იგი ფიზიკურად ძაბუნი ანგობის პიანისტია.

ოდესღაც სახელმოხვეჭილი, ძლიერი ბურჟუაზიული გვარიდან რჩება ჰანნო, პატარა დეგენერატი.

„ჰანნო, პატარა ჰანნო, ტომი, მამა, პაპა და სხვა დანარჩენები სადღა არიან? ჩვენ ველარ ვხედავთ მათ, აღარსად სჩანან. აჰ, რა სამწუხაროა ეს ამბავი!“

ტომას მანნის კალამს ეკუთვნის რენესანსის ეპოქის დრამა „ფიორენცა“. ეს ნაწარმოები საგულისხმოა მხოლოდ და მხოლოდ როგორც ავტორის ესთეტიური კრედო. სცენაზე იგი აროდეს დაუდგამთ.

სასახლის რომანი „სამეფო უდიდებულესობა“ დიდის ოსტატობითა დაწერილი. ღარიბი საჰერცოგო დინასტიის ნაშიერი შეირთავს ამერიკელი მილიარდერის ქალს. ახალგაზრდა ჰერცოგი კლაუს-ჰაინრიხი იზრდება ისევე, როგორც ზღაპრული უფლისწული ბაჰლავარის სიბრძნისა.

იგი დიდის ცერემონიით აწყობს გამოფენებს, მოგზაურობს საჰერცოგოში და არ კი იცის, რომ მისი საუფლო გაკოტრებულია და ყელამდის ვალებით სავსე. ბოლოს იგი შეირთავს ამერიკელი სუპერმილიარდერის ქალს და ამგვარად დაიხსნის გაჭირვებისაგან თავის საუფლოს.

ეს მილიარდერის ქალი ასწავლის პრინცს, თუ როგორ უნდა იცხოვროს კაცმა. იგივე თვალს აუხელს მას საჰერცოგოში დამყარებულ სინამდვილეზე. აქ გამოხატულია უმწეობა გერმანული გვაროვნული არისტოკრატიისა და ამერიკული ვაჭრული კაპიტალის სიძლიერე.

ფრიად საგულისხმოა ტომას მანნის ნარკვევი: „ფრიდრიხ უნდ დი გროოსე კოალიციონ“ („ფრიდრიხი და დიდი კოალიცია“).

1914 წლის შემოდგომაზე გამოქვეყნდა ტომას მანნის ხსენებული ესაი, რომელსაც წარმძღვარებული აქვს პატარა წერილი: „ომის დროინდელი ფიქრები“.

იგი იწყება ასე: „სალოზუნგო სიტყვების „კულტურის“ და „ცივილიზაციის“ გამო არსებობს როგორც გერმანიასა, ისე სხვა ქვეყნებში დიდი უთანხმოება. ზოგს ისე წარმოუდგენია, თითქოს ეს ორი ცნება ურთიერთის სინონიმები იყოს. ჩემის აზრით, — განაგრძობს მანნი, — კულტურა და ცივილიზაცია ანტიპოდებია... ვერავინ უარჰყოფს, რომ თუნდაც მექსიკოს დიდი აღმოჩენების ეპოქაში კულტურა გააჩნდა, მაგრამ იგიც ცხადია, რომ მას არავითარი ცივილიზაცია არ მოეპოვებოდა“.

ტომას მანნის კონცეპციით, კულტურა ბარბაროსობის ანტიპოდი როდია, იგი ხშირად სტილდასრულებული ველურობაა და ანტიურ ხალხებში, მანნის აზრით, ცივილიზირებული იყვნენ მარტოოდენ ჩინელები.

„კულტურის ფარგალში შესაძლოა მოთავსდეს ორაკული, მაგია, პედერასტია, ინკვიზიცია, აუტოდაფე, ჭინკების პროცესები, ხოლო ცივილიზაცია გონებაა, განათლება, ზნეობრივი აღმასვლა, სკეპსის და სული. დიაღ, სული არის „ცივილ“, ბაურგერობა. ცივილიზაცია დაფიცებული მტერია ვნებებისა, იგი ანტიდემონურია, ანტიჰეროული, იგი ანტიგენიალურიც არის.

„ხელოვნება ისე, როგორც ყოველივე კულტურა, სუბლიმირებაა დემონიურისა“, სწერს მანნი. გოეტეს უწოდებს იგი „დემონიურ გერმანელს“, რომელმაც წინასწარ იგრძნო მესსინაში მომხდარი მიწისძვრა ვაიმარში და რამდენიმე დღის შემდეგ მოვიდა ამბავი, რომ მესსინაში მართლაც მომხდარიყო იგი.

ხელოვნებას აიგივეებს ტომას მანნი ომთან.

*
* *

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სავსებით მართებულად ადარებენ ხოლმე ხელოვნებას ომს, განსაკუთრებელ ომს.

უფრო ახლოსაა მასთან სიტყვა „დინსტ“ — სამსახური, რადგან სამსახური ხელოვანისა უფრო უახლოვდება სამსახურს ჯარისკაცისას, ვიდრე ქურუმის მღვდელმსახურებას“.

განაგრძობს მანნი.

დემოკრატიულად მოაზროვნემ ტომას მანნმა წონასწორობა დაჰკარგა, გერმანელი იმპერიალისტების ჰურას ღრიალით გაბრუებულმა, და უფრო საოცარი პარადოქსები გაგვაგონა ხსენებულ წერილში:

„ომი! ეს იყო განწმენდა, შვება და უშველებელი იმედი“.

ჩვენმა თაობამ და მასთან ერთად ტომას მანნმაც საკუთარი თვალით ნახა, რა უბედურება აღმოჩნდა ის ომი, რომელიც ვილჰელმ მეორემ და მისმა გენერალურმა შტაბმა მოახვია მთელ მსოფლიოს თავზე.

უწინარეს ყოვლისა სავსებით შეუწყნარებელია მანნისეული განმარტება კულტურისა.

კულტურის პირველადი მნიშვნელობა მოცემული აქვთ, ჯერ კიდევ რომაელ მწერლებს ციცერონსა და ჰორაციუსს, როგორც cultura animi—გაწვრთნა, გაფაქიზება სულისა, მისი მოვლა.

კანტი კულტურაში არც ჭინკების პროცესებს გულისხმობდა, არც პედერასტიას, არამედ „გონიერი არსების ვარგისიანობის, სიკარგის აღმოცენებას“. უფრო მკაფიოდ და ბრწყინვალედ განმარტა კულტურა ჰერდერმა. მან აღვიარა, რომ კულტურის ერთად-ერთი მიზანია ჰუმანიურობა, „ჰუმანიტეტ“. აგრეთვე ესმოდათ იგი ევროპული რენესანსის თითქმის ყველა ეტაპის მანძილზე.

ცივილიზაცია წარმომდგარია ლათინური სიტყვიდან „ცივილის“. იგი გულისხმობს მოქალაქურს, გაფაქიზებულს, რაფინირებულს, კარისკაცულს და სხვა.

ასე რომ ცნებები კულტურა და ცივილიზაცია არამც და არამც ანტიპოდები არ არიან.

მსოფლიო ისტორია რომ ვიმოწმოთ, ანტიური დროიდან ჩვენს ეპოქამდის მხოლოდ იმ ერებმა შეჰქმნეს ნაციონალური კულტურა, რომელთაც ქალაქი ჰქონიათ.

თებაი, იერუსალიმი, კალკუტა, ბაღდადი, ისპაჰანი, ტფილისი, ანისი, ათინა, ბიზანტიონი, რომი, ვენეცია, რავენა, გენუა, აახენი, ლონდონ-სიტი, პარიზი, მადრიდი, კიევი და ნოვგოროდი.

ამ ქალაქებიდან მოდიოდა კულტურის ფლუიდები და პერიფერიებს აწვდიდა შუქს. რაიცა შეეხება მექსიკოს მაგალითს, იმჟამინდელ მექსიკოს დიალაც გააჩნდა თავისი კულტურა, მაგრამ პრიმიტიული. გააჩნდა, ალბათ, პრიმიტიული ცივილიზაციაც.

არც ისაა მართებული და ისტორიულად სწორი, თითქოს ანტიურ ხალხებში მარტო ჩინელებს გააჩნდათ ცივილიზაცია.

საერთოდ ცივილიზაცია უფრო სახელმწიფური კეთილმოწყობის, გარეგანი ცხოვრების ამბავია.

მსოფლიო ისტორიის რამდენიმე ათასეული წლების მანძილზე არც ერთ ერს არ შესძლებია დიდი კულტურული აღორძინების მწვერვალებამდის მიღწევა, უკეთუ მას ცივილიზაცია არ გააჩნდა და, რაც უმთავრესია, სახელმწიფო.

თავის დროზე დიდი ცივილიზაცია ჰქონდა ძველ საბერძნეთს. ბატონ ჰომეროსის დროინდელი გემების მოწყობილებათა კატალოგები რათა ღირს!

საკმაოდ რთული ცივილიზაცია გააჩნდა ძველ რომს, ეგვიპტეს, ირანს და სხვათა. ბოლოს და ბოლოს ეს ცივილიზაციები საფუძვლად დაედვნენ თანადროულ ევროპულ ცივილიზაციას.

„ფრიდრიხ და დიდი კოალიცია" იყო ერთგვარი აპოლოგია პრუსსიულ-დიდ გერმანული სულობისა.

დღეს უკვე, ალბათ, ამ წიგნის ავტორსაც ერცხვინება მისი. ფრიდრიხ დიდი იყო დიდი პაპა გერმანული მილიტარიზმისა, ბისმარკის, მოლტკეს და ლუდენდორფის რკინის მუშტისა. ამ იუნკერობამ, ამ მილიტარულმა სულმა წარმოშვა ჩვენი თაობის თვალწინ ფაშიზმის საშინელი ურჩხული, სწორედ იგი, რომელმაც დააყენა მსოფლიო კულტურა გაუგონარი კატასტროფის წინაშე.

ტომას მანნი ვნებიანი პოლემისტია და დიდი მასშტაბის პუბლიცისტიც. მის უზარმაზარ შრომაში: „აპოლიტიკოსის შენიშვნები" მოთავსებულია სერია წერილებისა, ომის დროინდელი გერმანიისა და საერთოდ ევროპის კულტურულ და ცივილიზაციურ ვითარებათა გამო.

თუმცა მას, კრიტიკული რეალიზმის რომანისტს, შედარებით დემოკრატიული ბურჟუაზიული მიმართულება ახასიათებდა, მაგრამ ომის ისტერიამ მანნიც გადასტყორცნა დიდგერმანული ნაციონალიზმის ბანაკში, სწორედ მისივე მოსისხარი მტრების ბანაკში.

მანნის ეს თხზულება ერთგვარი გაგრძელებაა „ფრიდრიხისა და დიდი კოალიციისა". ალაგალაგ მანნი ეკამათება რომენ როლანს და ფრანგის მწერლებს და იცავს გერმანიას ანტანტის მწერლებისა და პოლიტიკური მოღვაწეების თავდასხმისაგან.

ჯერ კიდევ 1914 წლის ნოემბერს ჟურნალ „დერ დოიტშე რუნდშაუ"-ში გამოქვეყნდა ტომას მანნის წერილი მსოფლიო ომის გამო. ამ წერილს რომენ როლანმა უწოდა: „L'article monstrueux de Thomas Mann... broclamant que la pensée allemande n'avait pas d'autre ideal que le militarisme" (იხ. რომენ როლანის წერილი: „Les idoles").

„საშინელი, გაუგონარი წერილი ტომას მანნისა, რომელიც აღვიარებს, რომ გერმანულ აზროვნებას მილიტარიზმის გარდა სხვა იდეალი არ ოდეს ჰქონია".

რომენ როლანი აღშფოთებული იყო, რომ ტომას მანნი კულტურასა და მილიტარიზმს „ძმებადა" სთვლიდა.

ჯერ კიდევ „ფრიდრიხ და დიდი კოალიციის" წინასიტყვაში ასე სწერს ტომას მანნ:

„ერთი რამ ჭეშმარიტია: გერმანელებს ისე ხელაღებით როდი უყვართ სიტყვა „ცივილიზაცია", როგორც მათ დასავლეთელ ერებს" (იხ. „ფრიდრიხ და დიდი კოალიცია", ბერლინი, ფიშერის გამოცემა, გვ. 21).

და იქვე მომდევნო გვერდზე განაგრძობს ავტორი:

...„რადგან ეს ხალხი (იგულისხმება გერმანელები) არის მეტაფიზიკისა და მუსიკის ხალხი, იგი პოლიტიკურად კი არა, არამედ მორალურად ორიენტირებული ერია".

აქ იწყება უსაშველო აღრევა ცნებებისა.

კულტურისა და ცივილიზაციის ამრიგად დაპირისპირება არ ახასიათებს ევროპის ინტელექტუალთა შორის.

ტომას მანნზე ადრე ჰუსტონ სტევარტ ჩემბერლენ ასევე ეროვანი ექსკურსს მსოფლიო ისტორიის მანძილზე. იგი რატომღაც ძველ რომაელებს ცივილიზაციურ ხალხად აცხადებს, ხოლო ძველ ბერძნებს და მათ შემდეგ ისტორიის არენაზე გამოსულ გერმანებს კულტურის ერებად.

გეორგ ბიზე, „კარმენის" ავტორი, უფრო შორს წავიდა. მან ადამიანური გონება ხელოვნების მტრად გამოაცხადა და თავისებურ წინაგამგებლობას ეწევა. მისი აზრით, ცივილიზაციის პროგრესს თან უნდა მოჰყვეს სრული გაკოტრება კაცობრიული კულტურისა.

„მე ასე მგონია, — სწერს ბიზე ერთ მეგობარს, — მთელი მომავალი ჩვენი სოციალური კონტრაქტის გაუმჯობესებას ეკუთვნის. მომავალ, გაუმჯობესებულ საზოგადოებაში აღარ იქნება არც უსამართლობა, აგრეთვე არც უკმაყოფილონი იქნებიან მასში, არც არავითარი დანაშაული, არც ცოლქმრული ღალატი, არც პროსტიტუცია, არავითარი აღელვება და ვნებანი, არც არავითარი მუსიკა, არავითარი პოეზია, თეატრი და ხელოვნება, რადგან კაცობრიული პროგრესი უთუოდ ჰკლავს ხელოვნებას".

უფრო ადრე გერმანელმა ისტორიკოსმა რანკემ უარჰყო ხელოვნებისა და ცივილიზაციის პარალელური აღზევება [1]).

ტომას მანნის კონცეპცია ასე შორს არ მიდის. უცნაურია ოლონდ, რად „გადააფასა" მან ასე ხელაღებით იტალიის, საფრანგეთის და ინგლისის დიდი კულტურა, რად ჩამოაქვეითა ეს ერები „ცივილიზაციის" დაბალ ხარისხზე?

განა თვით გერმანული კულტურა საუკუნეების მანძილზე არ იკვებებოდა იტალიური რენესანსის მაღალი იდეებით? იტალიის ბრწყინვალე მხატვრობა, ფრანგული გოტიკა, პროვანსალური რომანი, ტრუბადურების პოეზია, ლოკისა და ჰიუმის ფილოსოფიური კონცეპციები, შექსპირის ტრაგედიები, მოლიერის კომედიები, — განა ყოველივე ეს საუკუნეთა მანძილზე არ ანაყოფიერებდა გერმანულ კულტურას მთლიანად, რამდენადაც ეს უკანასკნელი გაცილებით ახალგაზრდაა იტალიის, საფრანგეთის და ესპანეთის კულტურებთან შედარებით?

გერმანელობას, გერმანიას საშუალო სახელმწიფოდ სთვლის ტომას მანნი. ეს საშუალობა იყო პიედესტალი გერმანული ბიურგერობისა.

ტომას მანნის აზრით, გერმანულმა ჰანზას ქალაქთა კავშირის არსებობამ ჩაუყარა საფუძველი გერმანიის ისტორიას.

არსებითად გერმანული ბიურგერი, რიჰარდ ვაგნერის არ იყოს, თარგმანია ფრანგული სიტყვისა: bourgeois-ი.

თუ რომანტიკოსების და საერთოდ ბოჰემის ხალხის ენაზე ბიურგერობა ფილისტერობას უდრიდა, ტომას მანნი ცდილობს გააკეთილშობილოს ეს ცნება.

„გერმანელი ბიურგერი გახლავთ არსებითად ნამდვილი გერმანელი და მისკენ მიიწევდა ყველა, ვინც კი თავისუფლებასა და სულობასთან წილნაყარი ყოფილა ოდესმე", — განაგრძობს მანნი.

მრავალი პასსაჟი ხსენებული დიდი შრომისა მიძღვნილი აქვს ავტორს ამ აპოლიტიკური გერმანული ბიურგერობის აპოლოგიისადმი..

---

[1]) შეადარე ლ. ფ. რანკე: „საუბრები ბავარიის მეფე ლეოპოლდთან".

რა თქმა უნდა, არამც თუ საბჭოური, არამედ ელემენტარული პროგრესიულობის თვალსაზრისითაც მცდარია, ტენდენციური და არაისტორიული ეს კონცეპციები. ოცი წელიც არ გასულა და მთელმა კაცობრიობამ დაინახა, რომ გერმანელობა „აპოლიტიკური“ არა ყოფილა აწმყოშიაც. არც ასევე მართებული მთელი ნაციის „მეტაფიზიკურად, „მუსიკალურად“ გამოცხადება.

რა თქმა უნდა, ამგვარი დაპირისპირება კულტურისა და ცივილიზაციისა ნონსენსია. არც შესაძლებელია გერმანული ან სხვა რომელიმე დასავლეთური კულტურის წარმოდგენა ასე სეპარატიულად. დასავლეთის ქვეყნების კულტურანი, არამც თუ ჩვენს საუკუნეში, საშუალ საუკუნოებშიაც არა ყოფილან ურთიერთისაგან გამოკერძებულნი. პირიქით, რენესანსის, ჰუმანიზმის, რეფორმაციის დროინდელი იტალია, საფრანგეთი დიდ ზედგავლენას ახდენდნენ გერმანელი ხალხის შემოქმედებაზე და ვერც ტომას მანნი უარჰყოფს ინგლისის დიდი ფილოსოფიისა და მწერლობის ზედგავლენას გერმანულ კულტურაზე.

არც გერმანიის აპოლიტიკობაა, რა თქმა უნდა, სარწმუნო. სწორედ ამ „აპოლიტიკურმა“ გერმანიამ განუმზადა იმავე ტომას მანნს ჩვენს დღეებში სამშობლოდან გაძევებულის მწარე ხვედრი.

ტომას მანნის ესტეთიციზმის დახასიათება დასრულებული არ იქნება, თუ არ შვეხეთ მის დიდ ნოველლას „სიკვდილი ვენეციაში“. ამ დეკადენტობას თან ახლავს საკმაოდ დიდი დოზა პლატონიზმისა.

პლატონური ესტეთიციზმი, აპოლოგია მამაკაცის მშვენიერებისა, როგორც თემა, არა ერთგზის გამოუყენებიათ ფრანგსა და გერმანელ სიმბოლისტებს, ინგლისელ რომანისტს ოსკარ უაილდს, თანამედროვე გერმანიის დიდ პოეტს სტეფან გეორგეს და მის სკოლას.

მწერლის, პოეტის სულიერი ტრაგედიის მაუწყებელია ტომას მანნის ტონიო კრეგერ. უფრო რელიეფურად გამოხატა ავტორმა ეს შინაგანი სამყარო შემოქმედისა თავის ნოველლაში „სიკვდილი ვენეციაში“.

*
* *

თითქმის ყველა დიდი მწერალი თანამედროვე დასავლეთისა, როგორც წმინდა ლირიკოსი ვერლენის, ან სტეფან გეორგეს ტიპისა, ან ეპიკოსი ანატოლ ფრანსის, ან ტომას მანნის ყალიბისა, ესთეტიური პრობლემებისა და პოეტიკის დარგში საკუთარ თეორიებს წარმოადგენს ხოლმე. რა თქმა უნდა, ასეთი ჩარევა დიდი ხელოვანისა დიდად სანუკვეელია ესთეტიური, პოეტური კულტურის გასაძლიერებლად, მაგრამ ხელოვანის ხელში თეორია ერთგვარი ორლესული მახვილია, რომელზედაც იგი თავათ შეიჭრის ხოლმე ხელს. რადგან თეორია და პრაქტიკა ეთიშებიან ხანდახან, ურთიერთს.

თავის ჰიპოტეზებში ტომას მანნმა ორმაგი მარცხი განიცადა.

კონსერვატიულ გერმანიას, პრუსსიული იუნკერობის იდეოლოგიას იგი ებრძოდა ბურჟუაზიული დემოკრატიზმის, ინტელექტუალური ბურჟერობის პოზიციებიდან, ხოლო საფრანგეთისა და ინგლისის დიდ დემოკრატიებს უპირისპირებდა ვითომდაც „აპოლიტიკურ“ კულტურას გერმანიისას. ცხოვრებამ არ გაამართლა მისი თეორიები.

თანადროული ხელოვანი მას წარმოდგენილი ჰყავდა როგორც ცხოვრებისაგან განდგომილი პროფესიული მჭვრეტელი, ესთეტი.

ხელოვანი უნდა მოკვდეს ცხოვრებისათვის, რათა, ვითარცა [illegible], განსახიერდესო, — სწერდა მანნი. თითქმის ემიგრაციაში ყოფნის [illegible] დასწერა მან თავისი უზარმაზარი რომანი „ჯადოსნური მთა", საკუთარი ხალხის მიწისა და მეტყველებისაგან მოწყვეტილმა.

ამ რომანის ფონია ერთი მიყრუებული სანატორიუმი, სადაც ნამდვილი ცხოვრების ალიაქოთისაგან განზე გამდგარნი სნეულნი თავს იქცევენ ათასგვარი მეტაფიზიკური საგნების გამო მსჯელობით. რომანი უილაჯოდ ვითარდება ყოველივე დინამიურობას მოკლებული, ამიტომაც ეს ნაშრომი მშრალია და უსიცოცხლო. ადამიანებს ვნებიანობა აკლიათ და ისინი ორანჟერეების ყვავილებს წააგავან ოდნავ.

როცა ხელოვნურ ქმნილებაში რეზონემანი მსჯელობა სჭარბობს ფერადებს, ეს შედეგია ავტორის უილაჯობისა. ამ რომანის დამახასიათებელია თავათ დასაწყისიც. რომანი „ჯადოსნური მთა" იწყება ასე:

„რა არის დრო? — საიდუმლო არსობადაკარგული და ყოვლისშემძლე. მოძრაობათა სამყაროის პირობითობა, მოძრაობა შეკავშირებული და შერეული სივრცეში, სხეულებათა არსებობასთან და მათ მოძრაობასთან. მაგრამ განა არ იქნებოდა დრო მოძრაობის კიდეგან?

ან ეგებ მოძრაობა არ ყოფილიყო დროის კიდეგან?

თუ პირუკუ? ან ეგებ თანაბარნი იყვნენ ორივენი?

აგრე, აგრე განაგრძე კითხვები.

დრო მქმედია. მას მოეძევა მამოძრავებელი თვისება, იგი „ამწიფებს".

მაგრამ რას ამწიფებს იგი? ცვალებადობას.

„ახლა" და არა „მაშინ", „აქ" და არა „იქ", რადგან მათ შორის არსებობს მოძრაობა, მაგრამ, რადგანაც მოძრაობა დროის გამზომელი არის, მოძრაობა სპირალისებური, თავისავე წიაღში ჩაკეტილი, ეს ისეთი მოძრაობაა და ისეთი ცვალებადობა, რომელნიც თითქმის თანაბარის უფლებით შეგვეძლო აღგვენიშნა როგორც დასვენება და უქმადყოფნა".

ასეთი მსჯელობა გრძელდება თითქმის მთელი გვერდის მანძილზე.

ამ რომანის გამო ერთი რამე უნდა ითქვას: დიდი ხელოვანის მარცხიც საგულისხმოა, რადგან მის შეცდომისგანაც ბევრს ისწავლის მომავალი თაობა.

ბიბლიოგრაფია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი წერეთელი — „თხზულებანი“

ტომი პირველი და მეორე, ა. აბაშელისა და პ. ინგოროყვას რედაქტორობით.

თბილისი. სახელგამი.

„ქართული მწერლობა საზოგადოდ ვერა სდგას კარგს ნიადაგზე, მაგრამ ყველაზე მეტი უბედურება-კი ჩემ ნაწერებს ეწია: ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში ორი პატარა ტომის მეტი არ გამოსულა, მაშინ, როდესაც რამდენიმე ათეული მაინც უნდა გამოცემულიყო“. ასე წერდა აკაკი 1912 წელს „ჩემი ნაწერების“ პირველი წიგნის შესავალში. დასახელებული სერიის („ჩემი ნაწერების“) გამოცემის დაწყებით, მოხუცი მგოსანი შეეცადა თავის ნაწარმოებთა აღნიშნულ ბედთან შებრძოლებას; მაგრამ შედეგი აქაც უმნიშვნელო აღმოჩნდა: მოხერხდა მხოლოდ ორი პატარა წიგნის გამოცემა, და ისიც ცენზურის მიერ დამახინჯებული სახით. ეს იყო აკაკის უკანასკნელი ცდა თავისი თხზულებათა კრებულის გამოცემისა.

პოეტის გარდაცვალების შემდეგ, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში გადაიდგა ამ მხრივ პირველი ნაბიჯი: 1925 — 1928 წლებში, ს. გორგაძისა და ა. აბაშელის რედაქციით გამოიცა აკაკის „რჩეული ნაწერების“ ოთხტომეული. მაგრამ ეს გამოცემაც აკაკის შემოქმედების მხოლოდ ერთ ნაწილს შეიცავდა. ამ შესანიშნავი კლასიკური მხატვრული მემკვიდრეობის უდიდესი ნაწილი კი ისევ სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებსა და ერთდროულ გამოცემებში გაფანტული, ან სრულიად გამოუქვეყნებელი დარჩა.

აღნიშნულის შემდეგ თავისთავად ცხადია თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს აკაკის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემას, რომელიც შვიდ ტომად არის განზრახული. ამ შესანიშნავ საქმეს, როგორც ცნობილია, საფუძველი ჩაეყარა იმ ზეიმთან დაკავშირებით, რომელიც 1940 წელს იქნა გადახდილი, აკაკის, გასული საუკუნის ამ ერთერთი უდიდესი ქართველი პოეტისა და მოქალაქის დაბადებიდან ასი წლის შესრულების გამო.

ამჟამად უკვე გამოცემულია აკაკის თხზულებათა სრული კრებულის პირველი სამი ტომი. მათგან პირველი და მესამე ტომი გამოვიდა საიუბილეოდ, ხოლო მეორე 1941 წელს.

პირველი და მეორე ტომი შეიცავს ლექსებს. რედაქტორებს ალ. აბაშელსა და პ. ინგოროყვას საკმაო მუშაობა ჩაუტარებიათ აკაკის პოეტური მემკვიდრეობის (ლირიკის) შეგროვებისა და რედაქტირებისათვის. ორივე ტომში შესულია პოეტის 941 სხვადასხვა ხასიათის ნაწარმოები. მათი საგრძნობი ნაწილი დღემდე მივიწყებული ან სრულიად დაუბეჭდავი იყო. ეს ტომები აკაკის ლექსების პირველ, შედარებით მთლიან და აგრეთვე აკადემიურ გამოცემას წარმოადგენენ.

აღსანიშნავია მეორე ტომზე დართული, პ. ინგოროყვას შენიშვნები — „აკაკი წერეთლის ლექსები“ (კომენტარი, ტექსტის ისტორია, ქრონოლოგია, ბიბლიოგრაფია). მასში მრავალი მეტად საინტერესო მასალაა მოცემული აკაკის ცალკეული ლექსების შესახებ. კერძოდ, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ამ ნარკვევის ყველაზე უფრო თვალსაჩინო და ორიგინალური თავი „აკაკის თანამშრომლობა იაკობ გოგებაშვილთან „დედა-ენა“-ში.

აკაკის თხზულებათა სრული კრებულის პირველი და მეორე ტომი ხასიათდება გარკვეული ნაკლითაც. ამ მხრივ, უმთავრესად აღსანიშნავია ის გარემოება, რომ რედაქტორებს არ აქვთ გამოყენებული ზოგიერთი მეტად მნიშვნელოვანი მასალა, სახელდობრ:

1. ჟურნალ „ცისკრისა“ და სხვა პერიოდულ გამოცემათა კომპლექტები, რომლებიც ს. გორგაძის ცნობით, აკაკის საკუთრებას შეადგენდა, ხოლო პოეტის გარდაცვალების შემდეგ წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოებას გადაეცა [1]). ამ ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი აკაკის ლექ-

---

[1]) ამჟამად მათი დიდი ნაწილი დაცულია ი. სტალინის სახ. თბ. უნივ. ფუნდამენტალურ ბიბლიოთეკაში. ამ კომპლექტის „ცისკრის“ რამდენიმე ნომერი კი მოთავსებულია შ. რუსთაველის სახ. ლიტერატურის ბიბლიოთეკაში.

სები გასწორებულია თვით პოეტის მიერ, ალბათ თხზულებათა სრული კრებულის გამოცემის განზრახვის გამო. ეს შესწორებანი, რომლებიც აკაკის ცხოვრების უკანასკნელ პერიოდს, ყოველშემთხვევაში მეორე ნახევარს უნდა ეკუთვნოდეს, მეტად მდიდარ მასალას იძლევა მთელი რიგი ლექსების ტექსტის დადგენისათვის. ამ მასალებიდან, როგორც პ. ინგოროყვას შენიშვნებიდან ირკვევა[1]), რედაქტორებს გამოუყენებიათ „ცისკრის" მხოლოდ ორი ნომერი (1889 წლის № 1 და № 3), რომლებშიც დაბეჭდილია ლექსები „ჩემს ვენერას" და „ბ. წ.".

2. კირილე ლორთქიფანიძის მიერ, დაახლოებით 1860 — 1862 წლებში პეტერბურგში შედგენილი ქართველი პოეტების ლექსებისა და პოემების ხელნაწერი კრებული, რომლის საფუძველზე გამოიცა ცნობილი „ჩონგური". ამ კრებულში მოთავსებულია აკაკის ლექსების მთელი სერია, რომელთა შორის ერთი ნაწილი დღემდე სრულიად უცნობია ან უცნობ ვარიანტს წარმოადგენს, ხოლო ნაწილს კრებულის შემდგენლის საყურადღებო მინაწერები და შენიშვნები აქვს დართული[2]).

3. ქუთაისის მუზეუმში დაცული აკაკის ზოგიერთი ავტოგრაფი, კერძოდ რვეული № 10[3]). აგრეთვე, უკანასკნელ პერიოდში გამოქვეყნებული: აკაკის ზოგიერთი უცნობი ნაწარმოებები, წერილები, ნარკვევები აკაკიზე და სხვა მასალები.

დასახელებული მასალების გამოუყენებლობის გამო სარეცენზიო ტომებში არ არის შესული აკაკის ლექსების გარკვეული რაოდენობა. ამავე დროს, პ. ინგოროყვას შენიშვნებშიც გარკვეული ციკლის ლექსების ტექსტის ისტორია, დათარიღება და სხვა ხასიათის ცნობები, ან არა სრულია, ან შეცდომებს შეიცავს. გამორჩენილი ლექსებიდან საილუსტრაციოდ აღვნიშნავთ შემდეგს:

1. „სურვილი". მოთავსებულია კ. ლორთქიფანიძის ხელნაწერ კრებულში. ავტოგრაფი არ არის დაცული.

2. „ქურდ გოგოს". მოთავსებულია იქვე. ავტოგრაფი არ არის დაცული.

3. „ნეტავი ის ბედი მომცა". (ვარიანტი). მოთავსებულია იქვე. ამ ლექსის არსებითად განსხვავებული ვარიანტის ავტოგრაფი დაცულია ქუთაისის მუზეუმში.

4. „ვინ არიან?" ეს ლექსები აკაკის წერილში—„ახირებული ფურცელი". უკანასკნელი, მესამე თერგდალეულის ხელმოწერით, დაიბეჭდა „ცისკრის" 1862 წლის მაისის ნომერში და, როგორც ცნობილია, მიმართულია მამების, კერძოდ კი ე. წერეთლის წინააღმდეგ. შ. რუსთაველის სახ. ლიტერატურის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში დაცულია „ცისკრის" დასახელებული ნომრის აკაკის ნაქონი ეგზემპლარი, რომელშიც ეს ლექსი გასწორებულია და დასათაურებული თვით აკაკის მიერ. აგრეთვე, ეს ლექსი აკაკის ნაწარმოებებს შორის მოთავსებულია კ. ლორთქიფანიძის ხელნაწერ კრებულშიც, სათაურით „ჭრელაძეები ვინ არიან?". აქ მას მიწერილი აქვს თარიღი: „28 მარ. 1862 წ. ქ. პეტერბ." ამავე დროს: „ცისკარ. 1862 წ. № 5", რაც მიუთითებს წყაროს, საიდანაც აღნიშნული ნაწარმოები გადმოუწერია კრებულის შემდგენელს.

5. „ჰეე-ჰოს ხმაზედ". ჩართულია იმავე წერილში. რუსთაველის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში დაცულ „ცისკრის", წინა ლექსის შენიშვნაში დასახელებულ ეგზემპლარში ისიც გასწორებულია და დასათაურებული თვით აკაკის მიერ. (ამ ლექსში უფრო მეტი შესწორებები აქვს შეტანილი პოეტს, ვიდრე პირველ ჩანართ ლექსში).

6. „მოთქმა შვილზედ". ავტოგრაფი დაცულია ქუთაისის მუზეუმში. ეს ლექსი დაწერილი უნდა იყოს აკაკის პირველი შვილის (?) სოფიოს (სონიას) გარდაცვალების გამო, ავტოგრაფი, ლექსის ქვეშ, შემდეგ მინაწერს შეიცავს: „დ(აიბადა) 1866-სა წელსა, მაისის 27 პარასკევს — გ(არდაიცვალა) 8-ს დეკემბერს 1867-ს პარასკევს".

7. „კატოს". ავტოგრაფი დაცულია ქუთაისის მუზეუმში (აკაკის რვეული № 10) სხვა ხელით ლექსის ავტოგრაფს მიწერილი აქვს თარიღი: „66 წ.".

8. „ლურჯ-თვალებს". ავტოგრაფი დაცულია ქუთაისის მუზეუმში (რვეული № 10). ავტოგრაფზე სხვა ხელით მოწერილია თარიღი: „70 წ.".

---

[1]) იხ. აკაკი წერეთელი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 627.

[2]) აღნიშნული კრებული დაცულია ქუთაისის მუზეუმში, კ. ლორთქიფანიძის არქივში.

[3]) ამ რვეულს, აგრეთვე ქვემოთ დასახელებულ სხვა მასალებსაც, რომლებიც ქუთაისის მუზეუმშია დაცული, — გავეცანით 1935 წელს. ამიტომ ვუთითებთ დასახელებული რვეულის მაშინდელ ნომერს.

9. „სიმღერა“ („ვაი სიყვარულისა, მწარ-დაფარულისა“). ავტოგრაფი დაცულია იქვე (რვეული № 10). სხვა ხელით მოწერილი აქვს თარიღი: „70 წ.“.

10. „მშვიდობით“. ავტოგრაფი დაცულია იქვე (რვეული № 10). სხვა ხელით მიწერილი აქვს თარიღი: „62 წ.“.

11. „ცრუ-მორწმუნეობა“. ქუთაისის მუზეუმში დაცულია ამ ლექსის ორი ავტოგრაფი. ერთერთ ავტოგრაფში მას ეწოდება — „სომხის ალბომში“. უკანასკნელ ვარიანტს სხვა ხელით მიწერილი აქვს თარიღი: „66 წ.“ (იხ. რვეული № 10) [1]).

12. „ხმა“. პირველად დაიბეჭდა 1916 წელს, ცენზურის მიერ შემოკლებული სახით. მთლიანი ტექსტი დაბეჭდილია „ლიტერატურულ მემკვიდრეობაში“ [2]). ავტოგრაფი არ არის დაცული. ამ ლექსის პირი ჩვენ გადმოგვცა ს. მერკვილაძის მეუღლემ ანა მერკვილაძემ, შემდეგი შენიშვნით: „ეს აკაკის საკუთარი ლექსი, გადმოწერილია აკაკის იმ ხელნაწერიდან, რომელიც ჩვენს ოჯახში დაიწერა, თვით აკაკის ხელნაწერი კი დავხიეთ რეაქციის დროს, რომ ის მთავრობას არ ჩავარდნოდა ხელში და პოეტისათვის დევნა არ დაეწყოთ“.

რაც შეეხება II ტომთან დართულ ბ. ინგოროყვას შენიშვნებს — გამოკვლევას („აკაკი წერეთლის ლექსები“) რეცენზიაში შეუძლებელია აღინიშნოს ჩვენს მიერ შემჩნეული ყველა უარყოფითი მომენტი. ამიტომ მივუთითებთ მხოლოდ უფრო დამახასიათებელ შემთხვევებს:

1. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დასახელებულ შენიშვნებში ბიბლიოგრაფიული ცნობები წარმოდგენილია მხოლოდ აკაკის სიცოცხლეში გამოცემულ ნაბეჭდი წყაროების მიხედვით. აკაკის გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნებულ ნაწარმოებთა ბიბლიოგრაფია, აგრეთვე პოეტის ლექსების ამ თარიღის შემდეგი პერიოდის გამოცემები, მასში სრულიად არ არის მოცემული, რაც ალბათ იმით აიხსნება, რომ როგორც ამ მხრივ, ისე მრავალ არსებითი ხასიათის მომენტის მხრივაც, შენიშვნების ავტორი ძირითადად განსვენებულ ს. გორგაძის ცნობილ „აკაკის ბიბლიოგრაფიას“ ემყარება [3]). ეს ცნობებიც საჭირო იყო შესულიყო ამ ნარკვევში, უმთავრესი მონაცემების სახით მაინც. საერთოდ, მწერლის ნაწარმოებთა ისტორიული ბედის შესწავლის, ან კლასიფიკაციის მიჯნად, მწერლის გარდაცვალების თარიღის მიჩნევას, ჩვენი აზრით, არ აქვს არავითარი გამართლება.

2. პირველ ტომში მოთავსებული ლექსის „შამილის სიზმარის“ შესახებ, შენიშვნებში შემდეგს ვკითხულობთ: „დაწერილია 1860 წელს (ან 1859)“ [4]). თვით ლექსის ტექსტს კი მიწერილი აქვს 1860 წელი [5]). ასეთ დათარიღებას ბ. ინგოროყვა ამყარებს ს. გორგაძის „აკაკის ბიბლიოგრაფიაში“ ჩართულ კ. ლორთქიფანიძის გვიანდელ, კერძოდ აღნიშნული „ბიბლიოგრაფიის“ შედგენის დროის მოგონებას. აგრეთვე, შენიშვნებში მითითებულია ამ ლექსის მხოლოდ ერთი ვარიანტი, დაცული საქ. მუზეუმის ხელნაწერების განყოფილებაში, ავტოგრაფის სახით.

„შამილის სიზმარის“ როგორც ასეთი დათარიღება, ისე მის მხოლოდ ერთ ვარიანტზე მითითება, სწორი არ არის.

კ. ლორთქიფანიძის მიერ სტუდენტობის პერიოდში შედგენილი, ზემოდ არაერთხელ დასახელებულ ხელნაწერ კრებულში, შეტანილია ეს ლექსიც, კრებულის შემდგენელის შემდეგი შენიშვნით:

„ეს ლექსი დავწერე თვითონ მისი (აკაკის) სიტყვებით 1862 წ. თებერ. ამაში ზოგი შეცვლილია და ზოგი გამოტოვებული. ორიგინალიდამ, რომელიც დაიწერა 1859 წ., მოვიყვანთ გადასხვაფერებულებს და გამოტოვებულებს“. ამ რიგად, როგორც ამ უდავოდ სარწმუნო შენიშვნიდან სჩანს, ეს ლექსი დაწერილია არა 1860 წელს, არამედ 1859 წელს. სამი წლის შემდეგ იგი გადაუკეთებია პოეტს: ზოგი შეუცვლია, ხოლო ზოგიერთი სტროფი სრულიად გამოუტოვებია. (ყველა ეს შეცვლილი ადგილები კ. ლორთქიფანიძეს აღნიშნული აქვს სქო-

---

[1]) აღნიშნული სხვა ხელით მინაწერი თარიღები ყველა აქ დასახელებულ ლექსებზე № 10 რვეულიდან, შეიძლება ეკუთვნოდეს კ. ლორთქიფანიძეს.

[2]) „ლიტ. მემკვიდრეობა“. წიგნი I, თბილისი, სახელმწ. უნივერს. გამომცემლობა. 1935 წ. გვ. 341 — 345.

[3]) ს. გორგაძის „აკაკის ბიბლიოგრაფია“ დაცულია საქ. მუზეუმის ხელნაწერების განყოფილებაში, ხელნაწერის სახით (იხ. სს ფონდი № 1466). მისი უდიდესი ნაწილი დაიბეჭდა ს. გორგაძის და აბაშელის რედაქციით გამოცემულ აკაკის „რჩეულ ნაწერების“ ოთხტომეულში. შედგენილია, დაახლოებით, 1914 — 1916 წლებში.

[4]) ტომი II, გვ. 633.

[5]) ტომი I, გვ. 13.

ლიოში). ორივე დასახელებული ვარიანტი კი საგრძნობლად განსხვავდება პ. ინგოროყვას მიერ დასახელებულ საქ. მუზეუმის ხელნაწერების განყოფილებაში დაცულ ვარიანტისაგან, რომელიც ამ ლექსის უფრო გვიანდელ რედაქციას წარმოადგენს. მაშასადამე, არსებობს „შამილის სიზმრის“ არა ერთი, არამედ სამი ვარიანტი [1]).

აღნიშნულს უნდა დაუმატოთ შემდეგიც: „შამილის სიზმრის“ ავტოგრაფის სახით დაცული ვარიანტი პ. ინგოროყვას მიჩნეული აქვს ამ ლექსის სრულ ტექსტად. სინამდვილეში კი მას სამწუხაროდ აკლია მესამე ფურცელი, რომელზეც სამი უკანასკნელი სტროფი ყოფილა დაწერილი. ამის გამო ამ ვარიანტში არ სჩანს, რომ ლექსში აღწერილი ამბავი სიზმარს წარმოადგენს. ეს უკანასკნელი სტროფები კი ამ მომენტის გახსნას შეიცავენ [2]). ამავე დროს, დასახელებული სტროფები მოცემულია არა მარტო 1859 წლის ვარიანტში, არამედ 1862 წლის ვარიანტშიც, რომელსაც შედგენილობის მხრივ პირდაპირ ემთხვევა ავტოგრაფიული ვარიანტის დაცული ტექსტი. ყველა ეს გარემოებანი, ჩვენი აზრით, ნათელს ხდიან „შამილის სიზმრის“ ავტოგრაფული ვარიანტის მითითებულ დეფექტურობას.

3. პ. ინგოროყვას აღნიშნული აქვს „აპელაციის მცოდნის“, „ცისკარისა“ და „ჩონგურში“ დაბეჭდილი ტექსტების ზოგიერთი სტილისტური სხვაობანი, შედარებით ამ ლექსის იმ ტექსტთან, რომელიც მოთავსებულია სარეცენზიო გამოცემაში. ლექსის დაწერის თარიღს უთითებს „ჩონგურის“ მიხედვით, სადაც აღნიშნულია მხოლოდ თვე და წელი (ტ. II, გვ. 635). ეს ცნობები არ არის სრული. კერძოდ მას უნდა დაემატოს შემდეგი: ამ ლექსის პირველი ვარიანტი შეტანილია კ. ლორთქიფანიძის ხელნაწერ კრებულში. ეს ვარიანტი „ცისკრისა“ და „ჩონგურის“ ტექსტთან შედარებით, შემდეგ განსხვავებებს შეიცავს: ა. ლექსის ტექსტს წინ მიუძღვის შემდეგი ეპიგრაფი:

„რუსულს ეს ვერ ახერხებს,
ქართული ერცხვინება,
რას ამბობს ვინ გაიგებს?
მოდი ნუ გეწყინება?
კომედიიდან: „კაკარდოსანი“
აკ. წერეთლისა.“

ლექსის „ცისკარში“ დაბეჭდვის შემდეგ, ეს სტრიქონები კრებულის შემდგენელს ფანქრით გადაუხაზავს და მიუწერია: „არ უნდა“.

ეს ეპიგრაფი განსაკუთრებით საინტერესოა იმით, რომ იგი უთითებს აკაკის უცნობ კომედიაზე, რომელიც პოეტს შეიძლება არ დაუსრულებია.

ბ. უკანასკნელი სტროფი იკითხება შემდეგი სახით:

ყრუ დათვად მიმაჩნია მამა მისი ჩანჩურა.
ბევრს მართალი ჰგონია, და მე კი ამას ვყვირი,
რომ ეს ჩვენი სწავლული არც დათვია, არც ტურა,
მაგრამ ფრაკშიდ ბრძანდება გამოჭიმული ვირი.

ეს სტროფიც „ცისკრის“ ვარიანტთან შედარების დროს წაუშლია კ. ლორთქიფანიძეს და მის მაგივრად გვერდზე ფანქრით მიუწერია „ცისკრის“ ვარიანტის სრულიად განსხვავებული უკანასკნელი სტროფი.

რაც შეეხება თარიღს, ხელნაწერ კრებულში აღნიშნულია დაწერის ადგილიც: „დეკემ. 1861 წ. პეტერ.“ ამ კრებულში დაწერის ადგილი „პეტერ.“ — მომატებული აქვს „მუშურისა“ და „შიქასტას“ თარიღებსაც.

4. „ასათიანებს“ სარეცენზიო წერილში მიწერილი აქვს თარიღი 1870 წ. (ტ. II, გვ. 539). იგივე თარიღია აღნიშნული შენიშვნებშიც: დაწერილია 1870 წელს“ (იხ. შენიშვნა ავტოგრაფში). აგრეთვე, იქვე აღნიშნულია ამ ლექსის მხოლოდ ერთი ავტოგრაფის არსებობა (ტ. II, გვ. 644), სინამდვილეში ქუთაისის მუზეუმში დაცულია ამ ლექსის არა ერთი,

---

[1]) „შამილის სიზმრის“ 1862 წლის ვარიანტი გამოქვეყნებულია ჩვენს მიერ ჟურნ. „ჩვენი თაობის“ 1940 წლის მეექვსე ნომერში, ავტოგრაფიული (გვიანდელი) ვარიანტი კი პირველად დაიბეჭდა გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტის“ 1935 წლის 12 თებერვლის ნომერში, აგრეთვე ჩვენი პუბლიკაციით.

[2]) ეს სტროფები იხ. „ჩვენი თაობა“-ში, 1940 წ., № 6, გვ. 17.

არამედ ორი. სამავე დროს, არც ერთს დაწერის თარიღი არ აქვს მოწერილი. მათზე სათაურს ქვეშ მიწერილი ავტორის შენიშვნები კი ასეთი ხასიათისაა: ერთერთ მაგალითს მოწერილი აქვს — „ასე დაარქვეს მეკენჭეებს 1870, მეორედ ალექსანდრეს „არჩევაზე“ — ხოლო მეორეს: „ასე დაარქვეს მეკენჭეებს 1870 წ.“. ამ მინაწერების მიხედვით, ეჭვიანობა — ეჭვიანობა, გვიფიქროთ, რომ ეს ლექსი მართლაც 1870 წელს არის დაწერილი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, აღნიშნული თარიღის ლექსზე პირდაპირ მიწერა, აღდგენის ნიშნის გარეშე, მაინც არ არის მართებული.

5. არ არის სწორი „ხ ო ლ ე რ ა ს“ ლექსად მიჩნევა (ტ. II, გვ. 679). ეს ნაწარმოები ყოველგვარ ეჭვს გარეშე პოემას წარმოადგენს. ამიტომ იგი მესამე ტომში უნდა შესულიყო და არა ლექსების ტომებში. ეს ასე უნდა მომხდარიყო მით უმეტეს იმიტომ, რომ ისეთი შედარებით უფრო ლირიკული ხასიათის ნაწარმოები, როგორიცაა „მოხუცის გრძნობა“, სრულიად სამართლიანად პოემების ტომშია შეტანილი.

აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ეს პოემა, პოეტის სიცოცხლეში, ცენზურის მიერ დამახინჯებული სახით დაბეჭდა. სარეცენზიო გამოცემაშიც იგი ამ დამახინჯებული ტექსტითაა შეტანილი. პ. ინგოროყვას გამოკვლევაში კი შემდეგს ვკითხულობთ: „I ტომის დაბეჭდვის შემდეგ ჩვენ ვიპოვეთ ამ ლექსის ხელნაწერი პირი, რომელიც ცენზურაში ყოფილა წარდგენილი 1892 წელს. აღმოჩნდა ეს ხელნაწერი არა სარეცენზიო კომიტეტის საქმეებში, სადაც პირველად ვეძებდით, არამედ კირილე ლორთქიფანიძის არქივში“ და სხვ... (ტ. II, გვ. 679). პატივცემულ რედაქტორს ალბათ გამოეპარა მხედველობიდან, რომ ამ პოემის ხელნაწერის აღნიშნული პირის არსებობა, უკვე რამდენიმე წელია, რაც ცნობილი ფაქტია. კერძოდ იგი დასახელებულია „მნათობის“ 1936 წლის მერვე ნომერში დაბეჭდილ ერთერთ წერილში [1]). იქვე მოყვანილია ორი ნაწყვეტი პოემის აკრძალულ ნაწილებიდან [2]).

6. პ. ინგოროყვას აღნიშვნით, საბავშვო ლექსები: „ე ლ ა ს დ ე დ ო ფ ა ლ ა“ და „ე ლ ა ს დ ა დ ა თ ი კ ო ს შ უ ა“ არ დაბეჭდილა (ტ. II, გვ. 718). სინამდვილეში კი ისინი დაბეჭდილია „ლიტერატურულ მემკვიდრეობაში“, აგრეთვე ელენესადმი მიძღვნილ სხვა ოთხს სტრიქონთან („გაივსე და გაიზარდე“...) ერთად [3]). იქვე მოყვანილია ელ. ჩერქეზიშვილის ცნობა ამ ლექსის შესახებ [4]).

(ეს ცნობა, კორექტურული აღრევის გამო, მოთავსებულია შენიშვნაში ლექსზე — „გლეხის საჩივარი“. ასეთი აღრევა და დამახინჯება აქ სხვა ლექსების შენიშვნებშიც არის დაშვებული).

8. პ. ინგოროყვას ნარკვევის უკანასკნელ ნაკვეთში, რომელსაც ეწოდება „აკაკის ლექსები, ჩართული პუბლიცისტურ და მხატვრულ ნაწერებში“, — ვკითხულობთ: „აკაკის ლექსების მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორც ცნობილია, ჩართულია ფელეტონებში და სხვა და სხვა პუბლიცისტურ წერილებში, აგრეთვე სხვა ჟანრის მხატვრულ ნაწარმოებში. სახელდობრ 5 ლექსი ჩართულია პოემებში და დრამატიულ ნაწერებში ლექსად; 17 ლექსი — მხატვრულ პროზაში, 12 ლექსი — საყმაწვილო წიგნში „გადია“, ხოლო 68 ლექსი შეტანილია სხვადასხვა პუბლიცისტურ ნაწერებში“ (ტ. II, გვ. 744).

აქ მოცემული ცნობების ირგვლივ უნდა აღვნიშნოთ ორი გარემოება:

ა. აკაკის ფელეტონებსა და სხვადასხვა პუბლიცისტურ წერილებში ჩართულია არა 68 ლექსი, არამედ მეტი. სხვა ფაქტს რომ თავი დავანებოთ, ამას ადასტურებს „ა ხ ი რ ე ბ უ ლ ფ უ რ ც ე ლ შ ი“ ჩართული ზემოთ დასახელებული ლექსებიც: „ვ ი ნ ა რ ი ა ნ?“ და „ჰეე-ჰოს ხმაზედ“, რომლებიც ციტირებული სტრიქონების ავტორს არ აქვს მიღებული მხედველობაში.

---

[1]) „მნათობი“, 1936 წ. № 8, გვ. 129 — 130.

[2]) იმავე წერილში პირველად წარმოდგენილია აგრეთვე, აკაკის ეროვნულ თემაზე დაწერილი პირველი ლექსის „ნ ა ვ ი ს“ ტექსტის აღდგენაც.

ამასთანავე, ვსარგებლობთ შემთხვევით აღვნიშნოთ შემდეგიც: აქ დასახელებული წერილი, რომელიც ამ რეცენზიის ავტორს ეკუთვნის, ავტორთან შეუთანხმებლად დაიბეჭდა შეცვლილი სათაურით და შემოკლებით. მას ეწოდება — „შენიშვნები აკაკი წერეთლის შემოქმედებაზე“ და არა „აკაკი წერეთლის რეალიზმი“. ამ სათაურს ნაწილობრივადაც კი არ ამართლებს წერილის შინაარსი. შემოკლებებიც მეტად შესამჩნევ ხარვეზებს ქმნის მსჯელობის განვითარებაში.

[3]) „ლიტ. მემკვიდრეობა“, წიგნი I, გვ. 336.

[4]) იქვე, გვ. 338.

ბ. „გ ა დ ი ა“ არ წარმოადგენს ერთ მთლიან ნაწარმოებს, პირიქით, იგი ნაწარმოებთა კრებულია, რომელშიც გარკვეული ჯგუფის პროზაულ და პოეტურ ნაწარმოებებს მხოლოდ თემატური ერთიანობა აკავშირებთ ურთიერთთან. ამიტომ მასში მოთავსებული ლექსები არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალონ ჩართულ ლექსებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ ვწყვეტთ ჩვენს შენიშვნებს. მათთან ერთად საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ შემდეგიც: აკაკის პოეტური მემკვიდრეობა, იმდენად მრავალფეროვანია და გაფანტული სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებსა და ხელნაწერთა კოლექციებში, რომ მასზე მუშაობისას, იმ მეტად მნიშვნელოვანი ნარკვევის არსებობის მიუხედავად, რომელსაც ს. გორგაძის „აკაკის ბიბლიოგრაფია“ წარმოადგენს, მაინც შეუძლებელია უნაკლოდ ფონს გასვლა. ამ გარემოების გამო, ზემოდ წარმოდგენილი შენიშვნები, სრულიად არ ამცირებს იმ დამსახურებას, რომელიც ა. აბაშელსა და პ. ინგოროყვას მიუძღვით, აკაკის ლექსების შეკრების საქმეში, სარეცენზიო ტომების შედგენისა და რედაქტირების სახით.

დასასრულ, აღსანიშნავია პირველ ტომში მოთავსებული პ. ინგოროყვას წერილი „აკაკი წერეთლის შემოქმედება“. ეს წერილი დაწერილია მისი ავტორისათვის საერთოდ დამახასიათებელი განცდით და ერუდიციით. რაც შეეხება კონცეპციას, რომელსაც პატივცემული მკვლევარი ანვითარებს მასში, ჩვენი აზრით, იგი შეიცავს შემდეგ ნაკლს:

1. აკაკის შემოქმედება და მსოფლმხედველობა დასახელებულ წერილში, განხილულია ერთ მთლიანობაში, გაუთვალისწინებლად იმ ევოლუციისა, რომელიც უაღრესად ცვალებადი და მკვეთრი კონტრასტების შემცველი ეპოქის ზეგავლენით განიცადა დიდმა ქართველმა პოეტმა. ეს მომენტი კი იმდენად არსებითი ხასიათისაა, რომ მისი ანალიზის გარეშე ყოვლად შეუძლებელია დახატული იქნეს აკაკის ნამდვილი და ყოველმხრივი პორტრეტი.

2. წერილში არ არის ხაზგასმული აგრეთვე ის შედარებითი სხვაობაც, რომელიც აკაკის ძირითადი პოლიტიკური იდეებისა და მხატვრული შემოქმედების ძირითად ტენდენციებს შორის არის მოცემული; სახელდობრ ის გარემოება, რომ აკაკი, თავის მხატვრულ შემოქმედებაში გაცილებით უფრო ახლო იდგა თავისი ეპოქის სიმართლესთან, თავისი ხალხის განცდებსა და ინტერესებთან, გაცილებით უფრო მკვეთრად ებრძოდა მისი დროის სოციალურ უსამართლოებას, ვიდრე პუბლიცისტურ წერილებსა და აგრეთვე ცალკეულ მხატვრულ ნაწარმოებში გამოხატულ ძირითად პოლიტიკურ იდეების სფეროში. ეს მომენტიც აკაკის შემოქმედების უაღრესად არსებით მხარეს წარმოადგენს.

მ. დუდუჩავა.

ბ. ნ ა ტ რ ო შ ვ ი ლ ი — „ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი ე ტ ი უ დ ე ბ ი“

1941 წ. სახელგამი.

თანამედროვე სალიტერატურო კრიტიკის დარგში ფართო და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა გ ი ო რ გ ი ნ ა ტ რ ო შ ვ ი ლ ი. მისი ახალი წიგნი „ლიტერატურული ეტიუდები“ წარმოადგენს შრომას, რომელშიაც ავტორი არკვევს ლიტერატურული მემკვიდრეობის მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებს, წიგნში წამოყენებულია ფრიად ორიგინალური მოსაზრებანი ამა თუ იმ მწერლის შემოქმედებაზე. ავტორი მიმოიხილავს იმ სოციალურ გარემოს და პირობებს, რომლებიც ხსნიან თითოეული მწერლის შემოქმედებით სახეს. განხილულია სხვადასხვა ლიტერატურული მიმდინარეობანი, და წარმოდგენილია მათი საფუძვლიანი დახასიათება, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პოეტ ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების განხილვასთან დაკავშირებით რომანტიზმის, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობის წარმოშობის და განვითარების გარშემო გამოთქმული მნიშვნელოვანი და ორიგინალური მოსაზრებანი. იმავე წერილში ფართოდ არის განხილული რომანტიზმის ნიადაგი. მწერლის დავ. კლდიაშვილის შემოქმედების მიმოხილვას ავტორი კარგად უკავშირებს რეალიზმის რაობის განმარტებას.

წიგნში წარმოდგენილია შვიდი ეტიუდი (როგორც ავტორი უწოდებს მათ). ჩვენის აზრით ეს სახელწოდება შეეფერება ამ ნარკვევებს, რადგან მწერლის შემოქმედებითი სახე თითოეულ ნარკვევში წარმოდგენილია ზოგად დამახასიათებელ ხაზებში. მაგალითად, აკაკი წერეთლის პატრიოტულ სულისკვეთებას ავტორი გვიხასიათებს ლირიკული ლექსებით და „ბაში-აჩუკით“. აქ განხილული არ არის აკაკის დრამა, სატირა, პროზა და სხვა ჟანრები,

მაგრამ ეტიუდი მაინც მთლიანია, გასაღები აკაკის შემოქმედებისა ნაპოვნია — ესაა აკაკის ღრმა და უმწიკვლო პატრიოტიზმი.

წიგნში ფართოდაა განხილული იოანე ბატონიშვილის „კალმასობა" — მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის ქართული მწერლობის უშესანიშნავესი ბელეტრისტული ნაწარმოებისა, რომლის თემა მთელი საქართველოა — დაწყებული ქიზიყიდან და დამთავრებული შავი ზღვის ნაპირებით. გ. ნატროშვილი ამ ნაწარმოებს იხილავს, როგორც პირველ თხზულებას მეცხრამეტე საუკუნის მწერლობისას, რომელიც გვიხატავს ბატონყმური ცხოვრების საშინელებას. კრიტიკოსი ახასიათებს ვოლტერიანობით გატაცებას იმ დროინდელ საქართველოში, აღნიშნავს „კალმასობაში" ამის ანარეკლს. აქვე, ავტორი შენიშნავს თუ რა გავლენა მოახდინა „კალმასობამ" მეცხრამეტე საუკ. ქართულ მწერლობაზე. ლუარსაბ თათქარიძე ღვიძლი შთამომავალია და მემკვიდრე „კალმასობის" პერსონაჟის — მოურავის შვილის ფლორესი, რომელიც ამაყად გაიძახის: „რად მინდა წიგნი ვისწავლო და მეცნიერება, აჰა, ჩვენი ცოდნა ეს არისო"—ამ სიტყვებთან ერთად ავსებს ჯიხვის დიდ ყანწს ღვინით, სვამს და ალაგერდს ბერთან გადადის. „კალმასობის" გავლენა მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე ცხადია, ერთი და ორი ფაქტით არ ამოიწურება. „კალმასობამ" დააწერინა ვაჟა-ფშაველას ისტორიული პოემა „ბახტრიონი". ათასი მაგალითებით წიგნის ავტორი მიგვითითებს თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ შესანიშნავ ნაწარმოებს ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

წიგნში კარგადაა აგრეთვე დახასიათებული ალ. ჭავჭავაძის პიროვნება და მისი შემოქმედება. ავტორი გვიხატავს პოეტის მონაწილეობას 1812 წლის სამამულო ომში, საიდანაც ის გაჰყვა მომქმედ არმიას პარიზში, რათა საკუთარი თვალით ენახა ნაპოლეონის იმპერიის დაღუპვა. ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების მიმოხილვაში გ. ნატროშვილი შენიშნავს, რომ პირველად პოეტის ლექსებში ჩნდება სახე სამშობლოსი, როგორც დატყვევებული სატრფოსი. ის სახე შემდეგში გაფართოვა და უფრო ვრცლად გამოიყენა მეცხრამეტე საუკუნის ქართულმა პოეზიამ. ჩვენის აზრით ეს არ უნდა იყოს მართებული, პოეტს სატრფიალო ლირიკა არ დაუკავშირებია ეროვნულ ტკივილებთან. გ. ნატროშვილი სამართლიანად შენიშნავს ამავე ნარკვევის სხვა ნაწილში: „იდეურად ის (ალ. ჭავჭავაძე) ვოლტერის და არაეკატერინეს ნათლული იყო, ვოლტერის საუკუნის შვილი იყო, საუკუნის, რომელმაც თავის მოწინავე სოციალურ იდეების ქადაგებაში არ დაივიწყა ჯანსაღი მიწიერი პოეზია, არამედ შეათავსა ისინი ერთი მეორესთან, რომელმაც ათეიზმთან ერთად ანაკრეონული პოეზიაც ააღორძინა, რომელიც აგრძელებდა რენესანსის სიცოცხლის მოყვარეობის ტრადიციას". ამავე წერილში კარგად არის დახასიათებული ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში სოციალური ინსტიქტების მასაზრდოვებელი წყარო. ავტორი დასძენს, ასეთი წყარო ევროპის კულტურის ატმოსფერო და კერძოდ ვოლტერის გავლენა იყოო. ეს უთუოდ ასეა, რადგან ბატონყმურ საქართველოს პირობებში ა. ჭავჭავაძე, ფეოდალური არისტოკრატიის შვილი, — ახალი მოწინავე იდეების მხურვალე დამცველად გვევლინება. ამას ადასტურებს ლექსი „ვაი სოფელსა ამას". აქ ნაჩვენებია სურათი იმ დროისა, სადაც შემზარავ ატმოსფეროში სჭკნება და ფეხქვეშ ითელება სამართლიანობა და სიკეთე. აქვე განუხილავს ავტორს პოეტის მიერ თარგმნილი ნაწარმოები „ახლოით განჩხრეკილი კაცი", სადაც გამოხატულია თავისუფლების დიდი სიყვარული, ჰუმანიზმი, ზიზღი და სიძულვილი ტირანიისადმი. ავტორი არჩევს აგრეთვე ნაწარმოებს „ვოლტერის თქმულება", სადაც ლაპარაკია მეფეებზე, რომელნიც განდიდების და მოხვეჭის სურვილით გატაცებულნი იკლებენ ქვეყანას, აქ გამოთქმულია ის დიდმნიშვნელოვანი აზრი, რომ ომი მხოლოდ მაშინ არის სამართლიანი, როცა ის დაწყებულია სამშობლოს დასაცავად და ხალხის გასანთავისუფლებლად. ლექსში მკაცრად დაგმობილია მტაცებლური ომები, რომლებიც ხალხთა ისტორიაში აღნიშნულია, როგორც საშინელი თარიღები სისხლის ღვრისა, ბარბაროსობისა და ხალხის აწიოკებისა. გ. ნატროშვილს აგრეთვე მკითხველის ყურადღება მიუქცევია ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების განხილვისას პოეტის ისტორიულ ნარკვევზე „საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი".

ასეთი ახალი შენიშვნები ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების განხილვისას ბევრი მოეპოება ავტორს. ისინი ფრიად საინტერესოს ხდიან კრიტიკულ ნარკვევს და ორიგინალურად უკავშირებენ წარსულს, პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებას, დღევანდელობის სულსა და ვითარებას.

წიგნში გამოირჩევა ნარკვევი გრ. ორბელიანის შემოქმედებაზე. გ. ნატროშვილი განიხილავს პოეტის დამოკიდებულებას მთიულებთან, მისი აზრით ამ ბრძოლებში გრ. ორბელიანს სამშობლოსადმი დიადი გრძნობა ამოძრავებდა. პირველად ჩვენს სალიტერატურო კრიტი-

კაში ფართოდ დაუხასიათებია ავტორს პოეტის ევროპეიზმი, გოეთეს ხმაც ქართულ ლიტერატურაში პირველად ორბელიანის ლექსიდან გვესმისო. ეს დებულება მრავალი საყურადღებო არგუმენტით არის დასაბუთებული.

კარგად არის დაკავშირებული პოეტის ლექსებში ბუნების სიყვარული სტოიციზმთან. კრიტიკოსი შენიშნავს რა ამ მომენტს, დასძენს: „სამშობლოს სიყვარული — ამტკიცებული იდეიდან გადასული და განსახიერებულია უკვდავ და მარად მწვანე, ყოველ კუთხესა და ყოველ მანძილზე ულამაზეს და განუმეორებელ ბუნების სიყვარულში". ეს უთუოდ მართებულია და კარგად შენიშნული. აქვე ფართოდ არის განხილული რილეევის „ნალიავაიკოს" ქართული თარგმანის რაობა და მისი ერთიანობა, პოეტის სულისკვეთებასთან. კარგად დაუხასიათებია ავტორს პოეტის ის ლექსებიც, რომლებიც ძველ თბილისის მოქალაქეთა სულსა და გულს გვიხატავდნენ. საერთოდ, ეს ნარკვევი განსაკუთრებული სიყვარულით არის დაწერილი. აქვე თუ მივუთითებთ იმ შეხვედრებზე პოეტურ ადგილებში, რომლებიც შეუნიშნავს კრიტიკოსს ილიასა და გრ. ორბელიანის მხატვრულ ნაწარმოებებში, ამ წერილს უთუოდ მაღალი შეფასება უნდა მივცეთ.

საყურადღებოა ნარკვევები: ვაჟა-ფშაველა და ალ. ყაზბეგი. ვაჟას პანთეიზმი ნათლად დაუხასიათებია ავტორს. პოეტმა ფშაველების პირველყოფილი, გულუბრყვილო პანთეიზმი მაღალ ფილოსოფიურ მწვერვალზე აიყვანა. იგი როდია პანთეიზმის ის სახეობა, რომელიც ახალი საუკუნეების პერიოდში მოედვა ევროპას.

ვაჟამ ფშავის სიძველე დაიხმარა და ამიტომ ორიგინალური და უბრალო გამოვიდა მისი პანთეიზმი. ვაჟას ბუნება სუნთქავს, აზროვნებს და ცოცხლობს. ყოველივე ეს კარგად არის განხილული წიგნში. საფუძვლიანად არის განხილული აგრეთვე ვაჟას პოემები: „ალუდა ქეთელაური" და „სტუმარ-მასპინძლობა". ავტორს აქ მრავალი ისეთი დებულება აქვს წამოყენებული, რომელიც სულ ახალ თავისებურ, ორიგინალურ გაშუქებას იძლევა. მრავალი ისეთი დეტალი არის პოემებში შენიშნული, რომელთაც დღემდე სალიტერატურო კრიტიკის ყურადღება არ მიუქცევია. გ. ნატროშვილი იხილავს ვაჟა-ფშაველას მგზნებარე პატრიოტიზმს და მის ერთიანობას და სიახლოვეს თერგდალეულებთან. კერძოთ, აკაკის მიმართ— წარმოთქმულ სიტყვებს, „იმავ ჭირით ვარ სნეული, რაც შენ გატყვია წყლულადო". გ. ნატროშვილის ეს წერილი — „ვაჟა-ფშაველა" მრავალმხრივ საყურადღებოა.

ა. ყაზბეგის შემოქმედების განხილვაში ავტორს მთელი რიგი საინტერესო და ორიგინალური შენიშვნები მოუცია, განსაკუთრებით ეროვნული განმათავისუფლებელი ბრძოლის მოტივების გარჩევისას. ა. ყაზბეგის გმირებს ზოგადი კაცობრიული ადამიანური სულისკვეთება ახასიათებთ. ბუნებასა და ადამიანთა შორის კონტაქტია ყაზბეგთან, ბუნება იზიარებს ადამიანის მწუხარებას, მის სიხარულსა და ბედნიერებას. ყოველივე ეს მხატვრული ანალიზით არის დასაბუთებული. ა. ყაზბეგის შემოქმედებაში გმირობის კულტი, რაინდობის ტრადიცია, პირდაპირობა, მეგობრობა ფართოდ არის დახასიათებული. განსაკუთრებით კარგია ის ნაწილი, სადაც ავტორი იხილავს ა. ყაზბეგის შემოქმედების ხალხურ ფესვებს. იგი კავკასიის ხალხთა ინტერნაციონალური მთლიანობის მომღერალია. ის ჰკიცხავს ვიწრო, შეზღუდულ ნაციონალისტურ ტრადიციას, მისთვის ერთდაგვარად საყვარელია ჩეჩენი, მოხევე, ქართველი, თუ დაღესტნელი. ა. ყაზბეგის შემოქმედების მიხედვით რუს ყმა-გლეხს, რომელსაც ძალად ჩააცვეს ჯარისკაცის მაზარა, არაფერი საბრძოლველი არ ჰქონდა მოხევეებთან და ჩეჩნებთან, ექსპლოატატორული კლასები იყვნენ ერთა შორის შუღლის და ომის საერთო ორგანიზატორები.

წერილი დავ. კლდიაშვილის შემოქმედებაზე წარმოადგენს გ. ნატროშვილის იმ ნარკვევის ახალ გადამუშავებულ ვარიანტს, რომელიც წამძღვარებული ჰქონდა მწერლის თხზულების 1933 წლის გამოცემის პირველ ტომს. ამ წერილში ავტორს მთელი რიგი შენიშვნები შეუტანია, რაც დამახასიათებლად გვიხატავს იმერეთის აზნაურების ცხოვრების შესანიშნავ მეტატიანეს. აქვე განხილულია დ. კლდიაშვილის შემოქმედების ადრინდელი პერიოდი და მისი ხალხოსნური ტენდენცია.

ეს წიგნი საერთოდ ნათელ წარმოდგენას იძლევა მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურის ღირსშესანიშნავ მწერლებზე. იგი ხასიათდება მკაფიო, ზუსტად დასაბუთებულ დებულებებით. ავტორი წმინდა ქართული ენით მეტყველებს, მისი წერის მანერაც მიმზიდველია.

გ. ნატროშვილის წიგნს ფართო დახმარება შეუძლია გაუწიოს ჩვენს მკითხველებს ლიტერატურული მემკვიდრეობის მარქსისტულად ათვისებაში.

დავ. შამათავა.

პროფ. ბ. ნ. გეხტმანი — „ნარკვევები დიდ მოგზაურობათა და დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენათა ისტორიიდან".

სტალინის სახელობის თბ. სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1940 წ.

მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწის პროფ. გეხტმანის შრომაში გადმოცემულია გეოგრაფიული აზროვნების განვითარების, დიდ მოგზაურობათა და დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენათა ისტორიის მთავარი მომენტები.

შრომის პირველი თავი არკვევს გეოგრაფიის წარმოშობასთან დაკავშირებულ საკითხებს და ახასიათებს ანტიკურ გეოგრაფიას. მეორე თავში გარკვეულია, თუ როგორ ვითარდებოდა გეოგრაფიული აზროვნება ადრეული ფეოდალიზმის პერიოდში და რა გეოგრაფიული აღმოჩენები მოხდა. მესამეში — გეოგრაფიული აზროვნების მდგომარეობა არაბეთში და არაბთა გეოგრაფიული აღმოჩენანი.

მეოთხე თავში მეტად მოკლედ გადმოცემულია, თუ რა წილი შეიტანეს ნორმანელებმა (ნორვეგიელებმა) გეოგრაფიულ აღმოჩენათა საქმეში. თავი მეხუთე ეხება XIII—XIV საუკუნის მოგზაურობას და ამ პერიოდის გამოჩენილ მოგზაურთა გეოგრაფიულ აღმოჩენებს, მათ შორის ცნობილ მარკო პოლოს მოგზაურობას და მის აღმოჩენათა მნიშვნელობას.

მეექვსე თავი გადმოგვცემს უდიდეს გეოგრაფიულ აღმოჩენათა ისტორიას, მიმოხილვას აკეთებს გეოგრაფიულ აზროვნების მდგომარეობისას, და გვაძლევს წარმოდგენას იმაზე, თუ როგორ ვითარდებოდა გეოგრაფიული აზროვნება ამ პერიოდში, ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ უდიდეს გეოგრაფიულ აღმოჩენათა პერიოდი, რომელიც იწყება მე-XV საუკუნიდან წარმოადგენდა პერიოდს, როდესაც ინტერესს იჩენდნენ გეოგრაფიისადმი და მიისწრაფოდნენ ახალი ქვეყნების აღმოჩენისადმი. ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ამ პერიოდში კერძოთ „ჰუმანისტებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს გეოგრაფიისადმი" (გვ. 84). ამ პერიოდის გეოგრაფები, გადმოგვცემს ავტორი, დიდ ინტერესს იჩენდნენ აგრეთვე ანტიკურ, ბერძენ და რომაელ გეოგრაფთა თხზულებებისადმი. „აღორძინების ხანაში თარგმნიდნენ და კომენტარებს უკეთებდნენ პტოლომეს გეოგრაფიულ თხზულებებს" და სხვ. (გვ. 86).

ამ პერიოდის უდიდეს მოგზაურთა შორის ავტორი სამართლიანად იხსენიებს რუსეთის დიდ მოგზაურს ათანასე ნიკიტინს.

დიდი რუსი მოგზაურის ათანასე ნიკიტინის შესახებ ავტორი სამართლიანად და საკმაოდ სწორად ასკვნის, რომ „ათანასე ნიკიტინის სამ ზღვას იქეთ მოგზაურობა" თავისი გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული და საერთო კულტურული ცნობებით წარმოადგენს საუკუნის მეტად ძვირფას ისტორიულ ძეგლს და გვერდში უნდა ამოუდგეს „მარკო პოლოსა და ნიკოლადი-კონტის აღმოსავლეთში მოგზაურობათა ასეთსავე აღწერებს". ამავე თავში ავტორი შედარებით დაწვრილებით გადმოგვცემს სახელოვანი კოლუმბის მოღვაწეობას გეოგრაფიულ აღმოჩენათა დარგში, გვაძლევს წარმოდგენას იმ მძიმე დამაბრკოლებელ პირობებზე, რომელთა გადალახვა უხდებოდა კოლუმბს თავის მოღვაწეობის მანძილზე. გადმოგვცემს რა მაგელანის დამსახურებას გეოგრაფიულ აღმოჩენათა დარგში, წარმოადგენს რა მაგელანს, როგორც მძლავრი ნებისყოფის, დიდი ენერგიის და მხნეობის ადამიანს, რომელიც სულით არ ეცემოდა მძიმე და უნუგეშო საექსპედიციო მოგზაურობაში პროფ. გეხტმანი თავის შრომის მე-7 თავში გვიამბობს რუსების გეოგრაფიულ აღმოჩენებზე XV—XVII საუკუნეებში. მაგრამ ჩვენ უნდა გავაკეთოთ ერთი პრინციპული ხასიათის შენიშვნა მეექვსე თავის შესახებ. ავტორს არ აქვს გარკვეული თუ რა მსოფლიო სოციალ-ეკონომიურ ძვრებთან არის დაკავშირებული ის დიდი ინტერესი გეოგრაფიულ აღმოჩენებისადმი, ის გაფაციცებული ძიება ახალი აღმოუჩენელი ქვეყნებისა და გეოგრაფიულ აზროვნების ისტორიისადმი, რასაც ადგილი ჰქონდა ევროპაში უდიდეს გეოგრაფიულ აღმოჩენების პერიოდში.

მეშვიდე თავში გადმოცემულია ის, თუ რა წვლილი შეიტანეს რუსების გეოგრაფებმა და მოგზაურებმა გეოგრაფიულ აზროვნებაში და გეოგრაფიულ აღმოჩენათა დარგში.

ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ XIII საუკუნიდან დაწყებული XVII საუკუნის პირველ ნახევრამდე რუსეთის კონკვისტადორებმა და რუსეთის კოლონებებმა აღმოაჩინეს ევროპის ჩრდილო ნაპირები და აგრეთვე ციმბირის სხვადასხვა რაიონები (გვ. 100), გადმოგვცემს რუს გეოგრაფთა აღმოჩენების ისტორიას და გადადის მერე, [illegible] ევროპელებისა და რუსების მოგზაურობათა მიმოხილვაზე XVII—XVIII ს. ბ. XVII საუკუნის ბოლოდან მოყოლებული, მეცნიერების სხვადასხვა დარგებმა იმდენად წინ წაიწიეს, რომ შესაძლებელი გახდა მათი დასკვნების გამოყენება დედამიწის ზურგის გამოკვლევაში, იწყება დედამიწის მეცნიერული გამოკვლევა და კონტინენტის შიდა ნაწილების ენერგიული შესწავლა.

„აზიის კონტინენტის, მეტადრე მისი ჩრდილო და ცენტრალური ნაწილების შესწავლაში, მთავარი დამსახურება და ღვაწლი მიუძღვის რუს მკვლევართ“ (გვ. 117).

მე-XVII—XVIII საუკუნის მსოფლიო დიდ გეოგრაფთა შორის ჩამოთვლილია დიდი რუსი გეოგრაფები ბერინგი, ჩირიკოვი, ჩაპლინი, ჩელიუსკინი, ლაპტევი და სხვები.

მეორე თავი მოგვითხრობს დიად მოგზაურობებზე XIX საუკუნეში და გვიხასიათებს გეოგრაფიული მეცნიერებას ამავე პერიოდში. ის სავსებით სწორად აღნიშნავს, რომ უმთავრესად XIX საუკუნეში აზიის შესწავლა-გამოკვლევის საქმეში განსაკუთრებული ღვაწლი და დამსახურება რუსებს მიუძღვის (იხ. გვ. 130), ავტორი აღნიშნავს, რომ ამ პერიოდის მსოფლიო დიდ მოგზაურთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს „რუსეთის დიდი მოგზაური და შუა-აზიის მკვლევარი ნიკოლოზ მიხეილის-ძე პრჟევალსკი“. პრჟევალსკის შესახებ ავტორი სამართლიანად შენიშნავს, ბერგის სიტყვებით, რომ პრჟევალსკი „ყველა დროისა და ერის ერთერთი შესანიშნავი მოგზაურია“ (გვ. 171). შემდეგ დახასიათებულია პრჟევალსკის დიდი დამსახურება გეოგრაფიული მეცნიერების წინაშე, ამ დამსახურებათა შორის აღსანიშნავია ის, რომ „თხუთმეტი წლის განმავლობაში ნიკოლოზ პრჟევალსკიმ განვლო ცენტრალურ აზიაში დაახლოებით ოცდაათი ათასი კილომეტრი და გამოარკვია 63 ასტრონომიული პუნქტი.

„მან პირველმა გამოიკვლია ვებერთელა სივრცე პამირიდან დიდ ჰინგანამდე 4.000 კილომეტრის მანძილზე, ხოლო სამხრეთით ალტაიდან ტიბეტის შუამდე — 1000 კილომეტრზე ზევით“ და სხვა.

ამ თავში აგრეთვე ავტორი ახასიათებს ნ. მ. პრჟევალსკის შრომებს, რის შემდეგ გადადის რუსი გეოგრაფების პევცოვის, რობოროვსკის, კოზლოვის, კროპოტკინის, პატანინის, ობრუჩევის და სხვათა დამსახურებაზე გეოგრაფიულ აღმოჩენების დარგში. ვრცლად არ ჩერდება გამოჩენილ რევოლუციონერ გეოგრაფის მეცნიერის ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე მიკლუხო-მაკლაის შესახებ, მაგრამ ახერხებს კონსპექტური გადმოცემით წარმოგვიდგინოს მიკლუხო-მაკლაის პიროვნება და მისი დამსახურებანი მეცნიერების მრავალი დარგის წინაშე, თუ როგორ ამსხვრევდა მიკლუხო-მაკლაი თანამედროვე კაციჭამია ფაშისტების წინაპართა სულელურ, აკვიატებულ აზრს რასების უთანასწორობის შესახებ და სხვა.

ამ თავიდან მოჩანს, რომ მსოფლიოს გამოჩენილ და მამაც მოგზაურთა კოპორტებში საპატიო და მოწინავე ადგილი უჭირავთ რუს გეოგრაფებს.

ევროპელ გამოჩენილ მეცნიერ გეოგრაფთაგან ავტორი წარმოადგენს ფიზიკური გეოგრაფიის და ტროპიკული ამერიკის მეცნიერული შესწავლის ფუძემდებელს ალექსანდრე ჰუმბოლტს, მოკლეთ ახასიათებს მის მეცნიერულ-ლიტერატურულ მემკვიდრეობას, რის შემდეგ გვაცნობს აზროვნების გენიოსის ჩარლზ დარვინის დამსახურებას გეოგრაფიის წინაშე.

ფრანგ გამოჩენილ გეოგრაფთაგან შრომაში წარმოდგენილია ელიზე რეკლიუ.

თავი მეათე — მოგზაურობანი არქტიკასა და ანტარქტიკაში, წარმოადგენს მეცნიერულ გამოკვლევათა ისტორიას მათ შესახებ, არქტიკის მეცნიერული შესწავლის მნიშვნელობას. ავტორი საინტერესო მასალებს გვაწვდის დიდი რუსი მეცნიერის ლომონოსოვის დამსახურების შესახებ არქტიკის შესწავლის საქმეში. სამართლიანად აღნიშნავს, რომ ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ ს ტ ა ლ ი ნ ი ს ინიციატივით „დაწყებულია საბჭოთა კავშირში არქტიკის გამოკვლევა მთელ მსოფლიოში უჩვეულო მასშტაბით“ (გვ. 172). მოკლეთ ახასიათებს საბჭოთა შესანიშნავი ექსპედიციებისა, გმირული გადაფრენებისა და გმირი საბჭოთა მეცნიერების კვლევათა შედეგებს არქტიკის შესწავლის საქმეში.

უკანასკნელი თავი მოკლეთ გვაცნობს არქტიკის კონტინენტს და მისი შესწავლის მდგომარეობას.

ასეთია მოკლეთ აღნიშნული შრომის შინაარსი.

რა ნაკლოვანებანი ახასიათებს პროფ. გ. ნ. გეხტმანის ამ შრომას? 1. ის, რომ ავტორის ეს შრომა, ძალზე კონსპექტურია, მაგრამ მიუხედავად ამისა ზოგიერთი მასალის და ზოგ საკითხთა უგულვებელყოფის გზით ავტორს ასეთ შრომაშიაც შეეძლო მეტი ადგილი დაეთმო ცალკე გამოჩენილ მეცნიერ გეოგრაფთათვის და მოეცა მათი ძირითადი [illegible] საზრისთა შედარებით ვრცელი დახასიათება, ვინემ შრომაშია წარმოდგენილი.

2. ავტორი გეოგრაფიულ აღმოჩენებს და ინტერესს გეოგრაფიისადმი ხშირად არ უკავშირებს იმ სოციალ-ეკონომიურ ძვრებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ისტორიაში და წარმოადგენდა ამ აღმოჩენების და ინტერესის საფუძველს,

3. ავტორს უნდა მოეცა გეოგრაფიულ-მეცნიერულ სკოლებისა და მათი კონცეპციათა უფრო ვრცელი დახასიათება და კრიტიკა.

4. მეცხრე თავში — დიადი მოგზაურობანი და გეოგრაფიული მეცნიერება XIX—XX საუკუნეში, ავტორს უსათუოდ ცალკე საკითხად უნდა გამოეყო, და გაეშუქებინა საბჭოთა გეოგრაფიული მეცნიერების მდგომარეობა და საბჭოთა გეოგრაფების დამსახურება.

მიუხედავად შრომის ამ ნაკლოვანებისა, პროფ. გეხტმანის „ნარკვევები დიდ მოგზაურობათა და დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენათა ისტორიიდან" სერიოზული ნაშრომია, ის მართლაც ერთგვარად ავსებს ხარვეზს ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, რომელიც გვაქვს გეოგრაფიულ მეცნიერული აზროვნების გადმოცემისა და გეოგრაფიულ აღმოჩენათა ისტორიის დარგში. განხილული წიგნი ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობისათვის ფრიად სასარგებლო წიგნია.

გ. მეგრელიშვილი

მარქსიზმ-ლენინიზმის ინ-ტი საქ. სახელმწიფო
საჯარო ბიბლიოთეკა
ბიბლიო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

მხატვრული ლიტერატურა

	გვ.
სიმონ ჩიქოვანი — გურამიშვილის სიმღერა (ლექსები)	3
ალ. ქუთათელი — პირისპირ (რომანი. გაგრძელება)	23
ს. შანშიაშვილი — კრწანისი (ნაწყვეტი დრამატული პოემიდან)	45
ოთარ ჩხეიძე — ვერუწიო (მოთხრობა)	55
ალიო ადამია — ყირიმში გასაგზავნი წერილი (ლექსი)	61
ფრიდრიხ ვოლფი — ჟიული (მოთხრობა. თარგმ. **ნ. ლორთქიფანიძისა**)	63
კლიმენტი გოგიავა — გენერალ-მაიორი ლესელიძე (ნარკვევი)	91

ფაშიზმის დამხობა გარდაუვალია

ე. ბურჭულაძე—1942 წელი ფაშისტთა ხროვის საბოლოო განადგურების წელი იქნება	110

წარსულიდან

სარგის კაკაბაძე — გიორგი სააკაძის აღსასრული	123

თანამედროვე დასავლეთი

კონსტანტინე გამსახურდია — ტომას მანნ	137

ბიბლიოგრაფია

მ. დუდუჩავა — აკაკი წერეთელი — „თხზულებანი", ტომი პირველი და მეორე	150
დავ. შამათავა — გიორგი ნატროშვილი — „ლიტერატურული ეტიუდები"	155
გ. მეგრელიშვილი — პროფ. გ. ნ. გეხტმანი — „ნარკვევები დიდ მოგზაურობათა და დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენათა ისტორიიდან	158

ფასი 4 მან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ